

**ვალდებულებითი სამართლის
ზოგადი ნაწილი
საქართველოს უზენაესი
სასამართლოს პრაქტიკაში
რჩეული მუხლები
(2016-2021 წლის I ნახევარი)**

კვლევა მოამზადა

მანია ასალაქაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატის ექსპერტი

რედაქტორი

ნინო კიკიგური

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

© საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2021
ISBN 978-9941-8-3872-9

შინაარსი

შისაკვალრი	5
316-ე მუხლი	7
325-ე მუხლი	10
327-ე მუხლი	15
337-ე მუხლი	20
341-ე მუხლი	26
342-ე, 345-ე მუხლები	32
352-ე და მომდევნო მუხლები	
405-ე მუხლი	34
360-ე მუხლი	61
361-ე მუხლი	63
362-ე მუხლი	64
365-ე მუხლი	66
369-ე მუხლი	68
371-ე მუხლი	69
387-ე მუხლი	72
388-ე მუხლი	73
389-ე მუხლი	74
394-ე მუხლი	77
396-ე მუხლი	78
398-ე მუხლი	79
399-ე მუხლი	82
403-ე მუხლი	84
408-ე მუხლი	84
ზიანის ანაზღაურება უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივ დავებში	98
ზიანის ანაზღაურება სამეწარმეო დავებში	99
ზიანის ანაზღაურება შრომითსამართლებრივ დავებში	100
ზიანის ანაზღაურება დელიქტურ მოთხოვნებში	106
411-ე მუხლი	114
412-ე მუხლი	130
413-ე მუხლი	131

415-ე მუხლი	146
416-ე-420-ე მუხლები	152
421-ე-423-ე მუხლები	179
427-ე მუხლი	183
429-ე მუხლი	184
434-ე მუხლი	190
442-ე მუხლი	191
448-ე მუხლი	192
454-ე მუხლი	195
463-ე მუხლი	196
სამართლებრივი დასკვნა	201

შესავალი

კერძო სამართლის ბუნება ყველაზე კარგად ჩანს ვალდებულებით სამართალში. ურთიერთობის მონაწილეთათვის მინიჭებული კერძო ავტონომია სამართლებრივ გამოხატულებას სწორედ ფარდობით ვალდებულებით ურთიერთობებში პოვებს. თავისუფლება და პასუხისმგებლობა კონცენტრირებულად ვალდებულებით სამართალში არსებობს და ეკონომიკური ურთიერთობების სტაბილურობის წინაპირობად გვევლინება. სახელმწიფოს ამოცანაა, აღიაროს და დაიცვას კერძო პირების მიერ ნაკისრი ვალდებულებები და დარღვევის შემთხვევაში, ამ პირებს მიანიჭოს თავდაცვის ეფექტური საშუალებები. ამ ამოცანას ემსახურება ვალდებულებითი სამართალი, რომლის ზოგადი ნაწილი ვალდებულებითი ურთიერთობების საფუძვლებს, პრინციპებსა და ზოგად ჩარჩო პირობებს განსაზღვრავს.¹

პანდექტური სისტემით აგებულ სამოქალაქო კოდექსში ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი არეგულირებს ვალდებულების წარმოშობასთან, შესრულებასთან, შეუსრულებლობასა და შეწყვეტასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს. მისი ნორმები რელევანტურია, როგორც სახელმწიფოებო, ისე, არასახელმწიფოებო (კანონისმიერ) ვალდებულებათა მიმართ. შესაბამისად, მისი დანიშნულება და პრაქტიკული ღირებულება სამოქალაქო ბრუნვისთვის მნიშვნელოვანია.

კვლევაში მოცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ბოლო წლების პრაქტიკა ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის რჩეულ მუხლებზე. იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის ყველაზე მეტად ეფექტური და გავრცელებული სახე ზიანის ანაზღაურებაა, მხარეთა მოთხოვნები ვალდებულებითსამართლებრივ (სახელმწიფოებო, შრომითი, დელიქტური) დავებში სწორედ სხვადასხვა სახის ზიანის ანაზღაურებას უკავშირდება. დავათა დიდი წილი მოიცავს პირგასამტეხლოს დაკისრებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის მთელ რიგ ნორმებზე არსებული სტაბილური და მყარი პრაქტიკის გვერდით გამოკვე-

¹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, წინათქმა, V.

თილია ზოგიერთი სიახლე სასამართლო პრაქტიკაში, ასევე არათანმიმდევრულობა.

მიგვაჩნია, რომ წინამდებარე ნაშრომი კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება დაინტერესებულ პირთათვის, სულ უფრო მზარდი და განვითარებადი ქართული სასამართლო პრაქტიკის უკეთ გაცნობისა და გამოყენების თვალსაზრისით, რაც სასამართლოს საქმიანობის გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას კიდევ უფრო უზრუნველყოფს.

316-ე მუხლი

ერთ საქმეში,² საკასაციო პალატამ იმსჯელა რა, სსკ-ის 316-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ვალდებულებითი ურთიერთობის მხარეთა გულისხმიერებაზე, აღნიშნა, რომ აღნიშნული ნორმის დანაწესი არ შეიცავს გულისხმიერების ვალდებულებათა ჩამონათვალს და არ აზუსტებს მის შინაარსს. კანონმდებელი მხოლოდ ამ ვალდებულების აუცილებელ ნიშან-თვისებებზე მითითებით შემოიფარგლება, კერძოდ: ა) გულისხმიერების ვალდებულება გამომდინარეობს ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან, მიუხედავად იმისა, შეთანხმდნენ თუ არა მასზე მხარეები (*naturalia negotii*); ბ) გულისხმიერების ვალდებულება მიმართულია მოვალის ქონებრივი და არაქონებრივი *status quo*-ს შენარჩუნებაზე (განსხვავებით, შესრულების ვალდებულებისაგან, რომელიც *status quo*-ს გაუმჯობესებას ისახავს მიზნად); გ) გულისხმიერების ვალდებულება ეკისრება ვალდებულების ორივე მხარეს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 316 მუხლის II ნაწილის დანაწესით კანონმდებელი განმარტავს, რომ ზოგ შემთხვევაში მხარეს შესაძლოა იმაზე მეტი ვალდებულება ეკისრებოდეს, ვიდრე ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი. გულისხმიერების ვალდებულება, როგორც ბუნებრივი ვალდებულება, ახასიათებს ყველა ვალდებულებით ურთიერთობას, რომელშიც ამ ურთიერთობის თავისებურებების გათვალისწინებით, მხარეებს ერთმანეთის სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და ქონებაზე ზემოქმედების შესაძლებლობა აქვთ. ის გარემოება, რომ კანონმდებელი არა ჩვეულებრივ, არამედ „განსაკუთრებულ“ გულისხმიერებაზე მიუთითებს, მეტყველებს იმაზე, რომ სსკ-ის 316-ე მუხლის II ნაწილით დადგენილი ქცევის სტანდარტი იმაზე მაღალია, ვიდრე სსკ-ის 992-ე მუხლის სტანდარტი. თავის მხრივ, სტანდარტის სიმკაცრე დამოკიდებულია ვალდებულების ხასიათზე. იგი მით უფრო მაღალია, ა) რაც უფრო მაღალია ობიექტური ნდობის ხარისხი კონტრაქტთან მიმართებაში ბ) მაღალია დაინტერესებული მხარის ეკონომიკური და სამართლებრივი რისკები. რაც შეეხება ობიექტურ ნდობას, იგი განსაკუთრებით ინტენსიურია საბანკო და სადაზღვევო ურთიერთობებში.

შესრულების ნაკლის მიუხედავად, შესრულება ჯეროვნად შეფასდა.

² სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019.

საკასაციო პალატამ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნა, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დათქმულ ვადაში, ჯეროვნად შეასრულა. (316.2.)

საკასაციო პალატა დაეთანხმა სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ არაჯეროვანი შესრულების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების მოცულობა, შესასრულებელი სამუშაოს კომპლექსურობა, შემსრულებლის მიერ ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შესრულება და, რა თქმა უნდა, **შესრულების ნაკლის სიმძიმე**. განსახილველ შემთხვევაში, შესრულების ნაკლი (2 913 ლარი) იმდენად უმნიშვნელო იყო ძირითად შესასრულებელ ვალდებულებასთან მიმართებით (614 749 ლარი), რომ ვალდებულების არაჯეროვან შესრულებად მისი განხილვა სამართლებრივად დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული.³

ავტოსადგომზე პარკირებისათვის ადგილის გამოყოფა მოპასუხეს ავალდებულებდა გადაეცა ავტოსადგომის დგომისათვის ვარგისი ადგილი.

საქმის ფაბულის მიხედვით,⁴ ბაზრობის ტერიტორიაზე სარეკლამო ბანერის ჩამოვარდნის შედეგად მოსარჩელის ავტომანქანა დაზიანდა. სასამართლოებმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დააკმაყოფილეს. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა განთავსდა მოპასუხის ტერიტორიაზე პარკირების მომსახურების განევის მიზნით და მხარეთა შორის ურთიერთობა დარეგულირდა „პარკირების მომსახურების განევის შესახებ წესებით“ (ხელშეკრულებით). აღნიშნული წესების მიხედვით განისაზღვრა, რომ „შემსრულებელი“ – ავტობაზრობა უნევეს, ხოლო „დამკვეთი“ – იღებს და დროულად იხდის პარკირების მომსახურების საფასურს ტარიფების შესაბამისად. ამასთან, ხელშეკრულებაში ტერმინი „პარკირების მომსახურება“ განმარტებულია, როგორც დამკვეთისთვის პარკირების დანომრილი ადგილის გამოყოფა მიბარების ან შენახვის მომსახურების გარეშე. ამრიგად, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მიზანს დღიური ქირის სანაცვლოდ, ავტომანქანის განთავსებისთვის ადგილის გადაცემა წარმოადგენს, რაც ქირავნობის ხელშეკრულებად განიხილება. საკასაციო სასამართლომ

³ სუსგ №ას-1900-2018, 12 მარტი, 2019.

⁴ სუსგ № ას-706-676-2016, 13 მარტი, 2017.

ასევე გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მითითება სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ კეთილსინდისიერების პრინციპსა და ამავე კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და დაასკვნა, რომ ადგილის ავტოსადგომზე პარკირებისათვის გამოყოფა მოპასუხეს ავალდებულებდა გადაეცა ავტოსადგომის დგომისათვის ვარგისი ადგილი.

გულისხმიერების ვალდებულება მხარეებისათვის დამატებითი ვალდებულების დაკისრებას არ გულისხმობს, ყოველთვის ვალდებულების შინაარსშივე მოიაზრება და ერთგვარ მორალურ კავთეგორიას განეკუთვნება.

გულისხმიერების ვალდებულება ნახსენებია როგორც Duty of Cooperate, რაც შეიძლება გაგებული იქნეს როგორც გულისხმიერებად, ასევე თანამშრომლობის ვალდებულებად.

კონკრეტულ დავაში,⁵ საკასაციო საჩივრით სადავოა სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული იპოთეკის საგნის რეალიზაციის მართლზომიერება. უზენაესმა სასამართლომ უცვლელი დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაცია.

საკასაციო პალატამ იმის გათვალისწინებით, რომ დადგენილი იპოთეკის საგნის 5/6 წილი წარმოადგენს სრულწლოვანი პირების საკუთრებას და მხოლოდ მისი 1/6 ნაწილია არასრულწლოვანი ბავშვის საკუთრება, საჭიროდ ჩათვალა კეთილსინდისიერების პრინციპის განმარტება.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ხელშეკრულების ყოველ მხარეს ვალდებულების შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ავალდებულებს გამოიჩინოს მეორე მხარის ქონებისა და უფლებებისადმი გულისხმიერება.

⁵ სუსგ №ას-1498-1418-2017, 8 ივნისი, 2018, ასევე, სუსგ №ას-91-2020, 10 ივნისი, 2020.

გულისხმიერების ვალდებულება მხარეებისათვის დამატებითი ვალდებულების დაკისრებას არ გულისხმობს, ყოველთვის ვალდებულების შინაარსშივე მოიაზრება და ერთგვარ მორალურ კატეგორიას განეკუთვნება. იგი შეიძლება გულისხმობდეს ასევე, წინასახელშეკრულებო პერიოდში მხარის მიერ განხორციელებული ქმედებებისადმი პატივისცემას, აგრეთვე მისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასაც.

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში (მუხლი 1:202) გულისხმიერების ვალდებულება ნახსენებია როგორც Duty of Co-operate, რაც შეიძლება გაგებული იქნეს როგორც გულისხმიერებად, ასევე თანამშრომლობის ვალდებულებად. ამ პრინციპის დარღვევა წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას და ამ დროს გამოიყენება ვალდებულების დარღვევის დროს გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, მოვალეს შეუძლია მიუთითოს ამ საფუძვლებზე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კრედიტორმა დაარღვია გულისხმიერების ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნაწილში, გარიგების მართლზომიერად მიჩნევისათვის განმსაზღვრელია სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის კეთილსინდისიერებისა და მეორე მონაწილის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულების დაცულობა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კერძო ხასიათის ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების პროცესში კონკრეტული სამართლის ნორმების საფუძველზე ამ ურთიერთობის მონაწილეების აღჭურვა განსაზღვრული სუბიექტური უფლებებითა და მოვალეობებით, განაპირობებს შემდგომში მათ ქცევას არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. სამართლის ნორმა (ნორმები) პირს უნდა ანიჭებდეს უფლებას, მოსთხოვოს ვალდებულ პირს შეასრულოს სამართლებრივად განპირობებული აუცილებელი მოქმედება ან თავი შეიკავოს მისგან (სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილი).

325-ე მუხლი

ვინაიდან, საკრედიტო ხელშეკრულებაში ვალდებულების შესრულების პირობებს განსაზღვრავდა ბანკი, მას აღნიშნული კეთილსინდისიერად და სამართლიანად უნდა განეხორციელებინა.

კონკრეტული საქმის მასალების მიხედვით,⁶ უდავოდ დადგინდა, რომ

მეორე საკრედიტო ხელშეკრულებით განხორციელდა ბანკის მიმართ მოპასუხის (ფიზიკური პირის) მანამდე არსებული საკრედიტო დავალიანების რეფინანსირება და მსესხებელს ხელზე თანხა არ მიუღია, ხოლო დარჩენილი დავალიანება 810,27 ლარი იყო, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ მართებულად შეაფასა მეორე საკრედიტო ხელშეკრულება მითითებულ თანხაზე დადებულად.

საკასაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ მეორე საკრედიტო ხელშეკრულება არ არის შედგენილი იმ ნესების დაცვით, რომელსაც ავალდებულებს ბანკს არა მხოლოდ კანონი, არამედ კანონქვემდებარე აქტები. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. ამავე კოდექსის, **325-ე მუხლის პირველი ნაწილის** თანახმად, თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.

ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების პირობებს განსაზღვრავდა ბანკი, პალატის მოსაზრებით, აღნიშნული მას კეთილსინდისიერად და სამართლიანად უნდა განეხორციელებინა.

„კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების განვეცხადების მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 13 მაისის №35/04 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, **ბანკმა უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისათვის საბანკო მომსახურების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი სრული ინფორმაციის დროულად მიწოდება, რომელიც მომხმარებელს არ უზიძვებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში.**

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მეორე ხელშეკრულება არ შეიცავს საკრედიტო ხელშეკრულებისათვის აუცი-

⁶ სუსგ №ას-287-287-2018, 5 სექტემბერი, 2018.

ლებელ ყველა არსებით პირობას, მასში გარდა ზოგადი მითითებისა, რომ კრედიტის მიზნობრიობას სხვა სესხის რეფინანსირება წარმოადგენს, არ არის ასახული ის აუცილებელი ინფორმაცია, რის შეტანასაც ბანკს მსგავსი ტიპის ხელშეკრულებებში ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტი ავალდებულებს, კერძოდ, მასში ასახული არ არის კონკრეტულად, თუ რომელი სესხის რესტრუქტურული ზაცია განხორციელდა და რა სახის კომპონენტებისგან შედგებოდა იგი. კერძოდ, რა ოდენობით იყო რეფინანსირებული სესხის ძირითადი დავალიანება, სარგებელი ან პირგასამტეხლო. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ხსენებული ინფორმაციის რეფინანსირების ხელშეკრულების თავსართში ასახვა ბანკის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენდა, რომლის შეუსრულებლობითაც ამ უკანასკნელმა დაარღვია მსესხებლის ინფორმირებულობის ვალდებულება.

სხვა საქმეში⁷ საკასაციო სასამართლომ მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებით დადგენილ პროცენტთან დაკავშირებით განმარტა, რომ საპროცენტო განაკვეთი ცალკე არ აღემატებოდა კანონით დადგენილ ზღვარს, მაგრამ შეუსაბამოდ მაღალს წარმოადგენს, იმ დროს მოქმედი სესხის ხელშეკრულებისთვის დადგენილ პროცენტთან შედარებით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დასახელებულ სარგებელთან ერთად, მხარე პირგასამტეხლოსაც ითხოვდა რაც ერთიანობაში, არა ვალდებულების დამრღვევი პირის მიმართ სანქციის გამოყენებასა და კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფას, არამედ ამ უკანასკნელის შესაძლო უსაფუძვლო გამდიდრებას გამოიწვევს, რაც საფრთხეს შეუქმნის სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებასა და სტაბილურობას.

„თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.“ ამ შემთხვევაში, შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის ამკარა შეუსაბამობაა და კასატორი [სარგებლის მიმღები] მოქმედებდა ცალსახად არაკეთილსინდისიერად: მის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი და მოსალოდნელი რისკები და ბოროტად გამოიყენა საბაზრო ძალაუფლება. ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი სესხის წლიური სარგებლის 72%-ით განსაზღვრას საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების სა-

⁷ სუსგ №ას-470-2020, 7 ოქტომბერი, 2020.

წინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარგებლის მართლზომიერების მტკიცების ტვირთი კასატორს აწევს სსკ-ის 325-ე მუხლის პირველი და სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილების თანახმად, რაც მან ვერ დაამტკიცა. ამრიგად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების დებულება, რომლითაც კასატორმა სესხისათვის შეუსაბამოდ მაღალი სარგებელი განსაზღვრა, მაშინ, როდესაც არ არსებობდა ასეთი მოქმედების ლეგიტიმური მიზანი, ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ღირებულებებს და სსკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით, უცილოდ ბათილია, რაც ამ შემთხვევაში არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას სსკ-ის 62-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე“ (სუსგ №ას-663-629-2015, 28 ივლისი 2015 წელი).

კონკრეტულ საქმეში,⁸ საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ მოსარჩელემ კეთილსინდისიერად შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსკ-ის 325-ე და 8.3 მუხლების განმარტება სამართლიანად და გონივრულად უნდა მოხდეს. შეუძლებელია მენარმე სუბიექტი დათანხმებოდა იმგვარ პირობას, რაც შემდგომ მას ზიანს მოუტანდა. სააპელაციო სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ თანხის ყოველი გადარიცხვის შემდეგ მოსარჩელე ატყობინებდა მოპასუხეს, თუ რამდენი იყო ევროსთან მიმართებით გადარიცხული თანხა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო პირობა, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს საქონლის ღირებულების უცხოურ ვალუტაში განსაზღვრა შეეძლო, მიმწოდებელმა კი სახელშეკრულებო ღირებულება ევროში განსაზღვრა, თუმცა გადახდა ეროვნულ ვალუტაში ხორციელდებოდა და მიეთითებოდა შესაბამისი კურსით უცხოური ვალუტა.

სხვა საქმეში,⁹ საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო რა, კრედიტორის საკასაციო საჩივარი, აღნიშნა, რომ სარჩელი სრულად მაინც ვერ დაკმაყოფილდება შემდეგ გარემოებათა გამო: განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს 19 თვის სარგებლის ანაზღაურებას წლიური 360%-ის გათვალისწინებით. საკასაციო სასამართლომ კასატორის მსჯელობა, რომ საპროცენტო სარგებლის თაობაზე შეთანხმება სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებშია მიღწეული და ამიტომ მისი შეცვლა არ შეიძლება, არ გაიზიარა და გან-

⁸ სუსგ №ას-18-2019, 2 აგვისტო, 2019.

⁹ სუსგ №ას-1239-2018, 24 აპრილი, 2019.

მარტა: სამოქალაქო სამართალში ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერი ქცევა პრეზუმირებული, რაც იმთავითვე გულისხმობს იმის ვარაუდს, რომ ისინი თავიანთ უფლებებს კეთილსინდისიერად ახორციელებენ (სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი, სსკ-ის 8.3 მუხლი). უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონის იმპერატიული ნორმები (სსკ-ის მე-10 მუხლის მესამე ნაწილი). შესაბამისად, მხარეთა უფლება, თავისუფლად დადონ ხელშეკრულება და ასევე, თავისუფლად განსაზღვრონ მისი შინაარსი, აბსოლუტური არ არის. სახელშეკრულებო დებულებების განსაზღვრის დროს ისინი ვალდებული არიან, გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კასატორმა განსაზღვრა სესხის სარგებელი – ყოველწლიურად 360%. მართალია, ამ შეთავაზებას მოპასუხეც დაეთანხმა, მაგრამ ამით სამართლებრივად არაფერი იცვლება, რადგანაც კასატორი მოქმედებდა **სსკ-ის 325-ე მუხლის პირველი ნაწილით** დადგენილი ქცევის წესის საწინააღმდეგოდ.

მოცემულ შემთხვევაში, მართალია, მოვალე დაეთანხმა სესხის მაღალი სარგებლის (წლიური 360%) გადახდას, მაგრამ აშკარაა, რომ კასატორი (სარგებლის მიმღები) მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, მან არ გაითვალისწინა ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი. ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი სესხის წლიური სარგებლის 360%-ით განსაზღვრას საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარგებლის მართლობიერების მტკიცების ტვირთი კასატორს აწევს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რაც მან ვერ დაამტკიცა. ამრიგად, მხარეთა შეთანხმება, რომლითაც კასატორმა სესხისათვის შეუსაბამოდ მაღალი სარგებელი განსაზღვრა, მაშინ, როდესაც არ არსებობდა ასეთი მოქმედების ლეგიტიმური მიზანი, ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ღირებულებებს და სსკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით ბათილია, რაც ამ შემთხვევაში არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას სსკ-ის 62-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე. დადგენილი პრაქტიკით გონივრულად ითვლება წლიური 18-20%-იანი სარგებელი, 19 თვეზე ამ ოდენობით პროცენტის გამოანგარიშების შემთხვევაში კი, კრედიტორი იმაზე ნაკლებ თანხას მიიღებდა, რაც მას მიეკუთვნა სარგებელსა და მიუღებელ შემოსავალთან ერთად.

327-ე მუხლი

ერთ-ერთ საქმეში,¹⁰ საკასაციო პალატამ სსკ-ის 327 მუხლის I ნაწილით (ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები ყველა მის არსებით პირობებზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით) მსჯელობისას მიუთითა, რომ პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, თუ რას მოიაზრებს ხელშეკრულების არსებითი პირობა (*essentialia negotii*). სსკ-ის 327 მუხლის II ნაწილის მიხედვით, „არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.“ ხელშეკრულების არსებითი პირობების ჩამონათვალს იშვიათი გამონაკლისის გარდა, (რადგან თითოეული ტიპის ხელშეკრულებას აქვს კანონით განერილი „მინიმალური შინაარსი“, რომელსაც ქმნიან ის პირობები, რომლებზეც შეთანხმების გარეშე ხელშეკრულება არ დაიდება), კანონი არ განსაზღვრავს. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების მხოლოდ ის პირობები, რომელზეც მხარეთა შეთანხმების მიღწევის გარეშე, ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება. (შდრ: ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, მუხლი 327, გვ. 90, თბილისი, 2001).

სხვა საქმეში,¹¹ მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მენარდემ იკისრა ვალდებულება ქ-ის ქ. №20-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე, ქ-ის ქუჩის მხარეს განთავსებული არაუმცირეს, 96 კვ.მ ფართის გადმოცემაზე.¹² სარჩელი დაკმაყოფილდა, ვინაიდან სასამართლომ შეთანხმებით გადასაცემი ფართის მდებარეობა მიიჩნია არსებით პირობად.

ერთ-ერთ საქმეში,¹³ საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირის მიერ ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად გადახდილი თანხის ბედ კვალიფიკაციისა და შესაბამისად, ვალდებულების დამრღვევი მხარისათვის (ბეს მიმღებისათვის) მისი ორმაგად დაბრუნების დავალდებულების კანონიერება, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული ხელშეკრულების თანახმად, აუქციონში მონაწილე პირის მიერ გადახდილი თანხა

¹⁰ სუსგ №ას-475-2019, 15 აპრილი, 2021.

¹¹ სუსგ №ას-338-2019, 22 მარტი, 2021.

¹² სუსგ №ას-338-2019, 22 მარტი, 2021

¹³ სუსგ №ას-376-360-2016, 17 თებერვალი, 2017.

წარმოადგენდა სსკ-ის 421-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებითსამართლებრივ საშუალებას, რომლითაც წინარე ხელშეკრულების დადება დადასტურდა, ხოლო ბეს მიმღების მხრიდან ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულების დარღვევის გამო, არსებობდა მისთვის ბეს ორმაგად დაკისრების წინაპირობა.

ინტერნეტაუქციონის მეშვეობით ქონების გასხვისების თაობაზე გამყიდველის ქცევის სამართლებრივი შეფასების შედეგად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ეს ქმედება წარმოადგენდა მონვევას ოფერტზე (სკ-ის 329.2 მუხლი). სასამართლო ამ დასკვნამდე საჯარო ხელშეკრულების ანალიზით მივიდა, სადაც ოფერენტი ხელშეკრულების არსებით პირობებზე ინვესტ ნებისმიერ პირს, რომელიც დაეთანხმება ვებგვერდზე, www.eauction.ge-ზე საწარმოს მიერ გამოქვეყნებულ ხელშეკრულებას. ოფერენტი საჯარო ხელშეკრულების შემდეგი დებულებით აზუსტებს პირთა წრეს, რომელთა მიმართაც ახორციელებს შეთავაზებას – ესენი არიან პირები, რომლებიც გაივლიან რეგისტრაციას და გახდებიან ავტორიზებული მომხმარებლები, რაც თავის მხრივ, ადასტურებს აქცეპტანტის მიერ საჯარო ხელშეკრულების გაცნობის ფაქტს (ვებგვერდზე განთავსებული რეგისტრაციის ლიაკზე დაჭერით დაეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს). თავის მხრივ, უდავოა ისიც, რომ საჯარო ხელშეკრულება შეიცავს შეთანხმებას ხელშეკრულების არსებით პირობებზე: ნასყიდობის საგანი; საწყისი ფასი, ასევე, შეძენილზე უფლების გადაცემის დრო – სასყიდლის გადახდა და ხელშეკრულების გაფორმება.

სსკ-ის 329-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ოფერტი) ითვლება შეთავაზებულად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, გამოხატულია, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით გარიგების დადების ფაქტი დგინდება ნების გამომვლენისა და ამ ნების ადრესატის/ადრესატების ქმედების განმარტების ობიექტური შესაძლებლობით, კერძოდ, შეთავაზების ნამდვილობა განისაზღვრება მისი შინაარსით, ოფერტში უნდა იყოს იურიდიული ბოჭვისკენ მიმართული ოფერენტის ნება, რომლის გამოთქმული პირობით, აქცეპტირების შემთხვევაში წარმოიშობა ვალდებულება. სწორედ იურიდიულად განსაზღვრული, კონკრეტული პირის/პირთა ჯგუფის მიმართ გამოვლენილი ოფერენტის თვითმბოჭა-

ენება განასხვავებს ოფერტს (სსკ-ის 329.1 მუხლი) ოფერტზე მონ-
ვევისგან (სკ-ის 329.2 მუხლი). ამდენად, საკასაციო სასამართლოს
მოსაზრებით, **ინტერნეტაუქციონის შემთხვევაში, გამყიდველის
მიერ საქონლის სარეალიზაციოდ გამოყენებული ვებსაიტის აქ-
ტივაცია, განიხილება ნამდვილი ნების გამოვლენად და არა მონ-
ვევად ოფერტზე.** თავის მხრივ, ოფერტის იურიდიულ ბუნებას არ
ენინააღმდეგება სპეციალური დათქმები, როგორცაა მაგალითად:
ფასებისაბოლოო არ არის, მიწოდება ექვემდებარება დამატებით შე-
თანხმებას და ა.შ. სსკ-ის 329-ე და 330-ე მუხლების კონტექსტში,
ოფერტი ხელშეკრულებად განიხილება აქციეპტირების ეტაპიდან, წი-
ნადადების დადასტურებამდე ოფერენტს ნებისმიერ დროს შეუძ-
ლია გამორიცხოს სახელშეკრულებო თვითობჟვა.

სასამართლომ დაასკვნა რა, რომ **გამყიდველის საჯარო ხელშეკ-
რულება წარმოადგენს სწორედ ოფერტს – მოპასუხის მზაობას,
შეთავაზებაში გამოთქმული პირობით შევიდეს ნასყიდობის სა-
მართლებრივ ურთიერთობაში აუქციონში გამარჯვებულ პირ-
თან, იმსჯელა საჯარო ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზე.**

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ
ხელშეკრულება არასწორად მიიჩნია წინარე ხელშეკრულებად, რო-
მელთან მიმართებაშიც, იურიდიულად არათავსებადია ბეზე შეთან-
ხმების დაშვება, რამეთუ წინარე ხელშეკრულება, სსკ-ის 327-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, წარმოშობს ძირითადი ხელშეკრუ-
ლების დადების და არა ძირითადი ხელშეკრულებით განსაზღვრული
შესრულების ვალდებულებას, ხოლო სსკ-ის 421-ე მუხლის შესაბა-
მისად, ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების
ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკ-
რულების დადების ფაქტი. თავის მხრივ, სააპელაციო სასამართლომ
საჯარო ხელშეკრულების წინარედ მიჩნევას საფუძვლად დაუდო თა-
ვად ამ ხელშეკრულების ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახ-
მაც, აუქციონის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, გამყიდველ-
სა და მყიდველს შორის ფორმდებოდა ხელშეკრულება ვებგვერდზე
გამოქვეყნებული შესაბამისი ლოტის საინფორმაციო ველში მითი-
თებული პირობებით, რაც შემძენისათვის საფასურის სრულად გა-
დახდის ვალდებულებას წარმოშობდა და სწორედ საფასურის სრუ-
ლად გადახდას უკავშირებდა გამყიდველი ხელშეკრულების საგან-
ზე მყიდველის საკუთრების უფლების წარმოშობას.

სსკ-ის 188-ე (I ნაწილი) მუხლის აღწერილობითი ნაწილით განსაზ-
ღვრულ შემთხვევაში, **სახეზეა გადადების სუსპენზიური პირობა**

– სამართლებრივი შედეგის დადგომა უკავშირდება სამომავლო მოვლენას – ფასის სრულად გადახდას.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პირობადებული საკუთრების ვალდებულებითსამართლებრივ მხარეს წარმოადგენს ოფერენტის მიერ პირობის ცალმხრივად დათქმა, რომელსაც ეთანხმება აქცეპტანტი და შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, შემდგენს საკუთრების უფლების გადაცემამდე (ფასის სრულად გადახდამდე) შენარჩუნებული აქვს მფლობელის ობლიგატორული უფლებები, ხოლო გამყიდველს, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან. რაც შეეხება ამ ტიპის ხელშეკრულების სანივთოსამართლებრივ ხასიათს, იგი ძირითადად, მესაკუთრის უფლებრივი კავშირია ნივთთან, კერძოდ, პირობის დადგომამდე გამყიდველი საკუთრებას არ კარგავს ქონებაზე, ნივთის შემდგენის მფლობელობაში გადაცემის შემთხვევაში კი, ხელშეკრულების შეწყვეტისას ინარჩუნებს ვინდიკაციური სარჩელის უფლებას და სხვა.

საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ **საჯარო ხელშეკრულება წარმოადგენდა მოპასუხის მხრიდან ოფერენტის გაკეთებას ელექტრონული აუქციონის ვებგვერდზე რეგისტრირებული/ავტორიზებული მომხმარებლებისათვის და ამ ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება იდებოდა იმ მომხმარებელთან, რომელიც აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდებოდა ანუ უმაღლესი ფასის წარდგენით ახორციელებდა გამსხვიებლის შეთავაზების აქცეპტირებას გადადების პირობით ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების წარმოშობის თაობაზე, თავის მხრივ, გადადების პირობა ითვალისწინებდა ფასის გადახდის ვადას, რაც წერილობით უნდა გაფორმებულიყო და აქცეპტანტს ამ მომენტიდან წარმოეშობოდა ქონებაზე საკუთრების უფლება.**

წინარე ხელშეკრულება კონტრაპირების იძულების სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს და მხარეებისთვის წარმოშობს მოთხოვნის უფლებას მომავალში ხელშეკრულების დადების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ დადებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება სამართლებრივი ძალის მატარებელია და სააპელაციო პალატამ იგი არასწორად მიიჩნია ბათილად.

ერთ-ერთ საქმეში,¹⁴ საკასაციო პალატამ არ გაზიარა ქვემდგომი სასამართლოების დასკვნა, რომ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება იყო ფორმალური ცველი და სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არც მას და არც მის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ სახელშეკრულებო საშუალებას – ბეს იურიდიული ძალა არ გააჩნდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავ ენორმის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება (წინარე ხელშეკრულება). ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე, წინარე ხელშეკრულებაზეც. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ წინარე ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით განსხვავდება ძირითადი გარიგებისგან. წინარე ხელშეკრულების შინაარსი როგორც წესი, გამომდინარეობს ძირითადი ხელშეკრულების საგნიდან, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს ძირითადი ხელშეკრულების დადების დავალდებულებას, ამასთანავე, წინარე ხელშეკრულება უნდა განსაზღვრავდეს იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ხელშეკრულების დასადებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ბათილად (არარად) ჩაითვლება. **წინარე ხელშეკრულება კონტრაქტების იძულების სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს და მხარეებს წარმოეშვება მოთხოვნის უფლებას მომავალში ხელშეკრულების დადების თაობაზე.** მითითებული სპეციფიკის გარდა, წინარე ხელშეკრულება ჩვეულებრივ გარიგებას წარმოადგენს და მის მიმართ სრულად ვრცელდება სახელშეკრულებო სამართლის ნორმები.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, უდავოა, რომ მოსარჩელესა და მესამე პირს შორის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება დადებულია წერილობითი ფორმით, მასში მოცემულია გარიგების საგანი, ფასი, ძირითადი ხელშეკრულების დადების პირობა და ვადა (**სსკ-ის 477-ე მუხლით განსაზღვრული არსებითი პირობები**). მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ფორმასთან მიმართებით ქვემდგომმა სასამართლოებმა არასწორად განმარტეს სსკ-ის 183-ე მუხლი და ხელშეკრულების ფორმა არასწორად დაუკავშირეს საჯარო რეესტრში ამ ხელშეკრულების რეგისტრაციის ფაქტს. საკასაციო სასა-

¹⁴ სუსგ №ას-1216-1136-2017, 18 მაისი, 2018.

მართლოს სტაბილური პრაქტიკით დადგენილია, რომ გარიგების ფორმის მომწესრიგებელი ზოგადი დებულებები მოცემულია სსკ-ის 68-ე-71-ე მუხლებში. 68-ე მუხლის მიხედვით, გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი. გარიგების ძირითადი ფორმებია ზეპირი და წერილობითი ფორმა, ხოლო წერილობითი გარიგება, თავის მხრივ, შეიძლება მარტივი ან რთული (სანოტარო) სახის იყოს. სსკ-ის 323-ე მუხლი უძრავი ნივთის გადაცემისათვის ადგენს მხოლოდ წერილობით ფორმას. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის არცერთი ნორმა არ განიხილავს უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, როგორც გარიგების ფორმას (*სუსგ №ას-1529-1443-2012, 9 დეკემბერი, 2013*). რაც შეეხება სსკ-ის 183-ე მუხლში ასახულ მითითებას წერილობითი გარიგების საფუძველზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით, აღნიშნული არ უკავშირდება გარიგების ფორმას, არამედ მხოლოდ იმას განსაზღვრავს, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების კანონით დადგენილი წესით წერილობით გაფორმების შემდეგ, მოპოვებული საკუთრების უფლების აღრიცხვა პუბლიცირებულ უფლებათა ანუ საჯარო რეესტრში უნდა მოხდეს (*სუსგ №ას-202-191-2017, 27 სექტემბერი, 2017*). შესაბამისად, მოსარჩელის მიერ დადებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება სამართლებრივი ძალის მატარებელია და სააპელაციო პალატამ იგი არასწორად მიიჩნია ბათილად.

337-ე მუხლი

„ნების გონივრული განსჯა“ ნიშნავს სადავო გამონათქვამის იმ მნიშვნელობის დადგენას, რომელსაც გონიერი ადამიანი ანალოგიურ პირობებში მიაინიჭებდა.

ხელშეკრულების განმარტების დროს, სასამართლო აზუსტებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებულ გამონათქვამებს და ასევე, ახორციელებს ხელშეკრულებაში ლიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას.

ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა.

კონკრეტულ საქმეში,¹⁵ საკასაციო სასამართლომ იმსჯელა ნების განმარტებისა და ხელშეკრულების განმარტების საკითხზე და განმარტა, რომ ნების გამოვლენის განმარტებისას, ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მართოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. მითითებული ნორმის მიზანია, დავის შემთხვევაში გაირკვეს, რა განზრახვა ჰქონდათ მხარეებს ხელშეკრულების დადებისას და როგორ უნდა გავიგოთ ხელშეკრულების სადავო გამონათქვამი. ასეთ შემთხვევაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში განსაზღვრული გამონათქვამი განსხვავებულად არის გაგებულნი. აღნიშნული გამორიცხავს ხელშეკრულების განმარტების შესაძლებლობას იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობდა ნების გამომვლენი ან ნების მიმღები. სწორედ ამიტომაც, კანონით გადამწყვეტია „ნების გონივრული განსჯა,“ რაც ნიშნავს სადავო გამონათქვამის იმ მნიშვნელობის დადგენას, რომელსაც გონიერი ადამიანი ანალოგიურ პირობებში მიაჩნებდა. გონივრულობა მოცემული ურთიერთობის სრულად აღქმა და განსჯაა და არა გამოყენებული გამონათქვამის ვინრო გაგება (სუსგ 25.05.2010წ. საქმე №ას 1220-1480-09).

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე, როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ.

ხელშეკრულების განმარტებისას, სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალეება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტება“ და „ხელშეკრულების შევსებითი განმარტება“ განსხვა-

¹⁵ სუსგ №ას-78-78-2018, 15 თებერვალი, 2018.

ვებული ცნებებია. სხვადასხვანაირი, ორაზროვანი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დაზუსტების აუცილებლობას ადგილი აქვს, როდესაც მხარეები ხელშეკრულების გამონათქვამების მიღმა არსებულ მნიშვნელობებზე დავობენ. ხოლო ხელშეკრულების შევსებით განმარტებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მხარეებს ხელშეკრულების ტექსტში გამორჩენილი აქვთ ცალკეულ საკითხთა მონესრიგება ან ხელშეკრულების პირობები გარკვეული ხარვეზებითაა მოცემული.

ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა. განმარტებას შეიძლება საჭიროებდეს, როგორც მთელი ხელშეკრულება, ასევე მისი რომელიმე ნაწილი ან თუნდაც რომელიმე პუნქტი (პირობა). ხელშეკრულების პირობები იმგვარად უნდა იქნას განმარტებული, რომ ყველა მათგანს მიეცეს მნიშვნელობა და არა რომელიმე მათგანს წაერთვას ძალა.

ხელშეკრულების გამონათქვამების სხვადასხვანაირობა გულისხმობს, რომ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება სხვადასხვანაირად იქნას გაგებული. გამონათქვამთა საგულდაგულო შერჩევის მიუხედავად, დოკუმენტი ყოველთვის ერთნაირად ვერ იქნება აღქმული მისი წამკითხველების მიერ. გამონათქვამების შინაარსის დადგენა უნდა მოხდეს ხელშეკრულების საერთო ტექსტით ან ხელშეკრულების იმ ნაწილებით, რომლებიც განსამარტავ გამონათქვამებს შეიცავენ.

სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულების განმარტების საფუძვლებთან დაკავშირებით საინტერესოა ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპების (დებულებების) №101-5:107 მუხლების დანაწესები, კერძოდ, ხელშეკრულება უნდა განიმარტოს მხარეთა საერთო ნების შესაბამისად იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი განსხვავდება სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისაგან. მხარეთა საერთო ნების დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, განმარტების კრიტერიუმად მიიჩნევა ხელშეკრულების მხარეთა მსგავსი გონივრული აზროვნების მქონე პირთა შეფასება მოცემულ გარემოებებში. ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამი (პირობა) უნდა განიმარტოს იმ მთლიანი ხელშეკრულების ჩრილში, რომელშიც ისინი არის მოცემული (სუსგ №ას-1144-1090-2014, 23.02.2015).

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განხილულ საქმეში სააპე-

ლაციო პალატამ მართებულად მიიჩნია, რომ სადავო შეთანხმების როგორც ლოგიკური, ისე სიტყვასიტყვითი განმარტებით, მხარეებმა გაქვითეს მხოლოდ ვადამოსული ვალდებულებები, რომლებიც მათ ერთმანეთის მიმართ გარკვეულ პერიოდამდე გააჩნდათ იმგვარად, რომ სამომავლო ურთიერთვალდებულებებზე ერთმანეთის მიმართ (მათ შორის, მოსარჩელის მოთხოვნაზე ქირის შესახებ) მხარეებს უარი არ განუცხადებიათ.

საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შეთანხმების შინაარსის სხვაგვარად განმარტება სადავო დებულების გონივრულ განსჯად ვერ ჩაითვლება.

სხვა საქმეში,¹⁶ საკასაციო პალატამ იმსჯელა რა, ხელშეკრულების განმარტების საკითხზე, აღნიშნა, რომ ხელშეკრულებათა განმარტების თავისებურება განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ.

პალატამ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსი, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ყველა იმ გარიგებაში, სადაც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა. **თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამომვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ.** მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამომვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამომვლენილ ნებათა კონფლიქტი,

¹⁶ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019.

რომელიც საჭიროებს სწორად გადანყვეტას. ამ კონფლიქტის გადანყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება. სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას, ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გასათვალისწინებელია ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქვამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე, როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ. ხელშეკრულების განმარტების დროს, სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლო თავისი გადანყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების, ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს. ***(ხელშეკრულების განმარტების საკითხებზე იხ.: სუსგ №14-1144-1090-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი).***

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი დავა ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებას, უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკასა და საკანონმდებლო მოცდილებას მოცემულ საქმეზე გავლენა ვერ ექნება და მასზე სასამართლოს მიერ მიღებული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის – სახელმწიფოს სახელით მიღებული გადანყვეტილების დაფუძნება უმართებულოა. თუმცა, გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები საქართველოსათვის, როგორც გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის, ყურადსაღებია. ერთ-ერთ საქმეზე გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადანყვეტილებით განიმარტა: „მოსარჩელის მოთხოვნის უფლების არსებობა აგრეთვე, ვერ დადგინდება ხელშეკრულების დამატებითი განმარტების გზით, ვინაიდან ხელშეკრულება არ შეიცავს გეგმის საწინააღმდეგო/უნებლიე ხარვეზს. მსგავსი ხარვეზი ხელშეკრულების პირობების განერისას სახეზეა, როდესაც მხარეებს გამორჩევათ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტი ან შეგნე-

ბულად ღიად დატოვებენ მას, ვინაიდან ხელშეკრულების დადების მომენტში, არ მიიჩნიეს, რომ საჭირო იყო მისი განსაზღვრა, ხოლო მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ მათი ეს ვარაუდი არასწორია. ამასთან, გეგმის სანინალმდეგო/უნებლიე ხარვეზზე საუბრობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება არ შეიცავს პუნქტს, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მოხდეს მხარეთა იმ შეთანხმებული გეგმის განხორციელება, რომელიც საფუძვლად უდევს ამ პუნქტს, და რის გამოც ხელშეკრულების სრულყოფის გარეშე ვერ მივიღებთ ჯეროვან, მხარეთა ინტერესების შესატყვის გამოსავალს... ის, თუ რამდენად არის სახეზე გეგმის სანინალმდეგო/უნებლიე ხარვეზი, ამის დადგენა შესაძლებელია ხელშეკრულების განმარტების გზით....“ (იხ.: ამონარიდი გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებიდან 20.04.2017 – VII ZR 194/13 - NJW 2017, 2025). ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების გონივრული და არა გამოთქმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლომ „ბოლომდე უნდა იფიქროს“ იმასთან დაკავშირებით, თუ სავარაუდოდ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მხარეთა სურვილი. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება [10.11.1999 - I ZR 183/97 - NJW 2000, 743]: „ხელშეკრულების დამატებით განმარტების არსი მდგომარეობს ხარვეზის შემცველი გარიგების მხარეთა ჰიპოთეტური სურვილის შესაბამისად განვრცობაში. ამასთან, სასამართლო უნდა ამოვიდეს იქიდან, თუ რაზე შეთანხმდებოდნენ მხარეები, როგორც კეთილსინდისიერი ხელშეკრულების მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით მათი ინტერესების ჯეროვანი შეჯერების პირობებში, თუ მათ არ გამორჩებოდათ ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტი. არსებული ხარვეზები უნდა შეივსოს ხელშეკრულების დამატებით განვრცობის გზით იმგვარად, რომ „ბოლომდე იყოს ნაფიქრი“ კონკრეტული ხელშეკრულების ძირითადი პუნქტები (მდრ. BGHZ 84, 1, 7; 90, 69, 77; 135, 387, 392). აქედან გამომდინარე, მხარეთა ჰიპოთეტური ნების გამორკვევისას, ხელშეკრულების დანარჩენი შინაარსისა და ხელშეკრულების დადების მომენტში არსებული სხვა გარემოებების პარალელურად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მხარეთა ფაქტობრივ ნებას, რამდენადაც შესაძლებელია მისი დადგენა....“ (მდრ. სუსგ №1161-1116-2016, 12 ოქტომბერი, 2017).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონკრეტულ დავაში საკასაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი კასატორის პრეტენზია, რომ მხარეთა შეთანხმებით ადგილი ჰქონდა სოლიდარული ვალ-

დებულების წარმოშობას და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, აგრეთვე საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემომწმების შედეგად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არ წარმოშობილა სსკ-ის 464-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული ვალდებულება.

341-ე მუხლი

სამართლის თეორიაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, ერთმანეთისაგან განსხვავდება მარტივი, კაუზალური და აბსტრაქტული აღიარება.

მარტივი აღიარებისას, მოვალე ცალმხრივად ადასტურებს არსებულ ვალდებულებით ურთიერთობას და გაცნობიერებულად გამოთქვამს მზაობას, შეასრულოს იგი (დაპირება).

კაუზალური ვალის აღიარება ასევე, მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისაკენ და შეიცავს დაპირების ელემენტს, ამასთან, იგი შეიძლება არ იყოს ცალმხრივი.

ნასყიდობის სახელშეკრულებო სამართლებრივ ერთ-ერთ დავაში,¹⁷ სადავო გახდა ვალის არსებობის აღიარებისა და შესაბამისად, მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის (მყიდველის) პოზიცია სადავო მტკიცებულების ვალის არსებობის აღიარებად მიჩნევისა და ხანდაზმულობის ვადაში მოთხოვნის წარდგენის თაობაზე და განმარტა, რომ ცალმხრივი ნების შინაარსი უნდა დადგინდეს სამოქალაქო კოდექსით ნების განმარტებისათვის დამკვიდრებული სტანდარტის შესაბამისად (სსკ-ის 52-ე მუხლი). წერილობით გადმოცემული მხარის ნების ყოველმხრივი შესწავლის შედეგად საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზეა მარტივი აღიარება, მასში გამოვლენილია კონტრაჰენტის მზაობა ზოგადად, სამომავლო თანამშრომლობასა და მხარეთა ურთიერთმოთხოვნის გაქვითვაზე.

საკასაციო პალატამ, ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ სსკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებულ

¹⁷ სუსგ №ას-681-635-2017, 7 ივლისი, 2017, ასევე, №ას-1029-949-2017, 23 თებერვალი, 2018, №ას-40-40-2018, 23 თებერვალი, 2018, №ას-432-432-2018, 12 სექტემბერი, 2018.

შემთხვევათა რიცხვს მიეკუთვნება მოვალის იმგვარი ქმედება, როდესაც იგი (ვალდებული პირი) უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. ვალდებულების სხვაგვარად აღიარება შეფასებითი კატეგორიაა და კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა სრული ანალიზით უნდა დადგინდეს. მოვალის ასეთ – სხვაგვარ აღიარებად უნდა ჩაითვალოს მოვალის ისეთი ქმედება, სადაც აშკარად გამოკვეთილია პირის ნება ვალდებულების არსებობასთან მიმართებით (*სუსგ №ას-330-733-06, 19 დეკემბერი, 2006*). **სამართლის თეორიაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, ერთმანეთისაგან განსხვავდება მარტივი, კაუზალური და აბსტრაქტული აღიარება.** მათი საერთო ნიშანი ისაა, რომ ისინი ადასტურებენ/წარმოშობენ მოთხოვნის არსებობას, თუმცა, იურიდიული თვალსაზრისით გააჩნიათ განმასხვავებელი ნიშან-თვისებები. მარტივი აღიარება სახეზეა მაშინ, როდესაც მოვალე ცალმხრივად ადასტურებს არსებულ ვალდებულებით ურთიერთობას და გაცნობიერებულად გამოთქვამს მზაობას, შეასრულოს იგი (დაპირება). კაუზალური ვალის აღიარება ასევე, მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისაკენ და ბუნებრივია უნდა შეიცავდეს დაპირების ელემენტს, ამასთან, იგი შეიძლება არ იყოს ცალმხრივი (მხარეთა ორმხრივი შეთანხმება არსებული ვალდებულების შესრულების დამატებით ვადაზე, სხვა შესრულების მიღებაზე და სხვა). როგორც მარტივი, ისე კაუზალური აღიარება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის კერძო შემთხვევას წარმოადგენს და შედეგად, ამავე კოდექსის 141-ე მუხლის ძალით, შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება, არამედ ვადა დაიწყება თავიდან.

სსკ-ის 137-ე მუხლის მიზნებისათვის მოვალის აღიარება სამართლებრივი ძალის მატარებელი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუკი აღიარება ხანდაზმულობის ვადაში განხორციელდა, რადგანაც საფუძველს მოკლებული იქნება მსჯელობა იმაზე, რომ მოვალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებას შედეგად მოჰყვეს უკვე გასული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა. საინტერესოა, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ ვალის მარტივ ან კაუზალურ აღიარებას გააჩნია თუ არა იურიდიული ძალა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ საკითხის რეგულირებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც ამავე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთობლიობაში განიმარტება. კერძოდ, 144.2 მუხლის თანახმად, თუკი მოვალე ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ შეასრულებს ვალდებულებას, იგი შესრულების დაბრუნების მოთხოვნ-

ნის უფლებას კარგავს. ასეთ შემთხვევაში, მისი შესაგებელი არ შეიძლება იყოს მათ შორის, იმაზე მითითება, რომ შესრულების მომენტში არ იცოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის ფაქტის შესახებ. ანალოგიური ძალის მატარებელია მოვალის მიერ ვალდებულების აღიარება მოთხოვნის იძულებითი განხორციელების ვადის გასვლის შემდეგ, თუკი ეს აღიარება შეიცავს პირის გაცნობიერებულ ნებას, რომ იგი ვალდებულებას შეასრულებს. ეს რეგულაცია ვრცელდება ვალის როგორც მარტივ, ისე კაუზალურ აღიარებაზე. რაც შეეხება სსკ-ის 341-ე მუხლს, უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ თავად ამ ნორმით მოწესრიგებული ვალის არსებობის აღიარება 137-ე და 144.3. მუხლებით გათვალისწინებული აღიარებისგან აბსტრაქტული ბუნებით განსხვავდება, იგი თავად წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას და დამოუკიდებელ ვალდებულებას წარმოშობს. ვალის აღიარების ხელშეკრულება, ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის სადავოობის შემთხვევაშიც შესრულების ვალდებულებას წარმოშობს და კრედიტორს მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სსკ-ის 341-ე მუხლის გაგებით, ვალის არსებობის აღიარებასთან არ გვაქვს საქმე, როდესაც მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამომდინარე ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ. ამდენად, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას (*სუსგ №ას-392-371-2013, 8 ნოემბერი, 2013*). ვალის აღიარების ხელშეკრულების დამოუკიდებელი ბუნება იმ კუთხითაც განსხვავდება ვალდებულები პირის სხვაგვარი აღიარებისაგან, რომ სსკ-ის 341-ე მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც ნამდვილია, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მიმართ დამოუკიდებლად აითვლება ხანდაზმულობის ვადის დენა (*სუსგ №ას-383-364-2015, 27 მაისი, 2016*).

ერთ-ერთ საქმეში,¹⁸ მოსარჩელის მიერ წარდგენილი მხარეთა ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა მიერ ხელმოწერილი ურთიერთშედარების აქტი, სადაც მითითებულია, როგორც თანხის ოდენობა, ისე ამ თანხის გამყიდველის მხრიდან ავანსად მიღება, საკასაციო სასამართლომ არა სსკ-ის

¹⁸ სუსგ №ას-123-123-2018, 9 ნოემბერი, 2018.

341-ე მუხლით განსაზღვრულ ვალის აბსტრაქტულ აღიარებად და შესაბამისად, ახალ ხელშეკრულებად, არამედ, ვალდებულების კაუზალურ აღიარებად მიიჩნია, რომელიც ამართლებს მოსარჩელის მოთხოვნას.

სხვა საქმეში,¹⁹ საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ნების გამოვლენა სსკ-ის 341-ე მუხლით განმტკიცებულ ვალის არსებობის აღიარებად რომ დაკვალიფიცირდეს და შესაბამისი სამართლებრივი შედეგები წარმოშვას, ის ვალდებულების შესრულების დამოუკიდებელ საფუძველს უნდა ქმნიდეს, რამდენადაც ვალის აღიარება დამოუკიდებელ გარიგებად განიხილება და მისი დანიშნულება სწორედ ახალი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობაა. არაერთ საქმეზე უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, ნების გამოვლენა. ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეული მოქმედებების შესრულებას. თუ მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა. ვალის არსებობის აღიარება მხოლოდ მაშინ ვლინდება, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს (*შდრ. სუსგ-ები ას-839-890-2011, 8.11.2011წ., ას-392-371-2013, 8.11.2013., №ას-1083-1040-2016, 26.04.2018., №ას-758-2019, 22.10.2019*).

27.05.2015. შეთანხმებაში, რომლითაც გამყიდველმა მყიდველის წინაშე 1 997 500 აშშ დოლარის ვალის არსებობა დაადასტურა, პირდაპირ არის მითითებული, რომ კრედიტორის წინაშე დავალიანება ავტომობილების ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან წარმოიშვა. შესაბამისად, აღიარება დამოუკიდებელ საფუძველს არ ეყრდნობა, ის უკვე არსებული სამართალურთიერთობის – ნასყიდობის ფარგლებში წარმოქმნილი ვალდებულების მოცულობას აზუსტებს. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ 27.05.2015 შეთანხმება სსკ-ის 341-ე მუხლით განმტკიცებული ე.წ. ვალის აბსტრაქტულ-

¹⁹ სუსგ №ას-433-2020, 19 ნოემბერი, 2020.

ლი აღიარება კი არა, უკვე არსებული სამართალურთიერთობის ფარგლებში დამატებითი შეთანხმებაა (ე.წ. ვალის დეკლარაციული აღიარება), რომლითაც მხარეებმა განსაზღვრეს ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შეუსრულებელი ვალდებულება და თანხის დაფარვის წესი (დეკლარაციული ვალის აღიარების მიზანია არსებული ვალდებულების დადასტურება, მტკიცების პროცესის გამართივება, შემდგომი დავის თავიდან აცილება, სადავო საკითხების მოწესრიგება, მათ შორის, ყველა იმ ფაქტისა, თუ არ გუმენტის გაქარწყლება, რომელიც ვალის არსებობას გამორიცხავს, ან თუნდაც, ეჭვქვეშ დააყენებს – იხ.: ქ. მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020, 11).

პალატამ დამატებით განმარტა, რომ თუ 27.05.2015. შეთანხმებაში მეორე მოპასუხე გამოავლენდა ნებას და მზაობას ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, გამყიდველის დავალიანება ამ უკანასკნელთან ერთად დაეფარა, იგი გახდებოდა ვალის თანამკისრელები (ვალის თანაკისრების ფარგლებში ერთი პირი იღებს პასუხისმგებლობას სხვისი ვალისათვის. თუმცა, განსხვავებით ვალის გადაკისრებისაგან, თანაკისრებისას თავდაპირველი მოვალის ვალდებულება ძალაში რჩება. კრედიტორი იღებს ვალის თანამკისრელების სახით ახალ მოვალეს, რითაც ამცირებს თავდაპირველი მოვალის გადახდისუუნარობის რისკს, რაც წარმოადგენს კიდევ მოცემულ სიტუაციაში მისი ინტერესის ერთადერთ საგანს – გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 891, ველი 29, gcc.ge). მოცემულ შემთხვევაში, მეორე მოპასუხეს ამგვარი ნება არ გამოუვლენია, რის გამოც არ არსებობს მისთვის, სსკ-ის 463-ე მუხლის შესაბამისად, სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

ერთ-ერთ საქმეში,²⁰ უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის აღიარების ხელშეკრულება წარმოადგენს ცალმხრივ და აბსტრაქტულ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეულ შესრულებას. იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისგან და მისი მიზანი არ არის ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნა. ვალის აღიარებასთან არ გვაქვს საქ-

²⁰ სუსგ №ას-137-133-2016, 9 ივნისი, 2016.

მე, როდესაც სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ხდება ნების გამოვლენა, ან თუ მხარეები არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან მის ფარგლებში მოქმედებენ.

ვინაიდან ვალის აღიარების ხელშეკრულება დამოუკიდებელი გარიგებაა, კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობისათვის დადგენილ პირობებს. ამასთან, აუცილებელია მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე... არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. პალატის მოსაზრებით, არსებითად უნდა ჩაითვალოს ისეთი პირობები, როგორიცაა: მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების საგანზე, ძირითადი უფლება – მოვალეობების განსაზღვრა, ფასი, შესრულების ვადა და ა.შ. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი დოკუმენტი, სადაც ვალის არსებობაა დაფიქსირებული, ვერ ჩაითვლება ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებად, თუ არ დადგინდება, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე“ (*სუსგ 2013 წლის 11 ნოემბერი, №ას-1485-1401-2012*).

მარტივი წერილობითი გარიგება ვერ შეცვლის სანოტარო წესით დადასტურებული ხელშეკრულების პირობებს.

საყურადღებოა, რომ ერთ დავაში,²¹ საკასაციო სასამართლომ მხარეთა შორის მარტივი წერილობითი ფორმით ხელმოწერილი შეთანხმება არ მიიჩნია ვალის აღიარებად, იმ საფუძველით, რომ **სანოტარო წესით დადასტურებულ ხელშეკრულებაში, ცვლილებები და დამატებები იგივე ფორმით უნდა შეეტანათ ხელშემკვერელ მხარეებს, რა ფორმითაც იურიდიულად წარმოიშვა მხარეთა შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა და განისაზღვრა ვალდებულების შესრულების ვადა და წესი (სსკ-ის 59-ე მუხლი)**. საქმის მასალების მიხედვით, სასამართლომ მოვალესა და კრედიტორთა შორის 2013 წლის 5 ოქტომბერს, ხელმოწერილი შეთანხმება მრავალმხრივ გარიგებად ჩათვალა, სადაც მხარეებმა მათ შორის, უკვე არსებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თითქოსდა იკისრეს ძირითადი ვალდებულებიდან (2010 წლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან) გამომდინარე ურთიერთობის მოწესრიგება, მოვალისადმი შესრულების მოთხოვნის წესის განსაზღვრა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს შეთანხმება ვერ იქნება

²¹ №ას-721-728-2015, 15 იანვარი, 2016.

განხილული მოვალის მიერ ნების ცალმხრივად გამოვლენის საფუძველზე, ვალის აღიარებად. მითითებული გარიგების არანამდვილობაზე მსჯელობისას, საკასაციო სასამართლოს დასკვნა დაემყარა არამხოლოდ იმ ფაქტობრივ-სამართლებრივ წინამძღვარს, რომ **მარტივი წერილობითი გარიგება ვერ შეცვლიდა სანოტარო წესით დადასტურებული ხელშეკრულების პირობებს**, არამედ, იმ იურიდიულ საფუძველსაც, რომ გადაწყვეტილების აღსასრულებლად, ნოტარიუსმა სააღსრულებო ფურცლები გასცა არა ბათილი, არამედ ნამდვილი გარიგების აღსასრულებლად.

342-ე, 345-ე მუხლები

მხარეთა შორის საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში, ბანკის სარჩელი მოპასუხე – კლიენტის მიმართ არ დაკმაყოფილდა.²² საქმის ფაბულის მიხედვით, მოდავე მხარეთა შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებით ბანკმა იკისრა საკუთარი ხარჯით კლიენტის უმუშევრობით გამოწვეული შემოსავლების დაკარგვის დაზღვევა და მიუთითა, რომ აღნიშნული პირობის ნამდვილობაზე კლიენტის მიერ №9 ფორმის შეუვსებლობა გავლენას ვერ მოახდენს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანია იმ საკითხის გარკვევა, წარმოადგენდა თუ არა მოპასუხის მიერ მისგან დამოუკიდებელი მიზეზით სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში, ბანკის მიმართ არსებული ვალდებულების დაზღვევის პირობა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, რომ სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემვსები წესების დადგენა. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ხელშეკრულების პირობების სტანდარტულ პირობებად მიჩნევის სავალდებულო ნიშნებია: 1. სტანდარტული პირობები არის სახელშეკრულებო პირობები; 2. სტანდარტული პირობები არის წინ-

²² სუსგ №ას-237-2019, 17 მაისი, 2019.

ნასწარჩამოყალიბებული პირობები; 3. სტანდარტული პირობები არის მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები; 4. სტანდარტულ პირობებს ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს; 5. სტანდარტული პირობებით უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ამ მათი შემავსებელი ნესების დადგენა (იხ.: სუსგ 10.09.20126. საქმე №ას-755-811-2011).

მოცემულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, შეიცავდა თუ არა მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების სადავო პირობები სტანდარტულ პირობებად მიჩნევისათვის სავალდებულო ნიშნებს, მათ შორის, სადავო პირობები იყო თუ არა მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული, იგივე პირობებს სთავაზობდა თუ არა მხარე სხვა მომხმარებლებსაც.

კასატორმა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიის წარდგენის გზით ვერ უარყო გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი გარემოება, რომ საქმეში არსებული მონმის – საკრედიტო ექსპერტის ჩვენებით დადასტურდა, რომ მოდავე მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმების დროს იძულებითი უმუშევრობის შესახებ დაზღვევა კლიენტებს „საჩუქრად“ გადაეცემოდათ, იგი სესხის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდს მოიცავდა და მის ასამოქმედებლად ცალკე დოკუმენტზე ხელმოწერა საჭირო არ იყო.

მხარეთა შორის საკრედიტო ურთიერთობის წარმოშობის პერიოდში სადავო პირობა სესხის ხელშეკრულებებში სისტემატიურად ფიქსირდებოდა და იგი მხარეთა შორის ინდივიდუალური მოლაპარაკების საგანს არ წარმოადგენდა.

ამავდროულად, საკასაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ ხელშეკრულების სადავო სტანდარტული პირობის გარკვეულწილად, ორაზროვანი შინაარსი იძლევა სსკ-ის 345-ე მუხლის გამოყენებისა და ბუნდოვანი პირობის მეორე მხარის სასარგებლოდ განმარტების საფუძველს.

სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია და კასატორმა რელევანტური საწინააღმდეგო არგუმენტები ვერ წარადგინა იმ მსჯელობის გასაქარწყლებლად, რომ თუ მოპასუხეს ბანკის წარმომადგენელი №9 დანართს ხელმოსაწერად არ გადასცემდა, მას შეეძლო ევარაუდა, რომ ძირითად ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ავტომატურად ნიშნავდა იძულებითი უმუშევრობის დაზღვევის ამოქმედებას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მონმედ დაკითხული საკრედიტო ექსპერტის განმარტებით, დადგინდა, რომ კლიენტებს დაზღვევის შე-

სახებ განმარტება ზეპირსიტყვიერად ეძლეოდათ და სხვა დოკუმენტზე ხელმოწერა არ ხდებოდა.

352-ე და მომდევნო მუხლები 405-ე მუხლი

მიუღებელი შემოსავალი არ ექცევა 352-ე მუხლის რეგულირების სფეროში.

ერთ-ერთ საქმეში,²³ საკასაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს მართებულად დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით ხელშეკრულებიდან გასვლიდან ბინის ნასყიდობის თანხის დაბრუნებამდე, აღნიშნული თანხის წლიური 14% გადახდა (მაგრამ არა უმეტეს, ბანკში გადასახდელი სარგებლისა).

სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება) (სსკ, მუხლი 352.1) და რამდენადაც ვალდებულების დარღვევა შესაძლებელია შესრულებათა უკუქცევის ურთიერთობაშიც წარმოიშვას, აღნიშნული დარღვევისათვის, სსკ-ის 394-ე მუხლის შესაბამისად, კრედიტორს ასევე, შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (მუხლი 352.5).

მოცემულ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების სახით მოსარჩელე ითხოვდა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლამდე ბანკისათვის უკვე გადახდილ, ისე ხელშეკრულებიდან გასვლის დღიდან გადასახდელად დარჩენილ პროცენტს. სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ბინის შესასყიდად მოსარჩელემ აიღო კრედიტი ბანკიდან, რომლის

²³ სუსგ №ას-945-895-2015, 14 მარტი, 2016, ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, იხ.: სუსგ-ები: №ას-103-2019, 31 ოქტომბერი, 2019, №ას-194-2019, 27 მაისი, 2019, №ას-575-2020, 7 ოქტომბერი, 2020.

წინაშეც მისი დავალიანება ხელშეკრულებიდან გასვლის დღისათვის შეადგენდა ძირითადი დავალიანების სახით 17 857.54 აშშ დოლარს, ხოლო გადასახდელი პროცენტის სახით – 11 643.48 აშშ დოლარს.

ხელშეკრულებიდან მოსარჩელის გასვლის შედეგად, მოპასუხეს წარმოეშვა მისთვის შესრულების – ბინის ღირებულების დაბრუნების ვალდებულება, რაც მოპასუხეს არ განუხორციელებია.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ **ბინის შესყიდვის მიზნით ბანკიდან აღებული კრედიტი და ამ კრედიტით სარგებლობისათვის გადასახდელი პროცენტი სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ მიიჩნია იმ ზიანად, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობით, რადგან ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელე მიიღებდა ბინას და არა თანხას (სუსგ №ას-899-845-2012, 22 ნოემბერი, 2012).** თუმცა, იმ დღიდან, როცა მოსარჩელე გავიდა ხელშეკრულებიდან, მოპასუხეს წარმოეშვა მის მიმართ უკვე არა ბინის სათანადო მდგომარეობაში გადაცემის, არამედ მისი ღირებულების დაბრუნების ვალდებულება, რომლის შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელეს თავის მხრივ, მიეცემოდა ბანკისათვის დარჩენილი საკრედიტო დავალიანების დაბრუნების შესაძლებლობა. აღნიშნული შესაძლებლობა მოსარჩელეს არ ეძლევა. შესაბამისად, ბინის ღირებულების დაბრუნებამდე, აღნიშნული თანხის 38 416 აშშ დოლარის წლიური 14% წარმოადგენს მოსარჩელის ზიანს, თუმცა არა უმეტეს, 11 643.48 აშშ დოლარისა, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის დროისათვის გადასახდელი ჰქონდა მას პროცენტის სახით.

საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად ჩათვალა გამყიდველის მითითება, რომ შესრულების დროულად დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანი, სსკ-ის 412 ე მუხლის შესაბამისად, მისთვის არ იყო წინასწარ სავარაუდო და არ წარმოადგენს მისი მოქმედების უშუალო შედეგს.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა გამყიდველის პრეტენზია, რომ მას არ უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურების სახით ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ მიუღებელი შემოსავლის, თანხის 9000 აშშ დოლარის წლიური 10 %-ის გადახდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ბინის გაქირავებით მოსარჩელის მიერ მიუღებელი შემოსავლის ოდენობა წარმოადგენს 9000 დოლარს, ამასთან, სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბა-

მისად, ხელშეკრულებიდან გასვლის დროს წარმოიშობა მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაბრუნების ვალდებულება. ზემოაღნიშნული თანხა კი წარმოადგენს მიუღებელ შემოსავალს, რომლის ანაზღაურებაც მოპასუხეს დაეკისრა, ხელშეკრულებების პირობების დარღვევის გამო, ხელშეკრულებიდან მოსარჩელის გასვლამდე პერიოდისათვის. **იგი არ ექცევა 352-ე მუხლის რეგულირების სფეროში.** შესაბამისად, სასამართლომ ამ ნაწილში მიუღებელი შემოსავლის დაკისრების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

სამოქალაქო კოდექსის არც ერთი ნორმა არ ადგენს გასვლის გზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, პირის დავალდებულებას, შეასრულოს ვალდებულება.

ნასყიდობის სახელშეკრულებო სამართლებრივი დავის შესახებ სხვა საქმეში²⁴ გამყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის ნაწილი იყო ხარისხიანი, ხოლო ნაწილი – პატარა ზომის. აღნიშნული პროდუქცია მოპასუხემ დაუბრუნა მიმწოდებელს. მოსარჩელე (გამყიდველი) ითხოვდა ნასყიდობის საფასურს. საკასაციო სასამართლომ გადანყვეტილებით სარჩელი უარყო.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნასყიდობა, როგორც სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთი კერძო ინსტიტუტი, ვალდებულების შესრულების თვალსაზრისით, წესრიგდება სახელშეკრულებო სამართლისათვის კანონით დადგენილ ყველა იმ ზოგად რეგულაციასთან ერთობლიობაში, რომლებიც ვალდებულების შესრულების სტანდარტს ადგენენ. ამ მხრივ, მხედველობაშია მისაღები სამოქალაქო კოდექსის უზოგადესი პრინციპი, რომლის თანახმადაც, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (სსკ-ის 361.2 მუხლი). კანონის მოხმობილი დანაწესი ადგენს სამოქალაქო ურთიერთობისათვის მახასიათებელ შესრულების პრინციპს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსი ძირითადად, ორიენტირებულია ვალდებულების შესრულებაზე, რის გამოც, სამართლის თეორიაში დამკვიდრდა გაბატონებული შეხედულება კრედიტორის მოთხოვნების კლასიფიკაციისა, რომელთაგან პირველს – შესრულების, ხოლო მეორეს – ზიანის ანაზღაურების ე.წ. მეორადი მოთხოვნები ეწოდება. **სწორედ ვალდებულების შესრულების აუცილებლობიდანაა ნაკარნახევი სამოქალაქო კოდექსში დამკვიდრებული ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუ-**

²⁴ სუს გადანყვეტილება, №ას-75-71-2017, 31 მარტი, 2017.

ტიც (სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლები) და საკითხის მარეგულირებელი დანაწესების სისტემური ანალიზით, სასამართლომ დაასკვნა, რომ კრედიტორს, თუკი არ არსებობს პატივსაღები ინტერესი, უპირატესად ევალება ვალდებულების შესრულებაში მოვალისათვის ხელშეწყობა, მათ შორის, დამატებითი ვადის დაწესების გზით, რათა მიღწეულ იქნას სახელშეკრულებო შეთანხმების საგანი (შესრულების მოთხოვნა). ამ მხრივ, კანონი თავად ადგენს კეთილსინდისიერების სტანდარტს (სსკ-ის 8.3 და 115-ე მუხლები).

საკასაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ **სსკ-ის 352-ე მუხლის თანახმად, მყიდველი გავიდა ხელშეკრულებიდან გამყიდველის მიერ შესრულების ვადის დარღვევის გამო და მხარეთა შორის განხორციელდა რესტიტუცია – მოსარჩელეს დაუბრუნდა ვადის დარღვევით მიწოდებული საქონელი.** ხელშეკრულებიდან კრედიტორის გასვლა მოსარჩელეს სადავო არ გაუხდია და არც იმგვარ ფაქტებზე მიუთითებია, რასაც სამოქალაქო კოდექსი შესრულების გზით ვალდებულების შეწყვეტად განიხილავს (მაგ: სკ-ის 434-ე მუხლით განსაზღვრული დეპონირება). საკასაციო პალატამ განმარტა, რომ **სამოქალაქო კოდექსის არც ერთი ნორმა არ ადგენს გასვლის გზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში პირის დავალდებულებას, შეასრულოს ვალდებულება.** კანონის სხვაგვარი განმარტება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას დაარღვევს და გამოიწვევს და ერთ-ერთი მხარის უსაფუძვლო გამდიდრებას. ამდენად, სასამართლო ჩათვალა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტისა და გამყიდველის ქონებრივი რესტიტუციის გამო არ არსებობდა მყიდველისათვის იმ საქონლის ღირებულების დაკისრების წინაპირობა, რომელზეც მას საკუთრების უფლება არ გადასცემია.

ნაკლიანი შესრულება, როგორც ნასყიდობის, ისე ნარდობის ურთიერთობიდან გამომდინარე, წარმოშობს ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლებას (სსკ-ის 488-ე, 491-ე, 639-ე და 644-ე მუხლი).²⁵

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობის წევრსა და ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს შორის ხელშეკრულება სასამართლომ ნარდობის ხელშეკრულებად დააკვალიფიცირა და მიიჩნია, რომ მოსარჩელეს სსკ-ის 405-ე და 352-ე მუხლების საფუძ-

²⁵ სუსგ №ას-635-593-2017, 7 ივლისი, 2017.

ველზე წარმოეშვა ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლისა და ამ ხელშეკრულების საფუძველზე ამხანაგობისათვის გადაცემული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება.

ერთ-ერთ დავაში,²⁶ მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის აშენებისა და აშენებული სახლის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, წევრის წილის, შოთახიანი ბინის, განაწილების მიზნით, მოსარჩელესა და იმა-ს, იმა-ს დამფუძნებელ საწარმოებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დარღვევის გამო, მოსარჩელემ მოითხოვა იმა-ს დაეკისრებოდა წევრის მიერ გადახდილი თანხა, მიუღებელი შემოსავალი და შესაბამისი პირგასამტეხლო. ქვემდგომმა სასამართლოებმა სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილეს: იმა-ს დამფუძნებელ ორ საწარმოს სოლიდარულად დაეკისრა მოსარჩელე ფიზიკური პირის მიერ ამხანაგობაში შეტანილი თანხისა და ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს (ხელშეკრულების „ჩვეულებრივ“ წევრს) სსკ-ის 405-ე და 352-ე მუხლების საფუძველზე წარმოეშვა ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლისა და ამ ხელშეკრულების საფუძველზე ამხანაგობისათვის გადაცემული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება.

ხელშეკრულებიდან გასვლა აღმჭურველი უფლებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას, მხარეს აქვს შესაძლებლობა, მიაღწიოს გარკვეულ სამართლებრივ შედეგს – დაასრულოს სახელშეკრულებო ურთიერთობა კონკრეტული უფლებებითა და მოვალეობებით და განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში გადაიყვანოს იგი.

ერთ-ერთ საქმეში,²⁷ მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა და სამშენებლო კომპანიისათვის გადახდილი საცხოვრებელი ბინის ღირებულების დაკისრება. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა. შეწყდა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის გამო და მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი თანხა. გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა ზემდგომმა სასამართლოებმა.

²⁶ სუსგ № ას-132-124-2017, 31 ივლისი, 2017.

²⁷ სუსგ №ას-605-564-2017, 30 ივნისი, 2017.

მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლა, გადაცემულის უკან დაბრუნება (სსკ-ის 352-ე, 405-ე მუხლები).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოპასუხემ მშენებლობა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ვერ განახორციელა. მოსარჩელის წარმომადგენელმა წერილობით მიმართა მოპასუხეს და მოითხოვა ინფორმაცია, თუ როდის მოხდებოდა მოსარჩელისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართის გადაცემა, რაზეც პასუხი არ მიუღია. მტკიცებულებათა წარმოდგენლობის მოტივით არ იქნა გაზიარებული მოპასუხის მითითება ვალდებულების შეუსრულებლობაში, მისი არაბრალებლობის შესახებ.

საკასაციო პალატამ ხელშეკრულებიდან გასვლის სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებით განსაზღვრული წინაპირობები წარმოშობილად მიიჩნია, რის გამოც სარჩელი ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ მართებულად დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ თუ ვერ ხერხდება კრედიტორის პირველადი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოვალის მიერ (ვალდებულების შესრულება), მის ადგილს მეორეული მოთხოვნა იკავებს. პირველადი ვალდებულებებისაგან უნდა განვასხვაოთ მეორეული ვალდებულებანი. ეს უკანასკნელი უშუალოდ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან არ გამომდინარეობს. მეორეული ვალდებულება პირველადი ვალდებულებების (ქმედების განხორციელების) დარღვევის შედეგად წარმოიშობა და იკავებს მათ ადგილს, ანდა მათთან ერთად არსებობს. ხელშეკრულებიდან გასვლა აღმჭურველი უფლებაა, რაც ნიშნავს, რომ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას, მხარეს აქვს შესაძლებლობა, მიაღწიოს გარკვეულ სამართლებრივ შედეგს – დაასრულოს სახელშეკრულებო ურთიერთობა კონკრეტული უფლებებითა და მოვალეობებით და განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში გადაიყვანოს იგი. ერთ-ერთ საქმეში (**სუსგ №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015**) ხელშეკრულებიდან გასვლისათვის (სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლები) საკმარის საფუძვლად ის გარემოება იქნა მიჩნეული, რომ მხარის უმთავრესი სახელშეკრულებო ინტერესი ფართის უნიკალური მახასიათებლებით იყო მოტივირებული, სახელდობრ, **შესრულების საგანი მკაცრად ინდივიდუალიზებული იყო, იდენტიფიცირებული იყო მისი განლაგება მრავალფუნქციურ კომპლექსში და უკავშირდებოდა ხელშემკვრელი მხარის კომერციულ ინტერესს.** მაშასადამე, წინარე ხელშეკრულების ეს მახასიათებლები ხელშეკრულების იმ უმთავრეს საფუძ-

ვლად იქნას მიჩნეული, რომელთა დარღვევით სახეზე იყო ნივთობრივი ნაკლი – შეთანხმებულისაგან განსხვავებული საგანი. სხვა სამოქალაქო საქმეში კი (*სუსგ №ას-945-895-2015, 14 მარტი, 2016*), ხელშეკრულებიდან გასვლისა და გადაცემულის უკან დაბრუნების დამაბრკოლებელ გარემოებად არ იქნა მიჩნეული სამუშაოების მხოლოდ არაარსებითი ნაწილის შეუსრულებლობაზე აპელირება იმ ვითარებაში, როდესაც მშენებლობის დასრულების ვადა ხუთი წლით იყო დარღვეული და დავის განხილვის დროსაც არ იყო დასრულებული. **მხოლოდ ის ფაქტი, რომ შენობაში ლიფტი არ იყო დამონტაჟებული ხელშეკრულებიდან გასვლისთვის საკმარის წინაპირობად წარმოჩნდა იმის გათვალისწინებით, რომ გადასაცემი ბინა მე-13 სართულზე მდებარეობდა. იმავდროულად, სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელების დამაბრკოლებელ გარემოებას კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობაც, სახელდობრ, კომპანიაზე რიცხული დავალიანება და მოვალეთა რეესტრში აღრიცხვა წარმოადგენდა.**

სხვა საქმეში,²⁸ მოსარჩელის მიერ წარდგენილი მხარეთა ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა მიერ ხელმოწერილი ურთიერთშედარების აქტი, სადაც მითითებულია, როგორც თანხის ოდენობა, ისე ამ თანხის გამყიდველის მხრიდან ავანსად მიღება, საკასაციო სასამართლომ ხელშეკრულებიდან მოსარჩელის გასვლის დამადასტურებელ მტკიცებულებად მიიჩნია, რომლის მეშვეობითაც მხარეთა შორის მოხდა საბოლოო ანგარიშსწორება. კერძოდ, ამ ურთიერთობის შემდგომ მხარეთა შორის არ დგინდება რა, რაიმე ვალდებულებითი ურთიერთობის გაგრძელება, დასაბუთებულია პალატის დასკვნა მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ ცალმხრივი მიღება სავალდებულო ნების გამოვლენის თაობაზე (*სკ-ის 355-ე მუხლი: ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით*), ამასთანავე, ვინაიდან კასატორი (გამყიდველი) ვალდებულების დარღვევის, ასევე, დამატებითი ვადის დაწესების საკითხზე შედავებას არ გამოთქვამს, დასაბუთებულია გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლების პირველი ნაწილების შესაბამისად, მხარეთა რესტიტუციის წინაპირობების არსებობის თაობაზე.

სსკ-ის 398.3. მუხლით გათვალისწინებული შეცვლილი გარემოე-

²⁸ სუსგ №ას-123-123-2018, 9 ნოემბერი, 2018.

ბების გამო (გარემოებათა შეცვლის გამო საფინანსო ინსტიტუტის მიერ სესხის გაუცემლობა), სახეზეა ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები და მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხა, სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დაბრუნებას ექვემდებარება.

საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში,²⁹ მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველად 398-ე მუხლით დადგენილი რეგულაცია მიიჩნია. საქმის მასალების მიხედვით, მხარეთა შორის გაფორმდა კომერციული ფართის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება. მყიდველს ფართის საფასური უნდა გადაეხადა რამდენიმე ტრანშად, განსხვავებით ძირითად ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკისა, 2008 წლის აგვისტოს ომის გამო, ბანკმა უარი უთხრა მოსარჩელეს სესხის გაცემაზე, რის გამოც, მოსარჩელეს წაერთვა შესაძლებლობა, მსხვილი ტრანშებით გადაეხადა ფართის საფასური. მხარეები შეთანხმდნენ შიდა განვადებაზე და შესაბამისად, ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლითაც შეიცვალა როგორც გადახდის გრაფიკი, ისე ფართის საფასური, რომელიც მყიდველს უნდა გადაეხადა 5 წლის განმავლობაში. ვინაიდან მოსარჩელემ ველარ შეძლო დარჩენილი საფასურის გადახდა, მას შეუძლია გავიდეხ ხელშეკრულებიდან.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივი ინსტიტუტის არსა და თავისებურებაზე საუბრისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ ვალდებულებითი სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს ხელშეკრულების შეწყვეტის, გასვლისა და მოშლის ინსტიტუტებს, რომელთა შორის უმთავრესი სხვაობა მხარეთა პოსტახელშეკრულებო მდგომარეობაა. ხელშეკრულების/ვალდებულების შეწყვეტის უმთავრესი ნიშანი ისაა, რომ მხარეები ინარჩუნებენ მიღებულ სიკეთეს, მაგალითად, ვალდებულების შეწყვეტის საფუძველები შეიძლება იყოს კრედიტორის სასარგებლოდ შესრულება, სხვა შესრულება და სხვა (სსკ-ის 427-ე-454-ე მუხლები), რაც შეეხება ხელშეკრულებიდან გასვლას, შეწყვეტისაგან განსხვავებით, ამ დროს კანონი ითვალისწინებს მხარეთა რესტიტუციის შესაძლებლობას (სსკ-ის 352-ე-359-ე მუხლები) და ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგების მისაღწევად სავალდებულოა გასვლის წინაპირობების შემოწმება **(მოვალის მხრიდან ნაკისრი ვალდებულების ბრალეული დარღვევა).**

ხელშეკრულებიდან გასვლა, ზემოხსენებული სამართლებრივი კონ-

²⁹ სუსგ №ას-220-209-2017, 20 აპრილი, 2018.

სტრუქციის გარდა, შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახეზეა შეცვლილი გარემოებები. ასეთ დროს, გასვლა დასაშვებია არა მოვალის მხრიდან ვალდებულების ბრალეული დარღვევის, არამედ, სსკ-ის 398-ე მუხლის წინაპირობების არსებობისას. შეცვლილი გარემოებების პირობებში კანონისმიერი მოთხოვნაა, რომ მხარეებმა სცადონ ხელშეკრულების მისადაგება ამ გარემოებებისადმი და, თუკი მისადაგება შეუძლებელი აღმოჩნდება, მხარეებს უფლება აქვთ გავიდნენ ხელშეკრულებიდან (სკ-ის 398.3), ამასთან, ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხზე მსჯელობისას, რა საფუძვლითაც არ უნდა ხდებოდეს იგი, შესაძლებელია ხომ არ არსებობს გასვლის გამომრიცხველი წინაპირობები *(რომელთა ჩამონათვალი მოცემულია თავად მატერიალურ კანონმდებლობაში, მაგალითად, სსკ-ის 358-ე, 442-ე-447-ე მუხლები, ასევე, 316.2 მუხლი და სხვა)*. რაც შეეხება ხელშეკრულების მოშლას, სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმათა ანალიზი, რომლებიც ხსენებულ საკითხს არეგულირებენ, იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ მას ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი დატვირთვა გააჩნია *(მოშლის ინსტიტუტის რეალიზაცია თავისთავად უკავშირდება სკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს – პირთა რესტიტუციას, იხ მავ: სკ-ის 491-ე, 492-ე მუხლები და სხვა)*.

კონკრეტულ დავაში მოსარჩელის მხრიდან სამართლებრივ ურთიერთობაზე უარი, გარემოებათა შეცვლის გამო საფინანსო ინსტიტუტის მიერ სესხის გაუცემლობა გახდა *(სსკ-ის 398.2 მუხლი: გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა)*, ირკვევა ისიც, რომ მათ გარკვეულწილად, სცადეს კიდევაც ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება, თუმცა, შემძენის მხრიდან ვალდებულების შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა, რის გამოც, მან ისარგებლა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით. საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზეა შეცვლილი გარემოებების გამო ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხა ექვემდებარება სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დაბრუნებას.

სხვა საქმეში,³⁰ საკასაციო სასამართლომ სხვაგვარად განმარტა ხელშეკრულების მოშლის კონსტრუქცია (დააზუსტა განსხვავება ხელშეკრულების მოშლასა და გასვლას შორის) და აღნიშნა, რომ სააპე-

³⁰ სუსგ №ას-1475-1395-2017, 3 აპრილი, 2018.

ლაციო სასამართლოს განმარტება, რომ ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი მიმართულია არა შესრულების შედეგად მიღებული შედეგების უკან დაბრუნების, არამედ ხელშეკრულების შესრულებაზე მომავალში უარის თქმაზე, მართებულია, მხოლოდ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ. ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულებიდან გასვლა, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, ვალდებულების ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე შეწყვეტას გულისხმობს, მაგრამ **მოშლის თავისებურება სწორედ ისაა, რომ წყდება სამომავლო შესრულების ვალდებულება, ხოლო უკვე შესრულებული მხარეებს არ უბრუნდებათ (გარდა სსკ-ის 399.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა), ხელშეკრულებიდან გასვლა კი, ნატურით დაბრუნებას გულისხმობს (სუსგ ას-779-746-2014, 30.04.15).**

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აღმჭურველი უფლებაა და განსხვავებით მოთხოვნის უფლებისაგან, მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხარეების მხრიდან პირველადი მოთხოვნის ხასიათს ატარებს, რომლის შეუსრულებლობაც იწვევს მეორადი მოთხოვნის უფლების წარმოშობას. ამ უკანასკნელს კი, მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა.

ვალდებულება, რომლის დარღვევაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს წარმოადგენს, უნდა იყოს ნამდვილი, ვადამოსული და უპრეტენზიო.

ერთ-ერთ საქმეში,³¹ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დადების მომენტიდან მხარეები ვალდებულნი არიან შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. ხელშეკრულები

³¹ სუსგ №ას-38-38-2018, 08 ივნისი, 2018, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების საკითხზე მრავალთაგან ასევე, იხ.: სუსგ-ები №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015, №ას-1003-924-2017, 01 დეკემბერი, 2017, №ას-38-38-2018, 08 ივნისი, 2018, №ას-1747-2019, სუსგ №ას-1166-2019, 6 აპრილი 2020, №ას-1747-2019, 16 მარტი, 2020, №ას-1361-2020, 11 მარტი, 2021, №ას-349-2021, 11 ივნისი, 2021.

ბის ერთ ერთი მონაწილის შესაძლებლობას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უარი თქვას ხელშეკრულების გაგრძელებაზე, ხელშეკრულებიდან გასვლა ეწოდება. იგი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდანაა გადმოღებული და ბევრად ეხმაურება ევროგაერთიანების სამართალს.³² **ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აღმჭურველი უფლებაა და განსხვავებით მოთხოვნის უფლებისაგან, მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა.**³³ სამოქალაქო კოდექსი და სხვა კერძოსამართლებრივი კანონმდებლობა აგრეთვე, შეიცავს ისეთ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება მოთხოვნის საფუძვლით გათვალისწინებული წინაპირობების შემონახვისას და ამდენად, ასრულებს დამხმარე ფუნქციას. დამხმარე ხასიათის ნორმებს განეკუთვნება ასევე, უშუალოდ სამართლებრივი შედეგის დამფუძნებელი უფლების მომწესრიგებელი ნორმები, ისინი პირს სამართლებრივი შედეგის მოდიფიცირების უფლებას ანიჭებს ხელშეკრულების მეორე მხარის თანხმობის არსებობის მიუხედავად.³⁴ დამფუძნებელია უშუალო სამართლებრივი შედეგის წარმომშობი უფლება, რომელიც პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, ცალმხრივი ნების გამოვლენით წარმოიშვას, შეცვალოს ან გააუქმოს სამართლებრივი შედეგი.³⁵ დამფუძნებელი უფლების მარეგულირებელი ნორმების ძირითადი თავისებურება ისაა, რომ უფლებამოსილი პირის მიერ უფლება ხორციელდება ნამდვილი, მიღება სავალდებულო ნების გამოვლენით. ასეთ დამფუძნებელ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც სსკ-ის 355-ე მუხლის თანახმად, ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით. დამფუძნებელი უფლება განხორციელებულია ანუ შესაბამისი ნების გამოვლენა ნამდვილია იმ მომენტიდან, როდესაც იგი ხელშეკრულების მეორე მხარეს მიუვა, კერძოდ, მოხვდება მიმღების ძალაუფლების სფეროში და ამ უკანასკნელს ექნება მისი შინაარსის რეალურად განხორციელების შესაძლებლობა.³⁶ ამ უფლებათა განსხვავებული სტატუსი, ცხადია, არ გამორიცხავს მათ განხორციელებას სასამართლოსათვის მიმართვის გზით.³⁷

³² ზოიძე ბ., ევროპული სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2009, 266.

³³ თოდუა/ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, 41.

³⁴ Kruger, in MuKo.BGB, Band 2.,5.Aufl. §349, Rn.3. Keiser, in Staudinger BGB Komm. §349 aF,Rn.11.

³⁵ Kramer, in MuKo.BGB, Band 1.,5.Aufl. §145, Rn.6. Bork, in Staudinger BGB Komm. §145, Rn.34.

³⁶ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 246.

³⁷ Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerliches Rechts, 9. Aufl.,2004, 69.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხარეების მხრიდან პირველადი მოთხოვნის ხასიათს ატარებს, რომლის შეუსრულებლობაც იწვევს მეორადი მოთხოვნის უფლების წარმოშობას. ამ უკანასკნელს კი მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა. ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება მხოლოდ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ამიტომ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებსა და წესს, კერძოდ, თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა (სსკ-ის 405-ე, 352-359-ე მუხლები). თუმცა, ეს არ გამოორიცხავს, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გასვლის დამატებით პირობებზე. თუ მხარეები ამ უფლებით არ ისარგებლებენ, გამოიყენება კანონის დისპოზიციური ნორმები.³⁸ ხელშეკრულებიდან გასვლის, როგორც მეორეული მოთხოვნის უფლების საფუძვლები შეიძლება დაიყოს მატერიალურ და ფორმალურ ნაწილებად. მატერიალურში შეიძლება ვიგულისხმოთ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა, ხოლო ფორმალურში – დამატებითი ვადის დანესება და ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინება.

ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის კანონისმიერი წინაპირობებია: ა) ხელშეკრულების ნამდვილობა (უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობის ზოგად პირობებს); ბ) ზოგადი წესის მიხედვით, მოვალის მხრიდან ხელშეკრულების მნიშვნელოვანი (არსებითი) დარღვევა (დარღვევა არსებითი ხასიათისაა, თუ მოვალის მხრიდან ძირითადი ვალდებულების დარღვევის გამო, ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელი ხდება ან იკარგება მომავალში მისი შესრულების იმედი, ანდა კრედიტორს ეკარგება შესრულებისადმი ინტერესი); გ) ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადების გაკეთებით მონაწილე მთლიანად ვადის ხელშეკრულებიდან, რადგანაც კანონით დაუშვებელია ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლა; დ) მიუხედავად ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევისა, მოვალეს არ შეუძლია კრედიტორს მოთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება; ე) ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად არ არის პასუხისმგებელი; ვ) მოთხოვნას არ უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც უკვე წარმოდგენილია ან წარდგენილი იქნება დაუყოვნებლივ მოვალის მიერ, თუ კრედიტორი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე (მა-

³⁸ Medicus/Lorenz, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, 18. Aufl., 2008, 556.

გალითად, შესაგებელი ვალდებულების გაქვითვაზე); ზ) სახეზეა კრედიტორის მიერ შესაგებელი იურიდიული მოქმედება – ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მოცემული გონივრული ვადა, თუ ხელშეკრულებით ასეთი ვადა არ ყოფილა დადგენილი – ანდა, თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა – გაფრთხილება.

სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა თავისთავად არ აფუძნებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. შეუსრულებლობა გარკვეული ობიექტური მასშტაბით უნდა გაიზომოს. ზოგადად, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის ვალდებულება დაირღვა.³⁹ **ვალდებულება, რომლის დარღვევაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს წარმოადგენს, უნდა იყოს ნამდვილი, ვადამოსული და უპრეტენზიო.**⁴⁰ თუ ვალდებულებები ჯერ კიდევ, არ არის შესასრულებელი, მხარე ვერ გავა ხელშეკრულებიდან, რადგან მას არ ექნება ამის საფუძველი. თუმცა, სსკ-ის 405-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარეს შეუძლია შესრულების ვადის დადგომამდე განაცხადოს უარი ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულებიდან გასვლის პირობა ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულებაა. თუ მოვალემ ვალდებულება შეასრულა ან კრედიტორმა შეთანხმებულის ნაცვლად სხვა შესრულება მიიღო (*datio pro solutio*), კრედიტორი ხელშეკრულებიდან ვერ გავა. კრედიტორს ასევე ეზღუდება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, თუ მოვალემ წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარმოადგენს პრეტენზიას (შესაგებელს). ანალოგიური წესი გამოიყენება მაშინაც, როდესაც მოვალეს შეუძლია ვალდებულების გაქვითვა და იგი ამ უფლებას კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის დაყენებისთანავე გამოიყენებს (*dolo agit, qui petit, quod statim redditurus est*).⁴¹ ხელშეკრულებიდან გასვლა წარმოშობს მონაწილეთა შორის ახალ ვალდებულებას: მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ.

სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები განამტკიცებენ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის უფლებას უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ მეორე მხარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორს შეუძლია მოვალეს დაუწესოს დამატებითი ვადა ხელშეკრულებით

³⁹ თოდუა/ ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, 57.

⁴⁰ Ernst, in MuKo.BGB, Band 2., 5.Auf. §323, Rn.11.

⁴¹ ძლიერიშვილი, წარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 141.

გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად. რაც განამტკიცებს ფაქტს, რომ მისთვის მთავარია ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა შეუსრულებლობისათვის. ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც იწვევს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ანუღირებას, არ შეიძლება განხორციელდეს მოვალისათვის ვალდებულების შესასრულებლად, ხელმეორე შესაძლებლობის მიცემის გარეშე, რათა ამით თავიდან იქნეს აცილებული ხელშეკრულების ანუღირება. სწორედ ამიტომ, კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ვალდებულების შესასრულებლად მოვალეს მიეცემა დამატებითი ვადა, ამ დროს კრედიტორი სარგებლობს შეზღუდული უფლებით გავიდეს ხელშეკრულებიდან, ხოლო მოვალის ინტერესები კი, გარკვეულწილად დაცულია (ანალოგიურადაა საკითხი გადაწყვეტილი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 323-ე პარაგრაფით). ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ დამატებითი ვადის განსაზღვრას გაუთანაბრდეს გაფრთხილება, რომლითაც კრედიტორი ავალდებულებს მოვალეს შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. გაფრთხილება ერთგვარი შესენებაა ვადამოსული ვალდებულების შესასრულებლად. სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც არ არის საჭირო ვალდებული პირისათვის არც დამატებითი ვადის დაწესება და არც გაფრთხილება. სახელშეკრულებო ურთიერთობებში ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმის განსაზღვრა მნიშვნელოვანია მხარეთა შემდგომი სამართლებრივი ურთიერთობებისათვის და განსაზღვრავს ამ უფლების განხორციელების სამართლებრივ მართებულობას. სსკ-ის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინების გზით. ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინება ძალაშია მას შემდეგ, რაც განსაზღვრული წინაპირობები იქნება დაკმაყოფილებული. სსკ-ის 405-ე მუხლი დეტალურად აწესრიგებს ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობებსა და გამონაკლისებს, ისევე, როგორც აღნიშნული უფლების წარმოშობის დამაბრკოლებელ გარემოებებს (№ას-1003-924-2017, 01 დეკემბერი, 2017).

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იძლეოდა მხოლოდ PR35F38 ჰიბრიდის ნიმუშზე წარმოშობილი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, ხოლო დანარჩენი ჰიბრიდის ნიმუშებზე, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოშობილად არ მიიჩნია სათანადო მტკიცებულებების არარსებობის გამო.

სსკ-ის 357-ე მუხლი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებას შეეხება და არა თვით ამ უფლების წარმოშობას.

ხელშეკრულებიდან გასვლა და უარი ხელშეკრულებაზე, როგორც წესი, ერთსა და იმავე სამართლებრივ შედეგებს იწვევს; ამ დროს, ორმხრივ რესტიტუციას აქვს ადგილი, მხარეები ახდენენ ხელშეკრულების დადებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას.

ამასთან, თუ გრძელვადიან ურთიერთობაზე მხარე პატივსადები მიზეზის გამო ამბობს უარს, მაშინ სახეზე გვექნება ხელშეკრულების მოშლა (შენწყვეტა) და არა გასვლა, რაც ნიშნავს, რომ მანამდე განხორციელებული შესრულება ძალაში დარჩება.

ვინაიდან, მხარე ითხოვს გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტას, ხელშეკრულებიდან გასვლის (უარის თქმის) ნორმები ვერ იქნება გამოყენებული.

ხელშეკრულების შეწყვეტისა და ფართის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში დაბრუნების მოთხოვნით წარმოებულ დავაში ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში.⁴²

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის უარყოფის სამართლებრივი საფუძველი დაუსაბუთებელია იმ თვალსაზრისით, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი საფუძვლები მოცემულია სსკ-ის 352-ე - 360-ე, 405-ე მუხლებში, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნას კი, ხელშეკრულების მოშლა (შენწყვეტა) წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს კვალიფიკაცია იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის (მოშლის) სსკ-ის 357-ე მუხლის წინაპირობების არარსებობის თაობაზე, უმართებულოდ მიიჩნია და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლად მიუთითა, რომ იჯარის ხელშეკრულების მოშლა (შენწყვეტა) შემონმებული არაა მოთხოვნის წარმომშობ (დამფუძნებელ) მატერიალურსამართლებრივ ნორმასთან.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 357-ე მუხლი უზ-

⁴² სუსგ №ას-360-360-2018, 04 ოქტომბერი, 2018.

რუნველყოფს ვალდებულების მონაწილეთა სიმრავლის დროს (სოლიდარული კრედიტორები ან სოლიდარული მოვალეები) ხელშეკრულების ერთიანობას. სწორედ ამიტომ ააქცენტირებული, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება შეიძლება განხორციელდეს ხელშეკრულებიდან გამსვლელი მხარის ყველა მონაწილის მიერ ერთად მეორე მხარის ყველა მონაწილისათვის შეტყობინებით. თუ ხელშეკრულების ერთ ან მეორე მხარეზე მონაწილეობს რამდენიმე პირი, მაშინ **ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება შეიძლება განხორციელდეს იმ მხარის ყველა მონაწილის მიერ ერთად, რომელიც ხელშეკრულებიდან გადის, მეორე მხარის ყველა მონაწილისათვის შეტყობინებით.** თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება გაქარწყლდება ერთ-ერთი უფლებამოსილი პირისათვის, მაშინ ეს უფლება ქარწყლდება ყველასათვის. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ **სსკ-ის 357-ე მუხლი შეეხება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებას და არა თვით ამ უფლების წარმოშობას** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, თბილისი, ჭანტურია ლ., ზოიძე ბ. (მუხლი 357).

იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო პალატამ მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებად ხელშეკრულებიდან გასვლის მომწესრიგებელი ნორმები არ მიიჩნია, განმარტა ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის კანონისმიერი წინაპირობები:

- ა. ხელშეკრულების ნამდვილობა (უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობის ზოგად პირობებს).
- ბ. ზოგადი წესის მიხედვით, მოვალის მხრიდან ხელშეკრულების მნიშვნელოვანი (არსებითი) დარღვევა (არსებითი ხასიათისაა დარღვევა, თუ მოვალის მხრიდან ძირითადი ვალდებულების დარღვევის გამო, ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელი ხდება ან იკარგება მომავალში მისი შესრულების იმედი, ანდა კრედიტორს ეკარგება შესრულების ინტერესი და ა.შ.).
- გ. ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადების გაკეთებით მონაწილე მთლიანად გადის ხელშეკრულებიდან, რადგანაც კანონით დაუშვებელია ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლა.
- დ. მიუხედავად ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევისა, მოვალეს არ შეუძლია, კრედიტორს მოსთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება.

- ე. ვალდებულების დარღვევისათვის მთლიანად და უმთავრესად კრედიტორი არ არის პასუხისმგებელი (მაგ. თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა განაპირობა კრედიტორის მხრიდან საპასუხო მოქმედების განუხორციელებლობამ, მუხლი 369).
- ვ. მოთხოვნას არ უპირისპირდება მოვალის შესაგებელი, რომელიც უკვე წარდგენილია ან წარდგენილი იქნება დაუყოვნებლივ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ (მაგ. შესაგებელი ხანდაზმულობაზე ან ვალის გაქვითვაზე).
- ზ. სახეზეა კრედიტორის მიერ შესრულებული იურიდიული მოქმედება – ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მიცემული გონივრული ვადა, თუ ხელშეკრულებით ასეთი ვადა არ ყოფილა დადგენილი ანდა, თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება ვადა – გაფრთხილება.
- თ. ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობიდან გასვლა, რომელიც დასაშვებია ვალდებულების დარღვევის გარეშეც პატივისაღები საფუძვლის არსებობისას (პატივისაღებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მომშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება).
- ი. ხელშეკრულებიდან გასვლა მონაწილეთა შორის ახალი ვალდებულების წარმოშობის საფუძველია: ხელშეკრულების შესრულების შედეგად მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ“ (ორმხრივი რესტიტუცია) (ვალდებულებითი სამართალი. თოდუა, მ.).

ამასთან, საკანაცო სასამართლომ მიუთითა, რომ პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულების გაუქმებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

ხელშეკრულებიდან გასვლა და უარი ხელშეკრულებაზე, როგორც წესი, ერთსა და იმავე სამართლებრივ შედეგებს იწვევს; ამ დროს, ორმხრივ რესტიტუციას აქვს ადგილი, მხარეები ახდენენ ხელშეკრულების დადებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას.

ამასთან, თუ გრძელვადიან ურთიერთობაზე მხარე პატივსაცემი მიზეზის გამო ამბობს უარს, მაშინ სახეზე გვექნება ხელშეკრულების მოშლა (შენწყვეტა) და არა გასვლა, რაც ნიშნავს, რომ მანამდე განხორციელებული შესრულება ძალაში დარჩება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე (კასატორი) მოითხოვს ხელშეკრულების მოშლას (შენწყვეტა), საქმის ხელახლა განხილვისას პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს წარმოეშვა თუ არა კრედიტორს მოვალის მიმართ ის მოთხოვნა, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში, წარმოადგენს მისთვის სამართლებრივად განპირობებულ ინტერესს იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტისათვის (მოშლა) სსკ-ის 581-ე, 558-ე, 561-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი წანამძღვრების განხორციელებულად მიჩნევის საფუძველზე, ხოლო თუ მოთხოვნის წარმოშობა სახეზე იქნება, მაშინ შესამოწმებელი იქნება მოთხოვნის შემწყვეტი, მოთხოვნის შემაფერხებელი ნორმები (სსკ-ის 427-ე მუხლები და ა. შ.).

დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის გათავისუფლება (ხელშეკრულებიდან გასვლა) მართლზომიერად უნდა განხორციელდეს (სსკ-ის 115-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლომ, ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილება, დამსაქმებლის მიერ დაკავებული თანამდებობიდან მუშაკის სამსახურებრივი მოვალეობების უხეში დარღვევის საფუძველით უკანონოდ გათავისუფლების გამო, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე, საფუძვლიანად მიიჩნია.⁴³

ამასთან, სასამართლომ დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის გათავისუფლება დააკვალიფიცირა რა ხელშეკრულებიდან გასვლად, მიუთითა, რომ საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში დაადგინა, რომ დამსაქმებლისთვის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონით მინიჭებული უფლება (ხელშეკრულებიდან გასვლა) უნდა განხორციელდეს მართლზომიერად (სსკ-ის 115-ე მუხლი) (სუსგ-ები №ას-1155-1086-2015, 2016 წლის 2 თებერვალი, №ას-545-513-2012, 2012 წლის 5 ოქტომბერი, №ას-549-517-2010, 2010 წლის 19 ოქტომბერი, №ას-545-513-2012, 2012 წლის 5 ოქტომბერი).

ანალოგიური განჩინება მიიღო საკასაციო სასამართლომ სხვა შრო-

⁴³ სუსგ №ას-627-627-2018, 3 ივლისი, 2018.

მითსამართლებრივ დავაზე,⁴⁴ სადაც აღნიშნა, რომ მოპასუხის (დამსაქმებლის) მიერ გამოვლენილ ცალმხრივ ნებას (მოსარჩელის დათხოვნის შესახებ ბრძანება, სსკ-ის 51-ე მუხლი), სამართლებრივი შედეგი ვერ მოჰყვებოდა, რადგანაც არ იყო შესრულებული ამ შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოება – მოსარჩელის (დასაქმებულის) მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევა (მოსარჩელემ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა სამსახურის უფროსს).

სხვა საქმეში,⁴⁵ მოსარჩელეს ვალდებულება არ დაურღვევია, მან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით შეიძინა ნასყიდობის საგანი და ვადაში შესთავაზა მოპასუხეს მისი მიღება. მყიდველმა ნასყიდობის საგანი ნაწილობრივ მიიღო კიდევ, თუმცა დარჩენილი ნაწილის მიღებაზე უარი განაცხადა. ამ უკანასკნელს არც შესაგებელში მიუთითებია და არც საქმის მასალებით არ არის დადგენილი იმგვარი წინაპირობები, რომლებიც სასამართლოს მიიყვანდა დასკვნამდე, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება მოიშალა, უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ გამყიდველს ნასყიდობის საგანი მყიდველისათვის დათქმულ ვადაში ეტაპობრივად უნდა მიენოდებინა, არ შეიძლება შეფასდეს მხარეთა გრძელვადიან ურთიერთობად (მაგ: ქირავნობა, იჯარა და სხვა), თუმცა, საპირისპირო ვითარებაშიც კი, მყიდველს არ მიუთითებია იმგვარ გარემოებებზე, რომლებიც სსკ-ის 399-ე მუხლის მიზნებისათვის ჩაითვლება გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე უარის თქმის პატივსაღებ მიზეზად. საბოლოოდ, **საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილია და არ არსებობს მისი მოშლილად მიჩნევის საფუძველი.** საკასაციო სასამართლომ უარყო გასაჩივრებული გადანყვეტილების დასკვნა ხელშეკრულების მოშლის თაობაზე.

კონკრეტულ დავაში,⁴⁶ გამოვლინდა სსკ-ის 405.2 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც დამატებითი ვადის განსაზღვრა საჭირო არ არის. ვალდებულების შესრულების ვადა რამდენიმე წლის წინ ამოიწურა, ნასყიდობის საფასური კი, არ იყო გადახდილი. ამასთან, კასატორი დავალიანებას უარყოფს (მხარეებს შორის წლებია მიმდინარეობს სადავო ნივთზე სხვადასხვა სახის დავა), საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვე-

⁴⁴ სუსგ №ას-861-861-2018, 25 სექტემბერი, 2018.

⁴⁵ სუსგ №ას-1076-996-2017, 19 აპრილი, 2019.

⁴⁶ სუსგ №ას-294-2019, 30 სექტემბერი, 2019.

ვაში, დამატებითი ვადის დაწესება უშედეგოა. შესაბამისად, მოსარჩელეს დამატებითი ვადის დაწესების გარეშე შეუძლია, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (ნატურით დაბრუნება) *(სუსგ. №ას-38-38-2018, 08.06.2018)*.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა,⁴⁷ რომ ვინაიდან, სსკ-ის 352.1 მუხლი განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის თქმის) სამართლებრივ შედეგს, ამავე კოდექსის 405-ე მუხლი კი, ადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის წესსა და სავალდებულო წინაპირობებს, შესაბამისად, სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლები მხოლოდ ერთობლივად გამოიყენება *(სუსგ. №ას-667-634-2014, 16.10.2015)*.

ვალდებულების დარღვევის გამო ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნა დაუშვებელია.

ნასყიდობის ფასის გადაუხდელობა ვალდებულების არსებით დარღვევას წარმოადგენს და კრედიტორს ყოველთვის შეუძლია გადაცემული სარგებლის/ქონების დაბრუნების მოთხოვნის წარდგენა.

ვალდებულების არსებითი დარღვევის შემთხვევაში, დამატებითი მტკიცების გარეშე, გამართლებულად მიიჩნევა ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის წარდგენა.

საკასაციო სასამართლომ ხელახლა განსახილველად დააბრუნა საქმე,⁴⁸ სადაც მოსარჩელე (სანარმო) მოითხოვდა მოპასუხესთან (სანარმო) დადებული ნასყიდობისა და უფლება-მოვალეობათა გადაცემის შესახებ ხელშეკრულების გაუქმებას, ნასყიდობის საგნის, უძრავი ქონების მოსარჩელის საკუთრებად აღრიცხვას, ასევე, დღგ-ის სახით გადახდილი თანხის მოპასუხისათვის დაკისრებას.

საკასაციო სასამართლომ უარყო გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება, რომლის თანახმადაც, ნასყიდობის საზღაურის გადაუხდელობა არ შეიძლება ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა გახდეს და ასეთ ვითარებაში გამყიდველმა შეიძლება მხოლოდ ფასის ანაზღაურება მოითხოვოს. საკასაციო სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკით დადგენილია, რომ **ვალდებულების დარღვევის გამო ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნა დაუშვებელია**, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ნება ნამდვილია და არ არსებობს მისი ბა-

⁴⁷ სუსგ. №ას-689-2019, 13 დეკემბერი, 2019.

⁴⁸ სუსგ. №ას-341-2019, 2 მარტი, 2020.

თილად ცნობის წინაპირობები. ნამდვილი ნების შემთხვევაში კი, დასაშვებია პირველადი მოთხოვნის-ვალდებულების შესრულების დაყენება, ისევე, როგორც შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, შესაძლოა კონტრაპენტი გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოითხოვოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. ამდენად, გასაჩივრებული განჩინების დასკვნა არ გამომდინარეობს არც სამართლის ნორმათა და არც საკასაციო სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის სწორი ანალიზიდან.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებიდან გამომდინარე, კრედიტორს ვალდებულების არსებითი დარღვევის შემთხვევაში შეუძლია მეორე მხარის მიმართ განაცხადოს უარი ხელშეკრულებაზე, თუკი იგი დაიცავს დამატებითი ვადის დაწესების/გაფრთხილების წინაპირობებს. ასეთ შემთხვევაში, მისი ცალმხრივი ნება – მიღება სავალდებულოა და ნამდვილია იმ მომენტიდან, როდესაც იგი მეორე მხარეს მიუვა (სკ-ის 51.1 და 355-ე მუხლები). ხსენებული კი, მეტყველებს იმაზე, რომ ნების მიმღებს წარმოეშობა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება. **საკასაციო პალატის აზრით, ნასყიდობის ფასის გადაუხდელობა სწორედ ვალდებულების არსებით დარღვევას წარმოადგენს და ხელშეკრულებიდან გასვლის წესების დაცვის შემთხვევაში, კრედიტორს ყოველთვის შეუძლია გადაცემული სარგებლის/ქონების დაბრუნების მოთხოვნის წარდგენა.** სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მიმართ კრედიტორს ყოველთვის გააჩნია ინტერესი, ვინაიდან პრეზუმირებულია, რომ ინტერესის არარსებობის შემთხვევაში, ის რელატიურ ურთიერთობაში არ შევიდოდა მეორე მხარესთან. თუკი **ვალდებულების არსებითი დარღვევა დადგინდება, დამატებითი მტკიცების გარეშე გამართლებულად მიიჩნევა ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის წარდგენა.** აღნიშნული დასკვნა სწორედ სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარეობს, რადგანაც კანონი უპირატესობას პირველად მოთხოვნას – შესრულებას ანიჭებს და ავალდებულებს კიდევ კრედიტორს დამატებითი ვადის დაწესებას, თუმცა, ამ ვადის უშედეგოდ გასვლის, ასევე, შესრულების მიმართ ინტერესის დაკარგვის შემთხვევაში, უპირატესობას უფლებადარღვეულ მხარეს ანიჭებს და უდგენს მას ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას.

ხელშეკრულების არაარსებითი დარღვევა, სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, გამორიცხავს ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას.

ერთ-ერთ საქმეში,⁴⁹ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებაზე უარის საფუძველი უნდა იყოს ვალდებულების არა ნებისმიერი, არამედ არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც გამართლებულს ხდის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. განსახილველ შემთხვევაში, კასატორს ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველად მიაჩნია ის გარემოება, რომ სასაზღვრო მიჯნის ზონაში არსებული ფანჯრის ღიობი, რომლის ამოჭრაზეც მან ხელშეკრულებით განაცხადა თანხმობა, განთავსებულია არა კედლის ჩრდილოეთ კუთხეში, არამედ ცენტრალურ ნაწილში. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული სწორად შეაფასა ხელშეკრულების არაარსებით დარღვევად, რაც სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მართლაც გამოიციხავს ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას.

საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებიდან გასვლას თავისი სპეციფიკა გააჩნია და მასზე არ ვრცელდება სსკ-ის 352-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებული ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები.

კონკრეტულ დავაში,⁵⁰ მოსარჩელის უფლებამონაცვლეები (კასატორები) ითხოვენ ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გასვლას და ამხანაგობისათვის საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე უფლების აღდგენას და უკან დაბრუნებას. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებიდან გასვლას თავისი სპეციფიკა გააჩნია და მასზე არ ვრცელდება სსკ-ის 352-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებული ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები. პალატამ სსკ-ის 938-ე მუხლის დანაწესის მიხედვით, რომელიც არეგულირებს ამხანაგობის ერთ-ერთი მონაწილის ამხანაგობიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს, აღნიშნა, რომ როგორც წესი, ერთ-ერთი მონაწილის გასვლა იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. თუმცა, რადგანაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ხელშეკრულება ითვალისწინებდა მოსარჩელის (გამსვლელი მონაწილის) გასვლის უფლებას ერთობლივი საქმიანობის შეუწყვეტლად, მას შეეძლო მოეთხოვა თავისი წილის კომპენსაცია ფულადი სახით და არა მის მიერ განხორციელებულ შენატანზე უფლების აღდგენა და მიწის ნაკვეთის დაბრუნება *(სუსგ, საქ-მე №195-183-2014, 21.10.2016)*.

⁴⁹ სუსგ №ას-1479-1399-2017, 27 იანვარი, 2020.

⁵⁰ სუსგ №ას-1463-2019, 12 თებერვალი, 2020.

ხელშეკრულებიდან გასვლის თანმდევ შედეგზე – რესტიტუციაზე ვრცელდება ხანდაზმულობის საერთო 10-წლიანი ვადა, რომელიც იწყება ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტიდან.

იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით,⁵¹ რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, ხელშეკრულებიდან გასვლისა და თანხის დაბრუნების მოთხოვნა სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, 352.1 მუხლიდან, 405-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებაიდან და 405-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარეობს.

პალატამ სსკ-ის 355-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის გაცხადება შესაძლებელია კონკლუდენტური მოქმედებითაც, მათ შორის, გადაცემულის უკან დაბრუნების მოთხოვნით. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე (შემკვეთი) ხელშეკრულებიდან გავიდა მაშინ, როდესაც მოპასუხეს (მენარდეს) გადახდილი თანხის დაბრუნება მოსთხოვა.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით, პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აღმჭურველი უფლებაა და, განსხვავებით მოთხოვნის უფლებისაგან, მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა (*სუსგ №ას-38-38-2018, 08 ივნისი, 2018; №ას-1189-1119-2015, 23 მარტი, 2016*). ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაზიარებული იქნება დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრება, რომ სამართალგანვრცობის გზით (ხანდაზმულობის დანაწესის ანალოგიით), **თავდაპირველი ან დამატებითი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებაც უნდა გამოირიცხოს** (იხ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის ელ. ვერსია, მუხლი 355, IV. გასვლის გაცხადების ვადა), მოსარჩელის გასვლის განცხადება მაინც არ იქნებოდა სამართლებრივი ძალის არმქონე, რამდენადაც მან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით ისარგებლა ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაში.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ვინაიდან ხელშეკრულებიდან გასვლაზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა, არც მისი თანმდევი შედეგი – რესტიტუცია არ ექ-

⁵¹ სუსგ №ას-1565-2018, 30 აპრილი, 2020.

ვემდებარება ხანდაზმულობას. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამ დროს თავდაპირველი ვალდებულებითი ურთიერთობის ადგილს იკავებს უკუქცევის შედეგად წარმოშობილ შესრულებათა უკან დაბრუნების ურთიერთობა, რაც ხელშეკრულების დადების შემდეგ შესრულებათა გაცვლამდე არსებული ვითარების აღდგენას გულისხმობს ანუ ხელშეკრულებიდან გასვლით წარმოიშობა ახალი ვალდებულება (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება). ნატურით დაბრუნების მოთხოვნაზე კი, სსკ-ის 128.3 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო 10-წლიანი ვადა ვრცელდება (*სუსგ №ას-1209-1169-2016, 12 ივნისი, 2017*), რომელიც იწყება ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტიდან.

ცალმხრივ ხელშეკრულებაზე არ ვრცელდება სსკ-ის 352-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებული ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები.

ერთ-ერთ საქმეში,⁵² საკასაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებული შეთანხმების საგანი საქესპედიტორო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სამართალურთიერთობის მოწესრიგებაა და არა დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომლითაც ექსპედიტორმა შემკვეთის მიმართ თანხის გადახდის ვალდებულება იკისრა, ამდენად, იგი ცალმხრივი ხელშეკრულებაა და მასზე არ ვრცელდება სსკ-ის 352-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებული ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები.

კონკრეტულ საქმეში,⁵³ საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ შესრულების შეუძლებლობის პირობებში, კონტინენტურ სამართალში უპირატესად გამოსაყენებელი ნაკლის გამოსწორების მეორადი მოთხოვნის უფლება აზრს კარგავს და კრედიტორისათვის ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებია პრიორიტეტული. ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლება ცენტრალურ ადგილს იკავებს, რამდენადაც აღნიშნულ შემთხვევაში ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა უბრალო ფორმალობად იქცევა (იხ.: დამატებით: Markesinis S. B., Unberath H., Johnston A., *The German Law of Contract – A Comparative Treatise*, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 386.) და მისი გამოყენება ყოველგვარ მიზანს მოკლებულია სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით. სსკ-

⁵² სუსგ №ას-1626-2019, 17 ივნისი, 2020.

⁵³ სუსგ №ას-222-2021, 4 ივნისი, 2021.

ის 405-ე II „ა“ მუხლი გამორიცხავს ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის უფლების გამოყენებას. კერძოდ, არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ ამკარაა, რომ მას შედეგი არ მოჰყვება. სსკ-ის 405-ე II „ა“ მუხლი მოიცავს შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტს, რომლის პირობებშიც ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა უბრალო ფორმლობად იქცევა (იხ.: დამატებით: ნ. ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება, თსუ-ის სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2011, 151).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მყიდველის მეორადი მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის სახით მხოლოდ სსკ-ის 491-ე მუხლზე დაყრდნობით ვერ განხორციელდება, ვინაიდან ამ ნორმაში უშუალოდ არის მითითებული სსკ-ის 405-ე მუხლის ზოგადი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ, სსკ-ის 352-ე-359-ე მუხლებს უთითებს. ეს ცხადყოფს, რომ სსკ-ის 491-ე მუხლი არ არის მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი. შესაბამისად, მყიდველის მიერ ნივთის ნაკლის გამო ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იქნება სსკ-ის 491-ე მუხლი – სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებთან ურთიერთკავშირში.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 491-ე მუხლში მითითებული „ხელშეკრულების მოშლა“ თავისი შინაარსით წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, ვინაიდან უკავშირდება სსკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სსკ-ის 352 ე მუხლთან მიმართებით ერთ-ერთ განჩინებაში განმარტა შემდეგი: სსკ-ის 352 ე მუხლი არის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (გსკ) 346-ე პარაგრაფის ანალოგი, რომელიც ადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის თქმის) ნინაპირობებს, რაც მოიცავს ხელშეკრულებიდან გასვლის როგორც კანონისმიერ, ისე სახელშეკრულებო დათქმის საფუძველს და განიმარტება, როგორც ცალმხრივი მიღება-სავალდებულო ნების გამოვლენით ვალდებულებითი ურთიერთობის უუქცევა (იან კროპ-ჰოლერი, გსკ-ის კომენტარი, 2014, 242-243). დოქტრინაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული სსკ-ის 352-ე მუხლში მითითებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმისა (გასვლის) და ხელშეკრულების მოშლის ტერმინოლოგიური უზუსტობის შესახებ (იხ.: www.gccc.ge – 352-ე მუხლის კომენტარი). საგულისხმოა ისიც, რომ ზოგადად, ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ, მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი პირველადი ვალდებულების შესრულებისაგან და გარდაიქმნებიან რესტიტუციის კრედიტორად, რომელიც ამ შემთხვე-

ვაში, მოსარჩელეა და რესტიტუციის მოვალედ (მოპასუხეები) **(სუსგ №ას-1209-1169-2016, 12 ივლისი, 2017 წელი).**

ხელშეკრულებიდან გასვლასთან ერთად, ზიანის ანაზღაურების საფუძველი გამომდინარეობს სსკ-ის 491-ე, 407-ე, 405 (5)-ე, 394-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 395-ე მუხლის პირველი ნაწილის კუმულაციის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ე.წ. კომბინირებადი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველებს. (ჰ. ბილინგი/პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009, 20).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ერთი მხრივ, შესრულების ნაცვლად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც როგორც წესი, ალტერნატიული მოთხოვნაა ხელშეკრულებიდან გასვლასა და ფასის შემცირების მოთხოვნასთან მიმართებით და, მეორე მხრივ, ე. წ. ჩვეულებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მიმართ არსებული ინტერესის მიუხედავად. ეს უკანასკნელი შესაძლებელია განხორციელდეს მათ შორის დამატებითი შესრულების მოთხოვნის პარალელურად. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისაგან განსხვავებით, ხელშეკრულებიდან გასვლასთან ერთად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა როგორც წესი, წარმოიშობა მხოლოდ კრედიტორის მიერ მოვალისათვის დამატებით განსზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. შესაბამისად, მისი გამოყენების წინაპირობაა მეორად მოთხოვნათაგან უპირატესად გამოსაყენებელი, ნაკლის გამოსწორების ან ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი შეცვლის მოთხოვნის უშედეგოდ განხორციელება. (იხ.: დამატებით, ს. ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი, 2010, 60).

შემკვეთის მიერ ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იქნება სსკ-ის 644-ე მუხლი, სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებთან ურთიერთკავშირში. ხელშეკრულებიდან გასვლასთან ერთად, ზიანის ანაზღაურების საფუძველი გამომდინარეობს სსკ-ის 644-ე, 407-ე, 405 (5)-ე, 394-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 395-ე მუხლის პირველი ნაწილის კუმულაციის საფუძველზე.

სხვა საქმეში,⁵⁴ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ნასყიდობასთან

⁵⁴ სუსგ №ას-349-2021, 11 ივნისი, 2021.

მიმართებით, ნაკლის გამოსწორების ან ნაკლიანი ნივთის შეცვლის მყიდველის მოთხოვნა გამყიდველის მიმართ იწვევს იდენტურ სამართლებრივ შედეგს: მყიდველი ლეზულობს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთს ანუ ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამის შესრულებას. ამ გზით ხელშეკრულების მიზანი, თუმცა, მეორადი მოთხოვნის რეალიზების შემდეგ, მაინც მიღწეულია. **ს.კ-ის 405-ე II „ა“ მუხლი გამორიცხავს ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის უფლების გამოყენებას, კერძოდ, არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ მოჰყვება.**

ერთ-ერთ საქმეზე,⁵⁵ საკასაციო პალატამ გადამწყვეტილებით სარჩელი უარყო, იმ საფუძველით, რომ ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლა დაუშვებელია. ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხზე უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, პალატამ დამატებით მიუთითა, რომ „ხელშეკრულებიდან გასვლა აღმჭურველი უფლებაა, რაც ნიშნავს, რომ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას მხარეს აქვს შესაძლებლობა, მიაღწიოს გარკვეულ სამართლებრივ შედეგს – დაასრულოს სახელშეკრულებო ურთიერთობა კონკრეტული უფლებებითა და მოვალეობებით და განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში გადაიყვანოს იგი. პირველადი მოთხოვნის ანუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და შესაბამისად, ხელშეკრულების შეუსრულებლობა ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლების აღმოცენების სამართლებრივი საფუძველია. ამდენად, დაუშვებელია ერთდროულად მოთხოვნილ იყოს ხელშეკრულების შესრულებაც და ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი უფლების გამოყენებაც. ამგვარ მოთხოვნათა კუმულაციურად განხორციელება დაარღვევდა ხელშეკრულების მხარეების ინტერესთა ბალანსს, სწორედ რასაც უზრუნველყოფს მეორადი მოთხოვნის, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება“ (*სუსგ №ას-12-12-2012, 04.06.2012*).

საკასაციო პალატამ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლის უფლებას. თუ ამას დავუშვებდით, ეს იქნებოდა არა ხელშეკრულებიდან გასვლა, არამედ ხელშეკრულების შეცვლა, რადგან მისი ნაწილი კვლავ ძალაში დარჩებოდა და მხარეები ვალდებულნი იქნებოდნენ

⁵⁵ სუსგ №ას-467-2020, 25 ივნისი, 2021.

შეესრულებინათ იგი. ამიტომაც **კანონმდებლობა უშვებს ხელშეკრულებიდან მხოლოდ სრულად (მთლიანად) გასვლას. გამონაკლისია გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობები, ისიც მხოლოდ მომავალში მისაწოდებელ საქონელთან მიმართებაში** (ქანტურია ლ, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მუხლი 352-ე, თბილისი, 2001, 233). თუ ვალდებულების ნაწილი შესრულდა, ხელშეკრულებიდან სრულად გასვლა კრედიტორს მხოლოდ იმ პირობით შეუძლია, თუ მან შესასრულებელი ნაწილის მიმართ ინტერესი დაკარგა. (ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 405, ველი 54. თბილისი, 2019).

360-ე მუხლი

ერთ-ერთ საქმეზე,⁵⁶ საკასაციო სასამართლომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო განუხილველად დატოვა. **საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს განმარტება**, რომ დავა გულისხმობს მხარეთა წარმოდგენების განსხვავებულობას სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით. არ არის აუცილებელი, რომ დავა მთლიან სამართლებრივ ურთიერთობაზე ვრცელდებოდეს, საკმარისია, თუ ის მის ცალკეულ ელემენტებს (მაგ. ერთ ცალკეულ მოთხოვნას ან შესაგებელს) უკავშირდება. ასევე, უმნიშვნელოა არსებობს თუ არა სინამდვილეში ეს სამართლებრივი ურთიერთობა და საკმარისია, რომ ხელშეკრულების ერთი მხარე მაინც დარწმუნებული იყოს მის არსებობაში. გაურკვევლობა ეხება შემთხვევას, როდესაც არც ერთი მხარე არ არის დარწმუნებული არც თავისი და არც მეორე მხარის მოთხოვნის მართებულობაში. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დავის არსებობას უთანაბრდება მოთხოვნის განხორციელების საეჭვოობა. თუ მხარეთა შორის დავა ან გაურკვევლობა არ არის სახეზე ან არ ხდება ორმხრივი დათმობა, მაშინ უკვე თავისთავად აღარ გვაქვს საქმე 360-ე მუხლში ნახსენებ მორიგებასთან, არამედ სხვა ტიპის დავის მოგვარებასთან, თუმცა ამ მოგვარების შემთხვევაშიც, შესაძლებელია 360-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება, თუ შეთანხმებას მხარეთა შეცდომა უდევს საფუძვლად.

რაც შეეხება დავის აღმოფხვრას, მორიგების ხელშეკრულების მიზანია არსებული დავის, გაურკვევლობის ან დაურწმუნებლობის აღ-

⁵⁶ სუსგ №ას-1095-2019, 4 მარტი, 2021

მოფხვრა. თუმცა, არ არის აუცილებელი, რომ ის სრულებით აღმო-
იფხვრას, საკმარისია მისი ნაწილობრივი, ცალკეული პუნქტების ან
დროებითი მოგვარება. დავის, გაურკვევლობისა და დაურწმუნებ-
ლობის აღმოფხვრა უნდა მოხდეს ორმხრივი დათმობის გზით. ორივე
მხარემ უნდა დათმოს თავისი პოზიციის ნაწილი მაინც, თუმცა თანა-
ზომიერება გაღებულ მსხვერპლს შორის აუცილებელი არ არის. შე-
საძლებელია სადავო სამართლებრივი მოთხოვნის შენარჩუნების სა-
ნაცვლოდ, მოდავე მხარემ იკისროს შესრულებით ახალი ვალდებუ-
ლება. თუ მხოლოდ ერთი მხარე თმობს პოზიციებს და მეორე მხარი-
საგან სანაცვლოდ არაფერს იღებს, მაშინ სახეზე არ გვაქვს მორიგე-
ბა 360-ე მუხლის შესაბამისად და შესაძლებელია საქმე გვქონდეს ე.
ნ. დეკლარატორულ (კაუზალურ) ვალის აღიარებასთან, ვალის ნაწი-
ლობრივ პატიებასთან და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ მორიგება გარ-
კვეულწინადად, შეიცავს ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიერ ვალის აღი-
არების ელემენტებს, განსხვავებით 341-ე მუხლში დაფიქსირებული
აბსტრაქტული ვალის აღიარებისგან, მორიგებისას მხარე აღიარებს
სადავო ურთიერთობას (*ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალა-
ქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 360, 264, თბ, 2001*).

მორიგების ხელშეკრულება იდება ხელშეკრულების დადების ზოგა-
დი წესების შესაბამისად და ექვემდებარება გარიგების ნამდვილო-
ბის ზოგად წინაპირობებს. რაც შეეხება მორიგების არანამდვილო-
ბას, სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დავის გა-
დანყვეტისას, მოგვარება ძირითადად, ემყარება იმ გარემოებებს,
რომლებიც მხარეთა შორის სადავო არ არის. სწორედ ამ გარემოე-
ბებს ხდიან მხარეები ახალი ხელშეკრულების საფუძვლად. **თუ ეს
საფუძველი არასწორი აღმოჩნდება და დავა ან დაურწმუნებლო-
ბა არ წარმოიშობოდა, მხარეებს რომ საქმის ნამდვილი მდგომა-
რეობა სცოდნოდათ, მასზე დაფუძნებული სამართლებრივი ურ-
თიერთობა 360 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, არანამდვილია.
ამგვარად 360 I მუხლი წარმოადგენს 398 II მუხლის შესაბამისად,
გარიგების საფუძვლის დარღვევის სპეციალურ შემთხვევას.** თი-
თოეული მხარე კისრულობს იმ რისკს, რომ თავდაპირველ ურთიერ-
ობაში გათვალისწინებული სადავო გარემოებების სამართლებრი-
ვი შედეგები, რომლებიც მან მორიგების ფარგლებში განსხვავებუ-
ლად მოაწესრიგა, მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო. **მორიგების არა-
ნამდვილობის საფუძველს წარმოადგენს არა მხარეთა ნებისმიე-
რი საერთო შეცდომა, არამედ ხელშეკრულების არასწორ საფუძ-
ველზე დამყარება. თუ ერთ მხარეს არ ეშლება, დგება მოცუე-
ბის საკითხი (იხ.: გიორგი რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალა-**

ლაქო კოდექსის კომენტარი, მუხ. 360, <http://www.gccc.ge/>.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ სადავო შეთანხმებით არ მომხდარა ორმხრივი დათმობა. განხორციელდა ურთიერთვალდებულებების შედარება, მათი გაქვითვა და ერთი მხარის ვალდებულების ნაშთის (გაუქვითავი თანხის – ე. წ. სალდოს) კონსტატაცია და მისი გადახდის ვადის განსაზღვრა.

361-ე მუხლი

ერთ-ერთ საქმეში,⁵⁷ საკასაციო პალატა მიუთითა, რომ ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ისევე, როგორც კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში, საქართველოს შემთხვევაშიც, ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელ ნორმებს ძირითადად, დისპოზიციური ხასიათი აქვთ. ქართული სამოქალაქო კოდექსი შესრულებაზე ორიენტირებული აქტია. მისი როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი შესრულების მექანიზმებზეა აგებული. **მთავარია შესრულება და არა პასუხისმგებლობა.**

ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული სახის ვალდებულების შინაარსზე. ვალდებულების შესრულება ხორციელდება ვალდებულების მხარეების ნებელობითი მოქმედების შედეგად: მოვალე სთავაზობს შესრულებას, კრედიტორი ღებულობს შესრულებას. უარყოფითი შინაარსის მქონე ვალდებულებების არსებობა გამოიხატება გარკვეული მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებაში (მაგალითად, სამეზობლო თემნის ვალდებულებები და ა.შ.). ასეთი უმოქმედობაც ხორციელდება მოვალის ძალისხმევით. ამიტომაც იურიდიულ ლიტერატურაში ვალდებულების შესრულების აღმნიშვნელ ტერმინად ძირითადად, გამოიყენება ტერმინი – ქმედება.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზოგადად, სამოქალაქო უფლებების განხორციელება და დაცვა მჭიდროდ არის დაკავშირებული დროის ფაქტორთან. ვადა ანესრიგებს სამოქალაქო ბრუნვას, განაპირობებს ხელშეკრულებათა ჯეროვან შესრულებას. (სსკ-ის 361.2.) სამოქალაქო კანონმდებლობა დროის ფაქტორს უკავშირებს სამარ-

⁵⁷ სუსგ №ას-1166-2019, 6 აპრილი 2020.

თლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლასა და შეწყვეტას, ასევე, იმ მოქმედებათა შესრულებას, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ან ხელშეკრულებით. ვალდებულების დროულად შესრულება ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. ვალდებულების შესრულების დროდ ითვლება იმ მომენტის დადგომა, როდესაც ვალდებულება შესრულდეს.

ყველაზე მეტად გავრცელებულია ვალდებულების შესრულების გარიგებით (ხელშეკრულებით) განსაზღვრული ვადები. ამ შემთხვევაში შესრულების დროის შეთანხმება შეიძლება აშკარად გამოხატული ან დუმით ნაგულისხმევი იყოს. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების დრო შეიძლება იყოს როგორც აბსოლუტური, ისე რელატიური ბუნების. აბსოლუტურია ვადა, როდესაც ვადის გადაცილების შემდეგ შესრულება კარგავს ყოველგვარ ინტერესს.

თუ დადასტურდება, რომ კრედიტორი წინააღმდეგი არ ყოფილა შეთანხმებულის ნაცვლად მიეღო სხვა შესრულება, ამით ვალდებულება სრულად ან ნაწილობრივ (შესრულების ფარგლების გათვალისწინებით) წყდება.

ერთ-ერთ საქმეში,⁵⁸ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზოგადი წესის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს მხარეთა შეთანხმების განუხრელი დაცვით (სკ ის 361.2 მუხლი), თუმცა ეს წესი არ არის იმპერატიული და კანონი გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობას ითვალისწინებს. სსკ-ის 379-ე და 428-ე მუხლების შესაბამისად, მართალია, კრედიტორს სრული უფლება გააჩნია, უარი განაცხადოს სხვა შესრულების მიღებაზე, თუმცა, თუ დადასტურდება, რომ იგი წინააღმდეგი არ ყოფილა შეთანხმებულის ნაცვლად მიეღო სხვა შესრულება, ამით ვალდებულება სრულად ან ნაწილობრივ (შესრულების ფარგლების გათვალისწინებით) წყდება.

362-ე მუხლი

კონკრეტულ დავაში,⁵⁹ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე, ვალდებულების შესრულების ადგილს. ვალდებულება უნ-

⁵⁸ სუსგ №ას-1100-1036-2015, 15 იანვარი, 2016.

⁵⁹ სუსგ №ას-538-538-2018, 26 თებერვალი, 2021.

და შესრულდეს სათანადო ადგილას (*locus opportunus*). ვალდებულების შესრულების ადგილია ის ადგილი (სივრცეში მეტად თუ ნაკლებად განსაზღვრული პუნქტი), სადაც მოვალე ახორციელებს ვალდებულების შესასრულებელ ბოლო მოქმედებას. ეს ადგილი შეიძლება განსხვავდებოდეს იმ ადგილისაგან, სადაც შესრულების შედეგი დგება (შედეგის ადგილი). ამასთან, უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც „ვალდებულების შესრულების ადგილი“ და „შედეგის“ ადგილი ერთმანეთს ემთხვევა. ნაკლებ მნიშვნელოვანია, თუ სად განახორციელა მოვალემ შესრულებისათვის საჭირო მოსამზადებელი ქმედებები. საკასაციო პალატის განმარტებით, ზოგადი წესიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების ადგილთან მიმართებით, შესრულება უნდა შეესაბამებოდეს ვალდებულების შინაარსს და გამომდინარეობდეს იმ საფუძვლიდან, რომელმაც ვალდებულება წარმოშვა. ვალდებულების შესრულების ადგილი შეიძლება მრავალგვარი იყოს. კერძოდ, როგორცაა: ა) მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული შესრულების ადგილი; ბ) კანონით განსაზღვრული შესრულების ადგილი და სხვა. მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრა, თავის მხრივ, შეიძლება იყოს გარკვევით გამოხატული (პირდაპირი) ან ნაგულისხმევი (არაპირდაპირი). შესრულების ადგილის დასადგენად, მხედველობაში მიიღება ყველა არსებითი გარემოება, მათ შორის, სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვის ტრადიციები. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ვალდებულებათა სამართლებრივი მონესრიგებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა შინაარსისაა კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ინდივიდუალური ურთიერთობა. იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესრულების ადგილი მხარეთა მიერ არ არის განსაზღვრული, ეს ხარვეზი სწორდება კანონის დისპოზიციური ნორმებით: შესრულების ადგილი დამოკიდებულია მოვალის საქმიანობასა და ვალდებულების საგნის ხასიათზე. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, იმ შემთხვევაში, თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, სრულიად იზიარებს განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობებისა და პრაქტიკის მიღწევებს და, სსკ-ის 362-ე მუხლში მიუთითებს, რომ: ა) ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში მიწოდება უნდა მოხდეს იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა; ბ) გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში, მიწოდება უნდა მოხდეს იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო; თუ ასეთი არ არის, მაშინ მოვალის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

365-ე მუხლი

ერთ-ერთ საქმეში,⁶⁰ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იმ ვალდებულებებისათვის, რომელთა შესრულების დროც გამომდინარეობს გარემოებებიდან, მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს შესრულების შესახებ კრედიტორის მოთხოვნის დროითი ფარგლები. განუსაზღვრელი ხასიათის ვალდებულებებიდან გამომდინარე, ითვლება, რომ მოთხოვნა არის ღია ნებისმიერ დროს (*quod sine die debetur, statim debetur*). ვალდებულება თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება გულისხმობდეს მის შესრულებას მოთხოვნისას. ეს ითვალისწინებს კრედიტორის მიერ მოვალისადმი მოთხოვნის წაყენების აუცილებლობას. შესაბამისად, მოსარჩელეს უფლება გააჩნდა, მოეთხოვა სადავო ვალდებულების შესრულება.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მიზანი არის ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების მიღება მხარეების მიერ. ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს.

ვალდებულების დროულად შესრულება ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. ვალდებულების შესრულების დროდ ითვლება იმ მომენტის დადგომა, როდესაც ვალდებულება შესრულდეს.

ასევე, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ შესრულების მოთხოვნის მომენტს წარმოადგენს დრო, რომლის დადგომის შემდეგაც კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება. ვალდებულების შესრულების პროცესში გამოიყენება აგრეთვე, ნავარაუდევი (გარემოებებიდან გამომდინარე) ვადები. ნავარაუდევი ვადა უმეტესწილად, ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარეობს. ვალდებულება თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება გულისხმობდეს მის შესრულებას მოთხოვნისას. ეს ითვალისწინებს კრედიტორის მიერ მოვალისადმი მოთხოვნის წაყენების აუცილებლობას.

საკასაციო პალატის განმარტებით, სსკ-ის 365-ე მუხლში მითითებულ „სხვა გარემოებებში“ ნაგულისხმევი ვადები შეიძლება მიჩნეული იყოს ნავარაუდევ ვადებად. ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი (ნავარაუდევი) ვადები დამოკიდებულია ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სავარაუდო განზრახვაზე ან ვალდებულებითი ურთიერთო-

⁶⁰ სუსგ №ას-1211-2020, 3 თებერვალი, 2021.

ბის ხასიათზე. ზოგ შემთხვევაში ეს განზრახვა გამომდინარეობს თვით ხელშეკრულების ტექსტიდან ან სხვა გარემოებებიდან. არის შემთხვევები, როდესაც ასეთი ვადა გამომდინარეობს თავად ვალდებულებითი ურთიერთობის ხასიათიდან. ზოგადად, ტერმინი „ნავარაუდევია ვადა“ შეიძლება სხვა მნიშვნელობითაც გამოიყენებოდეს და სულაც არ აღნიშნავდეს ისეთ ვადას, რომლის სათავეც მხოლოდ მხარეთა ნებაში უნდა ვეძიოთ. ფართო გაგებით, ეს არის თუნდაც კანონმდებლობიდან გამომდინარე ვადა.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევისათვის, როცა ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოვალის მიმართ ვალდებულების შესრულების შესახებ კრედიტორის მოთხოვნის ფორმას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს ზოგადად, ხელშეკრულების ფორმის თავისუფლების პრინციპს.

სსკ-ის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოვალისაგან ვალდებულების ნებისმიერ დროს შესრულება კრედიტორმა შეიძლება მოითხოვოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. სამართლებრივი ბუნებით ვალდებულების შესრულების მოთხოვნა არის ცალმხრივი ნების გამოვლენა.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან (მხარეთა შორის შეთანხმებასა და შედარების აქტში) ვალდებულების შესრულების კონკრეტული თარიღი მითითებული არ არის, ამიტომ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეეძლო, მოეთხოვა მოვალისაგან ვალდებულების შესრულება. (სსკ-ის 365-ე მუხლი). ასეთ დროს, უფლების დარღვევის შესახებ კრედიტორი შეიტყობს მხოლოდ მაშინ, როცა იგი მოითხოვს ვალდებულების შესრულებას, ხოლო მოვალე უარს იტყვის შესრულებაზე **(№ას-444-419-2011, 05 სექტემბერი, 2012).**

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „ნებისმიერი ვადა, იქნება ეს ზუსტად განსაზღვრული თუ ნავარაუდევია, უნდა იყოს გონივრული. გონივრული ვადა ნარმოადგენს შეფასებით კატეგორიას. ყველა შემთხვევაში, მისი ფარგლები მოიაზრება შესრულების თავისებურებებით. გონივრულია ისეთი ვადა, რომელიც ასეთად შეიძლება ჩათვლილიყო, როგორც კანონის ობიექტური ნების, ისე მხარეთა ნების გამოვლენის საფუძველზე. შეიძლება იგი გამომდინარეობდეს სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციებიდანაც. მოპასუხეს არ წარმოუდგენია ობიექტური და დამაჯერებელი მტკიცებულებები,

რომლებიც დაადასტურებდა ნასყიდობის საგნის (პროდუქციის) არა-უფლებამოსილი პირების მიერ მიღებას. დადასტურებულად იქნა მიჩნეული მყიდველის მიერ ნასყიდობის საგნების მიღება და ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება. ასეთ ვითარებაში, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებით, მიღება-ჩაბარების აქტებით არ დასტურდება მყიდველის მიერ ნასყიდობის ფასის საგნის გადაცემამდე გადახდის ფაქტი, ნასყიდობის საგნის საფასურის გადახდის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს – მყიდველ მხარეს ეკისრება. მყიდველის მიერ კი არ არის წარმოდგენილი ვალდებულების შესრულების (ნასყიდობის ფასის გადახდის) დამადასტურებელი მტკიცებულება (სსსკ 102-ე მუხლი).“ *(№ას-515-515-2018, 06 ივლისი, 2018).*

შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა სადავო დავალიანების დაფარვა მოპასუხისაგან და აღნიშნა, რომ კასატორმა სადავოდ გახადა რა, ვალდებულების შესრულების ვადის დადგომა მოსარჩელის პოზიციიდან გამომდინარე, არ მიუთითებია და არ დაუსაბუთებია, თავად როდის მიაჩნდა თანხის გადახდის მოთხოვნის წარდგენა მართლზომიერად.

369-ე მუხლი

სხვა დავაში, საკასაციო პალატამ აღნიშნა,⁶¹ რომ სსკ-ის 369-ე მუხლი ადგენს შემხვედრი ვალდებულების შესრულების ზოგად წესს. ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 9:201-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ მხარეს, რომელმაც უნდა შეასრულოს ვალდებულება მეორე მხარესთან ერთდროულად ან მის მიერ ვალდებულების შესრულების შემდეგ, უფლება აქვს შესრულება შეაჩეროს, ვიდრე მეორე მხარე არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ან არ შესთავაზებს შესრულებას.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ორმხრივ ხელშეკრულებებში შესასრულებელი ვალდებულებების ობიექტები ერთმანეთთან გარკვეულ ურთიერთკავშირში იმყოფებიან, რამეთუ ასეთი ხელშეკრულებების ეკონომიკური არსი მდგომარეობს მატერიალური სიკეთეების გაცვლაში. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ურთიერთკავშირს გამყიდველის შესრულების ნაწილსა (საქონლის გადაცემა) და

⁶¹ სუსგ №ას-1344-2018, 5 აპრილი, 2019.

მყიდველის შესრულების ნაწილს (ფასის გადახდა) შორის. ფართო გაგებით, ქონება ფულისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს გაცვლის საყოველთაო საშუალებას. ქონების რეალიზაციისათვის საჭიროა მყიდველის მოძებნა. გამყიდველი კონკურენციის კანონების ძალით დაინტერესებულია იმით, რომ გაყიდოს თავისი საქონელი, ამიტომაც გამართლებულია, რომ მას დაეკისროს ორმხრივი ვალდებულების შესასრულებლად პირველი ნაბიჯის გადადგმა ანუ მყიდველისათვის ქონების (საქონლის) გადაცემა.

371-ე მუხლი

ერთ-ერთ საქმეში,⁶² საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ვალდებულების შესრულების სუბიექტები არიან ის პირები, რომლებიც ასრულებენ ვალდებულებას ან იღებენ შესრულებას. ვალდებულების შესრულების სუბიექტები შეიძლება არ დაემთხვეს ვალდებულების სუბიექტებს. ვალდებულების სუბიექტები ყოველთვის არიან კრედიტორი და მოვალე, ვალდებულება კი მოვალის ნაცვლად, შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა და შესრულება მიიღოს არა კრედიტორმა, არამედ სხვამ. როგორც ნესი, მოვალე თვითონ (პირადად) ასრულებს ვალდებულებას, მაგრამ კრედიტორს შეიძლება შესრულება შესთავაზოს სხვა, მესამე პირმაც, რომელიც არ არის ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილე. ზოგჯერ კრედიტორისათვის სულერთია, თუ ვინ შეუსრულებს მას, ვალდებულებას – მოვალე თუ მესამე პირი. მისთვის მთავარია მიიღოს შესაბამისი დაკმაყოფილება (მაგ., დაუბრუნდეს ვალი). თუმცა, კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ე.წ. პირდაპირი კავშირი (*vinculum iuris*) არ ქრება საბოლოოდ და ცხადია, რომ რალაც დოზით მუდამ იარსებებს. **(პ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-3, მუხლი 371, თბ., 2001, 303;)**

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 371-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების სამართლებრივი ინსტიტუტი მოიცავს სამი სახის სამართალურთიერთობას. პირველ ჯგუფში შედის მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შემთხვევები; მეორე ჯგუფში შედის მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება ნებაყოფლობით; მესამე ჯგუფში შედის მესამე პი-

⁶² სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019.

რის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების შემთხვევები, ნორმატიული აქტების ძალით.

მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად კრედიტორისათვის ვალდებულების შესრულება ხდება როგორც წესი, მოვალესა და მესამე პირს შორის შეთანხმებით. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ასეთი შეთანხმებისათვის კრედიტორის თანხმობა საჭირო არ არის.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო ბრუნვაში მოვალის მიერ მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება კრედიტორისათვის, შეიძლება ცნობილი გახდეს სხვადასხვაგვარი ფორმით. ხშირად მესამე პირი შესაბამის დოკუმენტებში (გადახდის ქვითარი, საგადასახადო დავალება, ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ.) მიუთითებს, რომ შესრულება ხდება მოვალის ნაცვლად. ზოგჯერ, მესამე პირი ან თვითონ მოვალე წერილობით აცხობინებს კრედიტორს მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შესახებ. დავის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, თუკი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შემთხვევაში, კრედიტორს გაუგზავნიან წერილობით შეტყობინებას.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ვალდებულების შესრულებაში კრედიტორის დაინტერესების პრეზუმფციიდან გამომდინარე, გამოყოფენ მესამე პირის მიერ მოვალის თანხმობის არსებობის ან არარსებობის შესაბამისად, ვალდებულების შესრულების შესაძლებლობის სამ კონცეფციას: 1. პროკრედიტორული; 2. პრომოვალური; 3. მაბალანსირებელი.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება მოვალის ნაცვლად, მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების ინსტიტუტის გამიჯვნას სამოქალაქო სამართლის ისეთი ინსტიტუტისაგან, როგორიცაა ვალის გადაკისრება (სსკ-ის 203-ე მუხლი). ვალის გადაკისრება წარმოადგენს სანივთოსამართლებრივ გარიგებას, რომელიც აბსოლუტურად ცვლის სამართლებრივი ურთიერთობის თავდაპირველ სუბიექტებს. გარდა ამისა, ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუ თავდები ან დამგირავებელი თანხმობას არ განაცხადებენ ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულებისას, უზრუნველყოფის საშუალებები ძალას არ კარგავენ და ისინი წარმო-

ადგენენ მოვალის მიმართ მესამე პირის მოთხოვნის უფლების დაცვის რეალურ გარანტიებს. *(ზ. ჭეჭელაშვილი, სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008, 143).*

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შედეგად წარმოშობილი სამართალურთიერთობის თითოეულ მონაწილეს გააჩნია შესაბამისი უფლებები და მოვალეობები. ეკონომიკური თვალსაზრისით, კრედიტორისათვის სულერთია, თუ ვინ შესრულებს მოვალის ვალდებულებას (გადასცემს ნივთს, გადაიხდის საფასურს, ქირას, გასამრჯელოს, ვალს და ა.შ.). კრედიტორის უარი შესრულების მიღებაზე მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ვალდებულების შესრულებას ახდენს არა მოვალე, არამედ მესამე პირი, ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპებს. ამიტომაც, ვალდებულებითი სამართლის ნორმები ავალდებულებს კრედიტორს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მიიღოს მოვალის ნაცვლად, მესამე პირისგან შეთავაზებული ვალდებულების შესრულება. მესამე პირის მიმართ მოვალის ვალდებულებები განისაზღვრება მასსა და მესამე პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობით *(გ. ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 211).*

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალესა და მესამე პირს შორის არ არის რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა ანდა იგი ბათილად იქნა ცნობილი, თუმცა კი მესამე პირმა უკვე განახორციელა მოვალის ნაცვლად კრედიტორის მიმართ შესრულება, მესამე პირს აღარ აქვს კრედიტორისგან შესრულების უკან გამოთხოვის უფლება სსკ-ის 976 II „გ“ მუხლის თანახმად. მესამე პირს შეუძლია მხოლოდ წარადგინოს მოვალის მიმართ მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე *(სუსგ №ას-1298-2018, 22 მარტი, 2019)*. საბოლოოდ, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის შეთანხმებიდან არ გამომდინარეობს სსკ-ის 371-ე მუხლის დანაწესის გამოყენების შესაძლებლობა, რადგან არ მომხდარა მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულება.

სხვა დავაში,⁶³ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხეს (მყიდველს) გამყიდველი კომპანიისათვის უნდა გადაეხადა ავტომანქანის ნასყიდობის საფასური. დადგენილია ისიც, რომ მყიდ-

⁶³ სუსგ №ას-1298-2018, 22 მარტი, 2019.

ველის ვალდებულება გამყიდველის წინაშე შეასრულა მესამე პირმა (მოსარჩელემ). ეს შესრულება კი, სრულად შეესაბამება სსკ-ის 371-ე მუხლის დანაწესს, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არც კანონიდან და ხელშეკრულებიდან და არც ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალეს (მოპასუხეს) პირადად უნდა შეესრულებინა ვალდებულება.

იმ შემთხვევაშიც, თუ მესამე პირი ვალდებულების შესრულებისას შეცდომით ფიქრობდა, რომ ასრულებდა თავის ვალდებულებას, თუმცა კი, შეასრულა სხვა პირის ვალდებულება, ასეთ შემთხვევაშიც ვალდებულება არ წყდება და მესამე პირს შეუძლია მოვალეს წაუყენოს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნა.

საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ დავა უნდა გადაწყდეს უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმებით, თუმცა მიიჩნია, რომ მოპასუხის მიმართ (გადახდილი თანხის დაბრუნება) **მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია არა სსკ-ის 976-ე და 978-ე მუხლები, არამედ სსკ-ის 371-ე, 976-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სსკ-ის 986-ე მუხლი.**

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არსებობს **სსკ-ის 986-ე მუხლის დანაწესის გამოყენების წინაპირობები** კერძოდ, მოსარჩელემ შეგნებულად გაისტუმრა მოპასუხის ვალი (შეასრულა ფულადი ვალდებულება), რითაც ეს უკანასკნელი მოსარჩელის ხარჯზე გამდიდრდა (დაზოგა საკუთარი ქონება), შესაბამისად, მოსარჩელემ განიცადა ქონებრივი დანაკლისი. ამასთან, სამართლებრივმა სიკეთემ მოსარჩელისაგან (კრედიტორიდან) მოპასუხესთან (მოვალესთან) უსაფუძვლოდ გადაინაცვლა.

387-ე მუხლი

ერთ-ერთ საქმეში,⁶⁴ საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია კასატორის არგუმენტი, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 387-ე მუხლით გათვალისწინებული ფულადი ვალდებულებების დაფარვის რიგითობის წესი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული ნორმის პირველი ნაწილის დანაწესი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც მოვალეს

⁶⁴ სუსგ №აბ-1232-1155-2015, 27 იანვარი, 2016.

კრედიტორის მიმართ გააჩნია რამდენიმე დამოუკიდებელი ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში კი, საუბარია არა რამდენიმე ვალდებულების შესრულებაზე, არამედ ერთი ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, დამატებით წარმოშობილი პირგასამტეხლოს გადახდის მოვალეობის შესრულებაზე.

რაც შეეხება ერთ-ერთი მოპასუხის მიერ შეტანილი თანხის მეშვეობით ძირითადი თუ დამატებითი ვალდებულების დაფარვის რიგითობასა და წესს, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებით, სავსებით სწორად დარჩა უცვლელად საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილების დებულება, რომ მხარეთა შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, მსესხებლის მიერ საკრედიტო ვალდებულებების დასაფარავად შემოტანილი ან ჩარიცხული თანხიდან პირველ ყოვლისა, იფარება დარიცხული ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ – კრედიტზე დარიცხული პროცენტი, ბოლოს კი – კრედიტის ძირითადი თანხა. შესაბამისად, მოპასუხის მიერ გადახდილი 2800 აშშ დოლარი მართებულად გამოაკლდა არა კრედიტის ძირ თანხას, არამედ მოსარჩელის მიერ მოთხოვილ ჯარიმას.

388-ე მუხლი

სსკ-ის 388-ე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგება დისპოზიციურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია, ძირითადი და დამატებითი ვალდებულებების შესრულების რიგითობისათვის კანონით გათვალისწინებული მოწესრიგებისაგან განსხვავებული წესის დადგენა.

ერთ-ერთ საქმეში,⁶⁵ საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 388-ე მუხლით განმარტა, რომ ნორმით გათვალისწინებული მოწესრიგება დისპოზიციურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია, ძირითადი და დამატებითი ვალდებულებების შესრულების რიგითობისათვის კანონით გათვალისწინებული მოწესრიგებისაგან განსხვავებული წესის დადგენა. მხარეთა უფლება, შეთანხმდნენ ვალდებულებათა შესრულების რიგითობაზე, ვრცელდება მხოლოდ საალსრულებო წარმოების დაწყებამდე.

⁶⁵ სუსგ №ას-6-6-2018, 23 თებერვალი, 2018.

389-ე მუხლი

სსკ-ის 389-ე მუხლი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას. ასევე, ვალუტის შეცვლას და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციას.

ერთ-ერთ საქმეში,⁶⁶ საკასაციო პალატამ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა და დასკვნები სსკ-ის 389-ე მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით. ამ ნორმის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას. ასევე, ვალუტის შეცვლას და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციას. ვინაიდან, ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის მიმართ ზემოთ მითითებულ პროცესებს არ ჰქონია ადგილი, ფულადი ვალდებულებების შესრულების დროს დაუშვებელია სსკ-ის 389-ე მუხლის გამოყენება. ამ მუხლის გამოყენება დაუშვებელია ასევე, ფულის კურსის ნორმალური გაუარესების დროსაც, რადგანაც აღნიშნული პროცესი ყველა ქვეყანაში აღინიშნება. შესაბამისად, ნორმის ფუნქციური დანიშნულება მდგომარეობს შემდეგში: იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ფულის ნომინალს ცვლის ან კიდევ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ჰიპერინფლაციას (ძალიან მაღალი ინფლაცია, რომელიც ხშირად განისაზღვრება, როგორც ინფლაცია, რომლის ყოველთვიური დონე, დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში აღემატება 50 პროცენტს.) თუ სახელმწიფოს მიერ ნომინალის შეცვლას ან ჰიპერინფლაციას არ ექნება ადგილი, 389-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია (*სუსგ №ას-130-122-2017, 24.03.2017*).

389-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი აწესრიგებს ისეთ სამართალურთიერთობას, როდესაც სახეზეა ფულადი ვალდებულება, რა დროსაც, ფულადი ვალდებულების ოდენობა განსაზღვრულია, თუმცა, ვალდებულების წარმოშობის დღიდან ვალდებულების შესრულების დღემდე, ვალუტის კურსი ან ფულის ერთეული შეიცვალა.

გამყიდველსა და მყიდველს (მოპასუხე) შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებს უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელ ზოგად ნორმებთან მიმართებით, ვინაიდან ხელშეკრულება მხარეთა თავი-

⁶⁶ სუსგ №ას-54-54-2018, 13 თებერვალი, 2018.

სუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებას წარმოადგენს და მას ურთიერთობის სამართლებრივ მონესრიგებაში უპირატესი ძალა გააჩნია (სსკ-ის 319-ე, 383-ე, 427-ე, მუხლები).

თუ ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დღე და ვალდებულების ფაქტობრივად შესრულების დღე ერთმანეთს არ ემთხვევა (ვადაგადაცილებისას), კონტრაგენტს კურსთაშორის სხვაობის სახით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს.

ერთ-ერთ დავაში,⁶⁷ სადაც მოსარჩელე (მესამე პირი) ითხოვდა მოპასუხისათვის (მოვალე) მის მიერ ეროვნულ ვალუტაში შესრულებული ფულადი ვალდებულების, გაცვლითი კურსის შესაბამისად, უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში არსებული ოდენობით დაკისრებას, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ფულადია ისეთი ვალდებულება, რომლის ობიექტია განსაზღვრული ოდენობის ფულადი თანხის გადახდა.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 383-ე მუხლის თანახმად, ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, თუ კანონით ეს აკრძალული არ არის. ვალუტა არის ამა თუ იმ ქვეყნის ფულადი ერთეული, რომელიც საფუძვლად უდევს ქვეყნის ფულად სისტემას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოვალე ვალდებულია ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ფულადი ვალდებულების შესრულების ამ პრინციპს „ნომინალიზმის“ პრინციპი ეწოდება და იგი აღიარებულია ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკით.

ფულადი ვალდებულება შესრულებულად ითვლება ფულადი ერთეულის ნომინალების ოდენობის დაფარვით და არა ამ უკანასკნელთა მსყიდველუნარიანობის საფუძველზე, რაც როგორც წესი, დროში ცვალებადი კატეგორიაა.

ფულადი ვალდებულების საგანს წარმოადგენს ფულადი ნიშნების

⁶⁷ სუსგ №ას-1298-2018, 22 მარტი, 2019, ასევე, ანალოგიურ საკითხზე იხ.: №ას-870-1138-05; №ას-1512-1427-2012; №ას-762-730-2016, 16 იანვარი, 2017, №ას-130-122-2017, 24 მარტი, 2017, №ას-1298-2018, 22.03.19, №ას-1162-2018, 8 თებერვალი, 2019, №ას-1328-2019, 18 სექტემბერი, 2020, №ას-367-2019, 19 მაისი, 2021.

გარკვეული ოდენობა, შესაბამისად, ფულის მსყიდველობითუნარიანობის ცვალებადობა არ ცვლის ვალის თანხას და არ წარმოადგენს გადასახდელი თანხის გადაფასების საფუძველს. ვალდებულება ნაკისრ თანხაში უნდა დაიფაროს, ვინაიდან ფულადი ვალდებულების საგანს წარმოადგენს ფულადი ნიშნების გარკვეული თანხა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 389-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი აწესრიგებს ისეთ სამართალურიერთობას, როდესაც სახეზეა ფულადი ვალდებულება, რა დროსაც, ფულადი ვალდებულების ოდენობა განსაზღვრულია, თუმცა, ვალდებულების წარმოშობის დღიდან ვალდებულების შესრულების დღემდე, ვალუტის კურსი ან ფულის ერთეული შეიცვალა.

ნომინალიზმის პრინციპი გამოიყენება სწორედ ვალის ვალუტის მიმართ, ხოლო გადახდის ვალუტის ღირებულების შეცვლა კი, არანაირ გავლენას არ ახდენს ვალდებულების ეკონომიკურ შინაარსზე.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „ნომინალიზმის პრინციპი“ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო ბრუნვაში საჯარო წესრიგის გამოხატულებად. თუ მხარეები ითვალისწინებენ ფულის კურსის შესაძლო ცვლილებებს, მათ შეუძლიათ სხვადასხვა დათქმით თავი დაიზღვიონ უარყოფითი შედეგებისაგან. თუ ამას არ ექნება ადგილი, ნომინალიზმი სამართლის ობიექტური ნებით, სავარაუდო პირობა იქნება და, შესაბამისად, მხარეებიც თავიანთ თავზე აიღებენ მისგან მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების რისკსაც.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 389-ე მუხლის დანაწესი სსკ-ის 398-ე მუხლთან მიმართებით ძირითადად, უნდა ჩაითვალოს საგამონაკლისო ნორმად, ვინაიდან იგი აწესრიგებს უშუალოდ ფულის ერთეულის (კურსის) შეცვლის შემთხვევაში განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს. სსკ-ის 398-ე მუხლის გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა კი, ხელშეკრულების დადების შემდეგ გარემოებათა ისეთი აშკარა ცვლილებაა, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში შეუძლებელია სავარაუდო იყოს ხელშეკრულების დადებისადმი მხარეების (ან ერთ-ერთი მათგანის) დაინტერესება. გარემოების ცვლილება იმდენად უნდა ამძიმებდეს ერთ-ერთი მხარის მდგომარეობას, რომ მისგან ხელშეკრულების უპირობო შესრულების მოთხოვნა არათანაზომიერად უნდა ხელყოფდეს მის ინტერესებს. შესაბამისად, თუ განხილული წინაპირობები სახეზეა ფულის ერთეულის, მისი კურსისა თუ ვალუტის ცვლილების სა-

ხით, ასეთ შემთხვევაში, სსკ-ის 398-ე მუხლის დანაწესს შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნომინალიზმის პრინციპთან მიმართებით, რათა დაცული იყოს ორივე ნორმის მიზანი. ფულის კურსის ნორმალური ცვლილება არ ხვდება ამ ნორმის მოქმედების სფეროში და იგი მხარეთა რისკის სფეროს მიეკუთვნება.

თუ მხარეები სახელშეკრულებო დათქმით გაითვალისწინებენ ფულის კურსის (მსყიდველობითუნარიანობის) შესაძლო ცვლილებებს, ისინი შეძლებენ თავიდან აიცილონ ამ გარემოების შედეგად წარმოშობილი უსიამოვნება. შესაბამისად, ხელშეკრულებაში გაკეთებული სხვადასხვა სახის დათქმები წარმოადგენს ერთგვარი დაზღვევის საშუალებას უარყოფითი შედეგების რისკისაგან, ხოლო ასეთი დათქმების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, თავისთავად იმოქმედებს „ნომინალიზმის პრინციპი.“ „ნომინალიზმის პრინციპი“ შეიძლება შეფასდეს, როგორც ეკონომიკური გაგებით ფულის გადაფასების დაუშვებლობის წესის ნორმატიული საფუძველი. ეკონომიკური ფაქტორებით განპირობებული რყევები არ ცვლის ფულის ფუნქციურ დანიშნულებასა და ნომინალურ ღირებულებაში დაფიქსირებული ვალდებულების მოცულობას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 389-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას. ასევე, ვალუტის შეცვლას და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციას. ვინაიდან, ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის მიმართ ზემოთ მითითებულ პროცესებს არ ჰქონია ადგილი, ფულადი ვალდებულებების შესრულების დროს დაუშვებელია სსკ-ის 389-ე მუხლის გამოყენება.

394-ე მუხლი

საკასაციო პალატამ განმარტა,⁶⁸ რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის, ზიანის ანაზღაურების დაკისრების ცენტრალურ და უზოგადეს ნორმას წარმოადგენს სსკ-ის 394.1 მუხლი, რომელიც კრედიტორს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვე-

⁶⁸ სუსგ №ას-934-2020, 25 მარტი, 2021.

ვის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს *(ვაშაკიძე გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, მუხლი 394-ე, ველი 2, თბილისი, 2019)*. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული დანაწესის გამოყენების წინაპირობებია: 1. ზიანი; 2. ქმედების მართლწინააღმდეგობა; 3. მიზეზობრივი კავშირი 4. ბრალი. ზიანის ანაზღაურება შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, მაგალითად: პროცენტის გადახდა (403-ე მუხლი), პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (408.1 მუხლი), მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება (411-ე მუხლი) და ა.შ. *(სუსგ-ები: №ას-915-855-2017, 14.09.2017, №ას-681-652-2016, 17.02.2017)*.

396-ე მუხლი

სასამართლომ დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ პირველ მოპასუხეს-კომპანიას დააკისრა სსკ-ის 992-ე, 326-ე და 396-ე მუხლების საფუძველზე.

საქმის მასალების მიხედვით,⁶⁹ მოპასუხეები (კომპანია და მისი თანამშრომელი) ახორციელებდნენ გაზის მრიცხველების გარეთ გატანის სამუშაოებს. მოსარჩელის ბინაში სამუშაოების განხორციელებისას, მოხდა გამოუონილი და დაგროვებული ბუნებრივი აირის აფეთქება, რამაც გამოიწვია სარჩელის აღძვრა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. პირველ მოპასუხეს გადასახდელად დაეკისრა – 5026 ლარი მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, 4000 ლარი – მორალური ზიანი, ყოველთვიური სარჩოს სახით – 250 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. მასვე დაეკისრა ყურსასმენი აპარატის შეძენისათვის განეული ხარჯი – 500 ლარი.

მეორე მოპასუხე, რომელიც პირველი მოპასუხესთან არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოებს, არ იყო ანგარიშვალდებული მოსარჩელის წინაშე. მისი ვალდებულება შემოიფარგლებოდა მხოლოდ პირველი მოპასუხის მიმართ.

სასამართლომ ზიანის ანაზღაურების საფუძველად მიუთითა სსკ-ის 992-ე მუხლი და დაადგინა, რომ სახეზეა დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველები. ამასთან, გადანყვეტილების მიღებისას, გამოიყენა სსკ-ის 326-ე და 396-ე მუხლები. სასამართლომ აღნიშნა, რომ

⁶⁹ სუსგ №ას-660-660-2018, 10 ივლისი, 2018.

სსკ-ის 326-ე მუხლი, რომელიც მითითებითი სახის ნორმაა, ადგენს სახელშეკრულებო ვალდებულების მარეგულირებელი წესების გამოყენების შესაძლებლობას სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუ ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. სსკ-ის 396-ე მუხლის მიხედვით კი, მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს. 992-ე მუხლით კი, დადგენილია დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი.

ერთ-ერთი საქმის⁷⁰ ფაბულის მიხედვით, ექსპედიტორმა სათანადოდ არ შეასრულა დაკისრებული ვალდებულება, სახელდობრ, გადამზიდველი კომპანიის შერჩევისას მან, სულ მცირე, მარტივი გაუფრთხილებლობა დაუშვა, რადგან კომპანიის საქმიანობა კრიტიკულად არ შეისწავლა და ისეთ პირს დაავალა ტვირთის მიღება და გადაზიდვა, რომლის რეპუტაცია საეჭვო იყო (გადამზიდველი უკრაინის საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდველთა ასოციაციის წევრი არ იყო და არც სატრანსპორტო საშუალებები ერიცხებოდა). მოცემულ შემთხვევაში, ტვირთი გადამზიდველისთვის გადაცემის შემდეგ დაიკარგა. საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 740-ე და 396-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნია, რომ ექსპედიტორი მის მიერ შერჩეული დამხმარე პირის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის ისეთივე მოცულობით აგებს პასუხს, როგორც საკუთარი მოქმედების დროს.

398-ე მუხლი

ვინაიდან კრედიტორი არ დაეთანხმა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შეთავაზებას, მოვალემ შეწყვიტა ხელშეკრულება.

კონკრეტული საქმის მასალების მიხედვით,⁷¹ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით მოპასუხემ აიღო ვალდებულება, მესაკუთრის სახლის დემონტაჟისა და ახალი საცხოვრებელი სახლის აშენების შემდეგ, მოსარჩელისათვის ამავე მისამართზე შესაბამისი საც-

⁷⁰ სუსგ №ას-1626-2019, 17 ივნისი, 2020.

⁷¹ სუსგ №ას-793-742-2017, 17 იანვარი, 2018.

ხოვრებელ ფართი გადაეცა. ხელშეკრულებით მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, ახალი სახლის აშენებამდე მოსარჩელისათვის ყოველთვიურად გადაეხადა ბინის ქირა. სასარჩელო მოთხოვნას სწორედ, ბინის ქირის ანაზღაურება წარმოადგენდა.

მშენებლობის პროცესში მოპასუხემ დაადგინა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 59 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის მშენებლობა შეუძლებელი იყო, ვინაიდან, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მოსარჩელის საკუთრებაში იყო მხოლოდ 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ამასთან, ვალდებულების შესრულებას ხელს უშლიდა მიწის ნაკვეთზე არსებული ფიზიკური გარემოებები, განაშენიანების ნორმები და მეზობელ შენობათა მესაკუთრეების პოზიციაც.

მოპასუხემ წერილობით განუმარტა მოსარჩელეს, რომ ზემოხსენებულმა ფაქტებმა შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების აუცილებლობა წარმოშვა და ცვლილებების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ხელშეკრულების შესრულება. ამასთან, მოსარჩელეს მიეცა ვადა თავისი წერილობითი პოზიციისა და ალტერნატიული გამოსავლის წარსადგენად. მოსარჩელემ უარი განაცხადა მოპასუხის ყველა შეთავაზებაზე, შედეგად, წერილობითი შეტყობინების შემდეგ მოპასუხემ ცალმხრივად, ნაწილობრივ შეწყვიტა ხელშეკრულება. კერძოდ, მან უარი განაცხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბინის ქირის გადახდაზე. ქვემდგომმა სასამართლოებმა მოსარჩელის მოთხოვნა უარყვეს, რასაც დაეთანხმა უზენაესი სასამართლო. სარჩელის უარყოფას საფუძვლად დაედო სსკ-ის 316.1. და 398-ე მუხლები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შექმნილ ვითარებაში, მოპასუხემ, რომელიც სსკ-ის 316.1-ე მუხლით სამართლებრივად იბოჭება, მესაკუთრეს (კრედიტორს) დაუპირისპირა ის შესაგებელი, რისი უფლებაც მას სსკ-ის 398-ე მუხლიდან გამომდინარე გააჩნდა და ხელშეკრულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებასაც ანიჭებს (*სუსგ №ას-758-709-2017, 21.09.2017*). ამასთან, კრედიტორს აღარ აქვს უფლება, ხელშეკრულებით ნაკისრი უწინდელი პირობებით მოითხოვოს მოვალისაგან (მოპასუხისაგან) ვალდებულების შესრულება – ქირის გადახდა, რადგან ხელშეკრულების დადების დროს თავად კრედიტორმა მცდარი ინფორმაცია მიანოდა საკუთრების უფლების შესახებ მოპასუხეს, ხოლო შემდეგ არ დაეთანხმა ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი, რაც პრაქტიკულად, ხელშეკრულების დადების შემდეგ გახდა ცნობილი მოპასუხისათვის და არც ალტერნატიული გადაწყვეტის გზის მოძიებას დაეთანხმა.

სხვა საქმეში,⁷² საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების მხარეები მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების პირობებს არ არღვევენ, იძულებულნი ხდებიან, ობიექტური ვითარების გამო, უარი თქვან ხელშეკრულებაზე. ვალდებულების შესრულების პროცესში მხარეები შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთ გარემოებათა წინაშე, რომელთაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინონ ვალდებულების სავალდებულო ხასიათზე. მხარეთა მიერ წინასწარ გათვლილი უცვლელი გარემოებანი, შესაძლებელია, რომ ცვალებადი აღმოჩნდეს. ეს ისეთი გარემოებებია, რომლებიც არსებითად ცვლიან სახელშეკრულებო წონასწორობას და მხარეთა ურთიერთმხრივ შესრულებათა არსებით დისბალანსს იწვევენ. შეცვლილი გარემოებებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გარემოებაა ფასების ზრდა და ფულის ინფლაცია.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი სსკ-ის 398-ე, 399-ე, 581-ე მუხლებია. მეიჯარემ ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება იმ ფაქტის გათვალისწინებით მოითხოვა, რომ ეროვნული კურსის ცვლილებამ საიჯარო ქირის ცვლილების აუცილებლობა განაპირობა, რაც მოსარჩელეს დიდ ზიანს აყენებდა. მეიჯარის ამგვარი მოთხოვნა სსკ-ის 398.1. მუხლის დანაწესს შეესაბამება, თუმცა, ვინაიდან მოიჯარემ უარი განაცხადა ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგებაზე, საზოგადოებას წარმოეშვა სსკ-ის 398.3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.

ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში,⁷³ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შემთხვევაში, სსკ-ის 631 ე მუხლის მეორე ნაწილთან მიმართებაში შესაძლებელია დადგეს სსკ-ის 398-ე მუხლით გათვალისწინებული – ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი – გამოყენების საჭიროება.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება შესრულების გართულების სამართლებრივ შედეგად განიხილება. ხელშეკრულების ადაპტაცია ჩვეულებრივ, გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში გამოიყენება შეცვლილი გარემოებების გავლენით, მხარეთა ეკონომიკურ ინტერესებს შორის წონასწორობის რღვე-

⁷² სუსგ №ას-1475-1395-2017, 3 აპრილი, 2018.

⁷³ სუსგ №ას-1344-2019, 6 დეკემბერი, 2019, ასევე, სუსგ-ები: №ას-220-209-2017, 20 აპრილი, 2018, №ას-251-2021, 11 ივნისი, 2021.

ვისას, ეკონომიკური ინტერესის შენარჩუნების გათვალისწინებით, სამომავლო თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების უპირატესობა იმ შემთხვევითაც ვლინდება, როდესაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და ზიანის ანაზღაურება ვერ უზრუნველს მხარეებს მათ თავდაპირველ მდგომარეობას. თუ სახელშეკრულებო დათქმებით მხარეებმა გამორიცხეს შეცვლილი გარემოებების შესაძლო გავლენა ვალდებულების მბოჭავ ძალაზე და ამ გავლენით გამონვეული სამართლებრივი შედეგებისათვის პასუხისმგებლობა, სამართლო უფლებამოსილია უგულებელყოს ეს შეთანხმება სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების უზრუნველყოფის მიზნით.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების თაობაზე, მხარეთა მოლაპარაკება უნდა დაემყაროს კეთილსინდისიერების პრინციპს.

სსკ-ის 398-ე მუხლით გათვალისწინებული (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი) შეცვლილი გარემოებები ართულებს შესრულებას იმ დონემდე, რომ მისი შესრულების მოთხოვნა, როგორც გამართლებული საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს მეორე მხარეს, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი (ეკვივალენტური) გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებს, რაც შეიძლება, განპირობებული იყოს, როგორც შესრულების ღირებულების გაზრდით, ისე – მისი შემცირებით. მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდეს შეუძლია, შემკვეთს მოსთხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი **(სუსგ №ას-397-381-2016, 1 ივლისი, 2016)**.

399-ე მუხლი

განსახილველ შემთხვევაში,⁷⁴ საკასაციო პალატამ საქმეზე დადგენილი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება რომ მას პატივისცემები მიზეზი გააჩნდა იჯარის სახელშეკრულებო ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტისათვის.

⁷⁴ სუსგ №ას-1376-2020, 11 მარტი, 2021.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია, განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი ხელშეკრულების ადაპტაციასთან შედარებით უკეთესად უზრუნველყოფს მხარეთა ორმხრივ ინტერესებს და ამასთან, შეწყვეტით ზიანი არ ადგება საჯარო ან მესამე პირების ინტერესებს. უმთავრესია, რომ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება, ისევე როგორც ვალდებულების შესრულების გართულების ან შეუძლებლობის საფუძვლით სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, არ იწვევს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ხელყოფას. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის (მოიჯარე) მითითება საიჯარო ქირის მაღალ ოდენობაზე, ვერ იქნება მიჩნეული საიჯარო ურთიერთობა მოშლის საფუძვლად, არამედ შესაძლებელია განხილული ყოფილიყო მოიჯარის მხრიდან საიჯარო ქირის შემცირების კონტექსტში. გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტა მართლზომიერად იქნება მიჩნეული, თუ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა განპირობებულია პატივსადები საფუძვლით. პატივსადები საფუძვლის ნორმატიულ განმარტებას სსკ-ის 399-ე მუხლი შეიცავს და ადგენს, რომ საფუძველი პატივსადებია, თუ სახეზეა დაუძლეველი ძალა ან სხვა რაიმე ორმხრივი და არა ცალმხრივი ინტერესი, რაც სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას შეუძლებელს ხდის. თუ ხელშეკრულების შეწყვეტა მხოლოდ ცალმხრივი ინტერესით არის განპირობებული, ასეთ შემთხვევაში, მხარეს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება უნდა მოეთხოვოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარე მაინც წყვეტს სახელშეკრულებო ურთიერთობას, აღნიშნული შეწყვეტით მეორე მხარეს ზიანი არ უნდა მიადგეს, რაც ნიშნავს, რომ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდისათვის წინასწარ განხორციელებული შესრულება უკან არ უნდა დაბრუნდეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შესრულება წინასწარ განხორციელებული არ არის, ასეთ შემთხვევაში, მხარეს არამართლზომიერად სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლით დაკარგული შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს, რაც სხვა არაფერია, თუ არა ზიანი, რომელიც თავისი არსით, არამართლზომიერად შეწყვეტილი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდისათვის მისაღები შესრულებაა. გრძელვადიან ურთიერთობაში მხოლოდ ერთი მხარის ინტერესით ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებში, პასუხისმგებლობა არ დადგება მაგალითად, როდესაც დამქირავებელი (მოიჯარე) გამქირავებელს (მეიჯარეს) სხვა მისთვის მისაღებ დამქირავებელს შესთავაზებს, რომელიც ქირავნობის ურთიერთობას იგივე პირობებით, კერძოდ, იგივე ვადით, ანაზღაურებით და ა. შ. გააგრძელებს.

403-ე მუხლი

ერთ-ერთ დავაში,⁷⁵ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 625.1. მუხლის მიხედვით, პროცენტი არის პერიოდული საზღაური სხვისი ფულადი კაპიტალით სარგებლობისათვის ანუ ეს არის კომპენსაცია ფულადი საშუალების „დროებითი“ დაკავებისათვის. საპროცენტო ვალდებულება დამატებითი ანუ აქცესორული ვალდებულებაა და იგი ეფუძნება მთავარ ვალდებულებას, როგორცაა კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულება. ამდენად, სესხის დროს, პროცენტის გადახდის ვალდებულება უკავშირდება მთავარ სასესხო ვალდებულებას. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს სსკ-ის 625-ე მუხლის I ნაწილითა და 403-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული პროცენტი. დასახელებულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ 625-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტი, რომელიც თავისი შინაარსით სარგებელია, განსხვავდება 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისაგან, რომელიც ის ზიანია, რაც კრედიტორმა განიცადა მოვალის მხრიდან ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით.

408-ე მუხლი

ერთ საქმეში,⁷⁶ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების დარღვევა ზოგადი ფორმულირება და იგი შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, მათ შორის, არაჯეროვან შესრულებაში. მტკიცების ტვირთის ობიექტურად და სამართლიანად განაწილების პირობებში, როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე, განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელის (კრედიტორის) მხარეზეა. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ზიანი არის კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი სხვაობა „უნდა-ყოფილიყო“ და „არის – მდგომარეობას“ შორის (სხვაობის ჰიპოთეზა). სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა, ანუ მდგომარეობა რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა (Totalreparation-ის პრინციპი). ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მაღალია მოვალის ბრალეუ-

⁷⁵ სუსგ №ას-301-2021, 25 ივნისი, 2021.

⁷⁶ სუსგ №ას-344-2019, 12 თებერვალი, 2021.

ლობის (განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა) ხარისხი ზიანის დადგომაში. თუმცა, ეს წესი იზღუდება, თუ კრედიტორი თანაბრალეულია.

სსკ-ის 411-ე მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს 408-ე მუხლში მოცემულ ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპს. სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება.

სსკ-ის 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკებისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდობა დგინდება გონივრულობის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი ყოველთვის უნდა აანაზღაუროს, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში (სუსგ-ის 2012 წლის 11 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-630-593-2012). ანალოგიურ დათქმებს შეიცავს ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 8:101-ე (2) და უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე (1) მუხლები (სუს-ს მნიშვნელოვანი განმარტება №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015).

ერთ-ერთ საქმეში,⁷⁷ საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვალ-

⁷⁷ სუსგ №ას-862-2016, 26 ივლისი, 2019. იხ. ასევე, სუსგ-ები: №ას-1002-923-2017, 12 იანვარი, 2018, №ას-218-2019, 17 მაისი, 2019, №ას-112-105-2017, 6 თებერვალი, 2019, №ას-1322-2018, 04 აპრილი, 2019, №ას-115-2019, 17 ივლისი, 2019, №ას-1597-2018, 25 იანვარი, 2019, №ას-1775-2018, 31 ოქტომბერი, 2019, №ას-1723-2019, 19 მარტი, 2020, №ას-1790-2019, 24 თებერვალი, 2020, №ას-1945-2018, 29 მაისი, 2020, №ას-1633-2019, 9 მარტი, 2020, №ას-1343-2020, 16 აპრილი, 2021, №ას-243-2021, 4 ივნისი, 2021, №ას-464-2021, 14 ივლისი, 2021.

დებულების დარღვევა სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველია, რომელიც უირიდიული პასუხისმგებლობის სახეა. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმათაგან ზიანის ანაზღაურებას აქვს უნივერსალური მნიშვნელობა და გამოიყენება სამოქალაქო უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევაში, მაშინ როცა სხვა ფორმების გამოყენება ზეპირდაპირ უთითებს კანონი ან ხელშეკრულება კონკრეტული სამართალდარღვევისას. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა ერთი კონტრაჰენტისა, მეორეს წინაშე, სამართალდამრღვევისა – დაზარალებულის წინაშე, დაკავშირებულია არა პიროვნული თავისუფლების ბოჭვასთან, როგორც ისტორიულ წარსულში, არამედ მოვალის მხოლოდ ქონების შემცირებასთან.

ქონებრივი პასუხისმგებლობის ვალდებულ პირზე დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე იყოს სამართალდარღვევის შემადგენლობა. შემადგენლობის ორგანიზმს ქმნის სამართლებრივად ფასეულ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა თანაარსებობა მოვალეზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. ამ შემადგენლობის ელემენტებია: სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი; დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; სამართალდარღვევის ბრალი.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ წარმოშობის საფუძველების მიხედვით, განასხვავებენ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანს. არასახელშეკრულებო ზიანის უზოგადესი და ცენტრალური ნორმას სსკ-ის 992-ე მუხლი, რომელიც განამტკიცებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს და დაზარალებულს (კრედიტორს) – ვალდებული პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. აღნიშნული მუხლის გამოყენების წინაპირობებია: ზიანი; ქმედების მართლსაწინააღმდეგობა; მიზეზობრივი კავშირი და ბრალი (ე.წ. „გენერალური დელიქტი“).

სამოქალაქო სამართალში ზიანში მოიაზრება ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი. ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფას, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით. როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასევე, განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა, ერთმანეთისაგან განასხვავებს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს. ქონებრივი ზიანი ქონებრივი სიკეთის ხელყოფით შემოიფარგლება. არაქონებრივი ზიანი ეტიმოლოგიურად, მორალური ზიანის იდენტიურია. ქონებრივ ზიანში იგულისხმება არა მხოლოდ დაზარალებულის ქონებრივი აქტივების შემცირება, არამედ პასივების გაზრდაც. სსკ-ის 408-ე მუხლის თანახმად, პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

როგორც ზიანის მიყენების ფაქტის ასევე, განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი ანეცს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს, რომელიც სასამართლო პროცესში წარმოადგენს მოსარჩელეს. ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა მოვალის დასჯაში. ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა ნონასწორობის აღდგენაზე. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს შემდეგი პრინციპების დაცვას: ზიანის სრულად ანაზღაურება; უსაფუძვლო გამდიდრების არდაშვება; ადეკვატურობა.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ **ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით უნდა იყოს მიყენებული**. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართალდარღვევისა და მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე ანუ აცნობიერებდა თუ არა მოვალე თავისი ქმედების სამართლებრივ ხასიათს. მთავარია, რომ მოვალის ქმედება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს

სამოქალაქო სამართალში, მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა სხვა პირთა დაცული ინტერესის ხელყოფა. მართლწინააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წესების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ **მიზეზობრივი კავშირი** სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული. იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მოვალის მოქმედების უშუალო შედეგს. თუ მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, არსებული ზიანი ანაზღაურდება სრულად, მიუხედავად იმისა, თუ რა ოდენობისაა ეს ზიანი ან რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობა დამდგარ შედეგში. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც კრედიტორი თავადაც არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის (სსკ-ის 415-ე მუხლი), პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის უშუალოდაა დაკავშირებული დამდგარ ზიანთან. ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია.

ბრალი სამართალდარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. ბრალის სამართლებრივი კატეგორია განსაკუთრებული იურიდიული მნიშვნელობის მქონეა, როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის სისტემაში. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვა (*dolus*) და გაუფრთხილებლობა (*culpa*), რომლებიც პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია.

სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია.

კონკრეტულ დავაში,⁷⁸ სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მისი მოცულობა ასევე, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შე-

⁷⁸ სუსგ №ას-1843-2018, 5 მარტი, 2019, №ას-1982-2018, 16 მაისი, 2019.

დეგს შორის, ანუ მოპასუხის მოქმედება უნდა იყოს არამართო ბრალეული, არამედ ზიანის გამომწვევიც, შესაბამისად, ზიანის მიმყენებელმა უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა (*სუსგ №ას-191-183-2016, 19.04.16*). ამდენად, პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლწინააღმდეგო ქმედებით და მართლწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებულია.

კანონმდებელი ზიანის მიმყენებლის მიერ ზიანის ნატურით რესტიტუციის პრინციპს უპირატესობას ანიჭებს.

ერთ-ერთ საქმეში, საკასაციო სასამართლომ განმარტა,⁷⁹ რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის შემთხვევაში, ნავარაუდევია სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის ორიენტირი განმტკიცებულია სსკ-ის 408-ე მუხლში, რომლის ნორმატიული მიზნიდან გამომდინარეობს, რომ განხორციელდეს იმ ვითარების აღდგენა, რომელიც არსებობდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომამდე, ე. ი. ვალდებულების დარღვევამდე. ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ზიანი არის ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც არ დადგებოდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა. აღნიშნული მუხლის თანახმად, ზიანის გამომწვევმა პირმა უნდა აღადგინოს ის თავდაპირველი მდგომარეობა, რომელიც ზიანის გამომწვევი მოვლენის გარეშე იარსებებდა. ნატურით რესტიტუციის დამაბრკოლებელ გარემოებას პირველადი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა წარმოადგენს (*სსკ-ის 409 მუხლი*). ამდენად, კანონმდებელი ზიანის მიმყენებლის მიერ ზიანის ნატურით რესტიტუციის პრინციპს უპირატესობას ანიჭებს, კერძოდ, დაზარალებულს არა აქვს უფლება ზიანის მიმყენებელს ნატურით რესტიტუციის ნაცვლად, ფულადი ანაზღაურება მოსთხოვოს, თუ რესტიტუცია შესაძლებელია და ის არათანაზომიერად დიდ დანახარჯს არ მოითხოვს.

⁷⁹ სუსგ №ას-9-2019, 17 აპრილი, 2019, ანალოგიურ საკითხზე იხ.: სუსგ-ები: ას-98-93-2010, 8 ივნისი, 2010, №ას-78-2019, 25 აპრილი, 2019.

კონკრეტულ დავაში,⁸⁰ მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის სსკ-ის 199.3 მუხლით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება.⁸¹ სასამართლომ სსკ-ის 408.1, 411-ე და 412-ე მუხლების საფუძველზე ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და აღნიშნა, რომ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და, სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება არც ზიანის მიყენების ფაქტსა და არც მისი ოდენობის დადგენას (*სუსგ-ები: №ას-962-2020, 23.12.2020; №ას-566-2020, 29.09.2020; №ას-992-950-2013, 4.03.2014; №ას-1843-2018, 5.04.2019*).

საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისას, მოპასუხეს სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად ზიანი არ უნდა აუნაზღაურდეს, რადგან ამავე გადაწყვეტილების შესაბამისად, მითითებულ ნაწილში ზიანი ვერ იარსებებს.

შესაბამისად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მსესხებლის სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის შესაბამისი პროცენტი (32.43%) ზიანის (20 000 აშშ დოლარი) ანგარიშში არ უნდა ჩაითვალოს და მოსარჩელეს მის ანაზღაურებაზე უარი უნდა ეთქვას.

სსკ-ის 636-ე მუხლი ზიანს მიუღებელი შემოსავლის სახით არ ითვალისწინებს.

მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებისა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარმოებულ ერთ-ერთ საქმეში,⁸² შემკვეთი მოითხოვდა ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ზიანის სრულად გამორიცხვას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია, ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაიდო, განსახილველი დავა კი, კონკრეტული, ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი, რომელიც იმ უფლებებსა და მოვალეობებს გულისხმობს, რაც ერთმანე-

⁸⁰ სუსგ №ას-115-2020, 11 თებერვალი, 2021.

⁸¹ სუსგ №ას-115-2020, 11 თებერვალი, 2021.

⁸² სუსგ №ას-468-442-2014, 28 იანვარი, 2016.

თის მიმართ შემკვეთსა და მენარდეს აქვთ. **შესაბამისად, დავის უშუალო მატერიალურსამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო კანონმდებლობაა.** მოცემულ შემთხვევაში კი, ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმებიდან გამომდინარე, რომლითაც სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში, მხარეთათვის მხოლოდ ამგვარი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური წესები დგინდება, შემკვეთმა ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს. შესაბამისად, უსაფუძვლო კასატორის არგუმენტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ზიანის გამორიცხვასთან დაკავშირებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მენარდის ინტერესების დასაცავად და მხარეთა შორის უფლებებისა და მოვალეობების გონივრული ბალანსის შესანარჩუნებლად, შემკვეთს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მენარდეს აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი **(№ას-697-663-2015, 15.12.2015).**

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულების შესრულებული ნაწილის მიმართ კანონი ადგენს შეთანხმებული საზღაურის ანაზღაურების ვალდებულებას, ხოლო შეუსრულებელი ნაწილის მიმართ ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი კი, ის ხარჯებია, რომელიც მენარდემ უკვე შესრულებული თუ ჯერ კიდევ შეუსრულებელი (თუმცა სამომავლოდ შესასრულებელი) სამუშაოსთვის გაიღო. ამ ხარჯის განევის მტკიცების ტვირთი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მენარდეს ეკისრება, ანუ მან უნდა ამტკიცოს, თუ რა ზიანი მიადგა ხელშეკრულების მოშლით.

აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართლებრივად დაუსაბუთებელია კასატორის მოთხოვნა, დღგ-ის თანხის, რომელიც მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის უნდა ყოფილიყო გადახდილი და, მისი გადაუხდელობის გამო, დარიცხული საურავის ყოველდღიურად – გადანყვებილების აღსრულებამდე, დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე. **ეს მენარდისათვის ფაქტობრივად დამდგარი ე. წ. საკომპენსაციო ზიანია და იგი უნდა ანაზღაურდეს.**

საკასაციო პალატამ შემკვეთის პრეტენზია მიუღებელი შემოსავლისა და ბანკის მიერ დარიცხული ჯარიმის დაკისრების ნაწილში დასაბუთებულად ჩათვალა და განმარტა, რომ **სსკ-ის 636-ე მუხლის**

განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ნორმა ზიანს მიუღებელი შემოსავლის სახით არ ითვალისწინებს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შემკვეთის მიერ ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი იმდაგვარადაც რომ განიმარტოს, რომ მასში მიუღებელი შემოსავალიც მოიაზრებოდეს, მოსარჩელის ამ მოთხოვნას საფუძველი მაინც ეცლება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე მხარეებმა უარი თქვეს. ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს სს.კ-ის 410-ე მუხლი. კანონმდებელმა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას დაუშვა პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ მხარეთა შეთანხმების შესაძლებლობა ანუ ხელშეკრულებით შესაძლოა, მხარეებმა, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან მიმართებით, პასუხისმგებლობა სრულად ან ნაწილობრივ შეზღუდონ ან გამორიცხონ. თუმცა, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ან მისი შეზღუდვის შესახებ შეთანხმება ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გამორიცხვისა თუ მისი გარკვეული ფარგლებით შეზღუდვის შესახებ უნდა განიმარტოს მხარეთა ინტერესების დაბალანსების ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, სახელშეკრულებო მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმა ხელშეკრულების მოშლის საგამონაკლისო წესს ადგენს. შესაბამისად, ასეთი შეთანხმება მით უფრო შესაძლებელია, როდესაც მხარე ვალდებულებას კი არ არღვევს, არამედ ნარდობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმით განმტკიცებულ ხელშეკრულების მოშლის უფლებას იყენებს. მითითებული ნორმის სხვაგვარი განმარტების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების კანონმდებლობით დაშვება პრაქტიკულ მნიშვნელობას დაკარგავდა და ამ დაშვების მიზანი განუხორციელებელი დარჩებოდა.

მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულებით მხარეებმა ზუსტად განსაზღვრეს ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ფარგლები, რომელიც მიუღებელ შემოსავალს არ მოიცავს, შესაბამისად, შემკვეთის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეებმა გამორიცხეს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ ბანკის ჯარიმის მოსარჩელისათვის ანაზღაურება, ვინაიდან ჩათვალა, რომ არ არსებობდა მოპასუხისათვის მისი დაკისრების სს.კ-ის **412-ე მუხლით** გათვალისწინებული წინაპირობები. მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ არაპირდაპირ

რი ზიანი, რომელსაც ნორმით განმტკიცებული გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, მოვალე ვერ ივარაუდებდა, არ ანაზღაურდება. არც იმგვარი ზიანი არ ანაზღაურდება, რომელიც სავარაუდოა, თუმცა მოვალის მოქმედების უშუალო შედეგი არ არის.

პალატამ განმარტა, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარე კისრულობს ვალდებულებას და თავის თავზე იღებს მხოლოდ იმ რისკს, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან. ამდენად, **მოვალე ზიანი უნდა აანაზღაუროს ყოველთვის, მაგრამ მხოლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში.** მოცემულ შემთხვევაში, საბანკო გარანტიის არსიდან გამომდინარე, მომსახურების საკომისიოსა და მასზე დარიცხული ჯარიმის გადახდის რისკი ნარდობის ხელშეკრულების დადებისას მოპასუხეს არ აუღია და ხელშეკრულებით არ იყო დაცული აღნიშნული ინტერესი, ბანკის მიერ ჯარიმის დაკისრებით მოსარჩელის მიერ განცდილი ზიანი არ არის ნარდობის ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი და იგი მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ვერ იქნებოდა, რაც ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივსამართლებრივი საფუძველია.

იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით,⁸³ რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობიდან გამომდინარე, უძრავ ქონებაზე პირველი მოპასუხის საკუთრების უფლების დაბრუნების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია – სსკ-ის 992-ე, 998-ე და 408.1 მუხლები.

ნარდობის ურთიერთობიდან გამომდინარე,⁸⁴ შესრულებული სამუშაოს ღირებულების, პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები, სსკ-ის 629.1, 417-ე-418-ე, 411-ე, 408.1 მუხლების დანაწესებიდან გამომდინარეობს.

ერთ-ერთ საქმეში,⁸⁵ საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით, მხარეთა შორის წარმოიშვა სიმინდის მიბა-

⁸³ სუსგ №ას-1432-2019, 22 იანვარი, 2020. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენის (ქონებაზე საკუთრების დაბრუნების) მოთხოვნით წარმოებული დავების თაობაზე იხ.: მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი, 2020, გვ. 171, 225).

⁸⁴ სუსგ №ას-971-2019, 28 ოქტომბერი, 2019, იხ. ასევე სუსგ №ას-1900-2018, 12 მარტი, 2019.

⁸⁵ სუსგ №ას-102-95-2017, 30 ივნისი, 2017.

რების ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა **(სსკ-ის 763-ე, 780-ე, 782-ე, 784-ე, 785-ე მუხლები)**. შეგვებულები სარჩელის მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ დაარღვია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, კერძოდ, მიზარებული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად არ შეინახა, რითაც ზიანი მიაყენა. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი განამტკიცებს ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს და ანიჭებს კრედიტორს ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, ხოლო მისი გამოყენების წინაპირობებია მართლწინააღმდეგობა, ბრალი, მიზეზობრივი კავშირი და ზიანი. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ **(სსკ-ის 408-ე მუხლი)**. ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის შემთხვევაში, ნავარაუდევია სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის ორიენტირი განმტკიცებულია სსკ-ის 408-ე მუხლში, რომლის ნორმატიული მიზნიდან გამომდინარეობს, რომ განხორციელდეს იმ ვითარების აღდგენა, რომელიც იარსებებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომამდე, ე.ი. ვალდებულების დარღვევამდე. ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ზიანი არის ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც არ იარსებებდა ვალდებულების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში, ე.ი. ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობებში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებით, სასამართლომ უპირველესად, უნდა შეაფასოს ზიანის, როგორც მეორადი მოთხოვნის, წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობა. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ქონებრივი ზიანი, რომელიც შეგვებულ მოსარჩელეს მიადგა გამოიხატება შესანახად მიზარებული სიმინდის დაუბრუნებლობაში.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასაბუთება, რომ სადავო ფაქტობრივი გარემოების მტკიცების ტვირთი – უხარისხო, დამპალი სიმინდის მიტანის ფაქტი, ეკისრებოდა აპელანტს (შემნახველს), რომელმაც ვერ შეძლო დაკისრებული მტკიცების ტვირთის წარმატებული რეალიზება.

საკასაციო სასამართლომ ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს ამხანაგობის (ე. წ. ჩვეულებრივი) წევრისათვის მიყენებული ზიანი სოლიდარულად დააკისრა სსკ-ის 394-ე, 408-ე და 937-ე მუხ-

ლების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საგანს წარმოადგენდა ამხანაგობის დავალებულება, მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაეცახელშეკრულებით განსაზღვრული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართი ასევე, აენაზღაურებინა ზიანი.⁸⁶

აღნიშნული გადაწყვეტილება ვერ აღსრულდა იმ მიზეზით, რომ გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების ეტაპზე ამხანაგობას თავისუფალი ფართი საკუთრებაში არ აღმოაჩნდა.

სარჩელის ფაბულის შესწავლიდან გამომდინარე დგინდება, რომ მოსარჩელე უფლებრივ რესტიტუციად სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული სიკეთის ეკვივალენტური თანხის მიღებას მიიჩნევს, რამდენადაც გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა მიკუთვნებული ნივთის არარსებობამ განაპირობა.

მხარეთა შორის უდავოა, რომ პირველადი მოთხოვნის საგანი – თავისუფალი უძრავი ქონება არ არსებობს, მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას სსკ-ის 394-ე, 408-ე და 937-ე მუხლების პირველი ნაწილები წარმოადგენს.

ამხანაგობის წევრთა სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, სსკ-ის 937-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 464-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების დარღვევა ბრალად შეერაცხება ყველა სოლიდარულ მოვალეს, მიუხედავად მისი სუბიექტური დამოკიდებულებისა, ხელშეკრულების შეუსრულებლობასთან მიმართებით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან (*სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილი*) გამომდინარე, ერთობლივი საქმიანობის მონაწილის მიერ შესატანის შეტანა მისი მხრიდან, ამ შესატანზე საკუთრების უფლების განკარგვად უნდა იქნას განხილული და მხარეს, რომელმაც უკვე განკარგა საკუთრება ამხანაგობის სასარგებლოდ, აღარ გააჩნია ქონების განკარგვამდე ნივთზე ერთპიროვნული ბატონობის შესაძლებლობა. ანალოგიური პრინციპით უნდა გადაწყდეს საკითხი იმ სამომავლო საკუთრებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება ამხანაგობის წევრს მიზნის მიღ-

⁸⁶ სუსგ №ას-547-510-2017, 4 მაისი, 2018.

ნევის შემთხვევაში გააჩნდეს, რამეთუ ხელშეკრულების არსებობის პირობებში მისი სამომავლო საკუთრების ფაქტობრივ ობიექტს წარმოადგენს ამხანაგობაში არსებული წილი და არა უშუალოდ ამ წილის, როგორც უფლების სამომავლო ნაყოფი. შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 930-ე მუხლის დათქმა – ხელშეკრულების მონაწილეებმა ერთობლივად იმოქმედონ საერთო მიზნის მისაღწევად, ნიშნავს არა თანამესაკუთრის სანივთოსამართლებრივი უფლებების ინდივიდუალურად განხორციელებას, არამედ უფლების იმგვარ რეალიზაციას, რომელიც მიმართული იქნება თანასაკუთრების ექსპლუატაციის შედეგად დასახული მიზნის მიღწევასაკენ (*სკ-ის 173-ე მუხლი*).

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ამხანაგობის ნევრს აღარ გააჩნია რა, ინდივიდუალური საკუთრება განხორციელებულ შესატანზე, მას ამხანაგობის მიზნის მიღწევამდე არც წილის პროპორციულ ნაყოფზე (*მისაღები ქონებრივი სიკეთე*) წარმოშობა საკუთრების უფლება. შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგო ქმედების დამტკიცების შემთხვევაში, რესტიტუციის უფლების მქონედ ჯერ კიდევ, პირთა გაერთიანება – ამხანაგობა გვევლინება და არა ამხანაგობის კონკრეტული რომელიმე ნევრი, თუკი იგი არ მოქმედებს ამხანაგობის ინტერესებში. მართალია, ზოგადი წესის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს (*სსკ-ის 361.2 მუხლი*), თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ვიდრე ჯერ კიდევ არსებობს აქტივი მოთხოვნის სახით, პრეტენზიის მქონე სუბიექტად სწორედ ეს პირთა გაერთიანება ან ამ გაერთიანების ინტერესებში მოქმედი ნევრი (ნევრები) განიხილება, რომლებიც ზიანის მიმყენებლის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 455-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული კრედიტორები არიან და მათ როგორც ერთობლივად, ისე ცალ-ცალკე, უფლება აქვთ შესრულება მოითხოვონ მხოლოდ მთელი ამხანაგობის სასარგებლოდ.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის საკუთრების უფლებაზეც. სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, მოსარჩელის სამომავლო საკუთრების დაკარგვა, მოპასუხეთა ქმედების შედეგს წარმოადგენს თუმცა, **საკუთრების უფლებაზე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული დაცვითი ეფექტი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან, გავრცელდება რეალიზებულ საკუთრებაზე. კონვენციის ხსენებული ნორმა შესაძლოა თავის თავში მოიცავდეს მომავალი საკუთრების უფლებასაც, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც სამომავლო უფლების რეალიზაცია დამოკიდებულია ხელ-**

შეკრულების მიზნის მიღწევაზე, ამხანაგობის წევრის ინდივიდუალური პრეტენზია ზიანის მიმყენებლის მიმართ არ არის სამართლებრივად გამართლებული, შესაბამისად, საკითხის იმგვარად დასმა, რომ ზიანის მიმყენებელს (*შესაბამისი წინაპირობების დადასტურების შემთხვევაში*) დააკისრო პასუხისმგებლობა, რომელიც პრაქტიკულად, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მიზნის მიღწევის შემთხვევაში დადგებოდა, ეწინააღმდეგება ზიანის ანაზღაურების ფარგლებსაც, რამდენადაც სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ თეორიულად, ამხანაგობის ქონების არამართლზომიერად გასხვისების შედეგად ქონებრივი დანაკლისის მქონე ერთადერთ სუბიექტად არ შეიძლება განხილული იქნას მხოლოდ მოსარჩელე, არამედ მასთან ერთად შესრულება ვერ მიიღო ამხანაგობის ვერც ერთმა წევრმა, წინამდებარე სარჩელის ფარგლებში ინდივიდუალური ზიანის სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურება განაპირობებს ანალოგიური უფლებებით სხვა წევრთა აღჭურვასაც, შედეგად ზიანის მიმყენებლისათვის სამომავლოდ მისაღები ქონების კომპენსაციის დაკისრებით დადგინდება არა პირთა ქონებრივი რესტიტუცია, არამედ გადაჭარბებული პასუხისმგებლობა, ფაქტიურად ზიანის მიმყენებელს დაეკისრება ამხანაგობის მიზნის მიღწევის ვალდებულება. მოსარჩელე არ წარმოადგენს რა, მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტს, მისი სარჩელის ფარგლებში ზიანზე ვალდებულ პირთა წრის შეფასება-დადგენა იურიდიულად გაუმართლებელია.

ზიანის ანაზღაურება უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივ დავებში

სსკ-ის 979-ე მუხლის პირველი ნაწილი ამომწურავად განსაზღვრავს უსაფუძვლო გამდიდრების საფუძვლით უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლებს და დამატებით სსკ-ის 408-ე, 409-ე და 411-ე მუხლებზე მითითება არასწორია.

ერთ-ერთ საქმეში,⁸⁷ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ არასწორად განსაზღვრა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა კერძოდ, გადახდილი თანხისა და მისი პროცენტის ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და ამავე კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარეობდა და **დამატებით სსკ-ის 408-ე, 409-ე და 411-ე მუხლებზე მითითება**, როგორც ეს გასაჩივრებულ განჩინებაშია ასახული, არასწორია. პალატამ განმარტა, რომ **სსკ-ის 979-ე მუხლის პირველი ნაწილი ამომწურავად განსაზღვრავს უსაფუძვლო გამდიდრების საფუძვლით უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლებს**.

სამემკვიდრეო დავაში,⁸⁸ მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ, სამკვიდრო მონაწილეობაში ცვლილების შეტანისა და მამის დანაშაულის ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელე კანონის საფუძველზე (სსკ-ის 1307-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 1336.1, 1319-ე-1320-ე, 1433-ე, 1421-ე მუხლები) გახდა მამის დანაშაულის უძრავი ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრე. მისმა ძმამ (მოპასუხემ) ხელყო ამ უკანასკნელის სამართლებრივი სიკეთე და მისი თანხმობის გარეშე მთლიანი სამკვიდროს მესაკუთრედ დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, მაშინ როდესაც მას ნოტარიუსისათვის იმავე რეგისტრაციის (მოსარჩელის) არსებობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ეკისრებოდა; ამდენად, სახეზეა მოპასუხის

⁸⁷ სუსგ №ას-236-236-2018, 23 აგვისტო, 2018, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივ დავებში ზიანის ანაზღაურების საკითხებზე იხ.: მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი, 2020, 166.

⁸⁸ სუსგ №ას-960-2018, 22 ნოემბერი, 2018, ასევე, სუსგ-ები: №ას-278-2019, 27 ივნისი, 2019, №ას-411-2019, 11 ივნისი, 2019, №ას-607-2019, 4 ივლისი, 2019, სუსგ №ას-1263-2019, 13 მარტი, 2020.

გამდიდრება მოსარჩელის ხარჯზე და ის ვალდებულია ამ უკანასკნელს, **სსკ-ის 982.1 და 408-ე** მუხლების საფუძველზე უძრავი ქონების 1/2 ნაწილზე საკუთრების უფლება უკან დაუბრუნოს.

სხვა საქმეში, სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა – **სსკ-ის 982.1 და 408.1** მუხლებიდან გამომდინარეობს.⁸⁹

ზიანის ანაზღაურება სამენარმოო დავებში

ზიანის თაობაზე სანარმოს მიერ აღძრული სარჩელები სახელმეკრულებო მოთხოვნათა ფარგლებში უნდა შემონმდეს და არა დელიქტური ვალდებულების.

დირექტორის მიმართ კომპანიის სასარგებლოდ ზიანის დაკისრებისა და პარტნიორის გარიცხვის სასარჩელო მოთხოვნებით წარმოებულ დავაში,⁹⁰ საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე და აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6, **სსკ-ის 709-ე, 394.1 და 408.1** მუხლებიდან გამომდინარეობს. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა დირექტორის მიერ კომპანიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველად არასწორად განსაზღვრეს **სსკ-ის 992-ე მუხლი.**

სასამართლომ აღნიშნა, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირის, დირექტორისა და ამ იურიდიულ პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა დავალების ხელმეკრულებათა, რომლის საფუძველზეც, დირექტორი სანარმოს სახელითა და ხარჯზე ახორციელებს მისთვის წესდებით/კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, შესაბამისად, ზიანის თაობაზე სანარმოს მიერ აღძრული სარჩელებიც სახელმეკრულებო მოთხოვნათა ფარგლებში უნდა შემონ-

⁸⁹ სუსგ-ები: №ას-1534-2018, 17 იანვარი, 2019, ას-1671-2018, 22 თებერვალი, 2019.

⁹⁰ სუსგ №ას-1203-2018, 25 აპრილი, 2019.

მდეს და არა დელიქტური ვალდებულების, რა დროსაც უნდა დადგინდეს ზიანის ანაზღაურების განმაპირობებელი ყველა წინაპირობა (მართლსაწინააღმდეგო ქმედება – სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი).

ანალოგიური სამართლებრივი კვალიფიკაციაა სხვა საქმეში, სადაც სანარმოს 50% იანი წილის მფლობელი პარტნიორი სარჩელით მოითხოვს სანარმოს 50% იანი წილის მფლობელი მეორე პარტნიორისა და დირექტორისათვის მიყენებული ზიანის დაკისრებას,⁹¹ ასევე, დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას და სასამართლოს მიერ დირექტორის დანიშვნას. საკასაციო სასამართლო უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე ზიანის ანაზღაურების ნაწილში და აღნიშნავს, რომ მოსარჩელის აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა **სპეციალური კანონის 9.6, სსკ-ის 709-ე, 394.1 და 408.1** მუხლებიდან გამომდინარეობს. სასამართლომ ზიანის ნაწილი მხოლოდ დირექტორს დააკისრა, ხოლო მოპასუხეთათვის – სანარმოს დირექტორისა და მეორე პარტნიორისათვის, სანარმოს სასარგებლოდ, ზიანის ნაწილის სოლიდარულად დაკისრების ნაწილში დააბრუნა ხელახლა განსახილველად.

ზიანის ანაზღაურება შრომითსამართლებრივ დავებში

განაცდური არ შეიძლება გაიგივდეს საქართველოს შრომითი კოდექსის 38.8 მუხლით გარანტირებულ იმ კომპენსაციასთან, რომელიც სამსახურში აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, კომპენსაციას განიხილავს როგორც მოთხოვნის დაკმაყოფილების (უფლების აღდგენის) ალტერნატიულ გზას და საერთო არა აქვს განაცდურთან, როგორც მიუღებელ შემოსავალთან.

განაცდური წარმოადგენს სასამართლოს მიერ დამსაქმებლის იძულებას დასაქმებულისთვის განაცდურის ანუ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რაც გამოორიცხავს მხარეთა შორის განგრძობადი შრომითი ურთიერთობის (მისი თანმდევი ქმედებების: ხელფასზე შეთანხმების, ხელფასის მიღების და ა. შ.) არსებობას.

დამსაქმებელს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტის გადახდის

⁹¹ სუსგ №ას-1077-2018, 21 ოქტომბერი, 2019.

ვალდებულება წარმოეშობა იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას არ შეასრულებს, ანუ თუ გამოიკვეთება გადახდის ვალდებულების არსებობა და საბოლოო ანგარიშსწორების გადაუხდელობა.

ერთ-ერთი საქმის მიხედვით,⁹² სასარჩელო მოთხოვნა სახელფასო დავალიანების ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისთვის, დაყოვნებული თანხის 0.07%-ის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საწარმომ სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა დასაქმებულს ჩაურიცხა. სწორედ აღნიშნულ თანხაზე (ჩარიცხულ 19 000 ლარზე) ითხოვს კასატორი 0.07 %-ის დაკისრებას და მისი მოთხოვნა მოიცავს პერიოდს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან, სააღსრულებო ფურცლის გაცემამდე.

საკასაციო სასამართლომ იმსჯელა განაცდურის (ზიანის) ანაზღაურების, როგორც სამართლებრივ, ასევე პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ განაცდური არ შეიძლება გაიგივდეს სშკ-ის 38.8 მუხლით გარანტირებულ იმ კომპენსაციასთან, რომელიც სამსახურში აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, კომპენსაციას განიხილავს როგორც მოთხოვნის დაკმაყოფილების (უფლების აღდგენის) ალტერნატიულ გზას და საერთო არა აქვს განაცდურთან, როგორც მიუღებელ შემოსავალთან. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: „მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც განხორციელებული იყო სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილით, 408-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 411-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი წანამძღვრები: დამსაქმებელმა უკანონოდ შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან, რითაც დაარღვია სშკ-ის 37-ე მუხლის მოთხოვნები ანუ სახეზეა საწარმოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედება; ბ) დამსაქმებლის ბრალეული მოქმედებით დასაქმებულს მიადგა ზიანი, მან ვერ მიიღო შრომის ანაზღაურების სახით ის შემოსავალი, რასაც იგი მიიღებდა, რომ არა საწარმოს უკანონო მოქმედება... განვითარებული მსჯელობის გათვა-

⁹² სუსგ №ას-291-291-2018, 1 ივნისი, 2018, შრომითსამართლებრივ დავებში ზიანის ანაზღაურების საკითხებზე, იხ.: მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი, 2020, 26.

ლისწინებით, სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის დეფინიციიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასაქმებულის უკანონო ბრძანების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად, დასაქმებულს მიადგა ზიანი, რაც გამოიხატა მის მიერ შრომითი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობასა და კუთვნილი ანაზღაურების (ხელფასის) მიუღებლობაში“ (**სუსგ №ას-951-901-2015, 29.01.2016**). მაშასადამე, სსკ-ის 44-ე და სსკ-ის 408-ე მუხლების ერთობლივი ანალიზით ცხადია, რომ იძულებითი განაცდური წარმოადგენს ზიანს, რომელიც მიეცემა დასაქმებულს, რათა მოხდეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა იმ სახით, რომელიც არ იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება ანუ უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი.

სსკ-ის 38.8-ე მუხლით რეგულირებული კომპენსაციის არსთან დაკავშირებით და ამ ნორმის გამოყენების თაობაზე, საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტა, რომ „დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების უკანონოდ (ბათილად) ცნობის შემთხვევაში, დასახელებულ ნორმაში მითითებულია დასაქმებულის ვალდებულება, რომელიც რამდენიმე შესაძლებლობას მოიცავს, თუმცა, კანონმდებლის მიერ დადგენილი წესი არ შეიძლება იმგვარად განიშარტოს, რომ სასამართლოს, დისკრეციული უფლებამოსილებით, შეუძლია მოხმობილი ნორმის დანაწესის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენება. სსკ დამსაქმებელს ავალდებულებს პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. მითითებული რეგულაციით დამსაქმებლისათვის დადგენილია უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, ხოლო თუკი აღნიშნული შეუძლებელია, მაშინ მომდევნო რიგითობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება“ (**სუსგ №ას-951-901-2015, 29.01.2016; ას-931-881-2015, 29.01.2015**). ამდენად, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის შედავება, რომ მისთვის გადასახდელი 19 000 ლარი წარმოადგენდა განაცდურს (ზიანს) და არა – კომპენსაციას.

განსახილველ დავასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნას განაცდურ თანხაზე დაყოვნების ყოველი დღისთვის 0.07 პროცენტის დაკისრების თაობაზე, სამართლებრივად ვარგისი საფუძვლები არ გააჩნია.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ განაცდური წარმოადგენს სასამართლოს მიერ დამსაქმებლის იძულებას დასაქმებულისთვის განაცდურის, ანუ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რაც გამორიცხავს მხარეთა შორის განგრძობადი შრომითი ურთიერთობის (მისი თანმდევი ქმედებების: ხელფასზე შეთანხმების, ხელფასის მიღების და ა. შ.) არსებობას.

სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ დამსაქმებელს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტის გადახდის ვალდებულება წარმოეშობა იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას არ შეასრულებს, ანუ თუ გამოიკვეთება გადახდის ვალდებულების არსებობა და საბოლოო ანგარიშსწორების გადაუხდელობა. განსახილველ შემთხვევაში კი, როდესაც კასატორთან შეწყვეტილი იყო შრომითი ურთიერთობა და იგი აღარ ასრულებდა შრომით მოვალეობებს, შესაბამისად, ის აღარაა შრომის ანაზღაურების (ანგარიშსწორების) მოცდენის სუბიექტიც.

განსახილველ შემთხვევაში,⁹³ იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია **სშკ-ის 38.8, 44-ე, ასევე, სსკ-ის 394.1, 408.1 და 409-ე მუხლები.**

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სადავო ბრძანება მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ მართებულად მიიჩნიეს უკანონოდ.

ერთ-ერთ საქმეში,⁹⁴ დასაქმებულმა სარჩელი აღძრა სამინისტროს წინააღმდეგ და მოითხოვა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობა, საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა და მოპასუხისთვის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება.

საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო რა, სკოლის დირექტორის საკასაციო საჩივარი განმარტა, რომ მოსარჩელის სადავო ბრძანების ბათილად ცნობის, ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის სამარ-

⁹³ სუსგ №ას-395-2019, 27 ივნისი, 2019, ასევე №ას-997-2019, 30 ოქტომბერი, 2019.

⁹⁴ სუსგ №ას-514-2019, 4 ოქტომბერი, 2019, იხ. მრავალთავან ასევე, სუსგ №ას-1144-2018, 7 ივნისი, 2019, №ას-715-2019, 4 ივლისი, 2019, №ას-945-2018, 28 თებერვალი, 2019.

თლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს სშკ ის 38.8, 44-ე, ასევე, სსკ-ის 394.1 და 408.1 მუხლებით გათვალისწინებული წესები.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ დამსაქმებელმა წარმატებით გაართვა თავი მის მიერ შესაგებელში მითითებული გარემოებების მტკიცების მოვალეობას და შესაბამისად, დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მართლზომიერება ცხადად და დამაჯერებლად დაასაბუთა. დასაქმებული ვალდებული იყო კანონმდებლობითა და შინაგანანესით დადგენილ ფარგლებში ემოქმედა, ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დასაქმებული საჯარო სკოლის დირექტორს წარმოადგენდა, რაც მას განსაკუთრებული ყურადღებით, გულისხმიერებითა და კანონისა და დირექტორის ეთიკის წესების ზედმიწევნით დაცვით ავალდებულებდა სკოლის მართვას.

კონკრეტულ საქმეში საკასაციო პალატამ აღნიშნა,⁹⁵ რომ ბრძანე-

⁹⁵ №ას-669-2020, 18 ნოემბერი, 2020, შრომითსამართლებრივ დავებზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ასევე, იხ.: სუსგ-ები: №ას-103-2019, 31 ოქტომბერი, 2019, №ას-514-2019, 4 ოქტომბერი, 2019, №ას-715-2019, 4 ივლისი, 2019, №ას-1438-2018, 31 მაისი, 2019, №ას-1483-2019, 19 დეკემბერი, 2019, №ას-1558-2018, 25 იანვარი, 2019, №ას-1611-2018, 26 თებერვალი, 2019, №ას-1649-2018, 17 აპრილი, 2019, №ას-282-2020, 17 ივნისი, 2020, №ას-732-732-2018, 14 თებერვალი, 2020, №ას-1041-2019, 12 თებერვალი, 2020, №ას-1500-2019, 22 იანვარი, 2020, №ას-1581-2019, 21 თებერვალი, 2020, №ას-1124-2019, 30 სექტემბერი, 2020, №ას-1161-2018, 15 ოქტომბერი, 2020, №ას-132-2020, 30 სექტემბერი, 2020, №ას-1540-2019, 30 სექტემბერი, 2020, №ას-1688-2019, 30 სექტემბერი, 2020, №ას-1558-2018, 25 იანვარი, 2019, №ას-1845-2019, 30 სექტემბერი, 2020, №ას-609-2020, 29 სექტემბერი, 2020, №ას-641-2020, 18 სექტემბერი, 2020, №ას-646-2020, 29 სექტემბერი, 2020, №ას-686-2020, 29 სექტემბერი, 2020, №ას-126-2020, 27 ოქტომბერი, 2020, №ას-310-2020, 15 ოქტომბერი, 2020, №ას-518-2020, 15 ოქტომბერი, 2020, №ას-662-2020, 23 ოქტომბერი, 2020, №ას-198-2020, 18 ნოემბერი, 2020, №ას-442-2020, 25 ნოემბერი, 2020, №ას-498-2020, 25 ნოემბერი, 2020, №ას-1334-2020, 26 თებერვალი, 2021, №ას-1208-2018, 18 თებერვალი, 2021, №ას-1332-2019, 12 თებერვალი, 2021, №ას-1715-2019, 26 თებერვალი, 2021, №ას-102 -2019, 17 თებერვალი 2021, №ას-510 -2020, 11 თებერვალი 2021, №ას-1189-2020, 4 თებერვალი, 2021, №ას-1271 -2020, 11 თებერვალი, 2021, №ას-1291-2020, 9 თებერვალი, 2021, №ას-1295-2020, 05 თებერვალი, 2021, №ას-1726-2018, 5 თებერვალი, 2021, №ას-1421-2020, 5 მარტი, 2021, №ას-1001-2018, 5 მარტი, 2021, №ას-582-2020, 27 აპრილი, 2021, №ას-817-2020, 8 აპრილი, 2021, №ას-113-2021, 27 აპრილი, 2021, №ას-188-2021, 8 აპრილი, 2021, 8 აპრილი, 2021, №ას-793 -2019, 29 აპრილი 2021, №ას-1440-2020, 23 აპრილი, 2021, №ას-1440-2020, 28 აპრილი, 2021, №ას-651-2020, 20 მაისი, 2021, №ას-267-2021, 11 ივნისი, 2021, №ას-304-2020, 15 ივნისი, 2021, №ას-319-2021, 11 ივნისი, 2021, სუსგ №ას-235-2021, 18 ივნისი, 2021, №ას-387-2021, 29 ივნისი, 2021, №ას-560-2021, 14 ივლისი, 2021, №ას-274-2021, 07 ივლისი, 2021.

ბის/გადანყვეტილების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა (უფლებრივი რესტიტუცია) და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველია **სშკ-ის 48.8, 58-ე**, ასევე, **სსკ-ის 394.1 და 408.1** მუხლები (იხ.: შრომის კოდექსის ახალი რედაქციის 48-ე; 58-ე მუხლი).

სხვა საქმეში საკასაციო სასამართლომ განმარტა,⁹⁶ რომ შრომის კანონმდებლობა არ განსაზღვრავს კომპენსაციის გამოანგარიშების წესსა და კრიტერიუმებს. კომპენსაციის, როგორც დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუციის საშუალების დადგენა და მისი ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს დისკრეციაა.

იმ პირობებში, როდესაც დასაქმებულის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 2500 ლარს (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით), მოპასუხისთვის დაკისრებული კომპენსაცია 30 000 ლარი (რომელიც 1 წლის თანამდებობრივი სარგოა) გონივრული ოდენობაა (**სუსგ საქმე №ას-100-93-2017, 15 მაისი, 2017**) და გარკვეულწილად, უზრუნველყოფს მოსარჩელის უფლებრივ რესტიტუციას (**სუსგ საქმე №ას-45-2019, 5 აპრილი, 2019**).

სხვა საქმეში,⁹⁷ სასამართლომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელისათვის მიკუთვნებული კომპენსაცია გონივრულად მიიჩნია და აღნიშნა, რომ კომპენსაცია შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყოფდეს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც გათავისუფლების შესახებ ბათილი ბრძანების შედეგად წარმოეშვა დასაქმებულს, ამავედროულად, მისი ოდენობა უნდა იყოს გონივრული და არ უნდა ქმნიდეს არც ერთი მხარისათვის უსაფუძვლო გამდიდრების ობიექტურ წინაპირობებს (სსკ-ის 976-991-ე მუხლები) (**სუსგ №ას-787-736-2017, 10.11.2017; სუსგ. №ას-632-2019, 21.06.2019**). საკასაციო პალატა დაეთანხმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრული კომპენსაცია – დასაბეგრი 17000 ლარი, როცა მოსარჩელის დასაბეგრი ყოველთვიური ხელფასის ოდენობა შეადგენდა 1500 ლარს, გონივრულია.

ერთ-ერთ საქმეში,⁹⁸ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ გათავისუფ-

⁹⁶ სუსგ №ას-296-2020, 30 სექტემბერი, 2020, ასევე, სუსგ №ას-298-2020, 16 სექტემბერი, 2020.

⁹⁷ სუსგ №ას-67-2020, 29 სექტემბერი, 2020, №ას-1529-2019, 30 სექტემბერი, 2020.

⁹⁸ სუსგ №ას-17-2021, 20 მაისი, 2021.

ლების მომენტისათვის მოქმედი სშკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის (დღეს მოქმედი მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, დამსაქმებელს შეუძლია გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს დასაქმებულთან ხელშეკრულება შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობის საფუძველით, ისე, რომ არ არის ვალდებული მიუთითოს ამის საფუძველი, მაგრამ, როდესაც დამსაქმებელი შრომით ურთიერთობასწყვეტს დასაქმებულის მხრიდან შრომის დისციპლინის დარღვევის გამო, ასეთ შემთხვევაში, დამსაქმებელს უნდა დაეკისროს შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტის მტკიცების ტვირთი, რაც სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, დამსაქმებელმა ვერ დაადასტურა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილებით სწორად ცნო ბათილად ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

ზიანის ანაზღაურება დელიქტურ მოთხოვნებში

ერთ-ერთ დავაში,⁹⁹ მოსარჩელემ (პირველი კომპანია) მოპასუხის მიმართ აღძრული სარჩელით მოითხოვა ქარხნის აქციათა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და აქციების აღრიცხვა მოსარჩელე კომპანიის სახელზე. საქალაქო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა სსკ-ის 992-ე, 998-ე და 408.1 მუხლებზე დაყრდნობით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც უცვლელი დატოვა საკასაციო სასამართლომ.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელისთვის სასურველი სამართლებრივი შედეგი სსკ-ის 992-ე, 998-ე და 408.1 მუხლებიდან გამომდინარეობს, თუმცა მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მოპასუხისათვის დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის კერძოდ, მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა, რაც დელიქ-

⁹⁹ სუსგ №ას-1215-2018, 29 მარტი, 2019, დელიქტურ მოთხოვნებში ზიანის ანაზღაურების საკითხებზე, იხ. მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი, 2020, 171.

ტური ვალდებულების წარმოშობის სხვა წინაპირობების შემომწე-
ბას აზრს უკარგავს.

კონკრეტულ დავაში,¹⁰⁰ სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით, განსხვავებით სახელშეკრულებო ვალდებულები-
ბისგან, რომელიც წარმოიშობა პირის მიერ ხელშეკრულებით ნაკის-
რი ვალდებულების შეუსრულებლობიდან, დელიქტური ვალდებულებ-
ა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა კატეგორიას მიეკუთვნე-
ბა და მისი წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს: ზიანი, მართლსა-
წინააღმდეგო და ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი დამ-
დგარ შედეგსა და ქმედებას შორის. აღნიშნული წინაპირობების არ-
სებობის შემთხვევაში, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინა-
რე, პირს (ზიანის მიმყენებელს) უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურ-
ება.

**კანონმდებელი ზიანის ფულად ანაზღაურებას არ ითვალისწი-
ნებს იმ პირობებში, როდესაც ზიანის მიმყენებელს შეუძლია
ალადგინოს პირვანდელი მდგომარეობა.**

ერთ-ერთ საქმეში,¹⁰¹ სადაც მოსარჩელე მოპასუხის მიმართ უძრავი
ქონების დაზიანების გამო ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა, სასამარ-
თლომ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების სამართალი ემყარება
ზიანის ნატურით ანაზღაურებისა და სრული ანაზღაურების პრინ-

¹⁰⁰ სუსგ №ას-72-72-2018, 15 თებერვალი, 2018, ზიანის ანაზღაურების პრაქტიკა
დელიქტურ სამართალდარღვევებში იხ. სუსგ-ები: №ას-769-737-2016, 20 ივ-
ნისი, 2018, №ას-847-847-2018, 25 სექტემბერი, 2018, №ას-976-908-2017, 22
იანვარი, 2018, №ას-1118-2018, 30 ნოემბერი, 2018, №ას-1157-1077-2017, 28
თებერვალი, 2018, №ას-1295-1215-2017, 15 მაისი, 2018, №ას-1423-1343-2017,
18 ივლისი, 2018, №ას-274-2019, 15 ოქტომბერი, 2019, №ას-68-2019, 13 სექ-
ტემბერი, 2019, №ას-862-2019, 26 ივლისი, 2019, №ას-883-2019, 20 სექტემ-
ბერი, 2019, №ას-930-2019, 03 ოქტომბერი, 2019, №ას-1215-2018, 29 მარტი,
2019, დელიქტით მიყენებული ზიანისა და დანაშაულით მიყენებული ზიანის
ანაზღაურების განსხვავების საკითხზე იხ. №ას-1322-2018, 04 აპრილი, 2019,
№ას-1376-2019, 13 დეკემბერი, 2019, №ას-1919-2018, 22 მარტი, 2019, №ას-
397-397-2018, 19 აპრილი, 2019, №ას-1090-2019, 30 ოქტომბერი, 2019, № ას-
1111-2018, 28 ივნისი, 2019, №ას-1153-2018, 6 თებერვალი, 2019, №ას-1350-
2018, 22 თებერვალი, 2019, №ას-508-2019, 30 სექტემბერი, 2020, №ას-630-
2019, 30 სექტემბერი, 2020, №ას-751-751-2018, 15 ოქტომბერი, 2020 (საც-
ხოვრებელი სახლის დაზიანებით მიყენებული ზიანი), №ას-1177-2020, 22 იან-
ვარი, 2021, №ას-1320-2020, 28 იანვარი, 2021, №ას-291-2020, 25 თებერვალი,
2021, №ას-934-2020, 25 მარტი, 2021, №ას-105-2021, 02 აპრილი, 2021, №ას-
341-341-2018, 28 აპრილი, 2021, №ას-1033 -2020, 16 აპრილი, 2021, №ას-
1449-2020, 23 აპრილი, 2021, №ას-1456-2020, 17 მაისი, 2021.

¹⁰¹ სუსგ №ას-515-488-2015, 11 თებერვალი, 2016.

ციპს. განსახილველ შემთხვევაში, ზიანის საკომპენსაციოდ ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა წარმატებული იქნებოდა სსკ-ის 992-ე მუხლით, 408-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე კოდექსის 409-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულების შემთხვევაში. მითითებული ნორმების თანახმად, **კანონმდებელი ზიანის ფულად ანაზღაურებას არ ითვალისწინებს იმ პირობებში, როდესაც ზიანის მიყენებელს შეუძლია აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა.** ასეთ დროს ზიანი სწორედ ამ მდგომარეობის აღდგენის გზით უნდა გამოსწორდეს. საკასაციო სასამართლოს დასკვნით, ვინაიდან საქმეზე დადგენილია, რომ მოპასუხის მიერ ზიანის მიყენებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელია, სააპელაციო სასამართლომ სწორად არ დააკმაყოფილა სარჩელი.

„იძულება იმდენად აშკარად და უხეშად ხელყოფს ნების თავისუფლების მდგომარეობას, რომ ზოგჯერ იგი დელიქტის სახესაც ღებულობს,“ „...შესაბამისად, უნდა გამოვიყენოთ 408-ე და 992-ე მუხლების წესები.

თუ იძულებისა და მოტყუების საფუძველზე, შემცილებელ პირს ადგება ზიანი ასეთ შემთხვევაში, როგორც იძულება, ისე მოტყუება უნდა განვიხილოთ არა მარტო, როგორც გარიგების ბათილობის სახელშეკრულებო გარემოებანი, არამედ როგორც დაუშვებელი მოქმედებანიც.

წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარმოებულ დავაში,¹⁰² საკასაციო პალატამ განმარტა, რომ რამდენიმე მოთხოვნის საფუძველის თავმოყრის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს ყველა გასათვალისწინებელი მოთხოვნის საფუძველი, თუ ერთ-ერთი მათგანი საერთოდ (ან სრულყოფილად) ვერ მიუახლოვდება მოსარჩელის მიერ დასახულ და სასურველ შედეგს (**სუსგ №ას-332-317-2016, 2016 წლის 9 დეკემბერი**). განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე უთითებს, რომ მას იძულებით დაათმობინეს საკუთრების უფლება პირველი მოპასუხე კომპანიის წილზე. შესაბამისად, უნდა შემოწმდეს, ხომ არ გამომდინარეობს მოსარჩელის მიერ დასახული სამართლებ-

¹⁰² სუსგ №ას-548-511-2017, 31 ივლისი, 2017, მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი ქონების დაბრუნების მოთხოვნით წარმოებულ დავებში. იხ.: სუსგები: №ას-664-635-2016, 02.03.2017, №ას-548-511-2017, 31 ივლისი, 2017, №ას-28-25-2017, 28 თებერვალი, 2018, №ას-1102-1022-2017, 28 მაისი, 2018, №ას-1040-960-2017, 5 ივლისი, 2018, №ას-201-201-2018, 8 ოქტომბერი, 2018, №ას-976-908-2017, 22 იანვარი, 2018, №ას-1230-2018, 14 დეკემბერი, 2018.

რივი შედეგი – ნილზე საკუთრების უფლების აღდგენა კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლებიდან, კერძოდ, დელიქტიდან. „იძულება იმდენად აშკარად და უხეშად ხელყოფს ნების თავისუფლების მდგომარეობას, რომ ზოგჯერ იგი დელიქტის სახესაც ღებულობს“, „...შესაბამისად, უნდა გამოვიყენოთ 408-ე და 992-ე მუხლების წესები. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენა შეცდილებულია თუ არა. ამდენად, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთნაირი ვადის გასვლის შემდეგაც (ბ. ზოიძე., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 2001, 246, 252) ***(საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02.03.2017, §212).***

პალატის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული მსჯელობა სრულად შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებას, რომლის თანახმად, კანონით დადგენილ ვადაში შეცილების განუხორციელებლობის შემთხვევაშიც, თუ იკვეთება პირის ნების თავისუფალ ფორმირებაში აშკარა და უხეში ჩარევა, დაზარალებულს უფლება აქვს ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა დააფუძნოს დელიქტურ ნორმებს. დიდი პალატის მითითებით, „თუკი იძულებისა და მოტყუების საფუძველზე, შემცილებელ პირს ადგება ზიანი, ასეთ შემთხვევაში, როგორც იძულება, ისე მოტყუება უნდა განვიხილოთ არა მარტო, როგორც გარიგების ბათილობის სახელშეკრულებო გარემოებანი, არამედ როგორც დაუშვებელი მოქმედებანიც ***(საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02.03.2017წ., §212, §213).***

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის სასურველი სამართლებრივი შედეგი შეიძლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 992-ე, 998-ე და 408.1 მუხლებიდან.

ზიანის დადგომაში მოპასუხეთა თანამონაწილეობისა და 998-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებზე მსჯელობისას, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აუცილებელია დადასტურდეს ის გარემოებაც, რომ მოპასუხეები ერთად მონაწილეობდნენ საკუთრების ხელყოფაში (რადგან ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო) ან (2) შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით (998-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ზემოაღნიშნულ პირველ შემთხვევაში (ერთობლივი ზიანი), ზიანის მიმყენებელი პირები უნდა მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით ანუ სახეზე უნდა იყოს ზიანის დადგომაში განზრახი თანამონაწილეობა, ხოლო მეორე შემთხვევაში (ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით), საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იგულისხმება ორი შემთხვევა: (1) პირი, ვინც თავისი უმოქმედობით ხელი შეუწყო სხვის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ ქმედებას, რადგან სხვისთვის ზიანის დადგომა მას ანიჭებს რაიმე სარგებელს და ეს უმოქმედობა უნდა შეფასდეს, როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული (მაგალითად, მეზობელმა ისარგებლა მუშების მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, რასაც მოჰყვა მისი მეზობელი მინის ნაკვეთის მიჯნის მოშლა); (2) მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი გახდა ზიანისა და მისი წარმომშობი მიზეზების თაობაზე, პირმა შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით (მაგალითად, შეგნებულად ბინა შეიძინა იმ პირისაგან, ვინც ყალბი საბუთების საფუძველზე აღირიცხა ბინის მესაკუთრედ და ეს შემძენისთვის გახდა ცნობილი) და ამ შემთხვევაშიც, მისი ქმედება უნდა შეფასდეს როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული (*სუსგ №ას-857-821-2014, 2015 წლის 21 დეკემბერი*).

ზიანი შეიძლება იყოს ხელშეკრულების დარღვევიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის შედეგი, ხოლო დელიქტის დროს კი, თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომელი ვალდებულების ძალითაც დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მიმყენებლისაგან.

ერთ-ერთ საქმეში,¹⁰³ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს.

პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი. დელიქტური ვალდებულება ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებაა და არასახელმწიფო ვალდებულების ერთ-ერთი სახეა. ზიანი შეიძლება იყოს ხელშეკ-

¹⁰³ სუსგ №ას-153-2019, 8 მაისი, 2019.

რულების დარღვევიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის შედეგი, ხოლო დელიქტის დროს კი, თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომელი ვალდებულების ძალითაც დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მიმყენებლისაგან. ამასთან, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ საქმეზე დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დადგომისათვის დამტკიცებულად და განხორციელებულად ითვლება დელიქტური სამართლის დამფუძნებელი ნორმის, სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი ნაწარმოებელი: მოქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ზიანი, ადეკვატური მიზეზობრივი კავშირი და ბრალი.

იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ ლიკვიდაციის დაწყებამდე განკარგა კომპანიის ქონება, რომელსაც შედეგად მოსარჩელის ქონებრივი ინტერესების შელახვა მოჰყვა, გამართლებულია დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო სასამართლომ შეცვალა ფაქტების სააპელაციო სასამართლოსეული კვალიფიკაცია და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, არა უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი, არამედ დელიქტური ნორმებია.

კონკრეტულ დავაში,¹⁰⁴ საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, ლიკვიდირებული კომპანიის კრედიტორ მენარდეს შეუძლია თუ არა მოსთხოვოს სახელმწიფოს თანხის ანაზღაურება. ქვემდგომი სასამართლოების დასკვნით, სახელმწიფო (რომელიც მოვალე კომპანიის დამფუძნებელია, განკარგავს მისი საწესდებო კაპიტალი, ხოლო შემდგომ მოახდინა კომპანიის ლიკვიდაცია და საკუთრებაში მიიღო ამ კომპანიის მიერ წარდობის ხელშეკრულების საფუძველზე გაუფორმებული ქონება) უსაფუძვლოდ გამდიდრდა და მან კონდიქციური ვალ-

¹⁰⁴ სუსგ №ას-1237-1157-2017, 9 ნოემბერი, 2018.

დებულების ფარგლებში უნდა აგოს პასუხი კომპანიის ყოფილი კრედიტორის წინაშე. სააპელაციო სასამართლომ ამ დასკვნის სამართლებრივ საფუძვლად გამოიყენა სსკ-ის 989-ე მუხლი, ამასთანავე, სასამართლომ დელიქტის წესებიდან გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილება იმ დასაბუთებით გამორიცხა, რომ შემკვეთი კომპანიის ლიკვიდაციის პროცესში ლიკვიდატორის მხრიდან კანონის მოთხოვნათა ფორმალური დაცვა გამორიცხავდა ზიანის შემადგენლობის არსებობას.

საკასაციო სასამართლომ შეცვალა ფაქტების სააპელაციო სასამართლოსეული კვალიფიკაცია და აღნიშნა, რომ ფაქტების სუბსუმირება სამართლის ნორმის წინაპირობებთან სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, როგორც სარჩელის ფაბულა, ისე დადგენილი და მხარეთა შორის უდავო ფაქტები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ **სახეზეა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები** და სარჩელის წარმატებულობა უნდა შეფასდეს სსკ-ის 992-ე მუხლის, 408-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 409-ე მუხლის ფარგლებში. ქვემდგომმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მარეგისტრირებულ ორგანოს წარედგინა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტით, მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც: ლიკვიდირებული საწარმოს მიმართ მოსარჩელის სახელშეკრულებო მოთხოვნა ნამდვილია; მოპასუხემ ლიკვიდაციის დაწყებამდე განკარგა კომპანიის ქონება; ლიკვიდატორმა კრედიტორი არ მოიწვია ლიკვიდაციის პროცესში და ქონების წინსწრებით განკარგვის გზით კანონით გარანტირებული კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები პრაქტიკულად გაასხვისა, სახეზეა მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული მოქმედება, რომელსაც შედეგად მოსარჩელის ქონებრივი ინტერესების შელახვა მოჰყვა, რაც გამართლებულს ხდის დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე სარჩელის დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლომ ლიკვიდირებულ საწარმოსა და მოსარჩელეს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გამოთვლის წესისა და საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე განსაზღვრა მოსარჩელის მიერ მისაღები თანხის ოდენობა და მის მიერ საავანსო ანგარიშსწორების წესით მიღებული თანხის სხვაობით დაიანგარიშა ზიანი.

ნოტარიუსის წინააღმდეგ წარმოებულ დელიქტური სამართალდარღვევიდან გამომდინარე დავაში,¹⁰⁵ საკასაციო პალატის დასკვნით, იმ პირობებში, როდესაც მოვალისაგან სესხის დაბრუნების შეუძლებლობა არ არის დადასტურებული (საალსრულებო ფურცლის აღსრულების გამომრიცხველი გარემოებები, „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის VII თავის თანახმად), გამორიცხულია, ზიანის დადგომის ფაქტზე მსჯელობა, რომელიც ნოტარიუსის ქმედების პირდაპირი შედეგი იქნება, შესაბამისად, ამ ფაქტობრივ მოცემულობაში სარჩელი გაუმართლებელია და იგი სწორად უარყვეს ქვემდგომმა სასამართლოებმა.

ერთ-ერთ საქმეში,¹⁰⁶ მოსარჩელისათვის დანაშაულით (მოპასუხის მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილით, მომხდარი ავტოავარიის შედეგად დაზარალებული პირი (მოსარჩელეთა შვილი) გარდაიცვალა) მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 992-ე მუხლი, პირველი მოპასუხის მიმართ, სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილი, მეორე მოპასუხის მიმართ, ასევე, სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი, 409-ე და სსკ-ის 463-ე მუხლები. გადანყვეტილებით სარჩელი მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ მატერიალური ზიანის ანაზღაურება, სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში სრულად დაკმაყოფილდა და მოპასუხეებს, მოსარჩელის სასარგებლოდ, 3000 ლარის გადახდაც დაეკისრათ.

სხვა საქმის მასალების მიხედვით,¹⁰⁷ გზის სავალ ნაწილზე მდებარე ქვის სახურავთან შეჯახების შედეგად მოსარჩელის ავტომანქანა დაზიანდა. სარჩელი კომპანიისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა, რომ იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს კერძოდ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა **სსკ-ის 992-ე, 408.1 და 409-ე მუხლებიდან** გამომდინარეობს.

სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით, განსხვავებით სახელშეკრულებო ვალდებულებისგან, რომელიც წარმოიშობა პირის მიერ ხელშეკრუ-

¹⁰⁵ სუსგ №ას-41-41-2018, 15 თებერვალი, 2019.

¹⁰⁶ სუსგ №ას-1280-2018, 30 ოქტომბერი, 2019.

¹⁰⁷ სუსგ №ას-1342-2018, 31 მაისი, 2019.

ლებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობიდან, დელიქტური ვალდებულება არასახელმწიფო ვალდებულებათა კატეგორიას მიეკუთვნება და მისი წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი შედეგსა და ქმედებას შორის. აღნიშნული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, პირს (ზიანის მიმყენებელს) უნდა დაეკისროს დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურება **(სუსგ №ას-72-72-2018, 15.02.2018)**.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში, ნავარაუდევნი სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობა განმტკიცებულია სსკ-ის 408-ე მუხლში, რომლის ნორმატიული მიზნიდან გამომდინარეობს, რომ აღდგეს ვითარება, რომელიც არსებობდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ გარემოებამდე ე. ი. ვალდებულების დარღვევამდე. ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ზიანი არის ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც არ დადგებოდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა. აღნიშნული მუხლის თანახმად, ზიანის გამომწვევეა პირმა უნდა აღადგინოს ის თავდაპირველი ვითარება, რომელიც ზიანის გამომწვევი მოვლენის გარეშე იარსებებდა. ნატურით რესტიტუციის დამაბრკოლებელ გარემოებას პირველადი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა წარმოადგენს **(სსკ-ის 409 მუხლი)**.

411-ე მუხლი

ერთ-ერთ საქმეში,¹⁰⁸ რადგანაც მყიდველმა გადააცილა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადას, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გამყიდველს უფლება ჰქონდა ვალდებულების შესრულებასთან ერთად მოეთხოვა ვადაგადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაც, რადგა მან ვერ მიიღო ის შემოსავალი, რასაც ის მიიღებდა ჩვეულებრივ პირობებში ფულის გამოყენებით **(სსკ-ის 404-ე და 411-ე-412-ე მუხლები)**. მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს

¹⁰⁸ სუსგ №ას-854-804-2015, 7 მარტი, 2016, მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივ ბუნებაზე ასევე, იხ.: სუსგ-ები: №ას-632-590-2017, 8 იანვარი, 2018, №ას-1318-1238-2017, 23 თებერვალი, 2018, №ას-82-82-2018, 09 მარტი, 2018, №ას-816-816-2018, 5 ოქტომბერი, 2018, №ას-1308-2018, 14 დეკემბერი, 2018, №ას-1294-1214-2017, 26 აპრილი, 2018, №ას-1549-2019, 14 თებერვალი, 2020, №ას-163-2020, 23 სექტემბერი, 2020.

სავარაუდო შემოსავალს, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში. ესაა ანაც-დენი მოგება, რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის განსაკუთრებულ კომერციულ ინტერესში შედის, ვინაიდან კომერციულ ბრუნვაში მი-სი ინტერესი შემოსავლის მიღებისკენაა მიმართული.

სასამართლოს დასკვნით, მინოდებული პროდუქციის ღირებულების დროულად გადახდის შემთხვევაში, გამყიდველს შეეძლო ნებისმი-ერ საბანკო დაწესებულებაში ანაბარზე დავალიანების თანხის გან-თავსებით მიეღო სარგებელი საბანკო საპროცენტო განაკვეთის სა-ხით მინიმუმ, წლიური 9%, რომლის ანაზღაურების ვალდებულებაც უნდა დაკისრებოდა მყიდველს ვალდებულების სრულ შესრულებამ-დე. ამასთან, საკასაციო სასამართლომ საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტა შემდეგი: „რაც შეეხება სსკ-ის 411-ე მუხლს, აღნიშნული ნორმა არეგულირებს ვალდებულების დარ-ღვევით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების წესს და მიუღებლად განიხილება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს, და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრუ-ლებულიყო. საკასაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწ-ყვეტილების დასკვნა ვადიანი ხელშეკრულებების შესრულების ვა-დის დარღვევით გამოწვეული ზიანის ნაწილში და მიიჩნია, რომ ქვემ-დგომმა სასამართლომ ფულის თვისობრივი ფუნქციიდან გამომდი-ნარე, მართებულად დაუკავშირა ამგვარი ზიანი საბანკო სფეროში ანაბარზე თანხის განთავსების შემთხვევაში მისაღებ სარგებელს“ **(სუსგ №ას-725-693-2014, 3 ივლისი 2015).**

სხვა საქმეში,¹⁰⁹ მოსარჩელემ მოითხოვა უძრავი ქონების ნასყიდო-ბის წინარე და ამავე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებე-ბის შეწყვეტა, საცხოვრებელი ფართის შესაძენად გადახდილი თან-ხის დაბრუნება და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მხარეთა შორის 2010 წლის 23 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, სახლი ექ-სპლუატაციაში უნდა ყოფილიყო მიღებული 2010 წლის დეკემბერში. სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2013 წლის 17 ივნისს, როდე-საც მოსარჩელემ სასამართლოში სარჩელი აღძრა და მოითხოვა ხელ-შეკრულებიდან გასვლა, სახლის მშენებლობა ჯერ კიდევ დასრულე-ბული არ იყო.

¹⁰⁹ სუსგ №ას-945-895-2015, 14 მარტი, 2016.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, არაერთ საქმეში განმარტა, რომ „მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით, ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება“ (სუსგ №ას-307-291-2011, 24 ოქტომბერი, 2011, სუსგ №ას-899-845-2012, 22 ნოემბერი, 2012).

411-ე მუხლის შინაარსის გათვალისწინებით, მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებენ მოპასუხის მიერ ზემოაღნიშნული ბინის გადაცემასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, რა შემოსავალს მიიღებდა და ვალდებულების დარღვევის შედეგად მოსარჩელემ არ მიიღო. მოსარჩელე მიუთითებს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში ბინის გადაცემის შემთხვევაში, იგი 2011 წლის იანვრიდან ამ ბინას გააქირავებდა, რაც სავსებით შესაძლებლად მიიჩნია სასამართლოს, რადგან თუ პირს ბინა საცხოვრებლად არ სჭირდება, მისი გაქირავება წარმოადგენს უძრავი ქონებით შემოსავლის მიღების ყველაზე ფართოდ დამკვიდრებულ და აპრობირებულ ფორმას. მოსარჩელე მოპასუხესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა 2013 წლის 17 ივნისამდე, თუმცა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მოპასუხემ საკუთარი ვალდებულებები ვერ შეასრულა. შესაბამისად, 2011 წლის იანვრიდან 2013 წლის 17 ივნისამდე, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს ის მიუღებელი შემოსავალი, რომელიც მას ამ პერიოდში (ანუ ხელშეკრულებიდან გასვლამდე) ბინის გაქირავების შემთხვევაში ექნებოდა.

აუდიტის დასკვნაში მითითებული ბინის ყოველთვიური ქირის ოდენობის შესაბამისად 2011 წლის იანვრიდან 2013 წლის 17 ივნისამდე პერიოდში ბინის გაქირავებით მიუღებელი შემოსავლის ოდენობა იქნებოდა 9000 აშშ დოლარი ($300 \times 30 = 9000$).

მიუღებელი შემოსავალი არის სარგებელი, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. ესაა ანაცდური მოგება, რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის განსაკუთრებულ კომერციულ ინტერესში შედის, ვინაიდან კომერციულ ბრუნვაში მისი ინტერესი შემოსავლის მიღების კენაა მიმართული, თუმცა თავად მოგება არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე, რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად.

კონკრეტულ დავაში,¹¹⁰ საკასაციო სასამართლომ მოსარჩელი მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნით უარყო, იმ საფუძველით, რომ მოსარჩელემ ვერ მოახდინა მისი მტკიცების ტვირთის რეალიზაცია. ამ დავაში სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამდენად, კანონმდებელი დაზარალებულს (კრედიტორს) უფლებას აძლევს ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ იმ ანაცდენი სარგებლისათვის, რომელსაც დაზარალებული მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. მთავარი წინაპირობა მოცემული მუხლის გამოყენებისათვის, არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რასაც შედეგად მოჰყვა ზიანის დადგომა. საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ ზოგადი პრინციპის თანახმად, განსახილველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა და დაემტკიცებინა, რომ მოპასუხის ქმედება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანი, მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ასევე ის, თუ რას შეადგენს ზიანის ოდენობა. ამასთან, ვინაიდან მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით, მოსარჩელეს იმგვარი მტკიცებულებები უნდა წარედგინა, რომელიც შექმნიდა ობიექტურ სურათს ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით. ასევე, საგულისხმოა თავად „მიუღებელი შემოსავლის“ განმარტება. სასამართლო პრაქტიკა-

¹¹⁰ სუსს გადაწყვეტილება №ას-1018-979-2016, 21 აპრილი, 2017.

კაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ეს არის სარგებელი, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. ესაა ანაცდური მოგება, რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის განსაკუთრებულ კომერციულ ინტერესში შედის, ვინაიდან კომერციულ ბრუნვაში მისი ინტერესი შემოსავლის მიღებისკენაა მიმართული, თუმცა თავად მოგება არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე, რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად.

ერთ-ერთ საქმეში,¹¹¹ საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით უარყო რა, სარჩელი აღნიშნა, რომ მიუღებელ შემოსავლად არ შეიძლება განვიხილოთ მოსარჩელის მიერ მითითებული და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ მოსარჩელე პოლიკლინიკამ იმის გამო, რომ მის მიერ იჯარით აღებულ ფართში რამდენიმე თვის განმავლობაში ფუნქციონირებდა მოპასუხე პოლიკლინიკა, დაკარგა 2962 ბენეფიციარი.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში, განხორციელებულად არ მიიჩნევა სსკ-ის 411-ე მუხლის წანამძღვრები, რაც საფუძვლად დაედებოდა ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილებას. ვინაიდან, მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო (*სუსგ №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015*).

ერთ საქმეში,¹¹² სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს მყიდველისათვის ნასყიდობის საზღაურის, ასევე, ამ თანხის აუნაზღაურებლობით გამოწვეული ზიანის – მიუღებელი შემოსავლის დაკისრების წინაპირობების არსებობა.

რაც შეეხება მიუღებელ შემოსავალს, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებს სარჩელში მითითებული ფაქტები, კერძოდ, შესაგებლის წარუდგენლობის გამო, დადგენილად მიიჩნევა მხოლოდ ის გარემოება, თუ რა ოდენობით მოგებას მიიღებდა მოსარჩელე თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებისას. **სსკ-ის 411-ე მუხლის მიზნებისათვის კი, სავალ-**

¹¹¹ სუსგ №ას-1006-927-2017, 12 იანვარი, 2018.

¹¹² სუსგ №ას-1178-1098-2017, 26 მარტი, 2019.

დებულოა, მოსარჩელე მიუთითებდეს, რომ თანხის დეპოზიტზე განთავსება მის ჩვეულებრივ საქმიანობას წარმოადგენს და ამავე კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, ამგვარი ქმედების ნეგატიური შედეგები სავარაუდო უნდა ყოფილიყო მეორე მხარისათვის. ამ ფაქტების მითითების გარეშე მიუღებელი შემოსავლის მხოლოდ თანხის დაყოვნების მოტივით მოვალისათვის დაკისრება დაარღვევს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის პრინციპს.

სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი განამტკიცებს ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს და ანიჭებს კრედიტორს ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ფულადი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისას, მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს საბანკო დანესებულებაში დეპოზიტების წლიური საპროცენტო განაკვეთი, რასაც კრედიტორი მიიღებდა ბრუნვაუნარიანი ობიექტის – ფულის შეგროვების და ანაბარზე განთავსების შედეგად.

კონკრეტულ დავაში,¹¹³ მოსარჩელე ითხოვდა სესხის ძირითადი თანხის დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მიზნით, მოპასუხეებისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით, სესხის ძირითადი თანხის (6 000 აშშ დოლარი) წლიური 22 %-ის დაკისრებას, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კი, კრედიტორის სარჩელი სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მოვალეებს 5 400 აშშ დოლარის წლიური 4.70 %-ის გადახდა დაეკისრათ. უზენაესმა სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.

სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 394-ე, 411-ე, 412-ე მუხლებზე დაყრდნობით განმარტა, რომ ფულადი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება კრედიტორს ყოველთვის ზიანს აყენებს და სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება არც ზიანის მიყენების ფაქტის და არც ოდენობის დადგენას. **ამგვარ მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს საბანკო დანესებულებაში დეპოზიტების წლიური საპროცენტო განაკვეთი, რასაც კრედიტორი მიიღებდა ბრუნვაუნარიანი ობიექტის – ფულის შეგროვების და ანა-**

¹¹³ სუსგ №ას-250-250-2018, 15 ივნისი, 2018.

ბარზე განთავსების შედეგად, ამაზე მეტი ოდენობით ზიანის მიყენება კი, დადასტურებული უნდა იყოს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კრედიტორის პრეტენზია მიუღებელი შემოსავლის ნაწილში ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო და მოპასუხეებს უნდა დაკისრებოდათ სესხის დაუბრუნებელი ნაწილის – 5400 აშშ დოლარის წლიური 4.70%-ის გადახდა იმ თარიღიდან, როდესაც მოპასუხეებმა დაარღვიეს ვალდებულება – არ დააბრუნეს თანხა, ვალდებულების სრულად შესრულებამდე. სასამართლომ განმარტა, რომ წლიური 4.70% წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე (<https://www.nbg.gov.ge>) მითითებულ უცხოურ ვალუტაში გახსნილი ანაბრის (დეპოზიტის) საშუალო წლიურ პროცენტს (ბონიტეტს) და 2015 წლიდან 2017 წლის ჩათვლით პერიოდზე იხელმძღვანელა ეროვნული ბანკის ვებგვერდზე განთავსებული მონაცემების საშუალო მაჩვენებლით.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, მოვალე ვალდებულია ფაქტობრივ ზიანთან ერთად მიუღებელი შემოსავალიც ანაზღაუროს დაზარალებულს. განსახილველ დავაში მიუღებელი შემოსავლის არსებობა უდავოა, რადგან ფული, როგორც ყველაზე ბრუნვაუნარიანი საგანი, უპირობოდ იძლევა შემოსავლის მიღების პრეზუმფციას. მოვალემ ვალდებულების დარღვევით, კერძოდ, კრედიტორს დროულად არ გადაუხადა სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი თანხა, ლოგიკურად სავარაუდო შემოსავალი დააკარგვინა მას. „სსკ-ის 411-ე მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს 408-ე მუხლში მოცემულ ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპს. სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე, ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილიქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება“ **(სუსგ ახ-459-438-2015, 07.10.2015).**

სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი განამტკიცებს ვალდებულებ-

ბის დამრღვევი პირის ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს და ანიჭებს კრედიტორს ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, ხოლო მისი გამოყენების წინაპირობებია: მართლწინააღმდეგობა, ბრალი, მიზეზობრივი კავშირი და ზიანი. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ (სსკ-ის 408 ე მუხლი). ანაზღაურებას ექვემდებარება პირდაპირი ზიანი და არა არაპირდაპირი ზიანი. პირდაპირ ზიანს მიეკუთვნება როგორც დადებითი ზიანი, ისე მიუღებელი შემოსავალი. არაპირდაპირი ზიანი ეს ისეთი ზიანია, რომელიც გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, საერთოდ ვერ იქნებოდა სავარაუდო მოვალისათვის. როგორც ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის შემთხვევაში, ნავარაუდვეი სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის ორიენტირი განმტკიცებულია სსკ-ის 408-ე მუხლში, რომლის ნორმატიული მიზნიდან გამომდინარეობს, რომ განხორციელდეს იმ ვითარების აღდგენა, რომელიც იარსებებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომამდე, ე.ი. ვალდებულების დარღვევამდე. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ზიანი არის ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც არ იარსებებდა ვალდებულების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში ე.ი. ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობებში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებით, სასამართლომ უპირველესად, უნდა შეაფასოს ზიანის, როგორც მეორადი მოთხოვნის წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობა (*სუსგ №ას-167-163-2016, 01.07.2016*).

როგორც ზიანის ერთ-ერთი სახე, მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს აბსტრაქტულ ქონებრივ დანაკლისს, ის ყოველთვის სავარაუდოა და მისი პირისათვის მიკუთვნება ხდება იმ პირობებში, როდესაც ვალდებულების დარღვევის/დელიქტური ქმედების შედეგად მაღალი ალბათობითაა სავარაუდო კრედიტორის მიერ არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი დანაკლისის, არამედ ანაცდენი მოგების (*lucrum cessans*) ხელიდან გაშვება, რაც მოვალის გაუმართლებელი ქმედების პირდაპირი და უშუალო შედეგია.

სსკ-ის 411-ე მუხლი თავად წარმოადგენს არა მხოლოდ უფლების

დაცვისა და მართლწინააღმდეგობრიობის აღკვეთის რეპრესიულ მექანიზმს, არამედ მასში მოცემულია პრევენციული ელემენტებიც.

სხვა საქმეში,¹¹⁴ რომელშიც სარჩელი მიუღებელი შემოსავლის სახით მისაღები ბონუსის 10%-ის დაკისრების მოთხოვნით დაკმაყოფილდა. მოსარჩელემ (კასატორმა) მოითხოვა დარიცხული და აუნაზღაურებელი სარგებლის ძირი თანხის ანგარიშში მითვლა და მომდევნო წლის სარგებლის ამ ძირ თანხაზე დარიცხვა, რასაც ის პროცენტის ეფექტური განაკვეთით ხსნიდა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ საბანკო სფეროს მარეგულირებელი წესებისთვის დამახასიათებელი ცნებაა და იგი როგორც წესი, ამ სფეროში დადებული სახელშეკრულებო შეთანხმების საგანს წარმოადგენს, რაც შეეხება განსახილველი დავის საგანს, მისი მატერიალური საფუძველი სსკ-ის 411-ე მუხლია.

მიუღებელი შემოსავალი როგორც ზიანის ერთ-ერთი სახე, წარმოადგენს აბსტრაქტულ ქონებრივ დანაკლისს, ის ყოველთვის სავარაუდოა და მისი პირისათვის მიკუთვნება ხდება იმ პირობებში, როდესაც ვალდებულების დარღვევის/დელიქტური ქმედების შედეგად მაღალი ალბათობითაა სავარაუდო კრედიტორის მიერ არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი დანაკლისის, არამედ, ანაცდენი მოგების (lucrum cessans) ხელიდან გაშვება, რაც მოვალის გაუმართლებელი ქმედების პირდაპირი და უშუალო შედეგია. ამგვარი ზიანი „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss) წარმოადგენს და არა საბანკო სფეროსათვის დამახასიათებელი სახელშეკრულებო შეთანხმების საგანს. ამასთან, ხსენებული ნორმა ადგენს რა დაზარალებულის უფლებას, მაქსიმალურად აღიდგინოს დარღვეული უფლებები, სსკ-ის 412-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ასევე იცავს მოვალეს გაუმართლებლად დიდი დანახარჯებისაგან და ადგენს ბალანსს პირთა უფლებრივ მდგომარეობას შორის. ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 411-ე მუხლი თავად წარმოადგენს არა მხოლოდ უფლების დაცვისა და მართლწინააღმდეგობრიობის აღკვეთის რეპრესიულ მექანიზმს, არამედ მასში მოცემულია პრევენციული ელემენტებიც.

გამართლებულია საკრედიტო დანესებულების შემთხვევაში მიუღებელ ზიანად იმ შემოსავლის მიჩნევა, რომელსაც საკრედიტო დანესებულება მსესხებლის მიერ სესხით გათვალისწინებულ

¹¹⁴ სუსგ №ა-719-გან-1-2019, 22 თებერვალი, 2019.

თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით მიიღება.

მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნა სამართლებრივად დასაბუთებულია მხოლოდ კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვამდე პერიოდისათვის გადასახდელი სარგებლის მოვალისათვის დაკისრების ნაწილში. კრედიტის თანხის დაბრუნების შემდგომ პერიოდში, სარგებლის გადახდის მოთხოვნა დაუსაბუთებელია შესაძლო ზიანზე არსებული ვარაუდის უსაფუძვლოების გამო.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ დავაში, ბანკის სარჩელი კლიენტის წინააღმდეგ, რომელმაც დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შემდგომმა სასამართლოებმა საქალაქო სასამართლოს გადწყვეტილება უცვლელი დატოვეს.¹¹⁵

სსკ-ის 403-ე და 411-ე მუხლების ერთობლივი ანალიზის შედეგად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მიუღებელ შემოსავლად იმ სარგებლის მიჩნევა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული და რაც საკრედიტო დანესებულებას უნდა მიეღო, სრულიად ლოგიკურია, ვინაიდან საკრედიტო დანესებულების ძირითადი ფუნქცია და დანიშნულება სწორედ ფულადი თანხის სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემაა. შესაბამისად, საკრედიტო დანესებულებებთან მიმართებით, არსებობს პრეზუმფცია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საკრედიტო დანესებულება ვერ იღებს იმ შემოსავალს, რომელიც მას აღნიშნული თანხით უნდა მიეღო. სწორედ ამიტომ, გამართლებულია საკრედიტო დანესებულების შემთხვევაში მიუღებელ ზიანად იმ შემოსავლის მიჩნევა, რომელსაც საკრედიტო დანესებულება მსესხებლის მიერ სესხით გათვალისწინებულ თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით მიიღება.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე საკრედიტო ხელშეკრულებით კრედიტისათვის გათვალისწინებული სარგებლის (როგორც მიუღებელი შემოსავლის) მოვალისათვის დაკისრებას ხელშეკრულების სრული ვადისათვის ითხოვდა. არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, **პალატამ მიიჩნია, რომ ამგვარი მოთხოვნა სამართლებრივად დასაბუთებული იყო მხოლოდ კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვამდე პერიოდისათვის გადასახდელი სარგებლის მოვალისათვის დაკისრების ნა-**

¹¹⁵ სუსგ №ას-201-2019, 8 მაისი, 2019.

ნილში. შესაბამის პერიოდში კრედიტის სახით გაცემული თანხის გამოყენების შეუძლებლობა საკრედიტო დანესებულებისათვის მიიჩნევა, როგორც ამ თანხის ბრუნვის შედეგად მისაღები შემოსავლის დაკარგვის საფუძველი. რაც შეეხება კრედიტის თანხის დაბრუნების შემდგომ პერიოდს, მისთვის სარგებლის გადახდის მოთხოვნა დაუსაბუთებელია შესაძლო ზიანზე არსებული ვარაუდის უსაფუძვლობის გამო. კრედიტის გამცემის განმარტების შესაბამისად, მისთვის მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს თანხა, რასაც იგი მიიღებდა კონკრეტული ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების – მისი ვადის ბოლომდე კრედიტისა და სარგებლის გადახდის შემთხვევაში. იმის გათვალისწინებით, რომ ფული განიხილება, როგორც ყველაზე ბრუნვაუნარიანი საშუალება და საკრედიტო დანესებულების მიერ მისი ფლობა ქმნის ჩვეულებრივ, საქმიანობის განხორციელებით სარგებლის მიღების უპირობო ვარაუდს, თანხის დაბრუნების მიუხედავად, შემოსავლის მიღების შეუძლებლობაზე მითითება გაუმართლებელია, როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. *(№ას-841-805-2014, 23 მარტი, 2015).*

ამდენად, პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ მოპასუხეთა მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლოა რამდენიმე თვის ვადაში აღსრულდეს, მოსარჩელეს ეძლევა შესაძლებლობა კვლავ გასცეს აღნიშნული თანხა სესხად და მიიღოს სარგებელი. შესაბამისად, ამ ვითარებაში მიუღებელი შემოსავლის სახით, ზიანის არსებობაზე მითითება საფუძველს მოკლებულად იქნა მიჩნეული.

კონკრეტულ დავაში,¹¹⁶ სესხის, სარგებლის, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებისა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია **სსკ-ის 623-ე, 625.1, 286.1, 404-ე და 411-ე მუხლები**. ამხანაგობამ ბრალეულად გადაააცილა სესხის დაბრუნების ვადას. შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია შესრულებასთან ერთად ვადაგადაცილების ზიანიც მოითხოვოს.

საკასაციო პალატა დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ფულის განსაკუთრებულ თვისებასთან დაკავშირებით, მის მფლობელს მოუტანოს შემოსავალი და განმარტა, რომ სყიდვითუნარიანობის მაღალი ხარისხით, ფულს ყველა შემთხვევაში, აქვს სარგებლის მოტანის უნარი. ფული ყოველთვის შემოსავლის წყაროა, ვინაიდან შეუძლია მესაკუთრეს შესძინოს არა მხოლოდ მისთვის სა-

¹¹⁶ სუსგ №ას-84-2019, 25 აპრილი, 2019, ასევე, №ას-354-2019, 5 ივლისი, 2019.

სურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალი საბანკო პროცენტის სახით. ამგვარად, ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება არც ზიანის მიყენების ფაქტისა და არც მისი ოდენობის დადგენას (*სუსგ №ას-992-950-2013, 04.03. 2014*).

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სესხის ძირითადი თანხის წლიური 8% წარმოადგენს იმ მიუღებელ შემოსავალს, რომელსაც მოსარჩელე ამ თანხის საბანკო ანაბარზე განთავსებით უპრობლემოდ მიიღებდა, შესაბამისად, პალატა დაეთანხმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას მიუღებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრის ნაწილშიც.

სხვა საქმეში,¹¹⁷ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველი დავა, მიუღებელი შემოსავლის დაკისრების თაობაზე, ნაწარმოებია რესტიტუციის მოვალის მიერ ხელშეკრულებიდან მოსარჩელის გასვლის გამო უძრავი ქონების, რესტიტუციის კრედიტორისათვის, დაგვიანებით დაბრუნების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს ორი მოთხოვნა აქვს: პირველი, უძრავი ქონების გაქირავების შემთხვევაში მისაღები შემოსავალი – 97 956 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი და მეორე, უძრავი ქონების დაუბრუნებლობით მიყენებული ზიანი – 94 650 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. პირველი სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მოსარჩელე მიიღებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გარემონტებულ უძრავ ქონებას – ბინას, კომერციულ ფართსა და ავტოსადგომს. დადგენილია, რომ ხელშეკრულების დადებისას, მოსარჩელის მიზანი კომერციული იყო, მას უძრავი ქონების გაქირავებით შემოსავალი უნდა მიეღო. მოპასუხისათვის ცნობილი და სავარაუდო იყო მოსარჩელის მოლოდინი, რომ იგი უძრავი ქონების გაქირავებით შემოსავალს მიიღებდა. შესაბამისად, დასაბუთებულია სასარჩელო მოთხოვნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის, სამი წლის განმავლობაში, უძრავი ქონების გაქირავებით მისაღები შემოსავლის, მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე (*სსკ-ის 407.1*,

¹¹⁷ სუსგ №ას-689-2019, 13 დეკემბერი, 2019.

408.1, 411-ე მუხლები).

მოსარჩელის მეორე სასარჩელო მოთხოვნა უძრავი ქონების დაუბრუნებლობით გამონეწეული ზიანის ანაზღაურებაა, რომელიც სსკ-ის 352.1 მუხლით განსაზღვრული რესტიტუციის ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარეობს და ამავე მუხლის მეხუთე ნაწილითაა გათვალისწინებული. იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სსკ-ის 352.5 მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გულისხმობს პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებას. პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგი უკვე გამოვლენილია ამ ნორმის გამოყენებისას – მხარეები გავიდნენ ხელშეკრულებიდან და მათ წარმოეშვათ ნატურით დაბრუნების ვალდებულება. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, 394-ე და 352.5 მუხლების საფუძველზე გამოყენების შემთხვევაში, ვრცელდება არა ხელშეკრულებიდან გასვლის (ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის) გამო წარმოშობილ ზიანზე, არამედ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად დადგენილ ნატურით დაბრუნების ვალდებულების დარღვევაზე, რის შედეგადაც კრედიტორს მიადგა ზიანი. შესაბამისად, 394-ე მუხლით დადგენილი ზიანის ანაზღაურების წინაპირობას (მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მუხლი გამოიყენება 352.5 მუხლის საფუძველზე) წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის ფაქტი და გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობა.

განსახილველ შემთხვევაში, შესაძლოა არსებობდეს სსკ-ის 352.5 და 394.1 მუხლებით დადგენილი ზიანის ანაზღაურების წინაპირობები, კერძოდ, ხელშეკრულებიდან მოსარჩელის გასვლისა და მოპასუხის მიერ გასვლის შედეგად წარმოშობილი რესტიტუციის ვალდებულების დარღვევის ფაქტი. რესტიტუციის მოვალის მიერ რესტიტუციის ვალდებულების დარღვევა იმაში გამოიხატა, რომ მან რესტიტუციის კრედიტორს არ დაუბრუნა ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული უძრავი ქონება, რითაც მოსარჩელემ დაკარგა ამ თანხის გამოყენებისა (მაგალითად, ბანკში ანაბარზე განთავსებისა) და შემოსავლის მიღების შესაძლებლობა (*სსკ-ის 411-ე მუხლი*).

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უძრავი ქონების დროულად დაბრუნების შემთხვევაში მისი გასხვისებით, საბაზრო ღირებულების ოდენობით, მიღებული თანხის საბანკო ანაბარზე განთავსებისა და სარგებლის მიღების თაობაზე დაუსა-

ბუთებელია, არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ქონების გაქირავებასა და გასახვისებას შორის მკაფიო განსხვავებაა. **სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მიუღებელი შემოსავალი, რომელიც მოვალისათვის არა მხოლოდ წინასწარ სავარაუდო უნდა იყოს, არამედ უნდა იყოს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი.** განსახილველ შემთხვევაში ქონების გაქირავების შეუძლებლობით მიყენებული ზიანის სავარაუდოება უფრო დამაჯერებელია და რეალური, ვიდრე ის გარემოება, რომ მოსარჩელე კუთვნილი უძრავი ქონების დროულად დაბრუნების შემთხვევაში აუცილებლად გაასხვისებდა ქონებას (ან მის ნაწილს), შესაბამისად, ამ ნაწილში მოსარჩელემ დამაჯერებლად და სარწმუნოდ ვერ დაამტკიცა საკუთარი მოთხოვნის საფუძვლიანობა.

მეორე სასარჩელო მოთხოვნის მატერიალურსამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 411-ე და 394.1 მუხლები. მოსარჩელეს იმგვარი მტკიცებულებები უნდა წარმოედგინა, რომელიც შექმნიდა ობიექტურ, რეალურ სურათს ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით და არა ვარაუდს, ალბათობას შემოსავლის მიღების თაობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სსკ-ის 411 ე მუხლი მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარნახევი და არა კრედიტორის სუბიექტური შეფასებით. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სსკ-ის 411-ე მუხლის მეორე წინადადებას, რომლის თანახმად, „მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.“ საგულისხმოა უშუალოდ ტერმინი „მიუღებელი შემოსავალი,“ სახელდობრ შინაარსი, რომელიც მის მიღმა დგას. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მისი მოცულობა (*სუსგ. №ას-153-2019, 08.05.2019*).

საურავი სსკ-ის 411-ე მუხლით გათვალისწინებულ ვერც „ფაქტობრივ დანაკლისად“ და ვერც მიუღებელ შემოსავლად ვერ მიიჩნევა.

ერთ-ერთ საქმეში,¹¹⁸ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი აღიარებული საგადასახა-

¹¹⁸ სუსგ №ას-1051-1006-2014, 1 ივლისი, 2016.

დო დავალიანების, ასევე, დარიცხული სანქცია-საურავების სანარმოსა და სანარმოს დირექტორისათვის სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნით ნაწილობრივ, კერძოდ, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაკისრების მოთხოვნით დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებისას იხელმძღვანელა სსკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 316-ე მუხლის პირველი ნაწილით, 992-ე, 998-ე მუხლებით, ხოლო უარყოფის ნაწილი სსკ-ის 411-ე მუხლით დაასაბუთა და აღნიშნა, რომ **საურავი სსკ-ის 411-ე მუხლით გათვალისწინებულ ვერც „ფაქტობრივ დანაკლისად“ და ვერც მიუღებელ შემოსავლად ვერ მიიჩნევა**, რადგან საურავი წარმოადგენს სანქციას გადასახადის ძირითადი თანხის გადაუხდელობისათვის, რომლის გადახდაზეც, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, პასუხისმგებელია მხოლოდ გადასახადის გადამხდელი. ამის გამო, საურავის გადახდაზე შპს-ის დირექტორს სოლიდარული პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრებოდა.

მოპასუხეებს გადანყვეტილება არ გაუსაჩივრებიათ, საკასაციო საჩივარი წარადგინა მხოლოდ მოსარჩელემ. საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ სსკ-ის 992-ე მუხლით განსაზღვრულია დელიქტური ვალდებულების უზოგადესი წესი და იგი საგადასახადო კანონმდებლობის, რომელიც საჯარო სამართლით მონესრიგებული დარგია, საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებას ასევე, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დარიცხული საურავის ანაზღაურებას არ არეგულირებს. დასახელებული საკითხის მონესრიგება საჯარო სამართლის ნაწილია და ასახულია საგადასახადო კოდექსით დადგენილ ნორმებში.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღიარებული საგადასახადო დავალიანების ასევე, დარიცხული სანქცია-საურავების გადასახადის გადამხდელისათვის დაკისრებისა და/ან ამ თანხის ამოღების მიზნით მიმდინარე საალსრულებო წარმოების კანონიერების სამოქალაქო წესით შემოწმების წინაპირობები ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებს და მოცემული დავის ფარგლებს სცილდება.

ერთ-ერთ საქმეში,¹¹⁹ პალატამ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მიუღებელი შემოსავალი ექვემდებარება ანაზღაურებას, თუ კრედიტორი დაასაბუთებთ, რომ იგი ამ ოდე-

¹¹⁹ №ას-107-2019, 13 მარტი, 2020.

ნობით ანაზღაურებას მიიღებდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობებში და ეს მოვალისათვის სავარაუდო უნდა ყოფილიყო. განსახილველ შემთხვევაში გასათვალისწინებელია მოდავე სუბიექტები და ვალდებულების წარმოშობის საფუძველი: საბანკო დაწესებულება მოითხოვს მსესხებლისა და სოლიდარული თავდებისათვის სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების დაკისრებას. იმ პირობებში, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრულია საპროცენტო განაკვეთი, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გვაროვნული ნივთი – ფული, ხოლო კრედიტორის სამეწარმეო საქმიანობა სასყიდლიანი კრედიტის გაცემაა, სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის წინაპირობების არსებობა დადასტურებულად მიიჩნევა, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებულია იმ კუთხითაც, რომ ბანკი შემოსავალს ხელშეკრულების ფარგლებში მიიღებდა მსესხებელს დროულად რომ დაებრუნებინა თანხა. ამდენად, ქვემდგომი სასამართლოს დასკვნა ძირითადი თანხის გადახდამდე, მაგრამ არა უმეტეს, 2020 წლის 29 აგვისტოსი საპროცენტო სარგებლის დაკისრების თაობაზე, როგორც მიუღებელი შემოსავლის კომპენსირებისა, დასაბუთებულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით,¹²⁰ „სარგებლისა და მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი ბუნება განსხვავებულია. სარგებელი ეს არის ნივთის (ამ შემთხვევაში, ფულით სარგებლობისათვის პროცენტი) გამოყენების შედეგად მსესხებლის მიერ მიღებული ან მისაღები შემოსავალი, ხოლო მიუღებელი შემოსავალი – ის ზიანია (დანაკარგია), რომელიც ბანკმა ვერ მიიღო მსესხებლის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო. მიუღებლად განიხილება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.“ შესაბამისად, განსხვავებულია ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებლისა და მიუღებელი შემოსავლის მტკიცების ფარგლებიც. „მიუღებელ შემოსავალს დამტკიცება სჭირდება (სსკ-ის 404-ე, 411-ე-412-ე მუხლები) მაშინ, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული გონივრული პროცენტის ნამდვილობისათვის საკმარისია მხარეთა წერილობითი შეთანხმება“ (სუსგ №ას- 932-882-2015, 15.03.2016).

საყურადღებოა, რომ ერთ-ერთ დავაში,¹²¹ ქვემდგომმა სასამართლო-

¹²⁰ სუსგ №ას-1209-2019, 21 თებერვალი, 2020

¹²¹ სუსგ №ას-952-2020, 5 მარტი, 2021

ებმა მოსარჩელეთა მოთხოვნა ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ დააკმაყოფილეს და დამსაქმებელს დააკისრეს კომპენსაცია დასაქმებულთა სასარგებლოდ. საკასაციო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. პალატამ გადაწყვეტილება **დააფუძნა არა შრომის კოდექსს (რადგან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა კანონიერად მიიჩნია საკასაციო სასამართლომ), არამედ სსკ-ის 394-ე მუხლის პირველ ნაწილს, ვინაიდან დამსაქმებელმა კომპანიამ, როგორც მოვალემ, არ შეასრულა ვალდებულება და არ შესთავაზა მოსარჩელებს სახელშეკრულებო ფონდით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დასაქმება, რაც საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში დაასაქმებდა მოსარჩელებს, ამდენად მათ, როგორც კრედიტორებს უფლება წარმოეშვათ მიუღებელი შემოსავლის გამო ზიანი მოითხოვონ დამსაქმებელი კომპანიისაგან სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად.**

412-ე მუხლი

ერთ-ერთ საქმეში,¹²² საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მიუღებელი ხელფასით ზიანის ოდენობის განსაზღვრა არ იწვევს მოვალის გამამტებულ პასუხისმგებლობას, რამდენადაც საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ხელფასის ოდენობა და მისი გაცემის საკითხი დამსაქმებლისათვის არ წარმოადგენს უცხო მოვლენას და იგი სრულად ექცევა სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებულ მოვალის ინტერესების დაცვის ფარგლებში.

კონკრეტულ საქმეში,¹²³ სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის პრეტენზია არაკვალიფიციური/არაკომპეტენტური იურიდიული დახმარების განწევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სსკ-ის 709-ე, 394-ე და 412-ე მუხლებზე.

¹²² სუსგ №ას-1109-2018, 13 მაისი, 2019.

¹²³ სუსგ №ას-578-578-2018, 29 ივნისი, 2018, მორალურ ზიანთან დაკავშირებით იხ.: მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი, 2020, 50.

ერთ-ერთ საქმეში,¹²⁴ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკებისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდოება დგინდება გონივრულობის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი ყოველთვის უნდა აანაზღაუროს, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში (*სუსგ №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015*).

413-ე მუხლი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალების მფლობელი (მოპასუხე) მიუხედავად ბრალისა, ვალდებულია, პასუხი აგოს მართლსაწინააღმდეგო შედეგზე, რაც ამ შემთხვევაში, ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანია.

ერთ-ერთ საქმეში,¹²⁵ საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მოიძია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა – სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი და დადგინილი გარემოებების ასევე, დაზარალებულის ასაკისა თუ მკურნალობის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, სწორად შეაფასა მორალური ზიანის ოდენობა 2 000 ლარით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ სწორედ კასატორის მომეტებული საფრთხის წყაროს ექსპლუატაციას მოჰყვა სხეულის დაზიანება, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალების მფლობელი (მოპასუხე), მიუხედავად ბრალისა, ვალდებულია, პასუხი აგოს მართლსაწინააღმდეგო შედეგზე, რაც ამ შემთხვევაში, **ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანია.**

ერთ-ერთ საქმეში,¹²⁶ საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით

¹²⁴ სუსგ №ას-578-578-2018, 29 ივნისი, 2018, ასევე, იხ.: სუსგ №ას-155-145-2017, 26 ოქტომბერი, 2018, №ას-816-816-2018, 5 ოქტომბერი, 2018.

¹²⁵ სუსგ №ას-561-561-2018, 18 ივლისი, 2018.

¹²⁶ სუსგ გადაწყვეტილება №ას-1040-960-2017, 5 ივლისი, 2018.

სარჩელი უარყო. საქმის მასალებით მოსარჩელე, როგორც ამხანაგობის ერთ-ერთი წევრი ითხოვდა მისთვის მიყენებული ინდივიდუალური ზიანის ანაზღაურებას, რომელსაც ის უკავშირებდა მოპასუხეთა არამართლზომიერი ქმედების შედეგად ამხანაგობის მიზნის მიუღწევლობას და საბოლოოდ მოითხოვდა მოპასუხეებისათვის ზიანის სახით იმ თანხის დაკისრებას, რომლის ეკვივალენტური ქონებაც მას ხელშეკრულების დასრულებისას უნდა მიეღო.

ოჯახის წევრის გარდაცვალებით გამონეული დარდი, გულის-ტკივილი, შინაგანი ცხოვრების რიტმის დარღვევა, გლოვა და დეპრესია – საკმარისი წინაპირობა არ არის გარდაცვლილის ოჯახის ახლობელი ადამიანებისათვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. მსგავს შემთხვევებში, მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დასაშვებია გამონაკლისის სახით, მხოლოდ მაშინ, როდესაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს მძიმე ფსიქოპათოლოგიური დარღვევები, რომლებიც არსებითად სცილდება უბედური შემთხვევის გამო, ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის მიმართ სულიერი ტკივილით მიყენებულ ზიანს (ვნებებს) და, რომელიც ამის გამო, შეიძლება გაიგივდეს სხეულის ან ჯანმრთელობის და ზიანებასთან.

სხვა საქმეში,¹²⁷ მოსარჩელემ დანაშაულით (ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად) მიყენებული მატერიალური ზიანისა და მეუღლის გარდაცვალებით გამონეული მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. საკასაციო სასამართლომ გარდაცვლილის ოჯახის წევრისთვის მორალური ზიანის ანაზღაურება დაუშვებლად მიიჩნია.

სასამართლომ მიუთითა ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე და აღნიშნა „იმ საკითხის გასარკვევად, მოიცავს თუ არა სსკ-ის 999-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანი მორალურ ზიანსაც, მნიშვნელოვანია ამ ნორმის განმარტება სსკ-ის 1006-ე და 413-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 1006-ე მუხლი განსაზღვრავს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ფარგლებს. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, გარდაცვლილის კმაცოფაზე მყოფ პირებს უფლება აქვთ, ზიანის მიმყე-

¹²⁷ სუსგ №ას-1185-1105-2017, 15 თებერვალი, 2018, ანალოგიურ საკითხზე ასევე, იხ.: სუსგ №ას-593-568-2016, 14 ივლისი, 2017, №ას-1185-1105-2017, 15 თებერვალი, 2018, №ას-883-2018, 21 სექტემბერი, 2018. №ას-380-2019, 24 მაისი, 2019, №ას-1236-2019, 16 იანვარი, 2020.

ნებელს მოსთხოვონ ყოველთვიური სარჩოს გადახდა ან გამონაკლისის სახით, სარჩოს ერთჯერადი ანაზღაურება. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მითითებული მუხლით კანონმდებელს სურდა ამომწურავი დებულების მიღება, რაც მხოლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურებას გულისხმობს, თუ ასევე, შესაძლებელია, რომ ამ ნორმით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირებს მორალური ზიანის ანაზღაურების უფლებაც გააჩნდეთ.

საკასაციო სასამართლომ იმსჯელა სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზანზე და აღნიშნა, რომ კერძო სამართლით გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის ურთიერთობებმა შეიძლება გამოიწვიოს მორალური, სულიერი ტანჯვა, მაგრამ მორალური ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში ე. ი. კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება, დაზარალებულმა მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. ამდენად, კანონის მიზანია შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი **(სუსგ, №3კ-242-01, 06.04.2001; №3კ-1218-01, 24.04.2002; №ას-14-466-05, 09.11.2006; №ას-1156-1176-2011, 20.01.2012)**.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 1006-ე მუხლით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ პირებს, ამ ნორმის საფუძველზე, არ შეუძლიათ მოითხოვონ მორალური ზიანის ანაზღაურება ოჯახის ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული სულიერი ტკივილისათვის **(სუსგ, №3კ-1218-01, 24.04.2002)**;

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით ხელყო მოსარჩელის მეუღლის სიცოცხლე და არა უშუალოდ მოსარჩელის ჯანმრთელობა. საკასაციო სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად: „ოჯახის წევრის გარდაცვალებით გამოწვეული დარდი, გულისტკივილი, შინაგანი ცხოვრების რიტმის დარღვევა, გლოვა და დეპრესია, საკმარისი წინაპირობა არაა გარდაცვლილის ოჯახის ახლობელი ადამიანებისათვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. **მსგავს შემთხვევებში, მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დასაშვებია გამონაკლისის სახით, მხოლოდ მაშინ, როდესაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს მძიმე**

ფსიქოპათოლოგიური დარღვევები, რომლებიც არსებითად სცილდება, უბედური შემთხვევის გამო, ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის მიმართ სულიერი ტკივილით მიყენებულ ზიანს (ვნებებს) და, რომელიც ამის გამო, შეიძლება გავაიგივოთ სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებასთან. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად ჩათვალა მორალური ზიანის ანაზღაურების საკმარის საფუძვლად მხოლოდ მოსარჩელის სულიერი ტკივილი და ტანჯვა (ფსიქოლოგიური ზიანი), ისე, რომ ამას არ გამოუწვევია მოსარჩელის ავადმყოფობა (ჯანმრთელობის დაზიანება)“. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია ავადმყოფობის (ჯანმრთელობის დაზიანების) დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებულება, ამასთან, ასეთი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაშიც, მას ასევე, უნდა წარმოედგინა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მოსარჩელის ავადმყოფობას შორის ადეკვატური მიზეზობრივი კავშირის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებაც.

კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს ჩვეულებრივ, შესაძლოა, თან ახლდეს მორალური, სულიერი განცდები, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ე. ი. კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეუძლია დაზარალებულს, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის.

სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორიცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რიტმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს).

პაციენტის ინფორმირებულობის სტანდარტის იმგვარი დარღვევა, რომელმაც შესაძლებელია ჯანმრთელობისადმი ვნება გამოიწვიოს, მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობაც შეიძლება გახდეს.

ერთ-ერთ საქმეში,¹²⁸ საკასაციო პალატა დაეთანხმა სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე არსებობს მოპასუხე კლინიკისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ, 5000 ლარის ოდენობით, მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი.

რაც შეეხება პაციენტის ინფორმირებული თანხმობის არარსებობის გამო, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 413-ე მუხლის ფართო განმარტებით, **პაციენტის ინფორმირებულობის სტანდარტის იმგვარი დარღვევა, რომელმაც შესაძლებელია ჯანმრთელობისადმი ვნება გამოიწვიოს, მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობაც შეიძლება გახდეს.**

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ იმ ვითარებაში, როდესაც მატერიალური ზიანის ანაზღაურების საფუძველები სახეზე არ არის, შესაფასებელია, არსებობს თუ არა სსკ-ის 413-ე მუხლით გათვალისწინებული მორალური ზიანის დაკისრების განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო პალატამ იმსჯელა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე – **სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №58240/08, 19 ივლისი, 2018)** და აღნიშნა, რომ მართალია, აღნიშნულ დავაში შედარებით განსხვავებული ფაქტობრივი მოცემულობა იყო, თუმცა, გადაწყვეტილება საინტერესოა მორალური ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმის გამოყენება – განმარტების თვალსაზრისით.

არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, ეროვნული სასამართლო ხელმძღვანელობს გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებით. ამ საკითხში საქართველოს უზენაეს სასამართლოს დამკვიდრებული აქვს პრაქტიკა: „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება სამართლიანი და გონივრული ოდენობით უნდა განისაზღვროს. შეუძლებელია, თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ფასის განსაზღვრა, ამდენად, მორალური ზიანის

¹²⁸ სუსგ №ას-645-2019, 26 ივლისი, 2019, იხ. ასევე, სუსგ ას-211-200-2017, 12 იანვარი, 2018.

ანაზღაურების მიზანი, გარკვეულწილად, განცდილი ტკივილისა და დისკომფორტის შემსუბუქებაა. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო დაზარალებულის მიერ განცდილი სულიერი, ფიზიკური ტანჯვისა და ზიანის მიმყენებლის ბრალის გათვალისწინებით, თუ ზიანის ანაზღაურების მოცემული სახე ბრალეულ მოქმედებაზეა დამოკიდებული“ (*№ას-866-816-2015, 12 თებერვალი, 2016; №ას-95-90-2013, 14.06.13; №ას-594-562-2015, 6.11.2015, №ას-797-940-2015, 10.09.2015.*).

ცალკეულ შემთხვევაში, კანონმდებელი არ ადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობას, არამედ ეს საკითხი სასამართლოს შეფასებითი მსჯელობის საგანია და ყოველი კონკრეტულ შემთხვევაში, თავად შემთხვევის ინდივიდუალობის და თავისებურების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს. ერთ ერთ საქმეში (სუსგ №ას-660-660-2018, 20 ივლისი, 2018), საკასაციო პალატამ განმარტა, რომ: „სსკ-ის 413-ე მუხლით გათვალისწინებული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება, როდესაც ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია.“ ადამიანის ჯანმრთელობა წარმოადგენს სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ იმ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება. სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რიტმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), **თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია (სუსგ №ას-979-940-2014, 10 სექტემბერი, 2015).**

სსკ-ის 413-ე მუხლის საკანონმდებლო მოწესრიგება მიზნად ისახავს შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი. სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსი-

ქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მოიცავს სპეციალურ თავს – „თანხმობა“, სადაც დეტალურად არის განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების განწვევისას პაციენტის თანხმობის მიღების პირობები. ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო ეთიკის ერთ-ერთი პრინციპის – „პაციენტის ავტონომიის“ პატივისცემის რეალიზაციის მთავარი ინსტრუმენტია. „პაციენტის ავტონომია“ – ესაა პაციენტის უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საკითხი. აუცილებელია, რომ ინფორმირებული თანხმობა წინ უსწრებდეს ნებისმიერ ჩარევას სამედიცინო მომსახურების განწვევისას და ბიოსამედიცინო კვლევის წარმოებისას; იყოს თავისუფალი (გამორიცხული უნდა იყოს ნებისმიერი სახის ზეწოლა); იყოს გააზრებული, რისთვისაც პაციენტს ან კვლევის სუბიექტს წინასწარ უნდა მიენოღოს ინფორმაცია ჩარევის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ საქმეში წარდგენილი პაციენტის თანხმობის კვლევის შედეგად მიიჩნია, რომ იგი ძალიან ზოგადი ხასიათისაა. მოსარჩელის აპელირება მასზედ, რომ თანხმობაზე ხელი ოპერაციამდე რამდენიმე საათით ადრე მოაწერა და მანამდე მისთვის თანხმობის შესახებ დეტალური ინფორმაცია არავის მიუწოდებია, საქმეში წარდგენილი სხვა საპირწონე მტკიცებულებებით გაქარწყლებული არ არის. (სამედიცინო დახმარების ხელშეკრულება, პაციენტის თანხმობა და ქირურგიული ოპერაცია, სამივე მოქმედება განხორციელებულია ერთ დღეს – 2011 წლის 12 იანვარს.) აღნიშნული კი, შეიძლება შეაფასდეს არასტაბილურ ფსიქოემოციურ ფონზე დოკუმენტზე ხელისმოწერად, მაშინ როდესაც მოსარჩელე ოპერაციისთვის ემზადებოდა და მისი გონივრული განსჯის შესაძლებლობა არ შეესაბამებოდა ჩვეულებრივ არასტრესულ მდგომარეობაში მყოფი პირის გონივრული განსჯის სტანდარტს.

აღსანიშნავია, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე VC სლოვაკეთის წინააღმდეგ (VC v. Slovakia), სადაც სასამართლომ პაციენტის არასაკმარისი ინფორმირებულობის გამო კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა. ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ სამედიცინო ჩარევა მომჩივანის სათანადო ინფორმაციის მიწოდებისა და მისი ინფორმირებული თანხმობის გარეშე ჩატარდა. სხვაგვარად რომ ითქვას, პაციენტს არ ჰქონდა შესაძლებლობა სამედიცინო ჩარევის ხასიათი და მისი გვერდითი მოვლენები გაეც-

ნობიერებინა, ფაქტობრივად მას არ ჰქონდა სხვა გზა გარდა სამედიცინო მანიპულაციის ჩატარებას დათანხმებოდა. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პაციენტის ინფორმირებული თანხმობა საქრო იყო მისი ფიზიკური და მორალური ავტონომიის დასაცავად.

სხვა საქმეში,¹²⁹ საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევისათვის ფაქტობრივი (სსკ-ის 394-ე, 408-ე და 412-ე მუხლები) და მორალური ზიანის (სკ-ის 413-ე მუხლი) ანაზღაურების მართლზომიერება წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებული განჩინებით უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სასარჩელო მოთხოვნა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეს დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 3000 ლარის, ხოლო მატერიალური ზიანის ანაზღაურება 185 ლარის ოდენობით.

პალატამ მიუთითა დადგენილ სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის მიხედვით, „ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის ხასიათი უნდა შეფასდეს ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოებების ასევე, დაზარალებულის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით (მაგ., ასაკი, ფიზიკური მდგომარეობა), აგრეთვე, სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებიც ადასტურებს, თუ რა სიმძიმის ტანჯვა გადაიტანა დაზარალებულმა. მორალური ზიანი სახეზეა, როდესაც არსებობს ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილება, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. ზიანის ანაზღაურებისას, გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანი სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება, ხოლო როდესაც ადგილი აქვს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც, როგორც წესი, მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა და ა. შ. მოქმედებს ე. წ. მორალური ზიანის პრეზუმფცია და ზიანის მიმყენებლის მიერ საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ აღნიშნულმა პირმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა. სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯანმრთელობის და ზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც

¹²⁹ სუსგ №ას-669-2019, 11 ივლისი, 2019.

გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში *(სუსგ №ას-660-660-2018, 20 ივლისი, 2018)*.

ზიანის ოდენობის განსაზღვრის საკითხზე (მოპასუხეს და კისრებუ-
ლი აქვს მორალური ზიანის სახით 3000 ლარის გადახდა) სასამარ-
თლომ აღნიშნა, რომ კანონმდებელი არ ადგენს იმ კრიტერიუმს, რომ-
ლითაც უნდა დადგინდეს მორალური ზიანის ანაზღაურების ფარ-
გლები, არამედ ეს საკითხი სასამართლოს შეფასებითი მსჯელობის
საგანია და ყოველი კონკრეტულ შემთხვევაში, თავად შემთხვევის
ინდივიდუალობის და თავისებურების გათვალისწინებით უნდა გა-
დანყდეს. ერთ-ერთ საქმეში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „მო-
რალური ზიანის ანაზღაურებას (სკ-ის 413-ე მუხლი) აკისრია სამი
ფუნქცია: პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – ზე-
მოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე – თავიდან აი-
ცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა, სხვა პირების მიერ. არა-
ქონებრივი ზიანის ანაზღაურება მიზნად არ ისახავს მიყენებული ზი-
ანის სრულ რესტიტუციას, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვი-
ვალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. მო-
რალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა უნდა იყოს გონივრული და
სამართლიანი. ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა ხდება ზიანის
მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის, დაზარალებულის ბრალის
ხარისხის და სხვა კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით. ფუ-
ლადი კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უზომოდ გაზრდილი და
არ უნდა მოწყდეს რეალობას, მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის
დასჯა. მხედველობაში მისაღები ხელყოფის ხასიათი, მისი გავლენა
პირის არამატერიალურ სიკეთეზე. მორალური ზიანის ოდენობის გან-
საზღვრისას, სასამართლო მხედველობაში იღებს პირის დარღვეუ-
ლი უფლებების ხასიათს, ამ დარღვევის ნეგატიურ როლს პიროვნე-
ბაზე, ჯანმრთელობის და ზიანების ხარისხზე და ა.შ. იმ ვითარებაში,
როდესაც მოსარჩელეს, მისი ასაკის გათვალისწინებით, მუდმივად
მოუწევს სმენადობის აპარატის დახმარებით ცხოვრება და მოღვა-
ნეობა, **სასამართლოს აძლევს იმ პრეზუმფციის დაშვების შესაძ-
ლებლობას, რომ** პირველი მოპასუხის მიერ მიყენებული ზიანის შე-
დეგად, მოსარჩელის ჯანმრთელობას მიადგა გამოუსწორებელი, მუდ-
მივად ასატანი ზიანი, რასაც შედეგად მისი ბუნებრივად მოსალოდ-
ნელი სულიერი ტანჯვა და ძლიერი ემოციური სტრესი მოჰყვა *(სუსგ
№ას-660-660-2018, 20 ივლისი, 2018)*. მოცემულ შემთხვევაში, სასა-
მართლომ მხედველობაში მიიღო რა, არასრულწლოვანის ასაკი, ის
გარემოება, რომ იმყოფებოდა საზაფხულო ბანაკში მოპასუხის
მზრუნველობის ქვეშ, მოზარდის მიერ განცდილი ფიზიკური ტკივი-

ლი და დისკომფორტი, რაც ასოცირდება უარყოფით განცდებთან, ამგვარი მდგომარეობით გამოწვეული ნეგატიური პროცესები და სამართლიანობისა და გონივრულობის კრიტერიუმში, მორალური ზიანის ფუნქციისა და მისი პრევენციული ბუნების გათვალისწინებით, მართებულად დაასკვნა, რომ ბავშვისათვის მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა 3000 ლარის გადახდა, რაც საკასაციო პალატასაც ზიანის ანაზღაურების ადეკვატურ ოდენობად მიაჩნია.

სამედიცინო შეცდომის შედეგად მიყენებული ზიანის კვლევისას, დაზარალებულის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს ასეთი ზიანის მიყენების ფაქტის არსებობა.

ერთ-ერთ საქმეში,¹³⁰ სადაც მოსარჩელე (დაზარალებული) სამედიცინო კლინიკისგან არასწორი მკურნალობის გამო მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა, საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით სარჩელი უარყო და აღნიშნა, რომ სამედიცინო ხასიათის შეცდომის შედეგად მიყენებული ზიანის კვლევისას, დაზარალებულის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს ასეთი ზიანის მიყენების ფაქტის არსებობა. სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს, სსკ-ის 413 ე მუხლის მე-2 ნაწილით მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი. ამ ნორმით დაცული სიკეთე, რომლის ხელყოფის შემთხვევაში, დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება, თუმცა მითითებული ნორმით დადგენილი შედეგის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, რის შედეგადაც დაზარალებული განიცდის სულიერ ტანჯვას, ფსიქიკურ სტრესს, რომლის დამტკიცების ვალდებულებაც ეკისრება დაზარალებულს.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია ავადმყოფობის (ჯანმრთელობის დაზიანების) დამადასტურებელი მტკიცებულება, ამასთან, ასეთი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაშიც, მას ასევე, უნდა წარედგინა მოპასუხის

¹³⁰ სუსგ №ას-111-111-2018, 11 მაისი, 2018.

მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მოსარჩელის ავადმყოფობას შორის ადეკვატური მიზეზობრივი კავშირის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

დავის განხილვისთვის რელევანტურ ნორმათა დოქტრინალური და პრაქტიკული განმარტების, ასევე, საქმის გარემოებების შესწავლის საფუძველზე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ ვითარებაში, სააპელაციო სასამართლომ მართალია, სწორად იხელმძღვანელა გამოსაყენებელ მატერიალურსამართლებრივი ნორმებით (სსკ-ის 992-ე, 1007-ე და 413-ე მუხლები), თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელემ ვერ მოახდინა მისთვის დაკისრებული მტკიცების ტვირთის სრულყოფილად რეალიზება და სსკ-ის 1007-ე და 992-ე ასევე, 413-ე მუხლების განმაპირობებელ გარემოებებზე მითითება, რამაც მოცემულ საქმეზე იურიდიულად არასწორი მატერიალურსამართლებრივი შედეგი განაპირობა.

ერთ-ერთ საქმეზე,¹³¹ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგენილია, რომ პირველი მოპასუხის მიერ ჩადენილ ქმედებას წარმოადგენდა მოსარჩელისათვის თავის არეში მუშტის მრავალჯერადი ჩარტყმა, რასაც შედეგად მოჰყვა ფიზიკური ტკივილი. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ სახეზეა სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის წინაპირობები, რომლის ფარგლებშიც სააპელაციო პალატამ პირველი მოპასუხის პასუხისმგებლობა სამართლიანად განსაზღვრა 1 000 ლარით, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც მოსარჩელის დარღვეული უფლების კომპენსირებას, ისე ინარჩუნებს პრევენციულ ფუნქციას.

კონკრეტულ დავაში,¹³² საკასაციო სასამართლომ სრულად უარყო კასატორის შედავება მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველიანობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორად განმარტეს ხსენებული ნორმა და მართებულად დაუკავშირეს იგი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეულ დაზარალებულის სულიერ განცდებს, მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და სხვა. თუმცა, გაუმართლებელია ელექტროენერჯის მრიცხველის აღრიცხვიანობის ცდომილების დადასტურების შემთხვევაშიც კი, ეს გარემოება დაუკავშირდეს მოსარჩელის მეუღლის გარდაცვალებას და ამ ფაქტის თანმდევ შედეგ

¹³¹ სუსგ №ას-477-477-2018, 25 იანვარი, 2019.

¹³² სუსგ №ას-1164-1084-2017, 22 თებერვალი, 2019.

გებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საკასაციო საჩივრით დასაბუთებული ლოგიკური არგუმენტაცია მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობებთან დაკავშირებით, მხარეს არ შეუთავაზებია სასამართლოსათვის, რაც თავისთავად საჩივრის წარუმატებლობაზე მეტყველებს.

სხვა დავაში,¹³³ სადაც კასატორის პრეტენზია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თაობაზე, უკავშირდება სადავო ქონების მესაკუთრის მოთხოვნას უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ, სასამართლომ დაუსაბუთებლად ჩათვალა; საკასაციო პალატამ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და აღნიშნა, რომ მხარემ არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოითხოვოს სსკ-ის 413-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე. ქონებრივი ზიანი ყოველთვის ანაზღაურდება, ხოლო ქონებრივი ზიანი მიყენებული მორალური ზიანი დამატებით ანაზღაურებადი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როცა იგი დამოუკიდებლად გარკვეულ მნიშვნელობას იძენს. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს არ წარუდგენია ისეთი მტკიცებულებები, სადაც დაადასტურებდა შეგებებულ სარჩელში მოპასუხეების მხრიდან მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმატიული საფუძვლის არსებობას.

ერთ-ერთ საქმეში,¹³⁴ მოსარჩელემ მიუთითა, რომ შვილის გარდაცვალებით უმძიმესი სულიერი ტრავმა მიიღო და დღემდე ტანჯვას განიცდის, როგორც მატერიალურად, ისე მორალურ-ფსიქოლოგიურად და სავალალო მდგომარეობაშია. სარჩელი სამივე ინსტანციის სასამართლომ უარყო. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნა, რომ მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მოსარჩელის ავადმყოფობას შორის ადეკვატური, მიზეზობრივი კავშირის არსებობის დამადასტურებელი სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება დაზარალებულმა მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. კანონის მიზანია შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა

¹³³ სუსგ №ას-980-2019, 25 ივლისი, 2019.

¹³⁴ სუსგ №ას-1268-2018, 25 იანვარი, 2019.

და წესრიგი *(სუსგ-ები: №3კ-242-01, 06.04.2001; №3კ-1218-01, 24.04.2002; №ას-14-466-05, 09.11.2006; №ას-1156-1176-2011, 20.01.2012)*, საკასაციო სასამართლომ ასევე, განმარტა, რომ სსკ-ის 1006-ე მუხლით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა, რაც ნიშნავს, რომ გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ პირებს, ამ ნორმის საფუძველზე, არ შეუძლიათ მოითხოვონ მორალური ზიანის ანაზღაურება ოჯახის ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული სულიერი ტკივილისათვის *(სუსგ №3კ-1218-01, 24.04.2002)*.

საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ასევე არ არსებობს სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი. განსახილველ შემთხვევაში, ხელყოფილია მოსარჩელის შვილის სიცოცხლე და არა უშუალოდ მოსარჩელის ჯანმრთელობა. უდავოა, რომ მოსარჩელე მძიმე ფსიქოემოციურ განცდებშია შვილის გარდაცვალების გამო, თუმცა, სამართლებრივი შეფასების კონტექსტში დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია მისთვის მოპასუხის მხრიდან მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ მოიხმო ადრე, სხვა საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, სადაც განმარტებულია, რომ ოჯახის წევრის გარდაცვალებით გამოწვეული დარდი, გულისტკივილი, შინაგანი ცხოვრების რიტმის დარღვევა, გლოვა და დეპრესია, საკმარისი წინაპირობა არაა გარდაცვლილის ოჯახის ახლობელი ადამიანებისათვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. მსგავს შემთხვევებში, მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დასაშვებია გამონაკლისის სახით, მხოლოდ მაშინ, როდესაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს მძიმე ფსიქოპათოლოგიური დარღვევები, რომლებიც არსებითად სცილდება უბედური შემთხვევის გამო, ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის მიმართ სულიერი ტკივილით მიყენებულ ზიანს (ვენებებს) და, რომელიც ამის გამო, შეიძლება გავაიგივოთ სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებასთან *(№ას-593-568-2016, 14.07.2017)*.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კასატორის პრეტენზიებში მითითებულ საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაზე *(№ას-979-940-2014, 10.09.2015)* და მიიჩნია, რომ მასში განვითარებული მსჯელობა არ ეწინააღმდეგება სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების შეფასებებსა და დასკვნებს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოხსენებულ განჩინებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები – საქართველოში დამკვიდრებული მიცვალებულის უკანასკნელ გზაზე სათანადო პატივით გაცილების, ასევე, დედის მიერ შვილის ცხედრის პირველად ნახვასთან დაკავშირებული სულიერი ტკივილის თაობაზე, კონკრეტულ შემთხვევაში, იძლეოდა იმგვარი პრეზუმფციის დაშვების შესაძლებლობას, რომ ავიაკომპანიის მხრიდან ვალდებულების დარღვევით განცდილი ნეგატიური ფაქტორებიდან გამომდინარე, მოსარჩელის ჯანმრთელობას მიადგა იმგვარი ზიანი, რასაც შედეგად პირის სულიერი ტანჯვა, ძლიერი ემოციური სტრესი მოჰყვა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები კი, არსებითად განსხვავდება მოცემული შემთხვევისგან. საბოლოოდ, სარჩელი უარყოფილ იქნა.

საკასაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება,¹³⁵ რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა მოპასუხე დანესებულების ექიმის მიერ არასათანადო მკურნალობის განევის შედეგად პაციენტის (შვილის) გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. საკასაციო პალატამ მიუთითა უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებაზე (*№ბს-327-309 (2კ-07), 16 მაისი, 2019*), რომლითაც შეიცვალა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არსებული ერთიანი მიდგომა, რომლის მიხედვითაც, მეუღლის, შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანი არ ანაზღაურდება იმ საფუძველზე, რომ აღნიშნული პირდაპირ არ იყო გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით, ამასთან, სსკ-ის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების უფლება გააჩნდა მხოლოდ დაზარალებულს (*სუსგ საქმე №ას-593-568-2016, 14 ივლისი, 2017, №ას-105-545-06, 27 სექტემბერი, 2006*).

დადგენილი პრაქტიკის ცვლილებას საფუძველად დაედო სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ.“

მოცემულ საქმეში მომჩივანი დავობდა ეროვნულ დონეზე სასამართლო წარმოებისას საქმიან შეცდომის შედეგად შვილის გარდაცვა-

¹³⁵ სუსგ №ას-1800-2019, 20 თებერვალი, 2020.

ლებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის გამო და მიუთითებდა ეროვნული სამართლებრივი სისტემის ხარვეზზე, რომელიც არ ითვალისწინებდა გარდაცვლილი პირის ცოცხლად დარჩენილი ახლო ნათესავის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას გარდაცვალების გამო.

ევროსასამართლომ დავის განხილვისას გაიზიარა რა, საქართველოს სასამართლოების მიერ დადგენილი გარემოება პაციენტის გარდაცვალებისას საექიმო შეცდომის ფაქტის არსებობის თაობაზე, დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა და განმარტა შემდეგი: „...კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევის შედეგად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პრინციპში, შესაძლებელი უნდა იყოს როგორც სამართლიანი დაცვის საშუალებების ერთერთი ფორმა (იხ.: Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom, N46477/99 §97, §101, ECHR 2002-II; Bubbins v. the United Kingdom, №2694/08, §65-68. 13 მარტი, 2012 წელი), ... ხოლო ვინაიდან დადგენილია, რომ მომჩივანმა უდავოდ განიცადა ფსიქოლოგიური სტრესი მისი ახალგაზრდა შვილის გარდაცვალების გამო, უპირობო საკანონმდებლო შეზღუდვით მას გაუმართლებლად წაერთვა შესაძლებლობა სასამართლოს გზით მოეთხოვა კომპენსაციის მიღება არაქონებრივი ზიანის სანაცვლოდ, როგორც მისთვის ხელმისაწვდომი სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის საშუალება (იხ.: **სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „სარიშვილი ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ,“ №58240/08, §96-97, 19 ივლისი, 2018**)“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულმა საქმეთა პალატამ სსსკ-ის 423-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკასაციო საჩივარზე განაახლა საქმისწარმოება, გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული მიდგომები (ეროვნულ კანონმდებლობაში სათანადო რეგულირების არარსებობის მიუხედავად, გარდაცვლილის დედისთვის განცდილი მორალური ტანჯვით მიყენებული ზიანის კომპენსირების აუცილებლობის თაობაზე) და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში მიიღო ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო და არა – ქონებრივი ზიან-

ნის გამო სულიერი ტანჯვით გამონვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევებზე.

ერთ-ერთ საქმეზე,¹³⁶ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამონვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო, და არა ქონებრივი ზიანის გამო სულიერი ტანჯვით გამონვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ნორმის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერ ქონებრივი ვალდებულების დარღვევისას განცდილი სულიერი ტანჯვის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებაზე. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად და ა. შ., რაც ყოვლად დაუშვებელია. **(სუსგ. 1156-1176-20116, 20.01.2012)** საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვალის გადაუხდელობით გამოწვეული ფსიქოემოციური სტრესი არ წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს (სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი).

415-ე მუხლი

ერთ-ერთ საქმეში,¹³⁷ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დაკისრებისას, სასამართლომ დაზარალებულის ბრალეულობაც შეაფასა და ბრალეული მძღოლის დარღვევის ხასიათის, შინაარსისა და შეჯახების გამომწვევი მაპროვოცირებელი გარემოებების გათვალისწინებით, ბრალეულობის 90%/-10%-ის თანაფარდობა დაადგინა.

სხვა საქმის ფაბულის მიხედვით,¹³⁸ უდავოა მოპასუხის (ბანკის) მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება. სახელდობრ, დადგენილია, რომ ბანკმა ნაცვლად, ამერიკული დოლარისა, კრედიტორს ლარი ჩაურიცხა, თუმცა, ზიანში კრედიტორის ბრალიც იკვეთება, რაც გამოიხატა იმაში, რომ აღმასრულებელმა სწორედ კრედიტორის დავალებით ყველა დაწესებუ-

¹³⁶ სუსგ. №ას-1821-2019, 2 ივლისი, 2020.

¹³⁷ სუსგ. №ას-1503-2019, 13 მარტი, 2020. შერეულ ბრალზე ასევე, იხ.: სუსგ-ები: №ას-135-127-2017, 07 აპრილი, 2017, №ას-189-189-2018, 23 მარტი, 2018, №ას-939-2018, 26 დეკემბერი, 2018, №ას-538-538-2018, 26 თებერვალი, 2021.

¹³⁸ სუსგ. №ას-1570-2019, 29 მაისი, 2020.

ლებაში გახსნილ მოვალის საბანკო ანგარიშებზე არსებული შეზღუდვები მოხსნა. ამ დროისათვის მოვალეს სხვა ბანკში არსებულ ანგარიშზე უფიქსირდებოდა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისი თანხა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქვემდგომმა სასამართლომ მართალია, მართებულად მოიძია სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა – სსკ-ის 992-ე მუხლი, მაგრამ განსახილველ შემთხვევაში, დამფუძნებელ ნორმასთან ერთად, სარჩელი უნდა დაეფუძნოს სსკ-ის 415-ე მუხლს. საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით, სსკ-ის 415-ე მუხლის საფუძველზე, ზიანის დადგომაში თითოეული მხარის წილი თანაბრად, 50%-ით განსაზღვრა და მოპასუხეს მიყენებული ზიანის ნახევრის ანაზღაურება დააკისრა.

პროდუქტის საიმედოობის უზრუნველყოფა კომპანიის ვალდებულებას წარმოადგენდა და ამ ვალდებულების მოსახლეობისათვის გადანაწილება ვერც მისი ბრალის გამომრიცხველ და ვერც მოსახლეობის თანაბრალეულობის დასადასტურებლად ვერ გამოდგება.

ქვემდგომმა სასამართლოებმა დაზარალებულის სარჩელი ენერგოკომპანიის წინააღმდეგ ხანძრის შედეგად სახლის, ავეჯის, ნივთებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის განადგურებით მიყენებული ზიანის დაკისრების მოთხოვნით (სსკ-ის 992-ე, 1009-ე, 408-ე, 412-ე და 413-ე მუხლები) ნაწილობრივ დააკმაყოფილეს. საკასაციო სასამართლომ ენერგოკომპანიის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.¹³⁹

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ საქმეზე დელიქტი მიყენებული ზიანის ანაზღაურების დადგომისათვის დამტკიცებულად და განხორციელებულად ითვლება დელიქტური სამართლის დამფუძნებელი ნორმის, სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წანამძღვარი: მოქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ზიანი, ადეკვატური მიზეზობრივი კავშირი და ბრალი.

სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის ძირითადი პრეტენზია შერეული ბრალის დაუდგენლობასთან მიმართებით, რაც მისი მხრიდან სადავო იყო ქვემდგომის ინსტანციის სასამართლოებშიც.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 326-ე მუხლის თანახმად,

¹³⁹ სუსგ №ას-135-127-2017, 07 აპრილი, 2017.

ნესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ ასევე, გამოიყენება სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავე კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს ნესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აცილებინა ან შეემცირებინა ზიანი. მოცემულ საქმეზე დაზარალებულის საცხოვრებელ სახლში ხანძრის წარმოქმნის ტექნიკურ მიზეზად დასახელდა ელექტროგამანაწილებელ ქსელში ცვალებადი (არასტანდარტული) ძაბვის წარმოქმნის შედეგად ტელევიზორის აალება და შემდგომ ხანძარი. სასამართლომ აღნიშნა, რომ დაზარალებულის ბრალის ან/და შერეული ბრალის არსებობის დამადასტურებელ გარემოებად ვერ იქნება მიჩნეული კასატორის ის პოზიცია, რომ არსებული ხარვეზების მიუხედავად, მოსახლეობას არ უზრუნია იმაზე, რომ ელექტრომონწყობილობებისათვის, რომელთაც ტოვებდნენ ქსელში ჩართულ მდგომარეობაში მოლოდინის რეჟიმში, შეეძინათ ავტონომიური დაცვის საშუალებები – მონწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრომონწყობილობის დაცვას (ელექტროენერჯის მინოდების მომენტალურად შეწყვეტას) ცვალებადი ძაბვის პირობებში.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პროდუქტის საიმედოობის უზრუნველყოფა კომპანიის ვალდებულებას წარმოადგენდა და ამ ვალდებულების მოსახლეობისათვის გადანაწილება ვერც მოპასუხის ბრალის გამომრიცხველ და ვერც მოსახლეობის თანაბრალეულობის დასადასტურებლად ვერ გამოდგება. მით უფრო, კასატორის მიერ მითითებული უსაფრთხოების დამატებითი, ალტერნატიული საშუალებების გამოყენება შესაძლოა მხოლოდ წუნდებული პროდუქტის მიმწოდებლის ვალდებულებად იქნას აღქმული.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია, ზიანის შეფასების ინდიკატორად მოწმეთა ჩვენებებისა და კერძო კომპანიის შეფასების დაუშვებლობაზე და განმარტა, რომ იმ ვითარებაში, როდესაც ობიექტური მოცემულობა შეუძლებელს ხდის იმგვარი მტკიცებულების წარმოდგენას, როგორიცაა კონკრეტულად სახლის, ავეჯის, ნივთების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გამოკვლევა-შეფასება მათი განადგურების გამო. ვინაიდან, ფაქტობრივი გარემოების მტკიცების რაიმე სპეციალური სტანდარტი არ მოითხოვება

(სსსკ-ის 102.3 მუხლი), სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენის ნაწილში, საპროცესო ნორმების დარღვევას ადგილი არა აქვს (სსსკ-ის 105-ე მუხლი) (სუსგ №ას-43-39-2017, 16 მარტი, 2017).

დაზარალებულის თანამონაწილეობა ზიანის დადგომაში შეიძლება გამოიხატოს, როგორც მის უშუალო მოქმედებაში ასევე, ისეთი მოვლენის დადგომაში, რომლის მიმართაც თვითონაა რისკის მატარებელი.

დელიქტური ურთიერთობიდან გამომდინარე დავაში,¹⁴⁰ სადაც სასამართლომ გადაწყვიტა მოპასუხე ნოტარიუსის მიერ დანაშაულებრივი ქმედებით ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი, იმსჯელა სსკ-ის 415-ე მუხლით გათვალისწინებული ე.წ. შერეული ბრალის სამართლებრივ ბუნებაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 415-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს ნაწილობრივ, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამ. ასეთ შემთხვევაში (როდესაც ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამ), ზიანის მიმყენებლის მიერ სრული ანაზღაურება უსამართლოა და გამოიწვევს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრებას. ამ მუხლის თანახმად, დაზარალებულის თანამონაწილეობა ზიანის დადგომაში შეიძლება გამოიხატოს, როგორც მის უშუალო მოქმედებაში, ასევე ისეთი მოვლენის დადგომაში, რომლის მიმართაც თავადაა რისკის მატარებელი. აღნიშნულ თანამონაწილეობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როგორც სახელმეკრულებო ისე არასახელმეკრულებო ურთიერთობებში – მხარეთა ე.წ. „შერეული ბრალი.“ უფრო მეტად რომელი მხარის მოქმედებით არის ზიანი გამოწვეული, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფორმისა და ხარისხის ქმედებასთან გვაქვს საქმე. ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია, რომ დაზარალებულის მოქმედებამ სულაც აიცდინოს ზიანის მიყენება, ან მისი შემცირება გამოიწვიოს. ამდენად, თუ დაზარალებულს შეუძლია თავისი მოქმედებით აიცდინოს, ანდა შეამციროს ზიანი და იგი ამას არ აკეთებს, მისი ასეთი უმოქმედობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ბრალეული უმოქმედობა.“ სსკ-ის მე-8.3 და 115-ე მუხლების თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. სამოქალაქო უფლება უნდა გან-

¹⁴⁰ სუსგ №ას-150-150-2018, 16 მარტი, 2018. ასევე, №ას-274-2019, 15 ოქტომბერი, 2019.

ხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია მოსარჩელეს ვალდებულება, თავად ეცნობებინა მინდობილობის გაუქმების თაობაზე თავისი შვილისათვის. ასეთის განხორციელების შემთხვევაში, აიცილებდა მისი ნების სანინალმდეგოდ საკუთრების დაკარგვას.

სააპელაციო სასამართლომ (რაც გაიზიარა უზენაესმა სასამართლომ) მიიჩნია, რომ მოსარჩელეს მხრიდან წინდაუხედაობის გამოჩენამ, არაგულისხმიერმა ქმედებამ (უმოქმედობამ) ანუ შვილისათვის მინდობილობის გაუქმების შეუტყობინებლობამ, რასაც დაემატა მოპასუხე ნოტარიუსის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებაც, გამოიწვია საკუთრების უფლების დაკარგვა.

საკასაციო პალატამ სსკ-ის 326-ე და 415-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნია, რომ ზიანის – 7000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში, სწორად დადგინდა ნოტარიუსის მიერ ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობა და შესაბამისად, „შერეული“ ბრალის გათვალისწინებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა.

ერთ-ერთ საქმეზე,¹⁴¹ საკასაციო პალატამ უდავოდ დაადგინა ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ მოპასუხეთა ბრალეულობა კასატორის შვილის გარდაცვალებასა და კასატორისათვის მიყენებული მატერიალური დანაკლისის მიმართ, თუმცა მიიჩნია, რომ ზიანის წარმომშობი ფაქტი გარკვეულწილად, გამოიწვია კასატორის შვილის მხრიდან წინდაუხედაობის გამოჩენამ.

სხვა საქმის ფაბულის მიხედვით,¹⁴² საცხოვრებელი კომპლექსის სახურავიდან თოვლისა და ყინულის მასის ჩამოცვენის შედეგად დაზიანდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებით სარჩელი შენობის თანამესაკუთრეთა მიმართ მიყენებული ზიანის სოლიდარულად დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა. საკასაციო სასამართლომ გადანყვეტილებით გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება და სარჩელი ნაწილობრივ (მოთხოვნილი თანხის ნახევრის ოდენობით) დააკმაყოფილა.

პალატამ საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში შეაფასა შესაგებელში

¹⁴¹ სუსგ №ას-278-263-2017, 21 აპრილი, 2017.

¹⁴² სუსგ №ას-600-2019, 14 ნოემბერი, 2019.

გამოთქმული არსებითი შედავება და სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტი, რომ დაზარალებული საფრთხის განხორციელებამდე სიტყვიერად იქნა გაფრთხილებული, შეეცვალა ავტომობილის მდებარეობა, რადგან მოსალოდნელი იყო სახურავიდან თოვლის ჩამოქცევა და მისი ნივთის დაზიანება. ბუნებრივია, ხსენებული ფაქტი წარმოადგენს ზიანზე პასუხისმგებელი პირის მხრიდან საფრთხის აღკვეთის მცდელობას, თუმცა, არასაკმარისია. ნივთის მოვლის (სახურავის გადმოთოვის) ვალდებულების დარღვევიდან ასევე, საფრთხის აშკარა და სერიოზული ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოირიცხება მისი პასუხისმგებლობა. მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატის დასკვნით, ხსენებული შედავება იმდენად არსებითი ხასიათისაა, რომ გავლენას ახდენს პასუხისმგებლობის ოდენობაზე. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ე. წ. შერეული ბრალის საკითხი და არასწორად არ დააკისრა მოპასუხეებს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი პასუხისმგებლობა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სწორედ შერეული ბრალის (სსკ-ის 415-ე მუხლი) სახეზე, რამდენადაც მოსარჩელეს ავტომობილის ადგილმდებარეობის შეცვლით შექმნილ თავიდან აერიდებინა საფრთხე, ხოლო მოპასუხეებს – არ დაეშვათ მისი განხორციელება, შესაბამისად, პალატამ მხარეთა ბრალის ხარისხის გათვალისწინებით, დაზარალებულის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, კერძოდ, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ მიყენებული ზიანის ნახევარი.

მრავალთაგან ერთ-ერთ დავაში,¹⁴³ მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ, ზიანის დაკისრების მოთხოვნით. მოპასუხე სარკინიგზო გვირაბის მშენებლობას აწარმოებდა, რისთვისაც მიწისქვეშა აფეთქებებს იყენებდა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უცვლელი დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადანყვებილება, რომლითაც შერეული ბრალის გათვალისწინებით, მოპასუხე კომპანიას 20 000 ლარი დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელის კუთვნილ უძრავ ქონებაზე მიყენებული ზიანი ნაწილობრივ მოპასუხის ქმედებებითაც იყო გამოწვეული. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, თითოეული მხარის მიერ მიყენებული ზიანის პროცენტულობის დათვლა ვერ ხერხდებოდა, სასამართლომ მოთხოვნილი ზიანის ოდენობა მოსარჩელესა და მოპასუხეზე თანაბრად გაანაწილა.

¹⁴³ სუსგ №ას-95-2019, 25 აპრილი, 2019.

416-ი-420-ი მუხლები

ერთ-ერთ საქმეში,¹⁴⁴ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კანონის თანახმად (სკ-ის 418.1 მუხლი), პირგასამტეხლო შესაძლოა ზიანზე აღმატებული იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულების ამგვარი დათქმა მართლწესრიგის წინააღმდეგი იქნება და სკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, იურიდიული ძალა არ ექნებოდა. თუმცა, იმისათვის, რათა დაცული იყო მხარეთა თანასწორობის საყოველთაო უფლება, კანონმდებელი ითვალისწინებს პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირების შესაძლებლობას. რაც შეეხება სსკ-ის 420-ე მუხლის გამოყენების საკითხს, პალატამ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც, „სამოქალაქო კოდექსი იცნობს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით საშუალებებს, რომელთაგან პირველს გირავენობა (სკ-ის 254-ე მუხლი) და იპოთეკა (სკ-ის 286-ე მუხლი), ხოლო მეორეს – პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია (სკ-ის 416-ე მუხლი) განეკუთვნება. მითითებულთაგან ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საშუალებას სწორედ პირგასამტეხლო წარმოადგენს და იგი მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის (სკ-ის 417-ე მუხლი). სსკ-ის 419-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, **პირგასამტეხლოს დანიშნულება ვალდებულების დარღვევის მინიმალური ზიანის ანგარიშში ამ თანხის ჩათვლაა.** ფუნქციური დანიშნულებით, მინიმალური ზიანი არ წარმოადგენს ფაქტობრივად მიღებული ზიანის სრულ ანაზღაურებას, არამედ ესაა თანხა, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორის მოთხოვნის მინიმალურ დაკმაყოფილებას, სწორედ ამით არის გამართლებული პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო ბუნება ანუ პირგასამტეხლოს დაკისრებისათვის სავალდებულოა მხარეთა მიერ შესაბამისი ფორმით შეთანხმების მიღწევა, რაც რეგულირებულია სსკ-ის 418-ე მუხლის მე-2 ნაწილით. განსხვავებით ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, რომელიც სსკ-

¹⁴⁴ სუსგ №ას-16-16-2016, 5 თებერვალი, 2016, ასევე სუსგ-ები: №ას-222-209-2015, 06 მაისი, 2015, №ას-914-864-2015, 4 დეკემბერი, 2015, №ას-1199-1127-2015, 13 აპრილი, 2016, №ას-708-678-2016, 27 იანვარი, 2017, №ას-1597-2019, 13 დეკემბერი, 2019, №ას-1281-2020, 28 იანვარი, 2021. პირგასამტეხლოს შესახებ სასამართლო პრაქტიკა იხ.: ასევე, გაგუა ი., ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2017, 44. მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი, 2020, 58.

ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არ საჭიროებს მხარეთა წინასწარი შეთანხმების არსებობას, პირგასამტეხლო ყოველთვის სახელშეკრულებო პირობად გვევლინება. ზიანის ანაზღაურების სახელშეკრულებო პირობის ერთადერთი გამონაკლისია ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას, პროცენტზე შეთანხმება (სკ-ის 403-ე მუხლი), თუმცა, ეს შემთხვევა სახეზე არ გვაქვს. მართალია, სამოქალაქო კანონმდებლობა პირგასამტეხლოს ნამდვილობას მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეულ შეთანხმებას უკავშირებს, თუმცა, იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ დათქმას და მოვალის შესაგებლის არსებობის პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობის თანხის თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან, კერძოდ, სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ნორმის დასახელებული დანაწესი სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის ლეგიტიმურ საფუძველს წარმოადგენს და ასეთ შემთხვევაში, კონკრეტული საქმის თავისებურების გათვალისწინებით, უნდა შეფასდეს ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორიცაა: მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ და სხვა.

სხვა საქმეში,¹⁴⁵ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის ფარგლები არ არის შეუზღუდავი, არამედ პირთა თანასწორობაზე დამყარებული სამოქალაქო ურთიერთობების ნათელი გამოხატულებაა და ემსახურება მოვალის ინტერესების კრედიტორის ინტერესებთან თანაზომიერ დაცვას, პირგასამტეხლოს შემცირება არ უნდა იყოს ორიენტირებული მოვალის ინტერესების ცალმხრივ დაცვაზე და არ შეიძლება ამ გზით საერთოდ დაკარგოს პირგასამტეხლოს ინსტიტუტმა ფუნქციური დანიშნულება.

ერთ-ერთ დეკავში,¹⁴⁶ საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა რა, პირგასამტეხლოს შემცირების შესახებ კასატორის პრეტენზია, განმარტა, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის დანაწესი განპირობებულია იმითაც, რომ ხელშეკრულების დადებისას შესაძლებელია, უფრო ძლიერმა ხელშემკვერელმა მხარემ ისარგებლოს მეორე მხარის სურვი-

¹⁴⁵ სუსგ №ას-238-226-2016, 3 ივნისი, 2016, ასევე, სუსგ №ას-914-864-2015, 4 დეკემბერი, 2015.

¹⁴⁶ სუსგ №ას-1206-2018, 19 დეკემბერი, 2018.

ლით, გააფორმოს ხელშეკრულება და უკარნახოს შეთანხმების არა-ხელსაყრელი პირობები, განსაზღვროს გონივრულზე უფრო მაღალი პირგასამტეხლო. ასეთ შემთხვევაში, კანონმდებელმა დაანესა დაცვის მექანიზმი, რომელიც სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით, მოახდინოს პირგასამტეხლოს ოდენობის კორექტირება და დაიყვანოს იგი სამართლიან და გონივრულ მოცულობამდე.

კონკრეტულ საქმეში,¹⁴⁷ საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ვალდებულების შეწყვეტით წყდება პირგასამტეხლოს დაკისრებაც და მისი ოდენობა გამოიანგარიშება იმის მიხედვით, თუ რა პერიოდი გასული შესრულების ვადის დადგომიდან ფაქტობრივად შესრულებამდე.

პირგასამტეხლოს სამართლებრივი ბუნება, მისი ფუნქცია და გამოყენების ფარგლები საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია ასახული.¹⁴⁸

¹⁴⁷ სუსგ №ას-491-471-2016, 24 ივნისი, 2016.

¹⁴⁸ პირგასამტეხლოს დაკისრებასთან დაკავშირებით, იხ.: სუსგ-ები: №ას-546-521-2016, 15 ივლისი, 2016, №ას-1186-1116-2015, 22 იანვარი, 2016, №ას-1229-1152-2015, 5 თებერვალი, 2016, №ას-1299-1219-201, 17 თებერვალი, 2016, №ას-1303-1223-2015, 3 თებერვალი, 2016, №ას-1199-1127-2015; 13 აპრილი, 2016, №ას-2-2-2016, 14 ივნისი, 2016, №ას-170-165-2016, 14 ივნისი, 2016, №ას-794-761-2016, 13 მარტი, 2017, №ას-1005-966-2016, 23 ივნისი, 2017, №ას-359-359-2018, 30 აპრილი, 2018, №ას-1525-1445-2017, 23 თებერვალი, 2018, №ას-1555-1475-2017, 9 მარტი, 2018, №ას-129-129-2018, 7 მარტი, 2018, №ას-155-155-2018, 15 თებერვალი, 2018, №ას-181-181-2018, 23 მარტი, 2018, №ას-254-254-2018, 30 მარტი, 2018, №ას-272-272-2018, 23 მარტი, 2018, №ას-294-278-2017, 15 თებერვალი, 2018, №ას-489-489-2018, 18 მაისი, 2018, №ას-556-556-2018, 31 ივლისი, 2018, №ას-767-767-2018, 6 ივლისი, 2018, №ას-1262-2018, 16 ნოემბერი, 2018, №ას-1441-1361-2017, 26 იანვარი, 2018, №ას-1464-1384-2017, 19 სექტემბერი, 2018, №ას-197-197-2018, 4 მაისი, 2018, №ას-345-345-2018, 11 სექტემბერი, 2018, №ას-512-512-2018, 30 ივლისი, 2018, №ას-672-672-2018, 3 სექტემბერი, 2018, №ას-951-2018, 25 სექტემბერი, 2018, №ას-433-433-2018, 8 თებერვალი, 2019, №ას-448-2019, 2 აგვისტო, 2019, №ას-1425-2018, 19 ივნისი, 2019, №ას-1548-2018, 11 იანვარი, 2019, №ას-123-2019, 10 ივნისი, 2019, №ას-612-2019, 27 ივნისი, 2019, №ას-808-2019, 20 სექტემბერი, 2019, №ას-902-2019, 30 სექტემბერი, 2019, №ას-943-2018, 14 იანვარი, 2019, №ას-1079-2019, 30 სექტემბერი, 2019, №ას-1143-2018, 24 ივნისი, 2019, №ას-1201-2019, 20 დეკემბერი, 2019, №ას-1403-2019, 21 ნოემბერი, 2019, №ას-1597-201, 13 დეკემბერი, 2019, №ას-1877-2018, 22 თებერვალი, 2019, №ას-1918-2018, 15 მარტი, 2019, №ას-39-2019, 27 მაისი, 2019, №ას-232-2019, 27 მაისი, 2019, №ას-325-2019, 24 მაისი, 2019, №ას-327-2019, 27 მაისი, 2019, №ას-349-2019, 11 ივნისი, 2019, №ას-418-2019, 27 დეკემბერი, 2019, №ას-425-2019, 2 აგვისტო, 2019, №ას-456-2019, 5 ივლისი, 2019, №ას-1164-2019, 22 ნოემბერი, 2019, №ას-1373-2018, 17 იანვარი, 2019, №ას-1389-2019, 6 დეკემბერი, 2019, №ას-1665-2018, 31 ოქტომბერი, 2019,

სესხის სახელშეკრულებო სამართლებრივ დავაში,¹⁴⁹ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების დადებისას, მხარეებს უფლება აქვთ, შეთანხმდნენ გარკვეული პირგასამტეხლოს გადახდაზე იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. მითითებული თანხის ოდენობის განსაზღვრას კანონმდებელი მხარეთა შეთანხმებას მიანდობს, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს დაკისრებით კრედიტორმა არათანაზომიერად დიდი სარგებელი მიიღოს. პირგასამტეხლოს ოდენობა შეუზღუდავი არ არის. სასამართლო უფლებამოსილია, შეამციროს იგი დავის კონკრეტული გარემოებების შესაბამისად. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება. შესაბამისად, ეს თანხა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული უნდა იყოს. სასამართლო მხედველობაში იღებს ვალდებულების დარღვევის ხასიათს, აღნიშნულით გამონვეულ ზიანს, მის თანაფარდობას, მხარეთა ფინანსურ მდგომარეობას, მოსარჩელის ეკონომიკურ ინტერესს, აგრეთვე, სხვა ობიექტურ გარემოებებს. სააპელაციო პალატამ ასევე, მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე პირგასამტეხლოს გონივრული და სამართლიანი ოდენობის განსაზღვრის კუთხით (*№ას-1113-1060-2014, 23 თებერვალი, 2015*).

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ გონივრულად და სამართლიანად მიიჩნია მოთხოვნილი პირგასამტეხლოს შემცირება 10-ჯერ და ნაცვლად, 1 078 აშშ დოლარისა, მართებულად დააკისრა მხარეს პირგასამტეხლოს სახით 107 აშშ დოლარი.

სხვა საქმეში,¹⁵⁰ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პირგასამტეხ-

№ას-1798-2018, 26 თებერვალი, 2019, №ას-1824-2018, 24 აპრილი, 2019, №ას-1926-2018, 24 მაისი, 2019, №ას-1355-2018, 31 იანვარი, 2020, №ას-1634-2019, 4 მარტი, 2020, №ას-1791-2019, 16 ივნისი, 2020, №ას-303-2019, 13 მარტი, 2020, №ას-1658-2019, 13 მარტი, 2020, №ას-1819-2019, 19 თებერვალი, 2020, №ას-165-2020, 16 სექტემბერი, 2020, №ას-1646-2019, 30 სექტემბერი, 2020, №ას-485-2019, 11 თებერვალი, 2021, №ას-815-2019, 3 თებერვალი, 2021, №ას-1288-2019, 4 მარტი, 2021, №ას-1485-2020, 4 მარტი, 2021, №ას-1449-2020, 23 აპრილი, 2021, №ას-354-2021, 25 ივნისი, 2021, №ას-131-2021, 2 ივლისი, 2021.

¹⁴⁹ სუსგ №ას-1229-1152-2015, 5 თებერვალი, 2016.

¹⁵⁰ სუსგ №ას-48-47-2016, 10 თებერვალი, 2016, ასევე, სუსგ-ები: №ას-1373-2018, 17.01.2019; №ას-848-814-2016, 28.12.2016; №ას-816-767-2015, 19.11.2015; №ას-953-918-2016, 22.11.2016, №ას-612-2019, 27 ივნისი, 2019, სუსგ №ას-1076-2019, 22 ნოემბერი, 2019.

ლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან.

პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად მოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება.

პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (*სუსგ 6.05.20156. საქმე №ას-1158-1104-2014*).

ამდენად, მართალია, პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა მხარეთა უფლებაა და აღნიშნული კუთხით მოქმედებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში დამკვიდრებული მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი, თუმცა სსკ-ის 420-ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს

სასამართლოს, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიუხედავად.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ნასყიდობის სახელშეკრულებო სამართლებრივ დავაში სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად გამოიყენა ზემოაღნიშნული შესაძლებლობა და სადავო პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება კანონიერად ჩათვალია.

ერთ-ერთ საქმეზე¹⁵¹ უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა რა, პირგასამტეხლოს სამართლებრივ ბუნებაზე, მიუთითა, რომ საურავი, ისევე როგორც ჯარიმა, წარმოადგენს პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს. იგი უმეტესად იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ვალდებულები პირი არ ასრულებს ვალდებულებას დადგენილ დროში. ჯარიმისგან განსხვავებით, შესრულების ვადის გადაცილებისათვის საურავის სახით დადგენილი პირგასამტეხლოს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა ვალდებულების შესრულებისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის კუმულაციის შესაძლებლობას. საურავი იცავს კრედიტორის იმ ინტერესს, რომელიც მას ვალდებულების დროული შესრულების მიმართ გააჩნია. საურავის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კონკრეტულ ოდენობაში ან პროცენტებში დადგენილი საურავი ერიცხება მოვალეს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და ამით აიძულებს, შეასრულოს ვალდებულება. ჯარიმისგან განსხვავებით, საურავის დროს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფი ფუნქცია უფრო ნათლად ჩანს, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი განაგრძობს დარიცხვას ვალდებულების დარღვევის შემდეგაც.

ნასყიდობის სახელშეკრულებო სამართლებრივ დავაში საკასაციო სასამართლომ განმარტა,¹⁵² რომ კასატორის პოზიცია, რომ მოსარჩელე სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში დაეთანხმა პირგასამტეხლოს ოდენობას და მისი განსაზღვრის წესს, სამართლებრივ სურათს ვერ შეცვლის. მხარეთა ნების ავტონომია არ ზღუდავს სასამართლოს ცალკეულ შემთხვევაში, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, შეაფასოს ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ღონისძიება რამდენად ემსახურება სახელშეკრულებო მიზნის მიღწევას და როგორია მისი თანა-

¹⁵¹ სუსგ №ას-848-814-2016, 28 დეკემბერი, 2016.

¹⁵² სუსგ №ას-1232-1155-2015, 27 იანვარი, 2016, ასევე, №ას-914-864-2015, 4 დეკემბერი 2015.

ფარდობა შესაძლო ზიანთან და ვალდებულების დარღვევის ხასიათთან. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ აღნიშნა შემდეგი: „მართალია, სამოქალაქო კანონმდებლობა პირგასამტეხლოს ნამდვილობას მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეულ შეთანხმებას უკავშირებს, თუმცა, იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ დათქმას და მოვალის შესაგებლის არსებობის პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობის თანხის თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან, სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად. ნორმის დანაწესი სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის ლეგიტიმურ საფუძველს წარმოადგენს და ასეთ შემთხვევაში, კონკრეტული საქმის თავისებურების გათვალისწინებით, უნდა შეფასდეს ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორცაა: მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ და სხვა.“

პირგასამტეხლო მინიმალური ზიანის ანგარიშში უზრუნველყოფს კრედიტორის ინტერესების დაკმაყოფილებას, რასაც დამტკიცება არ სჭირდება, თუმცა, თუ კრედიტორს უფრო მეტის მოთხოვნა უნდა (სსკ-ს 404-ე მუხლი), მაშინ მას ევალება დასაშვები და სათანადო მტკიცებულებებით დაამტკიცოს ეს ზიანი.

თუ მხარე აღჭურვილია ადვოკატით, სამენარმეო ურთიერთობებში გამოცდილი სუბიექტია, თავად მენარმეა და ა. შ. ივარაუდება, რომ ასეთ ვითარებაში შეთანხმებული პირგასამტეხლო, თუნდაც შეუსაბამოდ მაღალი, მხარეთა ნამდვილ ნებას შეესაბამება და შემცირებას არ ექვემდებარება.

იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კონკრეტულ საქმეში,¹⁵³ საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეზე დარიცხული პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველი არ არსებობდა და, შესაბამისად, ქვემდგომი სასამართლოების დასკვნა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებასთან დაკავშირებით, დაუსაბუთებელია.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პირგასამტეხლოს შემცირების კანონისმიერი შესაძლებლობა ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმ სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხ-

¹⁵³ სუსგ №ას-1451-1371-2017, 13 ნოემბერი, 2018.

ლოს შინაარსსა და მის თანმდევ სამართლებრივ თუ ეკონომიკურ შედეგებს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს შემცირებისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, **თუ რამდენად აცნობიერებდა მითითებულ პირობას მხარე ხელშეკრულებაზე ხელის მონერისას**. ამდენად, თუ მხარე აღჭურვილია ადვოკატით, სამენარმეო ურთიერთობებში გამოცდილი სუბიექტია, თავად მენარმეა და ა.შ. ივარაუდება, რომ ასეთ ვითარებაში შეთანხმებული პირგასამტეხლო, თუნდაც, შეუსაბამოდ მაღალი, მხარეთა ნამდვილ ნებას შეესაბამება და შემცირებას არ ექვემდებარება.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე, რომელიც მენარმე სუბიექტია, დამაჯერებლად ვერ ასაბუთებს, თუ რატომ არის შეუსაბამოდ მაღალი შეთანხმებული პირგასამტეხლო. ის არ მიუთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც საკასაციო სასამართლოს დაარწმუნებდა სსკ-ის 420-ე მუხლის გამოყენების აუცილებლობაში. პალატის მოსაზრებით, მენარმე სუბიექტი, რომელიც თავისუფალი და გაცნობიერებული ნების გამოვლენის საფუძველზე თანხმდება პირგასამტეხლოს კონკრეტულ ოდენობას, შემდგომში მოკლებულია შესაძლებლობას, სათანადო არგუმენტაციის არარსებობის პირობებში მოითხოვოს პირგასამტეხლოს შემცირება.

საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 230-ე მუხლის ფარგლებში დადგენილად მიიჩნია მხოლოდ პირგასამტეხლოს დავალიანების ოდენობა, თუმცა, მითითებული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი იყო თუ არა, სასამართლომ სამართლის საკითხად მიიჩნია და სსკ-ის 420-ე მუხლის ფარგლებში შეამოწმა.

საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე,¹⁵⁴ შეამოწმა რა, სააპელაციო სასამართლოს განჩინების/დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში,

კანონიერად მიიჩნია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილება. პალატამ ჩათვალა, რომ მეიჯარის სააპელაციო საჩივრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილების მოთხოვნის ნაწილში არ არსებობდა სსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 230-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობა: მოსარჩელის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამარ-

¹⁵⁴ სუსგ №ას-10-10-2017, 17 თებერვალი, 2017.

თლებდა მის მოთხოვნას: აპელანტის მიერ მითითებული და მისი მონინალმდევე მხარის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები, სსკ-ის 417-ე, 418-ე, 420-ე მუხლების შესაბამისად, იურიდიულად არ ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას პირგასამტეხლოს სახით 3 665,37 ლარის ნაცვლად, 8 237,62 ლარის დაკისრებასთან დაკავშირებით. **პირგასამტეხლოს გონივრულობის შეფასება, პალატის დასკვნით, უნდა მოხდეს სააპელაციო მოთხოვნის სამართლებრივი (იურიდიული) მართებულობის შემოწმების ქრილში.** პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებისას, მხედველობაში მიიღება როგორც კრედიტორის ინტერესი ვალდებულების შესრულების მიმართ, ასევე, სარჩელის აღძვრამდე პერიოდზე დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა ძირითად თანხასთან მიმართებაში. პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. საკითხის გადაწყვეტისას, მხედველობაში მიიღება მხარის ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები, კერძოდ, თუ როგორია შესრულების ღირებულება, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამონვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორცაა: ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამონვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა. კონკრეტულ საქმეში, საქალაქო სასამართლომ მოთხოვნილი პირგასამტეხლო – 8 237.62 ლარი, გადასახდელი საიჯარო ქირის ოდენობისა და ვადის დარღვევის ხარისხიდან გამომდინარე, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ პირგასამტეხლო დაანგარიშებული იყო არა გადაუხდელი თანხის, არამედ შეთანხმებული საიჯარო ქირიდან, მართებულად მიიჩნია შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად და სწორად შეამცირა იგი 3 665.37 ლარამდე.

საკასაციო სასამართლომ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ **სსკ-ის 230-ე მუხლის ფარგლებში დადგენილად მიიჩნეოდა მხოლოდ პირგასამტეხლოს დავალიანების ოდენობა, თუმცა, მოსარჩელის მიერ მითითებული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი იყო თუ არა, სამართლის საკითხს წარმოადგენდა და სასამართლოს იგი სსკ-ის 420-ე მუხლის ფარგლებში უნდა შეემოწმებინა.**

ვალდებულების დარღვევის არარსებობის გამო, პირგასამტეხლოს დაკისრება უსაფუძვლოა.

კონკრეტულ საქმეში,¹⁵⁵ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. სსკ-ის 417-ე მუხლიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს ანაზღაურების წინაპირობად განიხილება ვალდებულების დარღვევა. ამავე კოდექსის 390-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით კი, კრედიტორს პასუხისმგებლობა წარმოეშობა, თუ იგი არ იღებს იმ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ კრედიტორმა (ამავდროულად მოვალემ) უარი განაცხადა ნაკლის არმქონე იმ შესრულების მიღებაზეც, რომელიც ვადის დარღვევით განახორციელა გამყიდველმა, შესაბამისად, მას არც ანაზღაურების ვალდებულება წარმოეშვა, რაც სავესებით გამორიცხავს პირგასამტეხლოს მყიდველისათვის დაკისრებას.

მენარდისათვის ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მოტივაციის მიცემა სსკ-ის 417-ე-420-ე მუხლების მიზანს არ წარმოადგენს.

იმისათვის, რათა პირგასამტეხლომ არ დაკარგოს საკუთარი ფუნქცია, ხოლო სამოქალაქო ურთიერთობა არ გასცდეს მხარეთა თანასწორობის პრინციპს, მიზანშეწონილია, სასამართლომ სამართლიანობაზე დაყრდნობით შეაფასოს შეთანხმებული პირგასამტეხლომ ოდენობა.

ნარდობის სახელშეკრულებო სამართლებრივ დავაში საკასაციო სასამართლომ პირგასამტეხლოს ოდენობის, ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 0,2%-მდე შემცირება კანონიერად მიიჩნია.¹⁵⁶

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა მიუხედავად სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის გამოყენებისა, შემოწმებას ექვემდებარება და იგი იმგვარი სიკეთეების პროპორციულობით ფასდება, როგორცაა: მხარეთა მდგომარეობა ხელშეკრულების დადებისას, ვალდებულების დარღვევის ხასიათი, დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის მნიშვნელობა, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და ვალ-

¹⁵⁵ სუს გადაწყვეტილება №ას-75-71-2017, 31 მარტი, 2017.

¹⁵⁶ სუსგ №ას-272-260-2017, 10 მაისი, 2017.

დებულების დარღვევის შედეგად დაზარალებული პირის ინტერესების პროპორციულობა დარღვევის ხასიათთან. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მენარდემ ვალდებულება შეასრულა, ამ შესრულების მიმართ შემკვეთს პრეტენზია არ გამოუთქვამს, ამასთან, დასაბუთებული შედაგება არ არის ნარდგენილი იმის თაობაზე, რომ ვადაგადაცილება მოხდა არა კონტრაჰენტის, არამედ ექსპერტიზის ბრალით, რაც არ გაითვალისწინა შემკვეთმა. მნიშვნელოვანია, რომ კასატორს არ მიუთითებია ვადაგადაცილებით გამოწვეული ზიანის არსებობის ფაქტზე, არამედ მისი ძირითადი მოტივაცია მიმართულია იმისკენ, რომ პირგასამტეხლოს სახით, სოლიდური თანხის დაკისრება მოტივაციას შეუქმნის მენარდეს სამუშაოს დროულად შესრულებისათვის, რაც არ გაიზიარა საკასაციო პალატამ, ვინაიდან მენარდისათვის ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მოტივაციის მიცემა სსკ-ის 417-ე-420-ე მუხლების მიზანს არ წარმოადგენს. საკასაციო პალატამ დამატებით განმარტა, რომ იმისათვის, რათა პირგასამტეხლომ არ დაკარგოს საკუთარი ფუნქცია, ხოლო სამოქალაქო ურთიერთობა არ გასცდეს მხარეთა თანასწორობის პრინციპს, მიზანშეწონილია, სასამართლომ სამართლიანობაზე დაყრდნობით შეაფასოს შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობა. ამ მხრივ, სააპელაციო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები სსკ-ის 417-ე, ასევე, 420-ე მუხლების თაობაზე, სრულ შესაბამისობაშია საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკასთან, ამასთან, უდავოა, რომ კასატორი, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, კეთილსინდისიერების პრინციპით უნდა მოქმედებდეს და მიუხედავად სამოქალაქო ურთიერთობებში მისი კერძო სასამართლის სუბიექტებთან უფლებრივი გათანაბრებისა, მას მაღალი ხარისხით ეკისრება კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტის დაცვა. აღნიშნული თავისთავად მოიცავს როგორც სახელშეკრულებო, ისე წინასახელშეკრულებო პერიოდს, რადგანაც სამინისტრომ, როგორც შემსყიდველმა, მისი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილება არ შეიძლება გამოიყენოს გადამტეხებით, არამედ მას მართებს მეორე მხარის უფლებებისა და ქონების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება. ამ მხრივ, სააპელაციო სასამართლოს დასკვნები არ ეწინააღმდეგება კანონის ნორმებს (სსკ-ის 115-ე და 316-ე (2) მუხლები).

განგრძობითი პირგასამტეხლოს დარიცხვის პერიოდში არ მოიზარება გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების პერიოდი, ანუ ის დროის მონაკვეთი, როდესაც სააღსრულებო წარმოების განხორციელება შეჩერდა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით.

საკასაციო პალატამ დააკმაყოფილა კერძო საჩივარი¹⁵⁷ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე და დაასკვნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ პირგასამტეხლოს დარიცხვის დასრულების მომენტის განსაზღვრა (გადაწყვეტილების) აღსრულებამდე პერიოდზე მითითებით გულისხმობს სწორედ სააღსრულებო ფურცელში სასამართლოს გადაწყვეტილებით შეტანილი ცვლილებების კვალობაზე იმ სააღსრულებო წარმოების განხორციელებას, რომელიც შეჩერდა სწორედ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, რასაც შედეგობრივი თვალსაზრისით მიყვავართ იქამდე, თითქოს პირგასამტეხლოს დარიცხვის პერიოდი მოიცავდეს 2011 წლის 5 ნოემბრიდან, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე შეჩერებული სააღსრულებო წარმოების განახლებამდე პერიოდსაც, უმართებულოა და არ გამომდინარეობს აღსრულების პროცესის მარეგულირებული სპეციალური ნორმატიული რეგულირებიდან. როგორც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი ადგენს და იმავდროულად, აღსრულებაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო აღნიშნავს (განჩინების პ: 12) განგრძობითი პირგასამტეხლოს დარიცხვის პერიოდში არ მოიაზრება გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების პერიოდი ანუ დროის ის მონაკვეთი, როდესაც სააღსრულებო წარმოების განხორციელება შეჩერდა სწორედ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით.

საკასაციო სასამართლომ კრედიტორის მიერ სააღსრულებო ფურცლის ვალდებულების დარღვევიდან სამი წლის შემდეგ ალება სსკ-ის 115-ე მუხლის დარღვევად არ მიიჩნია.

პირგასამტეხლოს კიდევ შემცირებას საფუძვლად ვერ დაედება ის გარემოება, რომ მოვალე, რომელმაც ვალდებულების შესრულებას სამ წელზე მეტი ხნით გადააცილა, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

ერთ-ერთ საქმეში,¹⁵⁸ საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის (მოვალის) პრეტენზია პირგასამტეხლოს ოდენობასთან დაკავშირებით. საქმის მასალებით უდავოა, რომ ერთი თვის ვადით დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება არა

¹⁵⁷ სუსგ №ას-399-372-2017, 11 მაისი, 2017, ამ საკითხზე ასევე იხ. სუსგ №ას-1488-1408-2017, 15 თებერვალი, 2018.

¹⁵⁸ სუსგ №ას-222-222-2018, 30 მარტი, 2018.

თუ დათქმულ დროს, სამი წლის შემდეგაც არ შესრულებულა. ის ფაქტი, რომ კრედიტორმა მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევიდან დაუყოვნებლივ არ აიღო და არ წარადგინა სააღსრულებო ფურცელი, არ შეიძლება განხილული იყოს უფლების ბოროტად გამოყენებად, მითუმეტეს იმ პირობებში, როცა გამსესხებელმა საკუთარი უფლების რეალიზაცია მოახდინა კანონით დადგენილ ხანდაზმულობის ვადაში და მისი ქმედება კანონიერ მიზნებს ემსახურება **(სუსგ №ას-1385-1307-2012, 7 თებერვალი, 2013 წელი)**. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა სრულად შეესაბამება, როგორც პირგასამტეხლოს ფუნქციის შენარჩუნებას (მინიმალური ზიანის უზრუნველყოფა), ისე სსკ-ის 420-ე მუხლის მოთხოვნებს და ამ თანხის კიდევ შემცირებას საფუძვლად ვერ დაედება ის გარემოება, რომ მოვალე, რომელმაც ვალდებულების შესრულებას სამ წელზე მეტი ხნით გადააცილა, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

იმის გამო, რომ მოსარჩელეს არ შეუთავაზებია სასამართლოსათვის შეუსრულებელი ვალდებულების მოცულობის შესაბამისი სარგებლის ოდენობა, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა პირგასამტეხლოს გამოთვლა, სასამართლომ პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნა უარყო.

სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაში,¹⁵⁹ სესხი იყო სარგებლიანი, მოვალეს უნდა გადაეხადა ძირი თანხის ყოველთვიური 4%, ხოლო ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლო –საპროცენტო სარგებლის 4%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. გარდა ამისა, ხელშეკრულება ითვალისწინებდა ე. წ. პროცენტის პროცენტზე შეთანხმებას **(სსკ-ის 403-ე მუხლი)**.

სასამართლომ უარყო გამსესხებლის პრეტენზია პირგასამტეხლოს არა თუ ოდენობის, არამედ მისი საერთოდ დაკისრების თაობაზე. პალატამ გაითვალისწინა შესაგებელში მოპასუხეთა მიერ გამოთქმული შედავება, რომ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრება ემყარება გაურკვეველ გამოთვლას. იმ პირობებში, როდესაც მოვალე ვალდებულებას ნაწილობრივ ასრულებდა, მოსარჩელეს არ შეუთავაზებია სასამართლოსათვის შეუსრულებელი ვალდებულების მოცულობის შესაბამისი სარგებლის ოდენობა, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა პირგასამტეხლოს გამოთვლა.

¹⁵⁹ სუს გადაწყვეტილება №ას-1071-991-2017, 26 მარტი, 2018.

პირგასამტეხლო არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედავების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით.

სასამართლომ მოპასუხე ფორსმაჟორის გამო, ფორსმაჟორის პერიოდში გაათავისუფლა სადავო სახელშეკრულებო სამართალურთიერთობებში პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან.

ერთ-ერთ საქმეში,¹⁶⁰ ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებით, რომელიც უზენაესმა სასამართლომ უცვლელი დატოვა, სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს 2282.67 ლარის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, 828 ლარის ნაწილში. პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირების საკითხზე უზენაესმა სასამართლომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებაა, იგი არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედავების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით. სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონისმიერ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველმყოფელი ვალდებულება და რაც მთავარია, ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინება. სახელდობრ, ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორიცაა: მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ და ა.შ. (სუსგ №ას-708-678-2016, 27 იანვარი, 2017, სუსგ №ას-222-209-2015, 6 მაისი, 2015). საკასაციო პალატამ გაიზიარა მოპასუხის მიერ წარდგენილი დასაბუთებული შესაგებელი, რომლითაც იგი აღნიშნავდა, რომ მას ბრალი არ მიუძღვოდა მოსარჩელესთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების ვადის დარღვევით შესრულებაში, რადგან ეს დარღვევა გამოწვეუ-

¹⁶⁰ სუსგ № ას-163-163-2018, 20 ივლისი, 2018.

ლი იყო ფორსმაჟორით, რის საფუძველზეც შეუძლებელი გახდა რუსეთიდან ავტომობილების შემოსვლა. ფორსმაჟორული გარემოების ხანგრძლივი პერიოდის (2014 წლის 17 მაისი-2014 წლის 14 ივნისი) გამო, იმდენად დიდი იყო საზღვართან გაჩერებული ავტომობილების რაოდენობა, რომ მათ გადმოსვლას საქართველოში რამდენიმე დღე დასჭირდა. აღნიშნული გარემოების შეფასებისას, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 417-ე მუხლი, აგრეთვე, 401-ე მუხლი და განმარტა, რომ პირგასამტეხლოს დაკისრების სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ბრალეული დარღვევა. აღნიშნული ნორმების ანალიზის, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და ფორსმაჟორის გათვალისწინებით, პალატამ მოპასუხე ფორსმაჟორის ჩათვლით, გაათავისუფლა სადავო სახელშეკრულებო სამართალურთიერთობებში პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან.

ვინაიდან მიმნოდებლის მიერ სარჩელში მითითებული შესრულებული სამუშაოს ღირებულება, მოპასუხის მიერ წარდგენილ შესაგებელში შედავებული არ ყოფილა, სასამართლომ შესრულებული სამუშაოსთვის გადახდილი პირგასამტეხლო დაუბრუნა მოსარჩელეს.

სხვა საქმეში,¹⁶¹ მოსარჩელემ (მიმნოდებელმა) სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ მისთვის უკანონოდ დაკისრებული პირგასამტეხლოს, 62 558 ლარის დაბრუნების მოთხოვნით.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მიმნოდებლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოწინააღმდეგის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მიმნოდებლის სარჩელი დაკმაყოფილდა.

უზენაესმა სასამართლომ შემსყიდველი საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა თავის მხრივ, მოიაზრებს მოსარჩელის მოთ-

¹⁶¹ სუსგ №ას-931-871-2017, 24 იანვარი, 2018.

ხოვნის მატერიალურსამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად შემომწმებას, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება, იძლევა თუ არა მოთხოვნის მომწესრიგებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც, ერთ-ერთის არარსებობა ინვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმასა და საქმის არსებითად განხილვის აუცილებლობას, იმ განსხვავებით, რომ ასეთ დროს მოპასუხისაგან მტკიცებულებების მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს **(სუსგ №ას-535-509-2013, 24.03.2014გ.)**.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მიმწოდებლის სარჩელში მითითებული გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას იურიდიულად ნაწილობრივ ამართლებენ.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მიმწოდებლის მიერ სარჩელში მითითებული შესრულებული სამუშაოს ღირებულება, მოპასუხის მიერ წარდგენილ შესაგებელში შედავებული არ ყოფილა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ სარჩელში მითითებული ეს გარემოება, საქმის სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი განხილვის ეტაპზე სარჩელის იურიდიული გამართულობის შემომწმებისას, დადგენილად მიიჩნია და ამ ნაწილში, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაუდო.

სასამართლომ შესრულებული სამუშაოსთვის გადახდილი პირგასამტეხლო დაუბრუნა მოსარჩელეს.

კონკრეტულ საქმეში,¹⁶² საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხემ მშენებლობა დადგენილ ვადაში დაასრულა, ხოლო ის ფაქტი, რომ მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა დაგვიანებით, არ წარმოშობს სსკ-ის მე-400 მუხლის წინაპირობებს, შესაბამისად, სახეზე არ არის პირგასამტეხლოს დაკისრების სსკ-ის 417-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა.

რამდენადაც პირგასამტეხლოს ანაზღაურება, არა სსკ-ის 417-ე-418-ე მუხლებით განსაზღვრული სახელშეკრულებო შეთანხმების, არამედ საკანონმდებლო დათქმის შედეგია, ამგვარი პირგასამტეხლოს შემცირების საკითხი სსკ-ის 420-ე მუხლის რეგულაციას ცდება.

¹⁶² სუსგ №ას-117-2019, 25 ივნისი, 2019.

სადაზღვევო ურთიერთობიდან გამომდინარე კონკრეტულ დავაში,¹⁶³ კლინიკის სარჩელი მზღვეველის მიმართ განუხული მომსახურებისა და ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო, პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნით დაკმაყოფილდა. საქართველოს მთავრობის 14.05.2012წ. №177 დადგენილების მიხედვით, მზღვეველი ვალდებულია, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისათვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების დადგენილებით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებლის სასარგებლოდ გადაიხადოს ასანაზღაურებელი თანხის გარკვეული პროცენტი – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პალატამ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში სარჩელი საფუძვლიანად მიიჩინა და აღნიშნა, რომ რამდენადაც სახეზეა ვალდებულების დარღვევის ფაქტი, პირგასამტეხლოს ანაზღაურება, არა სსკ-ის 417-ე-418-ე მუხლებით განსაზღვრული სახელშეკრულებო შეთანხმების, არამედ საკანონმდებლო დათქმის შედეგია, შესაბამისად, ამგვარი პირგასამტეხლოს შემცირების საკითხი სსკ-ის 420-ე მუხლის რეგულაციას ცდება.

კონკრეტულ დავაში,¹⁶⁴ მენარდის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შემკვეთს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა გარკვეული თანხის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ პირგასამტეხლო ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 120% სწარმოადგენდა და იგი დღეში ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ს შეადგენდა, რაც ბუნებრივია, შეუსაბამოდ მაღალია ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისა და არ გამომდინარეობს კერძო სამართლისათვის დამახასიათებელი ბრუნვის მონაწილეთა თანასწორობის, ასევე თავად სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის პრინციპიდან. რათქმა უნდა, პირგასამტეხლოს ოდენობა მხარეთა თავისუფალი შეთანხმების საგანს წარმოადგენს (*სკ-ის 418.1 მუხლი*), თუმცა საკანონმდებლო დათქმა, რომ იგი შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანსაც, ვერ იქნება შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებაზე უარის თქმის საფუძველი, რადგანაც სსკ-ის 420-ე მუხლით დამკვიდრებული სასამართლოს კონტროლი პირგასამტეხლოს ოდენობაზე, ფორმალური დატვირთვის მატარებელი არაა და სასამართლო დავისას ვალდებულია, ერთმანეთს შეუპირისპიროს კრედიტორისა და მოვალის ინტერესები იმგვარად, რომ სამართლიანად გან-

¹⁶³ სუსგ №ას-170-2019, 6 დეკემბერი, 2019.

¹⁶⁴ სუსგ №ას-753-721-2016, 17 მაისი, 2019.

საზღვროს მათ შორის ბალანსი. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ სახეზე არ არის არც ფაქტობრივად დამდგარი ზიანი და არც მიუღებელი შემოსავალი (უდავოა, რომ შემკვეთს არ გააჩნდა კომერციული მიზანი მშენებლობის მიმართ და სხვა). შეუსრულებული სამუშაოებისათვის მოპასუხეს არ გაუნევია ხარჯი, არ მიუთითებია იმგვარ ფაქტებზე, რომლებიც მის ქონებრივ დანაკლისს დაამტკიცებდა, ასეთ ვითარებაში კი, პირგასამტეხლოს განაკვეთის 4 ჯერ შემცირებით დაცულია, როგორც კრედიტორის ინტერესი, ისე მოვალის ქონებრივი შესაძლებლობები და შენარჩუნებულია თავად პირგასამტეხლოს ფუნქცია.

ვინაიდან არაჯეროვანი შესრულება არ ყოფილა უზრუნველყოფილი პირგასამტეხლოთი, არც ამ ნაწილში არსებობს ნასყიდობის საზღაურის დაქვითვის წინაპირობა.

ერთ-ერთ საქმეში, ¹⁶⁵ პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული ინსტიტუტი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სახელშეკრულებო საშუალებას წარმოადგენს და პირგასამტეხლოს დაკისრებისას, სწორად და ზედმინევით უნდა შემონმდეს მხარეთა სახელშეკრულებო პირობა. მოცემულ შემთხვევაში, დადასტურებულია, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენდა ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და ის უზრუნველყოფდა მხოლოდ საქონლის მიწოდების ვადის დარღვევას. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მან ვალდებულების შესრულების ვადა 3 დღით გადააცილა, შესაბამისად, 3 დღის პირგასამტეხლო –70,50 ლარი მას ეკისრება მყიდველის სასარგებლოდ, რაც შეეხება არაჯეროვან შესრულებას, როგორც სარჩელშია გადმოცემული, იგი არ ყოფილა პირგასამტეხლოთი უზრუნველყოფილი. თავად სსკ-ის 417-ე მუხლის დისპოზიციიდან კი გამომდინარეობს, რომ პირგასამტეხლო შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის, ისე არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, თუმცა, ამ ინსტიტუტის სახელშეკრულებო ბუნებიდან გამომდინარე, ნორმის აღწერილობითი ნაწილი დისპოზიციურია და უზრუნველყოფილი მოთხოვნის სახეობის არჩევას მხარეთა ნებას უკავშირებს. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ ვალდებულების შესრულების მომენტის განსაზღვრისას, როდესაც შესრულების ხარის-

¹⁶⁵ სუსგ №ას-1178-1098-2017, 26 მარტი, 2019.

ხი მესამე პირმა (მაგ: *საექსპერტო დაწესებულება*) უნდა დაადასტუროს, არ შეიძლება მხარეს ბრალად შეერაცხოს ის დრო, რომელიც შესრულებიდან (*ნივთის უფლებამოსილი პირისათვის გადაცემიდან*) შესაბამისი დასკვნის წარდგენამდე გავიდა. ამასთან, **ვინაიდან არაჯეროვანი შესრულება არ ყოფილა უზრუნველყოფილი პირგასამტეხლოთი, არც ამ ნაწილში არსებობს ნასყიდობის საზღაურის დაქვითვის წინაპირობა.**

სხვა საქმეში,¹⁶⁶ სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირების უფლება იმ იშვიათი გამონაკლისთაგანია, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა ამგვარი ჩარევა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება. კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამასთან, შეფასების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს ამკარა შეუსაბამობა ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პირგასამტეხლოს განსაკუთრებით მაღალი პროცენტიდან, ზიანის უმნიშვნელო ოდენობიდან, ვალდებულების დარღვევის მოკლე ვადიდან და ა.შ. პირგასამტეხლოს „ამკარა შეუსაბამობის“ თაობაზე მითითებას წარადგენს პირი, რომელიც მის შემცირებას ითხოვს.

სასამართლო პირგასამტეხლოს შემცირებისას, მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან, ხოლო კონტინენტური ევროპის სასამართლის ქვეყნების სასამართლოები (მათ შორის, გერმანია), ასევე, უაღრესად დიდ ყურადღებას აქცევენ კრედიტორის ეკონომიურ ინტერესს, კერძოდ, თუ რა ინტერესი და მნიშვნელობა გააჩნია კრედიტორს ვალდებულების დროულად შესრულების მიმართ, რაც განაპირობებს პირგასამტეხლოს, როგორც პრევენციულ ფუნქციას, ზოგჯერ საკმაოდ მაღალსაც კი.

¹⁶⁶ სუსგ №ას-352-2019, 17 მაისი, 2019, ასევე, სუსგ. №ას-164-160-2016, 28 ივლისი, 2016.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში *(სსკ-ის 319-ე მუხლი)* დათქმული პირობის მიუხედავად, ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს გათვალისწინება ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს, რადგან რამდენიმე დღის ვადაგადაცილებით თავის ხელშეკრულების საერთო თანხის გათვალისწინებით პირგასამტეხლოს დაკისრება, როგორც კრედიტორის დარღვეული უფლებების დავალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთგვარი სანქცია, თავის ნორმატიულ დანიშნულებას ვერ შეასრულებს. **პირგასამტეხლო დაანგარიშებული უნდა იყოს არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ მხარის მიერ ფაქტობრივად შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულებიდან.**

ერთ დავაში,¹⁶⁷ საკასაციო სასამართლომ დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად არ მიიჩნია კასატორის არგუმენტი, რომ მოსარჩელეს პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება გააჩნდა მხოლოდ ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტიდან. **კანონმდებელი პირგასამტეხლოს დაკისრებას უკავშირებს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევას და აღნიშნულზე ხელშეკრულების მოქმედების ვადა გავლენას ვერ მოახდენს.**

კონკრეტულ დავაში,¹⁶⁸ საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტისას მართებულად გამოიყენა და განმარტა სსკ-ის 418-ე-420-ე მუხლები და მოსარჩელისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო მართებულად შეამცირა გონივრულ ოდენობამდე.

სხვა საქმეში,¹⁶⁹ პალატის მითითებით, პირგასამტეხლოს შემცირების კანონისმიერი შესაძლებლობა ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმ სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმონერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსსა და მის თანმდევ სამართლებრივ, თუ ეკონომიკურ შედეგებს. პირგასამტეხლოს შემცირებაზე უფლებამოსილი სუბიექტი – სასამართლო, პირგასამტეხლოს მართლზომიერებისა და ლეგიტიმურობის შეფასებას მხოლოდ მხარეთა მიერ შეჯიბრებითობის

¹⁶⁷ სუსგ №ას-405-2019, 31 მაისი, 2019.
¹⁶⁸ სუსგ №ას-915-2018, 14 იანვარი, 2019.
¹⁶⁹ სუსგ №ას-1027-2019, 30 სექტემბერი, 2019.

ფარგლებში პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის პროცესში იწყებს.

უკვე გადახდილი პირგასამტეხლოს შემცირებაზე მსჯელობა სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

ერთ-ერთ დავაში,¹⁷⁰ მოსარჩელისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობა სასამართლოს გააჩნია იქამდე, სანამ მხარე აღნიშნულ თანხას კრედიტორს აუნაზღაურებს. პირგასამტეხლოს შემცირება დაუშვებელია, როცა პირგასამტეხლო უკვე ნებაყოფლობით გადახდილია.

ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან პირგასამტეხლოს გათვალისწინება, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს.

ერთ-ერთ საქმეში,¹⁷¹ საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირგასამტეხლოს, როგორც მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში დათქმული პრობის მიუხედავად, ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამომდინარე გათვალისწინება, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს, რადგან მხოლოდ სამუშაოთა ნაწილის არაჯეროვანი შესრულებისათვის, ხელშეკრულების საერთო თანხის გათვალისწინებით, პირგასამტეხლოს დაკისრება, როგორც კრედიტორის დარღვეული უფლებებისა და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთგვარი სანქცია, თავის ნორმატიულ დაწინაურებას ვერ შეასრულებს. იგი ერთი მხრივ, უსაფუძვლოდ ზრდის მის მოცულობას და მეორე მხრივ, მოვალეს უკვე შესრულებული ვალდებულების ნაწილში აკისრებს პასუხისმგებლობას. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, პირგასამტეხლო უნდა დაანგარიშდეს არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ მხარის მიერ ფაქტობრივად შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულებიდან.

კონკრეტულ დავაში,¹⁷² სასამართლომ არ შეამცირა რა პირგასამტეხ-

¹⁷⁰ სუსგ №ას-1527-2018, 31 იანვარი, 2019, ასევე, იხ.: სუსგ-ები: №ას-1119-2018, 23 მარტი, 2020.

¹⁷¹ სუსგ №ას-971-2019, 28 ოქტომბერი, 2019, ასევე, სუსგ-ები: №ას-164-160-2016, 28.07.2016, №ას-581-2019, 31.07.2019, №ას-1819-2019, 19 თებერვალი, 2020, №ას-626-2021, 14 ივლისი, 2021.

¹⁷² სუსგ №ას-227-2019, 24 აპრილი, 2019, ასევე, №ას-241-241-2018, 25.09.2018.

ლოს ოდენობა, აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, პირგასამტეხლო – 312.11 აშშ დოლარი, არ არის შეუსაბამოდ მაღალი ოდენობა ძირითადი ვალდებულების დარღვევის მოცულობასა და ვადაგადაცილებით გამოწვეულ შესაძლო ზიანთან მიმართებით, შესაბამისად, მისი შემცირების სამართლებრივი საფუძველიც არ არსებობს.

ერთ საქმეში,¹⁷³ სარჩელი მოპასუხის სასარგებლოდ დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ დაკმაყოფილდა და უცხოური სანარმოს ფილიალი გათავისუფლდა პირგასამტეხლოს გადახდისაგან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკასაციო პალატამ წარმოშობილად არ მიიჩნია პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობები.

ერთ-ერთ საქმეში,¹⁷⁴ გადაწყვეტილებით სარჩელი მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ნაწილში სრულად დაკმაყოფილდა. პალატის მოსაზრებით, მენარმე სუბიექტი, რომელიც თავისუფალი და გაცნობიერებული ნების გამოვლენის საფუძველზე თანხმდება პირგასამტეხლოს კონკრეტულ ოდენობას, შემდგომში მოკლებულია შესაძლებლობას, მოითხოვოს შეთანხმებული პირგასამტეხლოს შემცირება, თუ ამის თაობაზე კვალიფიციურ შესაგებელს არ წარადგენს (*№ას-1451-1371-2017, 13 ნოემბერი, 2018*). სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირება და ამ მიზნით მხარეთა შორის თავისუფალი ნების გამოვლენის ფარგლებში მიღწეულ შეთანხმებაში სასამართლოს ჩარევა უპირველეს ყოვლისა, ემსახურება იმ სუსტი კონტრაჰენტის ინტერესების დაცვას, რომელიც ერთი მხრივ, ვალდებულების შესრულების იმედით თანხმდება მისთვის თუნდაც მიუღებელ პირგასამტეხლოს განაკვეთს და მეორე მხრივ, სრულფასოვნად ვერ აფასებს სახელშეკრულებო რისკებს და ვალდებულების დარღვევის თანამდევად დასაკისრებელი პირგასამტეხლოს მოსალოდნელ სამართლებრივ და ეკონომიკურ ეფექტს. სახელშეკრულებო ურთიერთობაში კონტრაჰირებულ მენარმე სუბიექტს/იურიდიულ პირს მისი სტატუსიდან გამომდინარე, ფიზიკური პირისგან განსხვავებული პასუხისმგებლობითა და სტანდარტით მოთხოვება ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგებზე პასუხისმგება. ხელშეკრულებაში იურიდიული პირის კონტრაჰირებისას, სასამართლომ პირგასამტეხლო უნდა შეამციროს, მხოლოდ არგუმენტირებული შედავების არსებობის პირობებში.

¹⁷³ სუსგ №ას-1747-2019, 28 მაისი, 2020, იხ. ასევე, №ას-1820-2019, 19 თებერვალი, 2020.

¹⁷⁴ სუსგ №ას-1417-2018, 16 ნოემბერი, 2020.

სხვა საქმეში,¹⁷⁵ საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სწორად შეამცირეს მენარდისათვის დარიცხული პირგასამტეხლო, რაც ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.2%-ს, თვეში 6%-ს, ხოლო წელიწადში 76%-ს შეადგენს და მეტია სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე.

საკასაციო სასამართლომ საქმის კონკრეტული გარემოებების, შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და პირგასამტეხლოს ოდენობასთან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობის შესწავლისა და კვლევის შედეგად აღნიშნა, რომ გონივრულია მენარდისათვის პირგასამტეხლოს ნაცვლად 106 533.17 ლარისა, 15495,60 ლარით განსაზღვრა.¹⁷⁶

კონკრეტულ საქმეში, პირგასამტეხლოს 0.3%-დან 0.03%-მდე შემცირების შედეგად, შეიქმნა ვითარება, როდესაც მოსარჩელემ ორივე ხელშეკრულებაზე გადაიხადა არსებულ დავალიანებაზე მეტი თანხა და შესაბამისად, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ შესრულებით მხარეთა შორის ფულადი ვალდებულება შეწყვეტილია.¹⁷⁷

ერთ-ერთ საქმეში,¹⁷⁸ საკასაციო სასამართლომ შეფასებით, მართებულად შემცირდა მხარეთა შორის შეთანხმებული პირგასამტეხლო 0.07%-დან 0.02%-მდე.

სხვა დავაში,¹⁷⁹ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შეთანხმებით დადგენილი პირგასამტეხლო, რაც შეადგენდა ვადამოსული გადასახდელი თანხის საერთო რაოდენობის 0.1%-ს დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, იყო შეუსაბამოდ მაღალი და ის 10-ჯერ ანუ 0.01%-მდე უნდა შემცირებულიყო.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სწორად მიიჩნიეს პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობად აღიარებული იჯარის თანხის – 0.2%-ის 0.1%-ით განსაზღვრა.¹⁸⁰

ანალოგიურ დავაში,¹⁸¹ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სწორად შეამცირეს დაკისრე-

¹⁷⁵ სუსგ №ას-537-537-2018, 15 თებერვალი, 2019.

¹⁷⁶ სუსგ №ას-612-2019, 27 ივნისი, 2019.

¹⁷⁷ სუსგ №ას-665-2019, 4 ივლისი, 2019.

¹⁷⁸ სუსგ №ას-681-2019, 4 ოქტომბერი, 2019.

¹⁷⁹ სუსგ №ას-825-2019, 5 სექტემბერი, 2019.

¹⁸⁰ სუსგ №ას-889-2019, 5 სექტემბერი, 2019.

¹⁸¹ სუსგ №ას-1395-2018, 7 მარტი, 2019.

ბული ჯარიმა – 1 023 933,46 ლარიდან 204 786,69 ლარამდე, ასევე, მართებულად განსაზღვრეს ყოველდღიური პირგასამტეხლო, ნაცვლად 0.07%-ისა – 0,014 %-ით.

სხვა დავაში,¹⁸² საკასაციო სასამართლომ გონივრულად მიიჩნია მოსარჩელისათვის პირგასამტეხლოს 485.28 აშშ დოლარით, ხოლო შემდეგ, აღსრულებამდე, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 3.54 აშშ დოლარით განსაზღვრა.

სასამართლომ მართებულად შეამცირა პირგასამტეხლოს ოდენობა სახელშეკრულებო ღირებულების 0.3%-დან 0,05%-მდე, რაც 24-დღიანი ვადაგადაცილების გათვალისწინებით, ჯამში 2 006.31 ლარია;¹⁸³

განსახილველ დავაში,¹⁸⁴ საკასაციო სასამართლოს შეფასებით, პირგასამტეხლოს სახით სესხის ძირითადი თანხის 0.3 %-ის დაწესება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც ერთ საანგარიშო წელზე 108%-ს შეადგენს, ვალდებულების დარღვევის შინაარსისა და დარღვევის ხარისხის, დარღვევით გამოწვეული სამართლებრივი შედეგების გაანალიზების საფუძველზე, პირგასამტეხლოს არაგონივრული და ზნეობრივად გაუმართლებელი ოდენობაა. შესაბამისად, კასატორის პრეტენზიას პირგასამტეხლოს შემცირების მიზანშეუწონლობის ნაწილში არ გააჩნია სამართლებრივად ვარგისი საფუძველი.

ერთ საქმეში,¹⁸⁵ საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 420-ე მუხლზე დაყრდნობით შეამცირა რა, პირგასამტეხლოს განაკვეთი 0,1%-ის ნაცვლად – განსაზღვრა 0,024% ით, აღნიშნა, რომ პირგასამტეხლოს ამ ოდენობით შემცირება კრედიტორს სადავო არ გაუხდია, რაც შეეხება მოვალის პრეტენზიას, პალატამ უარყო იგი იმ პირობებში, როდესაც შესაგებელი არც კი შეიცავს დასაბუთებულ შედავებას პირგასამტეხლოს ოდენობასთან მიმართებით.

ერთ-ერთ დავაში,¹⁸⁶ საკასაციო სასამართლომ მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის, ვალდებულების დარღვევის ხარისხის, ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ კრედიტორის მოლოდინის და **სხვა ფაქტორებთან ერთად, გაითვალისწინა საქმის განხილვის ხანგრძლივი დროც** და მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატის მხრი-

¹⁸² სუსგ №ას-1469-2018, 25 იანვარი, 2019.

¹⁸³ სუსგ №ას-1854-2018, 5 მარტი, 2019.

¹⁸⁴ სუსგ №ას-1928-2018, 31 ოქტომბერი, 2019.

¹⁸⁵ სუსგ №ას-547-2019, 14 თებერვალი, 2020.

¹⁸⁶ სუსგ №ას-1213-2018, 31 იანვარი, 2020.

დან პირგასამტეხლოს განაკვეთის შემცირების მიუხედავად, დაკისრებული მზარდი თანხის პირობებში იგი მაინც შეუსაბამოა ვალდებულების დარღვევისა, რის გამოც, სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, შეამცირა მისი ოდენობა და განსაზღვრა მყარი თანხით. პალატის დასკვნით, ქირის გადახდის ვადის გადაცილების გამო გონივრული და სამართლიანი იქნება პირგასამტეხლოს ოდენობის, სააპელაციო სამართლოს მიერ დაკისრებული 77 925 ლარის ასევე, 2016 წლის 1 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ძირი დავალიანების 0,05%-ის ნაცვლად, 50 000 ლარით განსაზღვრა.

კონკრეტულ საქმეში,¹⁸⁷ საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირგასამტეხლოს შემცირება არ გულისხმობს მის გაუქმებას. **პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია ერთი მხრივ, ის, რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დაანვეს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცეს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი, – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად დგინდება და რაიმე განსხვავებული სტანდარტი, რომელიც განაზოგადებს პირგასამტეხლოს მათემატიკურ მაჩვენებელს, სასამართლო პრაქტიკით არ არის დადგენილი. სასამართლომ უნდა დაიცვას ის სამართლიანი ბალანსი, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას მოჰყვება.**

სხვა დავაში,¹⁸⁸ საკასაციო პალატის შეფასებით, 833 397.30 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაწესება, გამომდინარე ვალდებულების დარღვევის შინაარსიდან, დარღვევის ხარისხიდან და დარღვევით გამოწვეული სამართლებრივი შედეგებიდან, აშკარად არაგონივრულია.

ერთ-ერთ საქმეში,¹⁸⁹ სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონისმიერ

¹⁸⁷ სუსგ №ას-186-2021, 25 მარტი, 2021.

¹⁸⁸ სუსგ №ას-311-2019, 4 ივნისი, 2021.

¹⁸⁹ სუსგ №ას-708-2020, 19 ნოემბერი, 2020.

საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველყოფელი ვალდებულება და რაც უმთავრესია, ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინება სახელდობრ, ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორცაა: მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ და ა.შ. სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლოს შემცირებისას, სასამართლო ითვალისწინებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში დარღვევა მძიმეა, რადგანაც საქმე ეხება საქართველოს სახელმწიფოს თავდაცვით ძალებს, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ შესაბამისი პირობები მათ შორის, სარეცხი მანქანებით აღჭურვა. ამდენად, სასამართლომ დარღვევის სიმძიმის, დამრღვევის ბრალის ხარისხისა და დარღვევის შედეგების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გონივრული და სამართლიან ოდენობად 3000 ლარი მიიჩნია.

კონკრეტულ დავაში,¹⁹⁰ საკასაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა 5783,35 ლარის ოდენობის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ ნაწილობრივ დააკმაყოფილა, გაზარდა სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობა – 578,34 ლარი და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისათვის პირგასამტეხლოს გადახდა 2890 ლარის ოდენობით დააკისრა.

ერთ საქმეში,¹⁹¹ პირგასამტეხლოს შემცირების (მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 2924 ლარის ნაცვლად, 94 ლარის გადახდა დაეკისრა) მიზნებისათვის სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომ მოპასუხემ ხელშეკრულების დაახლოებით, 94% ჯეროვნად შეასრულა, ვალდებულების შესრულების ვადა ოთხი დღით გადააცილა და გამოკვეთილი არ არის შედეგად ზიანის დადგომის ფაქტი.

სხვა საქმეში,¹⁹² სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნილი პირგასამ-

¹⁹⁰ სუსგ №ას-1633-2019, 9 მარტი, 2020.

¹⁹¹ სუსგ №ას-1686-2019, 8 მაისი, 2020.

¹⁹² სუსგ №ას-1699-2018, 30 აპრილი, 2020.

ტეხლო (55 996,94 აშშ დოლარი) შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც მისი ოდენობა ათჯერ, 5 559,69 აშშ დოლარამდე შეამცირა.

კონკრეტულ დავაში,¹⁹³ საკასაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ 230 დღეში შესასრულებელი სამუშაოსთვის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის 900 დღემდე დაანგარიშება, არაგონივრული და არასამართლიანია.

საყურადღებოა, რომ ერთ-ერთ საქმეში,¹⁹⁴ საკასაციო სასამართლომ შეამცირა რა, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისთვის შეთანხმებული პირგასამტეხლო, განმარტა, რომ განასხვავებენ პირგასამტეხლოს სახეებს – ჯარიმასა და საურავს. საურავი, უმეტესად იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ვალდებულები პირი არ ასრულებს ვალდებულებას დადგენილ დროში. ჯარიმისაგან განსხვავებით, შესრულების ვადის გადაცილებისათვის საურავის სახით დადგენილი პირგასამტეხლოს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა ვალდებულების შესრულებისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის კუმულაციის შესაძლებლობას. საურავი იცავს კრედიტორის იმ ინტერესს, რომელიც მას ვალდებულების დროული შესრულების მიმართ გააჩნია. საურავის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კონკრეტულ ოდენობაში ან პროცენტებში დადგენილი საურავი ერიცხება მოვალეს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და ამით აიძულებს შეასრულოს ვალდებულება. ჯარიმისაგან განსხვავებით, საურავის დროს ვალდებულების შესრულების უზრუნველმყოფი ფუნქცია უფრო ნათლად ჩანს, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი განაგრძობს დარიცხვას ვალდებულების დარღვევის შემდეგაც. საურავი ირიბი იძულებითი ხასიათის ღონისძიებაა: ვალდებულმა პირმა იცის, რაც უფრო მეტი დრო გავა და რაც უფრო გვიან შეასრულებს ვალდებულებას, მით მძიმე იქნება მისი ფინანსური ტვირთი.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტისთვის ცალკე, პროცენტში გამოხატული თანხა იყო განსაზღვრული ჯარიმის სახით. კასატორის მტკიცებით, აღნიშნული თანხა, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში უპირობოდ უნდა დაჰკისრებოდა მხარეს.

საკასაციო სასამართლომ ქართულ კანონმდებლობაში დამკვიდრე-

¹⁹³ სუსგ №ას-1151-2020, 10 დეკემბერი, 2020.

¹⁹⁴ სუსგ № ას-91-2020, 10 ივნისი, 2020.

ბული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება – პირგასამტეხლო-სა და ე.წ. „საჯარიმო თანხის“ (შენიშვნა: აღნიშნული ინსტიტუტი ქართული კანონმდებლობით პირდაპირ ვათვალისწინებული არაა და ის ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ფარგლებში, მხარეთა შეთანხმების საგანს წარმოადგენს) ერთმანეთისგან გამიჯვნის მიზნით განმარტა, რომ პირგასამტეხლო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული ფულადი სანქციაა, რომელსაც მოვალე იხდის. აღნიშნულისგან განსხვავდება სამართლებრივ დოქტრინაში დამკვიდრებული და გერმანულ კანონმდებლობაში ვათვალისწინებული ე. წ. „საჯარიმო თანხა“, რომელსაც მხარეთა შეთანხმებით მოვალე, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისას, **ალტერნატიული შესრულების** სახით იხდის. მხარეთა შორის, დასახელებული შეთანხმება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპით ვათვალისწინებულ ისეთ შეთანხმებას წარმოადგენს, რომელშიც სასამართლო მისი ოდენობის შეუსაბამობის მოტივით (იხ.: სსკ-ის 420-ე მუხლი) ვერ ჩაერევა, მხარის შესაგებლის არსებობის შემთხვევაშიც კი.

421-ე-423-ე მუხლები

კონკრეტულ საქმეში¹⁹⁵ სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული ხელშეკრულების თანახმად, აუქციონში მონაწილე პირის მიერ გადახდილი თანხა წარმოადგენდა სსკ-ის 421-ე მუხლით ვათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებას, რომლითაც წინარე ხელშეკრულების დადება დადასტურდა, ხოლო ბეს მიმღების მხრიდან ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულების დარღვევის გამო, არსებობდა მისთვის ბეს ორმაგად დაკისრების წინაპირობა.

საკასაციო პალატამ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოების დასკვნები ბეს სამართლებრივი ბუნების თაობაზე და ჩათვალა, რომ აუქციონში მონაწილე პირის მხრიდან ვებ-გვერდზე ავტორიზაციით/რეგისტრაციით, ბეს გადახდით, აუქციონში მონაწილეობითა და ცხრა ლოტზე უმაღლესი ფასის შეთავაზებით მხარეთა შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც გამყიდველის ბრალით დაირღვა, ეს გარემოება კი, გამყიდველისთვის, როგორც ბეს მიმღებისთვის

¹⁹⁵ სუსგ №ას-376-360-2016, 17 თებერვალი, 2017.

წარმოშობს მისი ორმაგად დაბრუნების ვალდებულებას, თანახმად, სსკ-ის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილისა.

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბეს ხელშეკრულებით დადასტურებისათვის, სსკ-ის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან და 328-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ბეს ხელშეკრულება აუცილებლად წერილობით უნდა დაიდოს და ხელმოწერილი იყოს ხელშემკვერელი მხარეების მიერ, თუმცა იგი ასევე, უნდა შეიცავდეს მითითებას ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებზე.

ერთ-ერთი საქმის ფაბულის მიხედვით,¹⁹⁶ მოსარჩელეს მოპასუხისაგან უნდა შეეძინა უძრავი ქონება (*სსკ-ის 477-ე მუხლი*), მხარეთა შორის რაიმე გარიგება არ დადებულა, მან მოპასუხეს გადასცა 5 000 აშშ დოლარი, რაც მოპასუხემ დაადასტურა ხელწერილით, მოგვიანებით ნასყიდობის ხელშეკრულება აღარ გაფორმდა და მოსარჩელემ მოითხოვა გადაცემული თანხის დაბრუნება.

სარჩელი დაკმაყოფილდა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმაზე (სსკ-ის 976) დაყრდნობით.

სასამართლომ მიუთითა, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბეს ხელშეკრულებით დადასტურებისათვის, სსკ-ის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან და 328-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ბეს ხელშეკრულება აუცილებლად წერილობით უნდა დაიდოს და ხელმოწერილი იყოს ხელშემკვერელი მხარეების მიერ, თუმცა, იგი ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ თანხის მიღების ხელწერილი არ შეიცავს მხარეთა შეთანხმებას არსებით პირობებზე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე არ არის სსკ-ის 421-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულება, არამედ იგი ადასტურებს მხოლოდ მოპასუხის მხრიდან თანხის მიღების ფაქტს, შესაბამისად, ამგვარი ხელწერილი არ შეესაბამება კანონით დადგენილ წესებს და სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, არამედ უფრო მეტად საავანსო ანგარიშსწორებას წააგავს.

სხვა საქმეში,¹⁹⁷ სარჩელი ბეს ორმაგად დაბრუნების მოთხოვნით დაკ-

¹⁹⁶ სუსგ №ას-140-2019, 14 ნოემბერი, 2019.

¹⁹⁷ სუსგ №ას-1476-2019, 7 თებერვალი, 2020.

მაყოფილდა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ბე მიეკუთვნება ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებს და წარმოადგენს ქონებრივი ხასიათის მქონე მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებითსამართლებრივ საშუალებას. არ არსებობს ბე ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების გარეშე. იგი აქცესორული ხასიათისაა.

ბეს საგანს წარმოადგენს მხოლოდ ფულადი თანხა.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ვინაიდან ბე უმთავრესად წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის ნაწილს (როდესაც ბე იანგარიშება ხელშეკრულების ფასში), ბეს მოცულობა ნაკლები უნდა იყოს ხელშეკრულებით გადასახდელი სრული თანხის ოდენობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნებოდა არა ვალდებულების უზრუნველყოფას, არამედ ვალდებულების შესრულებას. ბე ერთგვარი ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალებაა, როგორც ბეს მიმცემზე ასევე, ბეს მიმღებზე, რათა მათ ნაკისრი ვალდებულება შეასრულონ. კერძოდ, ბეს ორმაგი უზრუნველმყოფი ხასიათი გააჩნია.

ქართულ სინამდვილეში ბე ასევე, გადახდის ფუნქციასაც ასრულებს. თუმცა, ბე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების საგანს აღმატებული რაიმე დამატებითი ვალდებულება არ არის. ვალდებულების შესრულების ანგარიშში ბეს ჩათვლა ავტომატურად ხდება ბეს მიმცემის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულებისთანავე და ამისათვის მხარეთა მხრიდან რაიმე მოქმედების განხორციელება არ არის საჭირო.

პირგასამტეხლოსგან და მოვალის გარანტიისაგან განსხვავებით, მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ შეთანხმდნენ ბეს თაობაზე ზეპირი ან წერილობითი ფორმით. იმისათვის, რომ ბე დარჩეს ბეს მიმღებს, აუცილებელია ხელშეკრულების დარღვევა ბეს მიმცემის მიერ. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ იმ შემთხვევაში როცა ბეს მიმღები არ ასრულებს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მან ორმაგად უნდა დააბრუნოს ბეს თანხა. სასამართლო დავის შემთხვევაში, ბეს მიმცემი ვალდებულია დაამტკიცოს ბეს მიმღების მიერ ვალდებულების ბრალეული დარღვევის ფაქტი.

სხვა საქმეში,¹⁹⁸ საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 976-ე მუხლის პირ-

¹⁹⁸ სუსგ №ას-76-2020, 2 ივლისი, 2020.

ველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად დააკმაყოფილა რა, სარჩე-
ლი აღნიშნა, რომ სსკ-ის 421-ე მუხლის შინაარსიდან და ნასყიდობის
ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, რადგან ბე ძირითადი ხელ-
შეკრულების ნაწილია, იგი იმ ფორმის დაცვით უნდა გაფორმდეს,
როგორ ფორმასაც კანონი ითვალისწინებს ძირითადი ხელშეკრულე-
ბისათვის.

საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა,
რომ მხარეთა შორის შედგენილი ბეს გადახდის ხელშეკრულება, სსკ-
ის 183-ე, 323-ე, 311¹-ე და 59-ე მუხლების საფუძველზე ბათილია,
მხარეთა ხელმოწერები არ არის დადასტურებული კანონით დადგე-
ნილი წესით: მხარეთა ნება არც მარეგისტრირებელ ორგანოში არ არის
გამოხატული უფლებამოსილი პირის თანდასწრებით და არც სანო-
ტარო წესით არის დადასტურებული.

სხვა დავაში,¹⁹⁹ საკასაციო პალატამ მართებულად მიიჩნია გადახდი-
ლი თანხის (2 000 000 ლარი) უკან დაბრუნების მოთხოვნა. სასამარ-
თლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად მხარეთა მიერ ხელშეკრულების
დასათაურებისა („ბეს გადახდის ხელშეკრულება“), სსკ-ის 421-ე-423-
ე მუხლების მიზნებიდან გამომდინარე, იგი ვერ განიხილება მოთ-
ხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად, რამეთუ „ბეს“
სახით გადახდილი თანხა შეადგენს მთლიანი გადასახდელი თანხის
40%-ს, რაც გონივრული სტანდარტიდან გამომდინარე, ვერ მოექ-
ცევა „ბეს“ სამართლებრივ რეგულირებაში. მართალია, კოდექსით არ
არის განსაზღვრული ბეს ოდენობა და იგი შესაძლოა დაექვემდებარ-
ოს გარიგების მონაწილეთა შეთანხმებას სსკ-ის 319-ე მუხლიდან
გამომდინარე, თუმცა, ხელშეკრულების მხარეებს ევალებათ ბეს
ოდენობის განსაზღვრა სახელშეკრულებო კეთილსინდისიერების
პრინციპის დაცვით. იმ პირობებში, როდესაც ნასყიდობის საგანი არის
20 ავტომანქანა, რომელთა მთლიანი ღირებულება შეადგენს 5 000
000 ლარს, ხოლო მოპასუხეს შეთანხმებიდან გამომდინარე, გადახ-
დილი აქვს 2 000 000 ლარი, მოსარჩელეს ვალდებულება შესრულე-
ბული აქვს ნაწილობრივ, რაც გამორიცხავს გადახდილი სადავო თან-
ხის ბედ მიჩნევას, მიუხედავად გარიგებაზე მინიჭებული სახელწო-
დებისა.

¹⁹⁹ სუსგ №ას-287-2020, 16 სექტემბერი, 2020.

427-ე მუხლი

საკასაციო პალატა აღნიშნავს,²⁰⁰ რომ ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს ვალდებულების შეწყვეტა. შეწყვეტის შემდეგ ვალდებულება აღარ არსებობს. მის მონაწილეებს ერთმანეთთან აღარ აკავშირებთ უფლებები და მოვალეობები. ვალდებულების შეწყვეტას ინვესს განსაზღვრული გარემოებები, რომლებსაც ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლებს უწოდებენ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია ვალდებულების შეწყვეტის სხვადასხვა საფუძვლები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მიზანი არის ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების მიღება მხარეების მიერ, ე.ი. შესრულებით მიიღწევა ის მიზანი, რასაც ვალდებულების მონაწილეები ისახავდნენ. ამის შემდეგ უკვე აღარ არსებობს ამ ურთიერთობის გაგრძელებისათვის სამართლებრივი საფუძველი. ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს. სსკ-ის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება).

სსკ-ის 427-ე მუხლის მიზნებისათვის ვალდებულების შეწყვეტაში იგულისხმება, რომ ვალდებულებითი ურთიერთობა ვინრო ან/და ფართო გაგებით დასრულებულია, შეწყვეტილია და აღარ არსებობს.

საკასაციო პალატის განმარტებით, იმისათვის, რომ სსკ-ის 427-ე მუხლის საფუძველზე, ვალდებულება კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით შეწყდეს, სახეზე უნდა იყოს შესრულების მიზნით განხორციელებული ქმედება, რომელიც განხორციელებულია: ა) ჯეროვნად, ბ) კეთილსინდისიერად, გ) დათქმულ დროსა და ადგილას, დ) უფლებამოსილი პირის მიმართ. ჩამოთვლილი წინაპირობები კუმულატიურად უნდა იყოს დაკმაყოფილებული. ასეთი შესრულება ვალდებულების შეწყვეტას ნიშნავს და ასეთ შემთხვევაში, კრედიტორს არა აქვს უფლება, ხელმეორედ მოითხოვოს შესრულება *(სუსგ №ას-736-704-2016, 25 ნოემბერი, 2016)*.

კონკრეტულ დავაში, საკასაციო სასამართლომ განმარტა,²⁰¹ რომ სსკ-

²⁰⁰ სუსგ №ას-20-2021, 22 აპრილი, 2021, ვალდებულების შეწყვეტილად ცნობის თაობაზე ასევე, იხ.: სუსგ-ები: №ას-28-28-2018, 18 მაისი, 2018, №ას-1240-2018, 19 დეკემბერი, 2018, №ას-1244-2019, 31 მაისი, №ას-928-2018, 28 თებერვალი, 2019, №ას-1928-2018, 31 ოქტომბერი, 2019.

²⁰¹ სუსგ №ას-1669-2018, 15 თებერვალი, 2019.

ის 427-ე-454-ე მუხლებში გადმოცემულია ვალდებულების შეწყვეტის სახეები, რომელთაგან ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების ინსტიტუტი. სსკ-ის 427-ე მუხლის მიზნებისათვის (*შესრულების გზით ვალდებულების შეწყვეტა*) არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მოვალე რა ფორმით ასრულებს ვალდებულებას, არამედ არსებითია შესრულების მიღება უფლებამოსილი პირის მიერ. სსკ-ის 286-ე მუხლი ნარმოადგენს რა, მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო საშუალებას, იგი მიმართულია კრედიტორის ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის/საკუთრებაში გადაცემის გზით ხორციელდება ვალდებულების შეწყვეტა (*სკ-ის 427-ე მუხლი*). მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ კრედიტორმა – სახელმწიფომ საკუთრებაში მიიღო იპოთეკის საგანი, რომელიც მხარეთა შეთანხმებით სრულად უზრუნველყოფდა სესხიდან გამომდინარე ძირითად და შესაძლო მეორად მოთხოვნებს, შესაბამისად, შეწყვეტილი ვალდებულების კვლავ შესრულების მოთხოვნის თაობაზე სარჩელი გაუმართლებელია.

429-ე მუხლი

კონკრეტულ დავაში,²⁰² საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების თვალსაზრისით, კანონმდებელი მტკიცების ტვირთს აკისრებს მოვალეს და ამავდროულად, მტკიცების თვალსაზრისით, უქმნის მყარ გარანტიას, შესრულების ფაქტი დაადასტუროს განკუთვადი მტკიცებულებით. სსკ-ის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით, შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს დამადასტურებელი დოკუმენტი. ნორმის დებულებით განმტკიცებულია სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის მახასიათებელი ერთ-ერთი იმგვარი დებულება, როდესაც უშუალოდ შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ადასტურებს შესრულების სრულად ან ნაწილობრივ მიღებას და ამგვარი დადასტურების მოთხოვნის უფლება გააჩნია მოვალეს, ამასთან, ისეთ ვითარებაში, როდესაც ამა თუ იმ არასაკაპიტო მიზეზით არ გაიცემა შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, კანონი მყარ გარანტიას იძლევა მოვალის უფლებათა დასაცავად (*სკ-ის 434-ე მუხლი*). ასეთ ვითარებაში კი, საა-

²⁰² სუსგ №ას-238-226-2016, 3 ივნისი, 2016.

პელაციო პალატამ სავსებით მართებულად შეაფასა ის გარემოება, რომ ფარული ჩანანერი თვითდახმარების ფარგლებში შედგენილი მტკიცებულება არ იყო და არ არსებობდა მისი დასაშვებად ცნობის წინაპირობები (*მსგავს საკითხზე იხ. სასამართლო პრაქტიკა სუსგ №ას-1337-1375-2014, 17 ივლისი, 2015*).

სსკ-ის 429.1. მუხლი იცავს მოვალის ინტერესს, ხოლო შესაბამისი დოკუმენტის გამართულად შედგენის რისკს მთლიანად კრედიტორის მხარეზე ტოვებს.

სსკ-ის 388-ე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგება დისპოზიციურია, რაც ნიშნავს, რომ მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია, ძირითადი და დამატებითი ვალდებულებების შესრულების რიგითობისათვის კანონით გათვალისწინებული მოწესრიგებისგან განსხვავებული წესის დადგენა.

ერთ-ერთ საქმეში,²⁰³ დავის საგანს წარმოადგენს სააღსრულებო ფურცლით განსაზღვრული აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობაში ცვლილების შეტანა. მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს მოვალე, რომელსაც სურს, დაამტკიცოს ნაწილობრივ შესრულების გზით ვალდებულების შეწყვეტის ფაქტი (*სსკ-ის 427-ე მუხლი*). საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თანხის მოვალისათვის დაკისრების მოთხოვნის მარეგულირებელ ნორმას წარმოადგენს სსკ-ის 623-ე მუხლი, რომლის ფარგლებშიც მოვალეს წარმოეშობა ხელშეკრულების საგნის დაბრუნების ვალდებულება. სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების ასევე, სსკ-ის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი ყოველთვის ეკისრება მოვალეს. დასახელებული ნორმა მოვალის უფლებადაცავს დანაწესს წარმოადგენს და სწორედ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა ევალება პირს, რომელსაც ვალდებულების შესრულებაში ედავებიან.²⁰⁴

საქმეში წარდგენილი ხელწერილებით, რომლებიც სახელშეკრულებო ვადის ამონურვის შემდგომ, კრედიტორის სასარგებლოდ განხორ-

²⁰³ სუსგ №ას-6-6-2018, 23 თებერვალი, 2018, სსკ-ის 429-ე მუხლთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა იხ. სუსგ-ები: №ას-1432-1352-2017, 16 მარტი, 2018, №ას- 860-860-2018, 16 ნოემბერი, 2018, №ას-1067-1026-2016, 12 მარტი, 2019, №ას-1701-2018, 12 თებერვალი, 2019, №ას-20-2021, 22 აპრილი, 2021.

²⁰⁴ სუსგ №ას-852-802-2015, 29 იანვარი 2016.

ციელებულ შესრულებაზე მიუთითებენ, არაფერია აღნიშნული თანხის დანიშნულებაზე, თუმცა, ეს გარემოება, სსკ-ის 429-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პრეზუმფციის დაშვების საფუძველი ვერ გახდება (აღნიშნული ნორმა იცავს მოვალის ინტერესს, ხოლო შესაბამისი დოკუმენტის გამართულად შედგენის რისკს მთლიანად კრედიტორის მხარეზე ტოვებს. შესაბამისად, კრედიტორმა მსგავსი დოკუმენტის შედგენისას, წინდახედულობის ზომებს უნდა მიმართოს და ზუსტად ასახოს ის ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც მან მიიღო), რადგანაც სარჩელში მოვალე თავად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ კრედიტორის სასარგებლოდ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ განხორციელებული შესრულება წარმოადგენდა ძირის დაფარვას, ამ შემთხვევაში საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა რა, სსკ-ის 388-ე განმარტა, რომ ნორმით გათვალისწინებული მონესრიგება დისპოზიციურია, რაც ნიშნავს, რომ მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია, ძირითადი და დამატებითი ვალდებულებების შესრულების რიგითობისათვის კანონით გათვალისწინებული მონესრიგებისგან განსხვავებული წესის დადგენა. მხარეთა უფლება, შეთანხმდნენ ვალდებულებათა შესრულების რიგითობაზე, ვრცელდება მხოლოდ საალსრულებო წარმოების დაწყებამდე, თუმცა, სადავობისას ამგვარი შეთანხმების არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ფაქტის მიმთითებელ მხარეს (*სსსკ-ის 102-ე მუხლი*).

ერთ საქმეში,²⁰⁵ საკასაციო პალატამ განმარტა სსკ-ის 429 ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციური შინაარსი, რომლის მიხედვით, „კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი“ და აღნიშნა, რომ მითითებული დანაწესის ნორმატიული ძალით, მხარეს, რომელიც კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში წარმოადგენს მოვალეს, შესაძლებლობა ეძლევა კრედიტორის მიმართ შესრულებული ფულადი ვალდებულების დასადასტურებლად მოსთხოვოს კრედიტორს შესრულებული ვალდებულების შესახებ წერილობითი დოკუმენტის – დასტურის გაცემა. აღნიშნული დოკუმენტის გაცემის მოთხოვნა – მოვალის უფლება, ხოლო მისი გაცემა კრედიტორის უშუალო ვალდებულებაა. მითითებული კუთხით, კანონმდებელი ეხმარება მოვალეს, შექმნას და მიიღოს მის მიერ შესრულებული ფულადი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება. სსკ-ის 429-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულების წარდგენისას, მოვალის პოზიციის

²⁰⁵ სუსგ №ას-425-408-2016, 06 ივლისი, 2016.

დასაბუთებულობის ხარისხი ძალიან მაღალია. მეორე მხრივ, დასახელებული ნორმა ზღუდავს მოვალეს და ავალებს, სადავო შესრულება დაადასტუროს სწორედ მითითებული სახის მტკიცებულებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი უფლების განუხორციელებლობა მხარისათვის არახელსაყრელი სამართლებრივი შედეგის დადგომას უკავშირდება.

სხვა საქმეში²⁰⁶ საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, სსკ-ის 429-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონში კრედიტორის მიმართ არსებობს მეტად ცალსახა დამოკიდებულება – იგი ვალდებულია, მოვალის მოთხოვნის შემთხვევაში გაცეს ასეთი დოკუმენტი, თუმცა კანონი ასეთივე მოთხოვნი არ არის მოვალის მიმართ. მას შეუძლია, არ გამოითხოვოს ასეთი საბუთი კრედიტორისაგან. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით. ნორმაში მითითებული დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან მან მხოლოდ ამ დოკუმენტით შეიძლება დაადასტუროს ვალდებულების შესრულება, რასაც ვერ ვიტყვით კრედიტორზე. მას არანაირი საჭიროება არა აქვს, ფლობდეს ამ დოკუმენტს არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი თვალსაზრისით. კანონი მოვალეს აღჭურავს მთელი რიგი უფლებებით, რათა შეძლოს ვალდებულების შესრულების და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების ფაქტის დადასტურება. ამ უფლების გამოუყენებლობა კი, წარმოადგენს მის რისკს და შეუძლებელს ხდის ზემოთ მითითებული გარემოების დადასტურებას. ამდენად, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ფულადი ვალდებულების დამადასტურებელი გარემოების მტკიცების ტვირთი მოვალეს ეკისრება.

მოცემულ შემთხვევაში, აპელანტმა სასამართლოს ვერ წარუდგინა სადავო თანხის გადახდის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, ეს გარემოება კი ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

მარტოოდენ მოწმეთა ჩვენებებით დაუშვებელია სესხის დაბრუნების ანუ ვალდებულების შესრულების ფაქტობრივი გარემოების დადგენა.

სესხის გადახდის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებას არ წარმოადგენს საქმეში არსებული

²⁰⁶ სუსგ №ას-343-343-2018, 27 აპრილი, 2018.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ფაქტების კონსტატაციის შესახებ ოქმი.

სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ერთ საქმეში,²⁰⁷ საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი ცხადყოფს, რომ კრედიტორი ყოველთვის ვალდებულია, მისცეს მოვალეს მის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამას მოვალე მოითხოვს, თუმცა კანონმდებელი ასეთივე მომთხოვნი არ არის მოვალის მიმართ. მას შეუძლია არ მოითხოვოს ხსენებული საბუთი კრედიტორისაგან. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით. დოკუმენტის (ვალის გადახდის თაობაზე საბუთის) ფლობა აუცილებელია მოვალისათვის, რადგან მას მხოლოდ ასეთი დოკუმენტით შეუძლია იმის დადასტურება, რომ ვალი გადაიხადა, რასაც ვერ ვიტყვით კრედიტორზე. ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე კრედიტორისაგან არ ითხოვს საბუთს ვალდებულების შესრულების შესახებ, უნდა ითქვას, რომ ამით ის იჩენს გარკვეულ წინდაუხედაობას ან ზედმეტ ნდობას კრედიტორის მიმართ. საბოლოოდ, ეს ფაქტორი მთლიანად უკავშირდება მის რისკს და განაპირობებს მისი მხრიდან ვალდებულების არსებობა-არარსებობის ფაქტს. კანონმდებელი იმავე შინაარსს აყალიბებს სსკ-ის 431-ე მუხლშიც, რომლის თანახმად, მოვალეს შესრულების მიღების შესახებ დოკუმენტთან ერთად, შეუძლია კრედიტორისაგან მოითხოვოს სავალო საბუთის დაბრუნება ან გაუქმება, შეუძლებლობის შემთხვევაში კი, ვალდებულების შეწყვეტის შესახებ ნოტარიულად დამონმებული ცნობა **(სუსგ 11.11.2015, №ას-570-541-2015)**.

სასამართლომ დაასკვნა, რომ კანონის თანახმად, შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა დამოკიდებულია მოვალის სურვილზე. არსებობს სხვადასხვა ფაქტორი, რამაც შესაძლოა განაპირობოს მოვალის მიერ ამ საბუთის მიუღებლობა, მაგალითად, მისი წინდაუხედაობა, პარტნიორის მიმართ გადამეტებული ნდობის არსებობა და ა. შ. საბოლოოდ, ეს ფაქტორები უკავშირდება მხარის რისკს და მთლიანად განაპირობებს მისი პასუხისმგებლობის არსებობა-არარსებობის ფაქტს.

მოცემულ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით მო-

²⁰⁷ სუსგ №ას-241-241-2018, 25 სექტემბერი, 2018.

სარჩელებს ეკისრებათ. მათ კი, სასესხო დავალიანების გადახდის დამადასტურებელი სათანადო და დასაშვები მტკიცებულებები სასამართლოსთვის არ წარუდგენიათ. საკასაციო პალატამ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნა, რომ სესხის გადახდის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებას არ წარმოადგენს საქმეში არსებული აღსრულების ეროვნული ბიუროს ფაქტების კონსტატაციის შესახებ ოქმი, რადგან ის არ შეიცავს რაიმე ინფორმაციას მოპასუხეებისათვის კონკრეტული თანხების გადახდის თაობაზე. რაც შეეხება მონშეთა ჩვენებებს, საკასაციო პალატის განმარტებით, მარტოოდენ მონშეთა ჩვენებებით დაუშვებელია სესხის დაბრუნების ანუ ვალდებულების შესრულების ფაქტობრივი გარემოების დადგენა.

ერთ საქმეში,²⁰⁸ საკასაციო პალატამ სწორად მიიჩნია სარჩელის უარყოფა და არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მის მიერ კრედიტორის სასარგებლოდ თანხის გადახდის დამადასტურებელი ხელწერილი ქმნის სესხის სარგებელის გადახდის პრეზუმფციას.

სსკ-ის 429-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, როდესაც ვალის გადახდა ხდება პერიოდულად, ნაწილ-ნაწილ, მაშინ დოკუმენტი მისი ბოლო ნაწილის გადახდის შესახებ, ვიდრე სხვა რამ არ დადასტურებულა, იძლევა იმის ვარაუდს, რომ გადახდილია წინა ნაწილიც.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხსენებული სამართლებრივი ნორმა ვრცელდება პერიოდულად შესასრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე. შესაბამისად, პალატამ აღნიშნა, რომ ვინაიდან მოსარჩელეს სესხის სარგებლის ნაწილ-ნაწილ გადახდის ვალდებულება მხოლოდ 2015 წლის 19 სექტემბრამდე გააჩნდა, მისი მხრიდან, ხელშეკრულების ვადის გასვლიდან რამდენიმე თვეში სარგებლის გადახდის შესახებ დოკუმენტის შედგენა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმის დასტურად, რომ სესხზე სარგებლის გადახდას მოვალე ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც ყოველთვიურად აგრძელებდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქმეში აღნიშნულის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულებები არ მოიპოვება.

²⁰⁸ სუსგ №ას-657-2019, 4 ივლისი, 2019, ვალდებულების შეწყვეტილად ცნობის თაობაზე იხ. №ას-1240-2018, 19 დეკემბერი, 2018, №ას-1244-2019, 31 მაისი, 2019.

434-ე მუხლი

ერთ-ერთ დავაში,²⁰⁹ საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ნოტარიუსმა დეკონირებული ფულის მოვალისათვის დაბრუნების პროცესში თავისი სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას, კანონით გათვალისწინებული მოვალეობები ბრალეულად დაარღვია.

საკასაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მიუხედავად მოვალის თანხმობისა დეკონირებული თანხები დაბრუნებოდა ნოტარიუსის მიერ დაანგარიშებული საზღაურისა და ხარჯების გამოქვითვით, აღნიშნული მოქმედების განხორციელება თავად ნოტარიუსის მიერ გაჭიანურდა და მოსარჩელის ბრალს ზიანის დადგომაში, სსკ-ის 415-ე მუხლის შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 434-ე, 435-ე, 438-ე და 441-ე მუხლებზე, ასევე „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 97-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ დეპოზიტზე ფულის განთავსებიდან სამი წლის განმავლობაში კრედიტორის მიერ მისი არმიღების შემთხვევაში, ნოტარიუსს წარმოემოხა აღნიშნულის შესახებ მოვალისათვის შეტყობინების ვალდებულება.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 441-ე მუხლის შესაბამისად, ნოტარიუსმა არა მხოლოდ უნდა აცნობოს მოვალეს 3-წლიანი ვადის გასვლის შესახებ, არამედ უნდა მოსთხოვოს ჩაბარებული საგნის უკან დაბრუნება და განუსაზღვროს შესაბამისი ვადა. ამავდროულად, ამ ვადის დაუცველობის შემთხვევაში, ქონებაზე სახელმწიფო საკუთრება წარმოიშობა. შესაბამისად, ყველა მხარეს (ნოტარიუსს, მოვალეს, სახელმწიფოს) გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი, რომ ასეთი შეტყობინება სწორედ ისეთი ფორმით განხორციელდეს, რომელიც მხარეებს საკუთარი უფლება-მოვალეობებისა და მათი განხორციელების ვადების ზუსტად და ნათლად განსაზღვრის შესაძლებლობას მისცემს. აღნიშნული კი, შეუძლებელია ზეპირი შეტყობინებით.

საკასაციო პალატის განმარტებით, იმ ვითარებაში, როდესაც დგინდებოდა მოპასუხის მხრიდან სსკ-ის 394-ე მუხლის წინაპირობების დარღვევა და ეს დარღვევა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხის დაუბრუნებლობას შეეხებოდა, არსებობდა

²⁰⁹ სუსგ №ას-468-468-2018 12 მარტი, 2020.

მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების წინაპირობები, მით უმეტეს, როცა ნათელი იყო, რომ თანხის დაბრუნების ვალდებულების შეუსრულებლობისას, მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ალბათობა მოპასუხისათვის წინასწარ სავარაუდო იყო.

442-ე მუხლი

კონკრეტულ დავაში, საკასაციო სასამართლომ განმარტა,²¹⁰ რომ სსკ-ის 442-ე მუხლის საფუძველზე ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რა დროსაც სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის სავალდებულოა ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა, ხოლო მეორე პირის მიერ მისი მიღება... მისი ქმედითობა დამოკიდებულია მეორე პირის მიერ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ნების მიღებასა და გასაქვითი ვალდებულების არასადავოებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ გარიგების დადება შესაძლებელია მაშინ, როდესაც მხარეების მიერ აღიარებულია და სადავოდ არ არის გამხდარი ვალდებულება და მისი მოცულობა. მხარეს ამ უფლების განსახორციელებლად არ სჭირდება სასამართლოსათვის დამოუკიდებელი სარჩელით მიმართვა. იმისათვის, რომ განხორციელდეს გაქვითვა, აუცილებელია სახეზე იყოს გარიგების ნამდვილობის ყველა წინაპირობა: უფლებამოსილი პირის მიერ გაქვითვაზე გამოვლენილი ნება, რომელიც ადრესატს მიუვიდა, გასაქვითი მოთხოვნების ერთგვაროვნება, ურთიერთმოთხოვნათა შესრულების ვადის დადგომა და სსკ-ის 447-ე მუხლით გათვალისწინებული გაქვითვის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობა.

სხვა საქმეში,²¹¹ სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს მოპასუხეთა მიმართ რაიმე ვადამოსული მოთხოვნის უფლება არ გააჩნდა, ვინაიდან, სსკ-ის 442-ე მუხლი ხელშეკრულების მხარეს უფლებას ანიჭებს ხელშეკრულების მეორე მხარეს გაუქვითოს წარმოშობილი, განხორციელებადი, არასადავო და ვადამოსული მოთხოვნა.

²¹⁰ სუსგ №ას-1632-2019, 12 თებერვალი, 2021, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ, იხ. ასევე, №ას-708-678-2016, 27 იანვარი, 2017, №ას-464-2021, 14 ივლისი, 2021.

²¹¹ სუსგ №ას-1484-1404-2017, 01 მაისი, 2019.

448-ე მუხლი

ერთ-ერთ საქმეში,²¹² საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობაში ამომწურავადაა ჩამოთვლილი ვალდებულებების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, ესენია: ვალდებულების შეწყვეტა ვალის შესრულებით, დეპონირებით, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით, ვალის პატივით, ცალკეულ შემთხვევებში კრედიტორის გარდაცვალებით და იურიდიული პირის ლიკვიდაციისას. საკასაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა რა, სააპელაციო სასამართლოს განჩინება სარჩელის უარყოფის თაობაზე, განმარტა, რომ ნეგატიური ვალის აღიარება არის შემთხვევა, როდესაც კრედიტორის მოთხოვნის უფლება ისპობა, რადგან იგი მოვალის წინაშე აღიარებს, რომ მისი მოთხოვნა არ არსებობს ანუ კრედიტორი უარს ამბობს მოთხოვნის არსებობაზე. ნეგატიური ვალის აღიარების დროს სახეზე გვაქვს კრედიტორის მხრიდან აღიარება იმისა, რომ მოთხოვნა არ არსებობს, რაც წყვეტს მასსა და მოვალეს შორის არსებულ ვალდებულებების სამართლებრივ ურთიერთობას და ახალ ვალდებულებების სამართლებრივ ურთიერთობას აღარ წარმოშობს. ნეგატიური ვალის არსებობის აღიარება სამართლებრივი შედეგების მხრივ, ვალის პატივას უთანაბრდება და შესაბამისად, სსკ-ის 448-ე მუხლის რეგულირების რეჟიმში ექცევა და ინვეს ვალდებულების შეწყვეტას. „ვალის პატივა წარმოადგენს კრედიტორის შეპირებას მოვალის წინაშე, რომ მოთხოვნის უფლება არ განახორციელოს (პაცტუმ დე ნონ პეტენდო). მოვალე არ თავისუფლდება, რამდენადაც ის იძენს მხოლოდ შესაძლებლობას, მოთხოვნის უფლების განხორციელებას შეეპასუხოს. ვალი რჩება შესრულებადი, ხოლო მოთხოვნა აღარ არის მიღწევადი.“

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მიღება-ჩაბარების აქტში შემსყიდველის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ მოპასუხესთან არანაირი პრეტენზია არ გააჩნია, წარმოადგენს ვალის არარსებობის აღიარებას, რაც ვალდებულების შეწყვეტის საფუძველია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

კონკრეტულ დავაში,²¹³ საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა საა-

²¹² სუსგ №ას-1054-2019, 30 სექტემბერი, 2019.

²¹³ №ას-1542-2018, 31 ოქტომბერი, 2019.

პელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა მართებულად არ დაკმაყოფილდა, სახელდობრ:

იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 992-ე, 998-ე, 408.1 და 409-ე მუხლები.

პალატის მოსაზრებით, მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმება ცხადყოფს, რომ პირველმა მოპასუხემ დანაშაულის შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, 36 500 ლარის ანაზღაურება იკისრა. თავის მხრივ, საგულისხმოა, რომ საპროცესო შეთანხმება იმ ორი სუბიექტის ნებათა თანხვედრის სამართლებრივი პროდუქტია, რომლებიც მასში ფიგურირებენ, ასეთს კი პროკურორი (სახელმწიფოს სახით) და განსასჯელი წარმოადგენენ. ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ქონება, რომელიც პირველმა მოპასუხემ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად მიისაკუთრა – 73250 ლარად შეფასდა, თუმცა საპროცესო შეთანხმების დოკუმენტით პროკურორი, რომელიც საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს სახელმწიფოს სახელით მოქმედებს, განსასჯელს შეუთანხმდა, დანაშაულით მიყენებული ზიანი ანაზღაურებინა არა სრულად, არამედ 36 500 ლარის ფარგლებში. **საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საპროცესო შეთანხმების ამგვარად ფორმულირება სსკ-ის 448-ე მუხლის (ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებით იწვევს ვალდებულების შეწყვეტას) რეგულირების სფეროშია მოქცეული და ვალის პატიებად განიხილება.** მართალია, სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დელიქტური ვალდებულებიდანაა აღმოცენებული, რომელიც სამოქალაქო კანონმდებლობის ფარგლებში სპეციალურ მონესრიგებას ექვემდებარება, მაგრამ პალატამ მიიჩნია, რომ ვალის პატიების სამართლებრივი ბუნება დელიქტური ვალდებულებების არსს არ ეწინააღმდეგება. მოცემულ შემთხვევაში, დასახელებული საპროცესო შეთანხმება აერთიანებს როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, ასევე, დელიქტური ვალდებულებისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ელემენტებს. ამ უკანასკნელს კი, სწორედ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ანგარიშში – 36 500 ლარის გადახდის ვალდებულებაზე შესაბამისი დათქმა განეკუთვნება. პალატის განსჯით, საპროცესო შეთანხმების შესაბამისი ნაწილი მოიცავს ვალის პატიების ნამდვილობისთვის აუცილებელ ყველა პი-

რობას, სახელდობრ: ა) მკაფიოდ იდენტიფიცირებადია ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა; ბ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მქონე პირის (სახელმწიფოს) ნება/გადაწყვეტილება ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობის შემცირებაზე და გ) მოვალის აქცეპტი საპროცესო შეთანხმებაზე, რომლის შედეგია სახელმწიფო ბიუჯეტში მის მიერ 36500 ლარის გადახდა, მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

საკასაციო პალატა მოპასუხისათვის ვალის პატიების თანმხვედრად აფასებს მეორე მოპასუხის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლიანობასაც, რა მიზნითაც, სსკ-ის 449-ე მუხლს მოიხმობს. ამ ნორმატიული დანაწესის თანახმად, ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის, ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. პალატის განსჯით, მართალია, სსკ-ის 998-ე მუხლი ადგენს დელიქტური ზიანის გამომწვევ თანამონაწილეთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, მეორე მოპასუხეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ უნდა დაეკისროს, ვინაიდან პირველი მოპასუხისათვის ვალის პატიებით ვალდებულება მის მიმართაც შეწყდა. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი უშუალოდ არ მიუთითებს ვალის პატიების ხელშეკრულებაში ან გარემოებებიდან აშკარად არ იკვეთება, რომ კრედიტორმა განიზრახა სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართ დაეტოვებინა მოთხოვნა, მაშინ ივარაუდება, რომ ვალის პატიება ვრცელდება ყველა სოლიდარულ მოვალეზე და, შესაბამისად, ყოველი მათგანის ვალდებულება წყდება. განსახილველ შემთხვევაში, პირველმა მოპასუხემ სრულად აანაზღაურა ვალის პატიების ფარგლებში, სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის შემცირებული ოდენობა. განსახილველ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით, სახელმწიფოს მხრიდან არ დასტურდება იმგვარ ქმედებათა განხორციელება ან/და ნების იმდაგვარი გამოვლენა, რაც შექმნიდა საფუძვლიანი ვარაუდის საფუძველს საიმისოდ, რომ დაზარალებულმა ვალი მხოლოდ პირველ მოპასუხეს აპატია. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც დავაზე მოპასუხეები სოლიდარულ მოვალეებს წარმოადგენდნენ, სოლიდარული პასუხისმგებლობის არსის გათვალისწინებით, რომელიც რეგლამენტირებულია სსკ-ის 467-ე მუხლში, მეორე მოპასუხეც გათავისუფლდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

454-ე მუხლი

იურიდიული პირის სალიკვიდაციო პროცესის დასრულებისას, არ ქარწყლდება ძირითადი მოვალის ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებები.

უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება დამოუკიდებელი ხასიათისაა.

ერთ-ერთი საქმის ფაბულის მიხედვით,²¹⁴ სააპელაციო სასამართლომ ბანკის სარჩელი არ დააკმაყოფილა, იმ საფუძველით, რომ მოვალის გადახდის უუნარობის საქმისწარმოება შეწყდა, სანარმო გაკოტრებულად გამოცხადდა და მისი რეგისტრაცია გაუქმდა სამენარმო რეესტრში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ დავაში ძირითადი მსესხებელი არ არსებობს. ამასთან, არ არსებობს თავდებისათვის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავალიანების დაკისრებასა და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებების რეალიზაციის საფუძველიც.

საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა რა, ბანკის სარჩელი აღნიშნა, რომ სსკ-ის 454-ე მუხლი კონკრეტულად, იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო ვალდებულების შეწყვეტის საგამონაკლისო წესს განსაზღვრავს. **კრედიტის უზრუნველყოფის სამართალში გამოყენებული პირადი (პიროვნული) თუ სავაჭრო უზრუნველყოფის სახეების აქცესორულობა სამართლებრივად სწორედ იმის მაუწყებელი და განმსაზღვრელია, რომ მიუხედავად იურიდიული პირის სალიკვიდაციო პროცესის დასრულებისა, ეს არ აქარწყლებს ძირითადი მოვალის ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებებს.** სსკ-ის 454-ე მუხლის იმგვარი განმარტება, რომ კრედიტორის წინაშე ძირითადი მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, რაც მოვალე სანარმოს ლიკვიდაციის რეგისტრაციის გამო წარმოიშვება, იმთავითვე აუქმებს კრედიტის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ საშუალებებს მათი აქცესორულობის გამო და პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს უზრუნველმყოფ პირებს, მთლიანად გამოაცლის საფუძველს საკრედიტო ურთიერთობებში უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსებობას, დანიშნულებასა და მიზანს.

კრედიტის უზრუნველყოფის შესახებ სამართლებრივი ურთიერ-

²¹⁴ სუსგ №ას-401-2019, 25 ივნისი, 2020.

თობა კრედიტორსა და უზრუნველმყოფ პირებს შორის წარმოიშობა, ასეთ ხელშეკრულებას დამოუკიდებელი ხასიათი აქვს და საკუთარ თავში ატარებს კაუზას, რაც იმას ნიშნავს, რომ უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება დამოუკიდებელი ხასიათისაა; უზრუნველმყოფი პირები საკუთარ ვალდებულებას ასრულებენ და არა სხვის ვალდებულებას (სუსგ № ას-647-647-2018, 21.10.2019).

სხვა საქმეშიც,²¹⁵ საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპანიის რეგისტრაციის გაუქმების მიუხედავად, ძალაში დარჩა მისი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გამოყენებული პიროვნული და სანივთო უზრუნველყოფის საშუალებები. შესაბამისად, თავდები პირები – მოპასუხეები პიროვნულად, მთელი თავისი ქონებით, ხოლო იპოთეკის საგნის მესაკუთრე – პირველი მოპასუხე, ასევე, იპოთეკის საგნით, პასუხს აგებენ ბანკის წინაშე ძირითადი მოვალის – კომპანიის ვალდებულებებისათვის.

463-ე მუხლი

ერთ-ერთ საქმეში²¹⁶ საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არ წარმოშობილა სსკ-ის 464-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული ვალდებულება, ვინაიდან არ დასტურდება აღნიშნული ნორმით დადგენილი ისეთი საფუძვლის არსებობა, როგორცაა კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების საგნის განუყოფლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სოლიდარული ვალდებულების არსებობა (კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე) რამდენიმე წინაპირობას უკავშირდება: **უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე რამდენიმე პირის მონაწილეობა.** ამასთან, იმის მიხედვით, თუ ვალდებულების რომელ მხარეზე მონაწილეობს სოლიდარულად რამდენიმე პირი, თითოეულს ერთი და იგივე მოვალის მიმართ შეიძლება გააჩნდეს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება ან/და თითოეულ მათგანს ერთი და

²¹⁵ სუსგ №ას-132-2019, 30 ივნისი, 2021.

²¹⁶ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019, №ას-163-2020, 23 სექტემბერი, 2020, №ას-433-2020, 19 ნოემბერი, 2020, №ას-588-2020, 6 ნოემბერი, 2020, №ას-467-2020, 25 ივნისი, 2021.

იმავე კრედიტორის მიმართ დაეკისროს ვალდებულების შესრულების ვალდებულება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სწორედ ის ფაქტი, რომ სოლიდარულ ვალდებულებაში მონაწილე რამდენიმე პირთაგან თითოეულს მთლიანი ვალდებულების შესრულება ეკისრება ანდა თითოეული მთლიანი ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზეა უფლებამოსილი, განასხვავებს სოლიდარულ ვალდებულებას წილადი ვალდებულებისაგან. ვალდებულებაში წილობრივად მონაწილე ნებისმიერ პირს ვალდებულების შესრულება მხოლოდ კუთვნილი წილის ფარგლებში შეუძლია მოითხოვოს და შესაბამისად, მას მხოლოდ ამ წილის ოდენობით ეკისრება შესრულების ვალდებულება. შესაბამისად, წილადი ვალდებულებისაგან განსხვავებით, სოლიდარულ ვალდებულებაში კრედიტორი იმ შემთხვევაშიც შეძლებს მოთხოვნის დაკმაყოფილებას, როდესაც მხოლოდ ერთი სოლიდარული მოვალე აღმოჩნდება გადახდისუნარიანი. შედეგად სოლიდარულ მოვალეს კრედიტორის წინაშე ვალდებულების მთლიანად შესრულების შემდეგ, სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართ, სსკ-ის 473-ე მუხლიდან გამომდინარე, რჩება მხოლოდ უკუმოთხოვნა. ეს მოთხოვნა კი, სუსტი ვალდებულებისასამართლებრივი მოთხოვნაა, რადგან მისი განხორციელება დანარჩენ სოლიდარულ მოვალეთა გადახდისუნარიანობაზეა დამოკიდებული.

საკასაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები შესაძლებელია ორ ნაწილად დავყოთ – „გარე“ და „შიდა“ ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებზე და მოვალეობებზე. „გარე“ ურთიერთობა გულისხმობს იმ უფლება მოვალეობებს, რომლებიც ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე მონაწილე რამდენიმე პირს, ვალდებულების მეორე მხარის მიმართ გააჩნია. რაც შეეხება შიდა ურთიერთობას, იგი ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობებს მოიცავს ერთმანეთთან მიმართებაში. როგორც წილადი, ასევე სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში, ვალდებულების არსიდან ნათლად გამომდინარეობს წილობრივად, ანდა სოლიდარულად მონაწილე თითოეული სუბიექტის უფლება-მოვალეობათა ოდენობა „გარე“ ურთიერთობაში. განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე ვალდებულებაში მონაწილე ამ რამდენიმე სუბიექტის „შიდა“ ურთიერთობასთან დაკავშირებით. „გარე“ ურთიერთობაში წილობრივი ან სოლიდარული უფლებამოსილება თუ ვალდებულება იმისგან დამოუკიდებლად არსებობს, თუ როგორ აქვთ მონესრიგე-

ბული „შიდა“ ურთიერთობები ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე მონაწილე რამდენიმე პირს. შესაბამისად, შესაძლებელია ვალდებულებაში სოლიდარულად, ანდა წილობრივად მონაწილე პირებს „შიდა“ ურთიერთობა სრულიად განსხვავებულად ჰქონდეთ დარეგულირებული. „შიდა“ ურთიერთობა მხოლოდ „გარე“ ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ხდება აქტუალური. სწორედ „შიდა“ ურთიერთობებით დადგენილი წილი განსაზღვრავს, საბოლოოდ თუ ვინ რა ოდენობითაა ვალდებულების შესრულებაზე ვალდებული ან მის მიღებაზე უფლებამოსილი.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 463-ე მუხლი რამდენიმე წინაპირობას შეიცავს. **უპირველეს ყოვლისა, საჭიროა არსებობდეს რამდენიმე მოვალე, რომლებიც კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე არიან პასუხისმგებელი (სუსგ №ას-164-158-2011, 01 აგვისტო, 2011).** გარდა ამისა, აუცილებელია, ისინი ერთი და იმავე კრედიტორის წინაშე იყვნენ ვალდებული. კრედიტორს შეუძლია მოთხოვნა წაუყენოს ნებისმიერ სოლიდარულ მოვალეს.

მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ისინი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე იყვნენ პასუხისმგებელი. **აღნიშნული ურთიერთობიდან გამომდინარე, თითოეული სოლიდარული მოვალე კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის მთლიან დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს ვალდებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ კრედიტორს საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერი მოვალისაგან თანაბრად უნდა შეეძლოს ვალდებულების მთლიანი ანდა ნაწილობრივი შესრულების მოთხოვნა.**

სსკ-ის 463-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, კრედიტორს ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხოლოდ ერთხელ შეუძლია.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სოლიდარულ მოვალეებად არ ჩაითვლებიან პირები იმ შემთხვევაში, როდესაც მათ, მართალია, მსგავსი შესრულების ვალდებულება აკისრიათ კრედიტორის წინაშე, თუმცა მათ მიერ განხორციელებული შესრულება კრედიტორის ერთი და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არ არის მიმართული.

საკასაციო პალატამ ასევე, მიუთითა, რომ სსკ-ის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება შესაძლებელია სამი საფუძვლით წარმოიშვას: **ხელშეკრულება, კანონი და ვალდებულების**

საგნის განუყოფლობა (Numerus Clausus). კანონის საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული ვალდებულებების შემთხვევები სამოქალაქო კოდექსში საკმაოდ მრავლადაა. მაგალითად, სსკ-ის 998.1., 937.1. მუხლები).

ვალდებულების საგნის განუყოფლობის გამო, სოლიდარული ვალდებულების წარმოშობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როგორც საწინვითო ასევე, ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში. ამისათვის აუცილებელია ვალდებულების საგნის განუყოფადობა. სწორედ ვალდებულების საგნის განუყოფადობა იმთავითვე გამორიცხავს წილადი ვალდებულების არსებობას. ვალდებულების საგნის განუყოფლობის შემთხვევაში, რამდენიმე მოვალე მხოლოდ მაშინ ჩაითვლება სოლიდარულ მოვალეებად, როდესაც თითოეულ მოვალეს მთლიანი ვალდებულების შესრულება შეუძლია მარტომ განახორციელოს.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული საფუძველია ხელშეკრულება. **მთავარია კრედიტორთან გაფორმებული შეთანხმება ნათლად ადასტურებდეს თითოეული მოვალის სურვილს – სხვა მოვალეებთან ერთად სოლიდარულად აკონ კრედიტორის წინაშე პასუხი.**

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საექვოობისას, ხელშეკრულებისა და ნების განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს, თუ რისი შეთანხმება სურდათ მხარეებს.

ერთ-ერთ საქმეში,²¹⁷ საკასაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ მოსარგებლე, რომელიც იურიდიული მფლობელისაგან მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გადაადგილდებოდა ავტოსატრანსპორტო საშუალებით, ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია სსკ-ის 992-ე მუხლით, ხოლო ეს უკანასკნელი სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მესამე წინადადების შესაბამისად აგებს პასუხს მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 999-ე მუხლი მოსარგებ-

²¹⁷ სუსგ №ას-1058-2018, 30 სექტემბერი, 2019, ასევე, ანალოგიურ საკითხზე, იხ.: სუსგ-ები: №ას-254-239-2010, 20 ივლისი, 2010, №ას-39-38-10, 15, ივლისი, 2010.

ლის პასუხისმგებლობას კი არ გამორიცხავს, არამედ ავტოსატრანსპორტო საშუალების, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს, მესაკუთრის მიმართ პასუხისმგებლობის მაღალ სტანდარტს აწესებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმადაც, დაზარალებულ პირს არ ეკრძალება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, სსკ-ის 463-ე მუხლის საფუძველზე, ერთობლივად ნაუყენოს როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების იურიდიულ მფლობელს, სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მესამე წინადადების საფუძველზე, ისე – სატრანსპორტო საშუალების მოსარგებლეს, სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე. ამ შემთხვევაში სახეზეა მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში, ვალდებულებათა ერთიანობა, როდესაც ყოველ მოვალეს თავისი საკუთარი ვალდებულება აკისრია კრედიტორის წინაშე, მაგრამ ისინი ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ ქმნის სოლიდარულ ვალდებულებას.

სამართლებრივი დასკვნა

სამართლებრივ დასკვნაში ლაკონურად და თვალსაჩინოდ მოცემულია ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის რჩეულ და სასამართლო პრაქტიკაში მეტად გავრცელებული ნორმების გადანყვეტილებებში არსებული განმარტებანი, რომელიც უფრო ხელმისაწვდომს გახდის დაინტერესებული პირების მიერ მითითებულ ნორმებთან დაკავშირებული განმარტებების გაცნობას და შესაბამისი გადანყვეტილებების მოძიებასა და გამოყენებას.

√ 316.2 მუხლი

სსკ-ის 316.2.-ე მუხლით გათვალისწინებული გულისხმიერების ვალდებულება მხარეებისათვის დამატებითი ვალდებულების დაკისრებას არ გულისხმობს, ყოველთვის ვალდებულების შინაარსშივე მოიაზრება და ერთგვარ მორალურ კატეგორიას განეკუთვნება.

გულისხმიერების ვალდებულება ნახსენებია როგორც *Duty of Cooperate*, რაც შეიძლება გაგებული იქნას როგორც გულისხმიერებად, ასევე თანამშრომლობის ვალდებულებად.²¹⁸

√ 325-ე მუხლი

სსკ-ის 325-ე მუხლის კონტექსტში, ბანკმა უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისათვის საბანკო მომსახურების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადანყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი სრული ინფორმაციის დროულად მიწოდება, რომელიც მომხმარებელს არ უზიძგებს ისეთი გადანყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში.²¹⁹

მხარეთა შეთანხმება, რომლითაც კასატორმა სესხისათვის შეუსაბამოდ მაღალი სარგებელი (წლიური 360%) განსაზღვრა მაშინ, როდესაც არ არსებობდა ასეთი მოქმედების ლეგიტიმური მიზანი, ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ღირებულებებს და სსკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით ბათილია.²²⁰

²¹⁸ სუსგ №ას-1498-1418-2017, 8 ივნისი, 2018.

²¹⁹ სუსგ №ას-287-287-2018, 5 სექტემბერი, 2018.

²²⁰ სუსგ №ას-1239-2018, 24 აპრილი, 2019.

√ 327-ე მუხლი

საჯარო ხელშეკრულება წარმოადგენს მოპასუხის მხრიდან ოფერტის გაკეთებას ელექტრონული აუქციონის ვებგვერდზე რეგისტრირებული/ავტორიზებული მომხმარებლისათვის და ამ ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება იდება იმ მომხმარებელთან, რომელიც აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ანუ უმაღლესი ფასის წარდგენით ახორციელებს გამსხვისებლის შეთავაზების აქცეპტირებას გადადების პირობით, ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების წარმოშობის თაობაზე. თავის მხრივ, გადადების პირობა ითვალისწინებს ფასის გადახდის ვადას, რაც წერილობით უნდა გაფორმდეს და აქცეპტანტს ამ მომენტიდან წარმოეშობა ქონებაზე საკუთრების უფლება.²²¹

წინარე ხელშეკრულება კონტრაქტების იძულების სამართლებრივ ბერკეტს წარმოადგენს და მხარეებს წარმოუშობს მოთხოვნის უფლებას მომავალში ხელშეკრულების დადების თაობაზე. მითითებული სპეციფიკის გარდა, წინარე ხელშეკრულება ჩვეულებრივ გარიგებას წარმოადგენს და მის მიმართ სრულად ვრცელდება სახელშეკრულებო სამართლის ნორმები.²²²

√ 337-ე მუხლი

„ნების გონივრული განსჯა“ ნიშნავს სადავო გამონათქვამის იმ მნიშვნელობის დადგენას, რომელსაც გონიერი ადამიანი ანალოგიურ პირობებში მიანიჭებდა.

ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო აზუსტებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებულ გამონათქვამებს და ასევე, ახორციელებს ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას.

ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამონათქვამებსა და ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა.²²³

²²¹ სუსგ №ას-376-360-2016, 17 თებერვალი, 2017.

²²² სუსგ №ას-1216-1136-2017, 18 მაისი, 2018.

²²³ სუსგ №ას-78-78-2018, 15 თებერვალი, 2018.

✓ 341-ე მუხლი

სამართლის თეორიაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, ერთმანეთისაგან განსხვავდება მარტივი, კაუზალური და აბსტრაქტული აღიარება.

მარტივი აღიარებისას, მოვალე ცალმხრივად ადასტურებს არსებულ ვალდებულებით ურთიერთობას და გაცნობიერებულად გამოთქვამს მზაობას, შეასრულოს იგი (დაპირება).

კაუზალური ვალის აღიარება ასევე, მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისაკენ და შეიცავს დაპირების ელემენტს, ამასთან, იგი შეიძლება არ იყოს ცალმხრივი.²²⁴

საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სსკ-ის 341 ე მუხლის გაგებით, ვალის არსებობის აღიარებასთან არ გვაქვს საქმე, როდესაც მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამომდინარე ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ. ამდენად, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას. ვალის აღიარების ხელშეკრულების დამოუკიდებელი ბუნება იმ კუთხითაც განსხვავდება ვალდებულები პირის სხვაგვარი აღიარებისაგან, რომ სსკ-ის 341-ე მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც ნამდვილია, რადგანაც როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მიმართ დამოუკიდებლად აითვლება ხანდაზმულობის ვადის დენა.

✓ 352-ე, 405-ე მუხლები

მიუღებელი შემოსავალი არ ექცევა 352-ე მუხლის რეგულირების სფეროში.²²⁵

²²⁴ სუსგ №ას-681-635-2017, 7 ივლისი, 2017, ასევე, №ას-1029-949-2017, 23 თებერვალი, 2018, №ას-40-40-2018, 23 თებერვალი, 2018, №ას-432-432-2018, 12 სექტემბერი, 2018.

²²⁵ სუსგ №ას-103-2019, 31 ოქტომბერი, 2019, სუსგ №ას-194-2019, 27 მაისი, 2019, №ას-575-2020, 7 ოქტომბერი, 2020.

სამოქალაქო კოდექსის არც ერთი ნორმა არ ადგენს გასვლის გზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში პირის დავალდებულებას, შეასრულოს ვალდებულება.²²⁶

თუ ვერ ხერხდება კრედიტორის პირველადი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოვალის მიერ (ვალდებულების შესრულება), მის ადგილს მეორეული მოთხოვნა იკავებს. პირველადი ვალდებულებებისაგან უნდა განვასხვაოთ მეორეული ვალდებულებანი. ეს უკანასკნელი უშუალოდ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან არ გამომდინარეობს. მეორეული ვალდებულება პირველადი ვალდებულებების (ქმედების განხორციელების) დარღვევის შედეგად წარმოიშობა და იკავებს ან მათ ადგილს, ანდა მათთან ერთად არსებობს. **ხელშეკრულებიდან გასვლა აღმჭურველი უფლებაა, რაც ნიშნავს, რომ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას, მხარეს აქვს შესაძლებლობა, მიაღწიოს გარკვეულ სამართლებრივ შედეგს – დაასრულოს სახელშეკრულებო ურთიერთობა კონკრეტული უფლებებითა და მოვალეობებით და განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში გადაიყვანოს იგი.²²⁷**

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს (ხელშეკრულების „ჩვეულებრივ“ წევრს) სსკ-ის 405-ე და 352-ე მუხლების საფუძველზე წარმოეშვა წარდობის ხელშეკრულებიდან გასვლისა და ამ ხელშეკრულების საფუძველზე ამხანაგობისათვის გადაცემული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აღმჭურველი უფლებაა და მოთხოვნის უფლებისაგან განსხვავებით, მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხარეების მხრიდან პირველადი მოთხოვნის ხასიათს ატარებს, რომლის შეუსრულებლობაც იწვევს მეორადი მოთხოვნის უფლების წარმოშობას. ამ უკანასკნელს კი მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა.

ვალდებულება, რომლის დარღვევაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს წარმოადგენს, უნდა იყოს ნამდვილი, ვადამო-

²²⁶ სუს განწყვეტილება №ას-75-71-2017, 31 მარტი, 2017.

²²⁷ სუსგ №ას-605-564-2017, 30 ივნისი, 2017.

სული და უპრეტენზიო.²²⁸

ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორს შეუძლია მოვალეს დაუნესოს დამატებითი ვადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად. რაც განამტკიცებს ფაქტს, რომ მისთვის მთავარია ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა შეუსრულებლობისათვის. ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც იწვევს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ანუღირებას, არ შეიძლება განხორციელდეს მოვალისათვის ვალდებულების შესასრულებლად ხელმეორე შესაძლებლობის მიცემის გარეშე, რათა ამით თავიდან იქნეს აცილებული ხელშეკრულების ანუღირება.²²⁹

სსკ-ის 357-ე მუხლი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებას შეეხება და არა თვით ამ უფლების წარმოშობას.

ხელშეკრულებიდან გასვლა და უარი ხელშეკრულებაზე როგორც წესი, ერთსა და იმავე სამართლებრივ შედეგებს იწვევს; ამ დროს, ორმხრივ რესტიტუციას აქვს ადგილი, მხარეები ახდენენ ხელშეკრულების დადებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას.

ამასთან, თუ გრძელვადიან ურთიერთობაზე მხარე პატივსადები მიზეზის გამო ამბობს უარს, მაშინ სახეზე გვექნება ხელშეკრულების მოშლა (შენწყვეტა) და არა გასვლა, რაც იმას ნიშნავს, რომ მანამდე განხორციელებული შესრულება ძალაში დარჩება.

ვინაიდან, მხარე ითხოვს გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტას, ხელშეკრულებიდან გასვლის (უარის თქმის) ნორმები ვერ იქნება გამოყენებული.²³⁰

ერთ-ერთ საქმეში, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ხელშეკრულების მოშლას (სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ხსენებულ საკითხს არეგულირებენ), ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი დატვირთვა გააჩნია (*მოშ-*

²²⁸ სუსგ №ას-38-38-2018, 08 ივნისი, 2018, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების საკითხზე მრავალთაგან, ასევე, იხ.: სუსგ-ები: №ას-459-438-2015, 07 ოქტომბერი, 2015, №ას-1003-924-2017, 01 დეკემბერი, 2017, №ას-38-38-2018, 08 ივნისი, 2018, №ას-1747-2019, სუსგ №ას-1166-2019, 6 აპრილი 2020, №ას-1747-2019, 16 მარტი, 2020, №ას- 1361-2020, 11 მარტი, 2021, №ას-349-2021, 11 ივნისი, 2021.

²²⁹ სუსგ №ას-38-38-2018, 08 ივნისი, 2018.

²³⁰ სუსგ №ას-360-360-2018, 04 ოქტომბერი, 2018.

ლის ინსტიტუტის რეალიზაცია თავისთავად უკავშირდება სკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგებს – პირთა რესტიტუციას, იხ.: მაგ: სკ-ის 491-ე, 492-ე მუხლები და სხვა).²³¹

თუმცა აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე განხილულ სხვა საქმეში,²³² საკასაციო სასამართლომ სხვაგვარად განმარტა ხელშეკრულების მოშლის კონსტრუქცია (დააზუსტა განსხვავება ხელშეკრულების მოშლასა და გასვლას შორის) და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი მიმართულია არა შესრულების შედეგად მიღებული შედეგების უკან დაბრუნების, არამედ ხელშეკრულების შესრულებაზე მომავალში უარის თქმაზე, მართებულია მხოლოდ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ. **ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულებიდან გასვლა შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, ვალდებულების ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე შეწყვეტას გულისხმობს, მაგრამ მოშლის თავისებურება სწორედ ისაა, რომ ნყდება სამომავლო შესრულების ვალდებულება, ხოლო უკვე შესრულებული მხარეებს არ უბრუნდებათ** (გარდა სსკ-ის 399.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა), ხელშეკრულებიდან გასვლა კი, ნატურით დაბრუნებას გულისხმობს (სუსგ ას-779-746-2014, 30.04.15).

საყურადღებოა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის გათავისუფლება ხელშეკრულებიდან გასვლად მიიჩნია და აღნიშნა, რომ იგი მართლზომიერად უნდა განხორციელდეს (სსკ-ის 115-ე მუხლი).²³³

ხელშეკრულებაზე უარის საფუძველი უნდა იყოს ვალდებულების არა ნებისმიერი, არამედ არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც გამართლებულს ხდის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.²³⁴

საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებიდან გასვლას თავისი სპეციფიკა გააჩნია და მასზე არ ვრცელდება სსკ-ის 352-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებული ხელშეკრულები-

²³¹ სუსგ №ას-220-209-2017, 20 აპრილი, 2018, ანალოგიური მსჯელობა იხ. სუსგ №ას-1076-996-2017, 19 აპრილი, 2019.

²³² სუსგ №ას-1475-1395-2017, 3 აპრილი, 2018.

²³³ სუსგ-ები: №ას-627-627-2018, 3 ივლისი, 2018, №ას-861-861-2018, 25 სექტემბერი, 2018.

²³⁴ სუსგ №ას-1479-1399-2017, 27 იანვარი, 2020.

**დან გასვლის სამართლებრივი შედეგები. შესაბამისად, ერთობ-
ლივი საქმიანობის მონაწილეს** შეეძლო მოეთხოვა თავისი წილის
კომპენსაცია ფულადი სახით და არა მის მიერ განხორციელებულ შე-
ნატანზე უფლების აღდგენა და მიწის ნაკვეთის დაბრუნება.²³⁵

**ხელშეკრულებიდან გასვლის თანმდევ შედეგზე – რესტიტუცია-
ზე ვრცელდება ხანდაზმულობის საერთო 10-წლიანი ვადა, რო-
მელიც იწყება ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტიდან.**²³⁶

**ცალმხრივ ხელშეკრულებაზე არ ვრცელდება სსკ-ის 352-ე და
მომდევნო მუხლებით გათვალისწინებული ხელშეკრულებიდან
გასვლის სამართლებრივი შედეგები.**²³⁷

შესრულების შეუძლებლობის პირობებში კონტინენტურ სამართალ-
ში უპირატესად გამოსაყენებელი ნაკლის გამოსწორების მეორადი
მოთხოვნის უფლება აზრს კარგავს და კრედიტორისათვის ხელშეკ-
რულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლე-
ბებია პრიორიტეტული. ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთ-
ხოვნის უფლება ცენტრალურ ადგილს იკავებს, რამდენადაც აღნიშ-
ნულ შემთხვევაში ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა უბრალო ფორ-
მალობად იქცევა.

მყიდველის მიერ ნივთის ნაკლის გამო ნასყიდობის ხელშეკრულები-
დან გასვლის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 491-ე
მუხლი სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებთან ურთიერთკავშირში.²³⁸

პირველადი მოთხოვნის ანუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულე-
ბებისა და შესაბამისად, ხელშეკრულების შეუსრულებლობა ხელშეკ-
რულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლების აღმოცენების
სამართლებრივი საფუძველია. ამდენად, დაუშვებელია ერთდროუ-
ლად მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების შესრულებაც და ხელშეკ-
რულებიდან გასვლის მეორადი უფლების გამოყენებაც. ამგვარ მოთ-
ხოვნათა კუმულაციურად განხორციელება დაარღვევდა ხელშეკრუ-
ლების მხარეების ინტერესთა ბალანსს, სწორედ რასაც უზრუნველ-
ყოფს მეორადი მოთხოვნის, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების
გამოყენება. კანონმდებლობა უშვებს ხელშეკრულებიდან მხოლოდ
სრულად (მთლიანად) გასვლას. გამონაკლისია გრძელვადიანი ვალ-

²³⁵ სუსგ №ას-1463-2019, 12 თებერვალი, 2020.

²³⁶ სუსგ №ას-1565-2018, 30 აპრილი, 2020.

²³⁷ სუსგ №ას-1626-2019, 17 ივნისი, 2020.

²³⁸ სუსგ №ას-222-2021, 4 ივნისი, 2021.

დებულებითი ურთიერთობები, ისიც მხოლოდ მომავალში მისაწოდებელ საქონელთან მიმართებაში.²³⁹

✓ 362-ე მუხლი

ქართული სამოქალაქო კოდექსი შესრულებაზე ორიენტირებული აქტია. მისი როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი შესრულების მექანიზმებზეა აგებული. **მთავარია შესრულება და არა პასუხისმგებლობა.**²⁴⁰

ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე, ვალდებულების შესრულების ადგილს და დროს. ვალდებულება უნდა შესრულდეს სათანადო ადგილას (*locus opportunus*). ვალდებულების შესრულების ადგილი ის ადგილია (სივრცეში მეტად თუ ნაკლებად განსაზღვრული პუნქტი), სადაც მოვალე ახორციელებს ვალდებულების შესასრულებელ ბოლო მოქმედებას. ეს ადგილი შეიძლება განსხვავდებოდეს იმ ადგილისაგან, სადაც შესრულების შედეგი დგება (შედეგის ადგილი). შესრულების ადგილის დასადგენად მხედველობაში მიიღება ყველა არსებითი გარემოება მათ შორის, სამოქალაქო და საგაჭრო ბრუნვის ტრადიციები. იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესრულების ადგილი მხარეთა მიერ არ არის განსაზღვრული, ეს ხარვეზი სწორდება კანონის დისპოზიციური ნორმებით: შესრულების ადგილი დამოკიდებულია მოვალის საქმიანობასა და ვალდებულების საგნის ხასიათზე.²⁴¹

✓ 365-ე მუხლი

ნებისმიერი ვადა, იქნება ეს ზუსტად განსაზღვრული თუ ნავარაუდევია, უნდა იყოს გონივრული. გონივრული ვადა წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას. ყველა შემთხვევაში, მისი ფარგლები მოიაზრება შესრულების თავისებურებებით. გონივრულია ისეთი ვადა, რომელიც ასეთად შეიძლება ჩათვლილიყო, როგორც კანონის ობიექტური ნების, ისე მხარეთა ნების გამოვლენის საფუძველზე. შეიძლება იგი გამომდინარეობდეს სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციებიდანაც. ვალდებულების შესრულების დროდ ითვლება იმ მომენტის დადგომა, როდესაც ვალდებულება უნდა შესრულდეს ანუ დრო, რომლის დადგომის შემდე-

²³⁹ სუსგ №ას-467-2020, 25 ივნისი, 2021.

²⁴⁰ სუსგ №ას-1166-2019, 6 აპრილი 2020.

²⁴¹ სუსგ №ას-538-538-2018, 26 თებერვალი, 2021.

გაც კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება. ვალდებულების შესრულების პროცესში აგრეთვე, გამოიყენება ნავარაუდევი (გარემოებებიდან გამომდინარე) ვადები. ნავარაუდევი ვადა უმეტეს-ნილად, ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარეობს. სსკ-ის 365-ე მუხლში მითითებულ „სხვა გარემოებებში“ ნაგულისხმევი ვადები შეიძლება იქნეს მიჩნეული ნავარაუდევ ვადებად.²⁴²

√ 371-ე მუხლი

იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალესა და მესამე პირს შორის არ არის რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა ანდა იგი ბათილად იქნა ცნობილი, თუმცა კი, მესამე პირმა უკვე განახორციელა მოვალის ნაცვლად კრედიტორის მიმართ შესრულება, მესამე პირს აღარ აქვს კრედიტორისგან შესრულების უკან გამოთხოვის უფლება სსკ-ის 976 II „გ“ მუხლის თანახმად. მესამე პირს შეუძლია მხოლოდ წარადგინოს მოვალის მიმართ მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე.²⁴³ მოვალის მიმართ (გადახდილი თანხის დაბრუნება) მესამე პირის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია არა სსკ-ის 976-ე და 978-ე მუხლები, არამედ სსკ-ის 371-ე, 976-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სსკ-ის 986-ე მუხლი.²⁴⁴

√ 387-ე მუხლი

სსკ-ის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც მოვალეს კრედიტორის მიმართ გააჩნია რამდენიმე დამოუკიდებელი ვალდებულება. იმ შემთხვევაში კი, როცა საუბარია არა რამდენიმე ვალდებულების შესრულებაზე, არამედ ერთი ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, დამატებით წარმოშობილი პირგასამტეხლოს გადახდის მოვალეობის შესრულებაზე, მითითებული ნორმა არ გამოიყენება. ამიტომ მხარეთა შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, მსესხებლის მიერ საკრედიტო ვალდებულებების დასაფარავად შემოტანილი ან ჩარიცხული თანხიდან პირველ ყოვლისა, იფარება დარიცხული ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ – კრედიტზე დარიცხული პროცენტი, ბოლოს – კრედიტის ძირითადი თანხა.²⁴⁵

²⁴² სუსგ №ას-1211-2020, 3 თებერვალი, 2021.

²⁴³ №ას-1298-2018, 22 მარტი, 2019.

²⁴⁴ სუსგ №ას-1298-2018, 22 მარტი, 2019..

²⁴⁵ სუსგ №ას-238-226-2016, 3 ივნისი, 2016.

√ 388-ე მუხლი

სსკ-ის 388-ე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგება დისპოზიციურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია, ძირითადი და დამატებითი ვალდებულებების შესრულების რიგითობისათვის კანონით გათვალისწინებული მოწესრიგებისაგან განსხვავებული წესის დადგენა.²⁴⁶

√ 389-ე მუხლი

სსკ-ის 389-ე მუხლი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას. ასევე, ვალუტის შეცვლას და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციას.

ვინაიდან, ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის მიმართ ზემოთ მითითებულ პროცესებს არ ჰქონია ადგილი, ფულადი ვალდებულებების შესრულების დროს დაუშვებელია სსკ-ის 389-ე მუხლის გამოყენება. ამ მუხლის გამოყენება დაუშვებელია ასევე, ფულის კურსის ნორმალური გაუარესების დროსაც, რადგანაც აღნიშნული პროცესი ყველა ქვეყანაში აღინიშნება. შესაბამისად, ნორმის ფუნქციური დანიშნულება მდგომარეობს შემდეგში: იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ფულის ნომინალს ცვლის ან კიდევ, როდესაც ადგილი აქვს ჰიპერინფლაციას (ძალიან მაღალი ინფლაცია, რომელიც ხშირად განისაზღვრება, როგორც ინფლაცია, რომლის ყოველთვიური დონე, დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში აღემატება 50 პროცენტს.) თუ სახელმწიფოს მიერ ნომინალის შეცვლას ან ჰიპერინფლაციას არ ექნება ადგილი, 389-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია.²⁴⁷

თუ ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დღე და ვალდებულების ფაქტობრივად შესრულების დღე ერთმანეთს არ ემთხვევა (ვადაგადაცილებისას), კონტრაგენტს კურსთაშორის სხვაობის სახით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს. მოვალე ვალდებულია ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ფულადი ვალდებულების შესრულების ამ პრინციპს „ნომინალიზმის“ პრინციპი ეწოდება და იგი აღიარებულია ყველა განვითარებული

²⁴⁶ სუსგ №ას-6-6-2018, 23 თებერვალი, 2018.

²⁴⁷ სუსგ №ას-54-54-2018, 13 თებერვალი, 2018.

რებული ქვეყნის კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკით.

ფულადი ვალდებულება შესრულებულად ითვლება ფულადი ერთეულის ნომინალების ოდენობის დაფარვით და არა ამ უკანასკნელთა მსყიდველუნარიანობის საფუძველზე, რაც როგორც წესი, დროში ცვალებადი კატეგორიაა. **ნომინალიზმის პრინციპი გამოიყენება ვალის ვალუტის მიმართ, ხოლო გადახდის ვალუტის ღირებულების შეცვლა კი, არანაირ გავლენას არ ახდენს ვალდებულების ეკონომიკურ შინაარსზე.** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „ნომინალიზმის პრინციპი“ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო ბრუნვაში საჯარო წესრიგის გამოხატულებად. თუკი მხარეები ითვალისწინებენ ფულის კურსის შესაძლო ცვლილებებს, მათ შეუძლიათ სხვადასხვა დათქმით თავი დაიზღვიონ უარყოფითი შედეგებისაგან. თუ ამას არ ექნება ადგილი, ნომინალიზმი სამართლის ობიექტური ნებით, სავარაუდო პირობა იქნება და შესაბამისად, მხარეებიც თავიანთ თავზე აიღებენ მისგან მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების რისკს.

სსკ-ის 389-ე მუხლის დანაწესი სსკ-ის 398-ე მუხლთან მიმართებით, ძირითადად, საგამონაკლისო ნორმად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იგი აწესრიგებს უშუალოდ ფულის ერთეულის (კურსის) შეცვლის შემთხვევაში, განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს. სსკ-ის 398-ე მუხლის დანაწესს, შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნომინალიზმის პრინციპთან მიმართებით, რათა დაცული იყოს ორივე ნორმის მიზანი. ფულის კურსის ნორმალური ცვლილება არ ხვდება ამ ნორმის მოქმედების სფეროში და იგი მხარეთა რისკის სფეროს მიეკუთვნება.²⁴⁸

✓ 394-ე მუხლი

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის, ზიანის ანაზღაურების დაკისრების ცენტრალურ და უზოგადეს ნორმას წარმოადგენს სსსკ-ის 394.1 მუხლი, რომელიც კრედიტორს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული დანაწესის გამოყენების წინაპირობებია: 1. ზიანი; 2. ქმედების მართლწინააღმდეგობა; 3. მიზეზობრივი კავშირი; 4.

²⁴⁸ სუსგ №ას-1298-2018, 22 მარტი, 2019.

ბრალი. ზიანის ანაზღაურება შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, მაგალითად: პროცენტის გადახდა (403-ე მუხლი), პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (408.1 მუხლი), მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება (411-ე მუხლი) და ა.შ.²⁴⁹

✓ 398-ე მუხლი

ხელშეკრულების მხარეები მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების პირობებს არ არღვევენ, იძულებულნი ხდებიან, ობიექტური ვითარების გამო, უარი თქვან ხელშეკრულებაზე. ვალდებულების შესრულების პროცესში მხარეები შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთ გარემოებათა წინაშე, რომელთაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინონ ვალდებულების სავალდებულო ხასიათზე. მხარეთა მიერ წინასწარ გათვლილი უცვლელი გარემოებანი, შესაძლებელია, რომ ცვალებადი აღმოჩნდეს. ეს ისეთი გარემოებებია, რომლებიც არსებითად ცვლიან სახელშეკრულებო წონასწორობას და მხარეთა ურთიერთმხრივ შესრულებათა არსებით დისბალანსს იწვევენ. შეცვლილი გარემოებებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია ფასების ზრდა და ფულის ინფლაცია.²⁵⁰

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება შესრულების გართულების სამართლებრივ შედეგად განიხილება. ხელშეკრულების ადაპტაცია ჩვეულებრივ, გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში გამოიყენება შეცვლილი გარემოებების გავლენით, მხარეთა ეკონომიკურ ინტერესებს შორის წონასწორობის რღვევისას, ეკონომიკური ინტერესის შენარჩუნების გათვალისწინებით, სამომავლო თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით.

სსკ-ის 398-ე მუხლით გათვალისწინებული (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი) შეცვლილი გარემოებები ართულებს შესრულებას იმ დონემდე, რომ მისი შესრულების მოთხოვნა, როგორც გამართლებული საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს მეორე მხარეს, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი (ეკვივალენტური) გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებს, რაც შეიძლება, განპირობებული იყოს, როგორც შესრულების ღირებულების გაზრდით, ისე – მისი შემცირებით.²⁵¹

²⁴⁹ სუსგ №ას-934-2020, 25 მარტი, 2021, ასევე, სუსგ-ები: №ას-915-855-2017, 14.09.2017, №ას-681-652-2016, 17.02.2017.

²⁵⁰ სუსგ №ას-1475-1395-2017, 3 აპრილი, 2018.

²⁵¹ სუსგ №ას-1344-2019, 6 დეკემბერი, 2019, ასევე, სუსგ-ები: №ას-220-209-2017, 20 აპრილი, 2018, №ას-251-2021, 11 ივნისი, 2021.

✓ 399-ე მუხლი

გრძელვადიანი ხელშეკრულების შეწყვეტა მართლზომიერად იქნება მიჩნეული, თუ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა განპირობებულია პატივსაძებნი საფუძვლით. პატივსაძებნი საფუძვლის ნორმატიულ განმარტებას სსკ-ის 399-ე მუხლი შეიცავს და ადგენს, რომ საფუძველი პატივსაძებნია, თუ სახეზეა დაუძლეველი ძალა ან სხვა რაიმე ორმხრივი და არა ცალმხრივი ინტერესი, რაც სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას შეუძლებელს ხდის.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია, განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი ხელშეკრულების ადაპტაციასთან შედარებით უკეთესად უზრუნველყოფს მხარეთა ორმხრივ ინტერესებს და ამასთან, შეწყვეტით ზიანი არ ადგება საჯარო ან მესამე პირების ინტერესებს. უმთავრესია, რომ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება, ისევე როგორც ვალდებულების შესრულების გართულების ან შეუძლებლობის საფუძვლით სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, არ იწვევს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ხელყოფას.²⁵²

სსკ-ის 625-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტი, რომელიც თავისი შინაარსით სარგებელია, განსხვავდება 40%-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისაგან, რომელიც ის ზიანია, რაც კრედიტორმა განიცადა მოვალის მხრიდან ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით.²⁵³

✓ 408-მუხლი

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმათაგან ზიანის ანაზღაურებას აქვს უნივერსალური მნიშვნელობა და გამოიყენება სამოქალაქო უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევაში, მაშინ როცა სხვა ფორმების გამოყენებაზე პირდაპირ უთითებს კანონი ან ხელშეკრულება კონკრეტული სამართალდარღვევისას. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა ერთი კონტრაქტისა მეორეს წინაშე, სამართალდამრღვევისა – დაზარალებულის წინაშე, დაკავშირებულია არა პიროვნული თავისუფლების ბოჭვასთან, როგორც ისტორიულ წარსულში, არამედ მოვალის მხოლოდ ქონების შემცირებასთან.

²⁵² სუსგ №ას-1376-2020, 11 მარტი, 2021.

²⁵³ სუსგ №ას-301-2021, 25 ივნისი, 2021.

ქონებრივი პასუხისმგებლობის ვალდებულ პირზე დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე იყოს სამართალდარღვევის შემადგენლობა. ამ შემადგენლობის ელემენტებია: სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი; დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; სამართალდარღვევის ბრალი.

ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფას, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით.

ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა მოვალის დასჯაში. ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა წონასწორობის აღდგენაზე. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს შემდეგი პრინციპების დაცვას: **ზიანის სრულად ანაზღაურება, უსაფუძვლო გამდიდრების არდაშვება, ადეკვატურობა. მოვალე არ არის ვალდებული კრედიტორი იმაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენოს, ვიდრე ზიანის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა.**²⁵⁴

იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობიდან გამომდინარე, უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების დაბრუნების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 992-ე, 998-ე და 408.1 მუხლები.²⁵⁵

წარდობის ურთიერთობიდან გამომდინარე,²⁵⁶ შესრულებული სამუ-

²⁵⁴ სუსგ №ას-243-2021, 4 ივნისი, 2021.

²⁵⁵ სუსგ №ას-1432-2019, 22 იანვარი, 2020. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენის (ქონებაზე საკუთრების დაბრუნების) მოთხოვნით წარმოებული დავების თაობაზე, იხ.: მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი, 2020, გვ. 171, 225.

²⁵⁶ სუსგ №ას-971-2019, 28 ოქტომბერი, 2019, იხ. ასევე სუსგ №ას-1900-2018, 12 მარტი, 2019.

შაოს ღირებულების, პირგასამტეხლოსა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები სსკ-ის 629.1, 417-ე-418-ე, 411-ე, 408.1 მუხლების დანაწესებიდან გამომდინარეობს.

ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს ამხანაგობის (ე.წ. ჩვეულებრივი) წევრისათვის მიყენებული ზიანი სოლიდარულად ეკისრება სსკ-ის 394-ე, 408-ე და 937-ე მუხლების საფუძველზე.²⁵⁷

სსკ-ის 979-ე მუხლის პირველი ნაწილი ამომწურავად განსაზღვრავს უსაფუძვლო გამდიდრების საფუძვლით უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლებს და დამატებით, სსკ-ის 408-ე, 409-ე და 411-ე მუხლებზე მითითება არასწორია.²⁵⁸

სამკვიდრო მონაწილეობაში ცვლილების შეტანისა და დანაშთი ქონების ნაწილის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით წარმოებულ სამემკვიდრეო დავაში²⁵⁹ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა სსკ-ის 982.1 და 408.1 მუხლებიდან გამომდინარეობს.²⁶⁰

განაცდური არ შეიძლება გაიგივდეს სშკ-ის 38.8-ე მუხლით გარანტირებულ იმ კომპენსაციასთან, რომელიც სამსახურში აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, კომპენსაციას განიხილავს როგორც მოთხოვნის დაკმაყოფილების (უფლების აღდგენის) ალტერნატიულ გზას და საერთო არა აქვს განაცდურთან, როგორც მიუღებელ შემოსავალთან.

განაცდური წარმოადგენს სასამართლოს მიერ დამსაქმებლის იძულებას დასაქმებულისთვის განაცდურის, ანუ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რაც გამორიცხავს მხარეთა შორის განგრძობადი შრომითი ურთიერთობის (მისი თანმდევი ქმედებების; ხელფასზე შეთანხმების, ხელფასის მიღების და ა. შ.) ურთიერთობის არსებობას.

²⁵⁷ სუსგ №ას-547-510-2017, 4 მაისი, 2018.

²⁵⁸ სუსგ №ას-236-236-2018, 23 აგვისტო, 2018, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივ დავებში ზიანის ანაზღაურების საკითხებზე, იხ.: მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი, 2020, 166.

²⁵⁹ სუსგ №ას-960-2018, 22 ნოემბერი, 2018, ასევე, სუსგ-ები: №ას-278-2019, 27 ივნისი, 2019, №ას-411-2019, 11 ივნისი, 2019, №ას-607-2019, 4 ივლისი, 2019, სუსგ №ას-1263-2019, 13 მარტი, 2020.

²⁶⁰ სუსგ-ები: №ას-1534-2018, 17 იანვარი, 2019, ას-1671-2018, 22 თებერვალი, 2019.

სმკ-ის 44-ე და სსკ-ის 408-ე მუხლების ერთობლივი ანალიზით ცხადია, რომ იძულებითი განაცდური წარმოადგენს ზიანს, რომელიც მიეცემა დასაქმებულს, რათა მოხდეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა იმ სახით, რომელიც არ იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება ანუ უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი.²⁶¹

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნით წარმოებულ დავებში მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სმკ-ის 38.8, 44-ე, ასევე, სსკ-ის 394.1, 408.1 და 409-ე მუხლები.²⁶²

ზიანის თაობაზე საწარმოს მიერ აღძრული სარჩელები სახელშეკრულებო მოთხოვნათა ფარგლებში უნდა შემოწმდეს და არა დელიქტური ვალდებულების. მოთხოვნა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6, სსკ-ის 709-ე, 394.1 და 408.1 მუხლებიდან გამომდინარეობს.²⁶³

კანონმდებელი ზიანის მიმყენებლის მიერ ზიანის ნატურით რესტიტუციის პრინციპს უპირატესობას ანიჭებს.²⁶⁴

²⁶¹ სუსგ №ას-291-291-2018, 1 ივნისი, 2018.

²⁶² მრავალთავიან სუსგ №ას-395-2019, 27 ივნისი, 2019, №ას-997-2019, 30 ოქტომბერი, 2019, ასევე, №ას-1334-2020, 26 თებერვალი, 2021, №ას-1208-2018, 18 თებერვალი, 2021, №ას-1332-2019, 12 თებერვალი, 2021, №ას-1715-2019, 26 თებერვალი, 2021, №ას-102 -2019, 17 თებერვალი 2021, №ას-510 -2020, 11 თებერვალი 2021, №ას-1189-2020, 4 თებერვალი, 2021, №ას-1271 -2020, 11 თებერვალი, 2021, №ას-1291-2020, 9 თებერვალი, 2021, №ას- 1295-2020, 05 თებერვალი, 2021, №ას-1726-2018, 5 თებერვალი, 2021, №ას-1421-2020, 5 მარტი, 2021, №ას-1001-2018, 5 მარტი, 2021, №ას-582-2020, 27 აპრილი, 2021, №ას-817-2020, 8 აპრილი, 2021, №ას-113-2021, 27 აპრილი, 2021, №ას-188-2021, 8 აპრილი, 2021, 8 აპრილი, 2021, №ას-793 -2019, 29 აპრილი 2021, №ას-1440-2020, 23 აპრილი, 2021, №ას-1440-2020, 28 აპრილი, 2021, №ას-651-2020, 20 მაისი, 2021, №ას-267-2021, 11 ივნისი, 2021, №ას-304-2020, 15 ივნისი, 2021, №ას-319-2021, 11 ივნისი, 2021, №ას-387-2021, 29 ივნისი, 2021, №ას-560-2021, 14 ივლისი, 2021, №ას-274-2021, 07 ივლისი, 2021, შრომითსამართლებრივ დავებში ზიანის ანაზღაურების საკითხებზე, იხ.: მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი, 2020, 26.

²⁶³ სუსგ-ები: №ას-1203-2018, 25 აპრილი, 2019, №ას-1077-2018, 21 ოქტომბერი, 2019.

²⁶⁴ სუსგ №ას-9-2019, 17 აპრილი, 2019, ანალოგიურ საკითხზე იხ. სუსგ-ები: ას-98-93-2010, 8 ივნისი, 2010, №ას-78-2019, 25 აპრილი, 2019.

ზიანი შეიძლება იყოს ხელშეკრულების დარღვევიდან წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის შედეგი, ხოლო დელიქტის დროს კი, თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომელი ვალდებულების ძალითაც დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მიმყენებლისაგან. დელიქტური ვალდებულებებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ის 992-ე, 408.1 და 409-ე მუხლებით კვალიფიცირდება.²⁶⁵

√ 411-ე მუხლი

მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით, გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება.²⁶⁶

მიუღებელი შემოსავალი არის სარგებელი, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. ესაა ანაცდური მოგება, რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის განსაკუთრებულ კომერციულ ინტერესში შედის, ვინაიდან კომერციულ ბრუნვაში მისი ინტერესი შემოსავლის მი-

²⁶⁵ სუსგ №ას-153-2019, 8 მაისი, 2019, დელიქტურ მოთხოვნებში ზიანის ანაზღაურების საკითხებზე, იხ.: მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი, 2020, 171.

²⁶⁶ სუსგ №ას-945-895-2015, 14 მარტი, 2016, მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივ ბუნებაზე, ასევე, იხ.: სუგ-ები: №ას-632-590-2017, 8 იანვარი, 2018, №ას-1318-1238-2017, 23 თებერვალი, 2018, №ას-82-82-2018, 09 მარტი, 2018, №ას-816-816-2018, 5 ოქტომბერი, 2018, №ას-1308-2018, 14 დეკემბერი, 2018, №ას-1294-1214-2017, 26 აპრილი, 2018, №ას-1549-2019, 14 თებერვალი, 2020, №ას-163-2020, 23 სექტემბერი, 2020.

ლები კენაა მიმართული. თუმცა, თავად მოგება არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე, რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად.²⁶⁷

სსკ-ის 394-ე, 411-ე, 412-ე მუხლების საფუძველზე ფულადი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება კრედიტორს ყოველთვის ზიანს აყენებს და სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამონვეული ზიანისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება, არც ზიანის მიყენების ფაქტის და არც ოდენობის დადგენას. ამგვარ მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს საბანკო დანესებულებაში დეპოზიტების წლიური საპროცენტო განაკვეთი, რასაც კრედიტორი მიიღებდა ბრუნვაუნარიანი ობიექტის – ფულის შეგროვების და ანაბარზე განთავსების შედეგად, ამაზე მეტი ოდენობით ზიანის მიყენება კი, დადასტურებულ უნდა იქნეს.²⁶⁸

მიუღებელი შემოსავალი როგორც ზიანის ერთ-ერთი სახე, წარმოადგენს აბსტრაქტულ ქონებრივ დანაკლისს, ის ყოველთვის სავარაუდოა და მისი პირისათვის მიკუთვნება ხდება იმ პირობებში, როდესაც ვალდებულების დარღვევის/დელიქტური ქმედების შედეგად მაღალი ალბათობითაა სავარაუდო კრედიტორის მიერ არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი დანაკლისის, არამედ ანაცდენი მოგების (*lucrum cessans*) ხელიდან გაშვება, რაც მოვალის გაუმართლებელი ქმედების პირდაპირი და უშუალო შედეგია.

სსკ-ის 411-ე მუხლი თავად წარმოადგენს არა მხოლოდ უფლების დაცვისა და მართლწინააღმდეგობრიობის აღკვეთის რეპრესიულ მექანიზმს, არამედ მასში მოცემულია პრევენციული ელემენტებიც.²⁶⁹

გამართლებულია საკრედიტო დანესებულების შემთხვევაში, მიუღებელ ზიანად იმ შემოსავლის მიჩნევა, რომელსაც საკრედიტო დანესებულება მსესხებლის მიერ სესხით გათვალისწინებულ თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით მიიღებდა.

მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნა სამართლებრივად დასაბუ-

²⁶⁷ სუსგ გადანაცვებილება №ას-1018-979-2016, 21 აპრილი, 2017.

²⁶⁸ სუსგ №ას-250-250-2018, 15 ივნისი, 2018, ასევე სუსგ-ები: №ას-84-2019, 25 აპრილი, 2019, №ას-354-2019, 5 ივლისი, 2019.

²⁶⁹ სუსგ №ა-719-გან-1-2019, 22 თებერვალი, 2019.

თებულია მხოლოდ კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვამდე პერიოდისათვის გადასახდელი სარგებლის მოვალისათვის დაკისრების ნაწილში. კრედიტის თანხის დაბრუნების შემდგომ პერიოდში, სარგებლის გადახდის მოთხოვნა დაუსაბუთებელია შესაძლო ზიანზე არსებული ვარაუდის უსაფუძვლობის გამო.²⁷⁰

საურავი სსკ-ის 411-ე მუხლით გათვალისწინებულ ვერც „ფაქტობრივ დანაკლისად“ და ვერც მიუღებელ შემოსავლად ვერ მიიჩნევა.²⁷¹

✓ 412-ე მუხლი

სსკ-ის 412-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ არაპირდაპირი ზიანი, რომელსაც ნორმით განმტკიცებული გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, მოვალე ვერ ივარაუდებდა, არ ანაზღაურდება. არც იმგვარი ზიანი არ ანაზღაურდება, რომელიც სავარაუდოა, თუმცა მოვალის მოქმედების უშუალო შედეგი არ არის.

ხელშეკრულების დადებისას, მხარე კისრულობს ვალდებულებას და თავის თავზე იღებს მხოლოდ იმ რისკს, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან. ამდენად, **მოვალემ ზიანი უნდა აანაზღაუროს ყოველთვის, მაგრამ მხოლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში.** საბანკო გარანტიის არსიდან გამომდინარე, მომსახურების საკომისიოსა და მასზე დარიცხული ჯარიმის გადახდის რისკი ნარდობის ხელშეკრულების დადებისას მოპასუხეს არ აუღია და ხელშეკრულებით არ იყო დაცული აღნიშნული ინტერესი, ბანკის მიერ ჯარიმის დაკისრებით მოსარჩელის მიერ განცდილი ზიანი არ არის ნარდობის ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი და იგი მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ვერ იქნებოდა.²⁷²

✓ 413-ე მუხლი

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეცვალა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არსებული ერთიანი მიდგომა, რომლის მიხედვითაც მეუღლის, შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანი არ

²⁷⁰ სუსგ №ას-201-2019, 8 მაისი, 2019.

²⁷¹ სუსგ №ას-1051-1006-2014, 1 ივლისი, 2016.

²⁷² სუსგ №ას-468-442-2014, 28 იანვარი, 2016.

ანაზღაურდებოდა იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული პირდაპირ არ იყო გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით, ამასთან, სსკ-ის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების უფლება გააჩნდა მხოლოდ დაზარალებულს (*მრავალთავან იხ.: სუსგ-ები: სუსგ საქმე №ას593-568-2016, 14 ივლისი, 2017, №ას-105-545-06, 27 სექტემბერი, 2006*).

დადგენილი პრაქტიკის ცვლილებას²⁷³ საფუძვლად დაედო სტრას-ბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ.“

მოცემულ საქმეში მომჩივანი დავობდა ეროვნულ დონეზე, სასამართლო წარმოებისას საექიმო შეცდომის შედეგად შვილის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის გამო და მიუთითებდა ეროვნული სამართლებრივი სისტემის ხარვეზზე, რომელიც არ ითვალისწინებდა გარდაცვლილი პირის ცოცხლად დარჩენილი ახლო ნათესავის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას გარდაცვალების გამო.

ევროსასამართლომ დავის განხილვისას გაიზიარა რა, საქართველოს სასამართლოების მიერ დადგენილი გარემოება პაციენტის გარდაცვალებისას საექიმო შეცდომის ფაქტის არსებობის თაობაზე, დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა და განმარტა შემდეგი: „...კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევის შედეგად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პრინციპში, შესაძლებელი უნდა იყოს როგორც სამართლიანი დაცვის საშუალებების ერთ ერთი ფორმა (იხ. Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom, N46477/99 §97, §101, ECHR 2002-II; Bubbins v. the United Kingdom, N2694/08, §65-68. 13 მარტი, 2012 წელი), ...ხოლო ვინაიდან დადგენილია, რომ მომჩივანმა უდავოდ განიცადა ფსიქოლოგიური სტრესი მისი ახალგაზრდა შვილის გარდაცვალების გამო, უპირობო საკანონმდებლო შეზღუდვით მას გაუმართლებლად წაერთვა შესაძლებლობა სასამარ-

²⁷³ სუსგ №ბს-327-309(2კ-07), 16 მაისი, 2019, №ას-1800-2019, 20 თებერვალი, 2020 (საყურადღებოა, სუსგ ას-979-940-2014, 10.09.2015, რომლითაც შვილის ცხედრის დაგვიანებით ტრანსპორტირების გამო დედას მორალური ზიანი აუნაზღაურდა), მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხზე, იხ.: მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი, 2020, 50.

თლოს გზით მოეთხოვა კომპენსაციის მიღება არაქონებრივი ზიანის სანაცვლოდ, როგორც მისთვის ხელმისაწვდომი სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საშუალება.

არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება გათვალისწინებულია ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი, ფსიქიკური ტანჯვის გამო, და არა ქონებრივი ზიანის გამო, სულიერი ტანჯვით გამოწვეული ჯანმრთელობის მოშლის შემთხვევებზე.²⁷⁴

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევისთვის მოპასუხეს (რომელსაც საზაფხულო ბანაკში ბავშვებზე ზრუნვა და მეთვალყურეობა ევალებოდა) მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა.²⁷⁵

კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს ჩვეულებრივ, შესაძლოა თან ახლდეს მორალური, სულიერი განცდები, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ე. ი. კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეუძლია დაზარალებულს, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის.

სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რიტმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს).

პაციენტის ინფორმირებულობის სტანდარტის იმგვარი დარღვევა, რომელმაც შესაძლებელია ჯანმრთელობისადმი ვნება გამოიწვიოს, მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობაც შეიძლება გახდეს.

კანონმდებელი არ ადგენს ცალკეულ შემთხვევაში, მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობას, არამედ ეს საკითხი სასამართლოს შეფასებითი მსჯელობის საგანია და ყოველი კონკრეტულ შემთხვევაში, თავად შემთხვევის ინდივიდუალობის და თავისებურების გათვა-

²⁷⁴ სუსგ №ას-1821-2019, 2 ივლისი, 2020.

²⁷⁵ სუსგ №ას-669-2019, 11 ივლისი, 2019.

ლისწინებით უნდა გადაწყდეს.²⁷⁶

სამედიცინო დელიქტებში მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 992-ე, 1007-ე და 413-ე მუხლები. სამედიცინო შეცდომის შედეგად მიყენებული ზიანის კვლევისას, დაზარალებულის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს ასეთი ზიანის მიყენების ფაქტის არსებობა.²⁷⁷

✓ 415-ე მუხლი

სსკ-ის 415-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს ნაწილობრივ, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამ. ისეთ შემთხვევაში როდესაც ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამ, ზიანის მიმყენებლის მიერ სრული ანაზღაურება უსამართლოა და გამოიწვევს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრებას. ამ მუხლის თანახმად, დაზარალებულის თანამონაწილეობა ზიანის დადგომაში შეიძლება გამოიხატოს როგორც მის უშუალო მოქმედებაში, ასევე ისეთი მოვლენის დადგომაში, რომლის მიმართაც თვითონაა რისკის მატარებელი. აღნიშნულ თანამონაწილეობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობებში. მხარეთა ე. წ. „შერეული ბრალი.“ უფრო მეტად, რომელი მხარის მოქმედებით არის ზიანი გამოწვეული, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფორმისა და ხარისხის ქმედებასთან გვაქვს საქმე. ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია, რომ დაზარალებულის მოქმედებამ სულაც აიცილინოს ზიანის მიყენება, ანდა მისი შემცირება გამოიწვიოს. ამდენად, თუ დაზარალებულს შეუძლია თავისი მოქმედებით აიცილინოს, ანდა შეამციროს ზიანი და იგი ამას არ აკეთებს, მისი ასეთი უმოქმედობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ბრალეული უმოქმედობა.“²⁷⁸

²⁷⁶ სუსგ №ას-645-2019, 26 ივლისი, 2019, იხ. ასევე, სუსგ ას-211-200-2017, 12 იანვარი, 2018.

²⁷⁷ მრავალთავან იხ. სუსგ-ები: ას-211-200-2017, 12 იანვარი, 2018, №ას-111-111-2018, 11 მაისი, 2018, №ას-645-2019, 26 ივლისი, 2019.

²⁷⁸ სუსგ №ას-150-150-2018, 16 მარტი, 2018. ასევე, №ას-274-2019, 15 ოქტომბერი, 2019. პირგასამტეხლოს შესახებ სასამართლო პრაქტიკა, იხ.: ასევე, გაგუა ი., ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2017, 44. მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი, 2020, 58.

✓ 416-ე-420-ე მუხლები

პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან.

პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას, ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, თავის თავში მოიცვას ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას, გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს, ანუ პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება.

პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს.²⁷⁹

პირგასამტეხლო შესაძლოა ზიანზე აღმატებული იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულების ამგვარი დათქმა მართლწესრიგის წინააღმდეგი იქნება და სკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, იურიდიული ძალა არ ექნებოდა, თუმცა, იმისათვის, რათა დაცული იყოს მხარეთა

²⁷⁹ სუსგ №ას-48-47-2016, 10 თებერვალი, 2016.

თანასწორობის საყოველთაო უფლება, კანონმდებელი ითვალისწინებს პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირების შესაძლებლობას. **პირგასამტეხლოს დანიშნულება ვალდებულების დარღვევის მინიმალური ზიანის ანგარიშში ამ თანხის ჩათვლაა.** ფუნქციური დანიშნულებით, მინიმალური ზიანი არ წარმოადგენს ფაქტობრივად მიღებული ზიანის სრულ ანაზღაურებას, არამედ ესაა თანხა, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორის მოთხოვნის მინიმალურ დაკმაყოფილებას, სწორედ ამითაა გამართლებული პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო ბუნება. განსხვავებით ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, რომელიც სკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არ საჭიროებს მხარეთა წინასწარი შეთანხმების არსებობას, პირგასამტეხლო ყოველთვის სახელშეკრულებო პირობად გვევლინება.²⁸⁰

პირგასამტეხლო არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედავების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით.

სასამართლომ მოპასუხე ფორსმაჟორის გამო, ფორსმაჟორის პერიოდში გაათავისუფლა სადავო სახელშეკრულებო სამართალურთიერთობებში პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან.²⁸¹

პირგასამტეხლოს შემცირება არ უნდა იყო ორიენტირებული მოვალის ინტერესების ცალმხრივ დაცვაზე და არ შეიძლება ამ გზით საერთოდ დაკარგოს პირგასამტეხლოს ინსტიტუტმა ფუნქციური დანიშნულება.²⁸²

პირგასამტეხლოს შემცირება არ გულისხმობს მის გაუქმებას. **პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია ერთი მხრივ, ის, რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს მძიმე ტვირთად არ დაანვეს პირგასამტეხლოს გადახდა (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცევს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ, პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრუ-**

²⁸⁰ სუსგ №ას-16-16-2016, 5 თებერვალი, 2016.

²⁸¹ სუსგ № ას-163-163-2018, 20 ივლისი, 2018.

²⁸² სუსგ №ას-238-226-2016, 3 ივნისი, 2016.

ლი. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად დგინდება და რაიმე განსხვავებული სტანდარტი, რომელიც განაზოგადებს პირგასამტეხლოს მათემატიკურ მაჩვენებელს, სასამართლო პრაქტიკით არ არის დადგენილი. სასამართლომ უნდა დაიცვას ის სამართლიანი ბალანსი, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას მოწყვა.²⁸³

ვალდებულების შეწყვეტით ნყდება პირგასამტეხლოს დაკისრებაც და მისი ოდენობა გამოიანგარიშება იმის მიხედვით, თუ რა პერიოდი გასული შესრულების ვადის დადგომიდან, ფაქტობრივად შესრულებამდე.²⁸⁴

თუ მხარე აღჭურვილია ადვოკატით, სამენარმეო ურთიერთობებში გამოცდილი სუბიექტია, თავად მენარმეა და ა.შ. ივარაუდება, რომ ასეთ ვითარებაში შეთანხმებული პირგასამტეხლო, თუნდაც, შეუსაბამოდ მაღალი, მხარეთა ნამდვილ ნებას შეესაბამება და შემცირებას არ ექვემდებარება.²⁸⁵

მენარმე სუბიექტი, რომელიც თავისუფალი და გაცნობიერებული ნების გამოვლენის საფუძველზე თანხმდება პირგასამტეხლოს კონკრეტულ ოდენობას, შემდგომში მოკლებულია შესაძლებლობას, მოითხოვოს შეთანხმებული პირგასამტეხლოს შემცირება, თუ ამის თაობაზე კვალიფიციურ შესაგებელს არ წარადგენს. სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირება და ამ მიზნით მხარეთა შორის თავისუფალი ნების გამოვლენის ფარგლებში, მიღწეულ შეთანხმებაში სასამართლოს ჩარევა, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება იმ სუსტი კონტრაპენტის ინტერესების დაცვას, რომელიც ერთი მხრივ, ვალდებულების შესრულების იმედით თანხმდება მისთვის, თუნდაც მიუღებელ პირგასამტეხლოს განაკვეთს და მეორე მხრივ, სრულფასოვნად ვერ აფასებს სახელშეკრულებო რისკებს და ვალდებულების დარღვევის თანამდევად დასაკისრებელი პირგასამტეხლოს მოსალოდნელ სამართლებრივ და ეკონომიკურ ეფექტს. სახელშეკრულებ-

²⁸³ სუსგ №ას-186-2021, 25 მარტი, 2021.
²⁸⁴ სუსგ №ას-491-471-2016, 24 ივნისი, 2016.
²⁸⁵ სუსგ №ას-1451-1371-2017, 13 ნოემბერი, 2018.

ბო ურთიერთობაში კონტრაპირებულ მენარმე სუბიექტს/იურიდიულ პირს, მისი სტატუსიდან გამომდინარე, ფიზიკური პირისგან განსხვავებული პასუხისმგებლობითა და სტანდარტით მოეთხოვება ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგებზე პასუხისგება. ხელშეკრულებაში იურიდიული პირის კონტრაპირებისას, სასამართლომ პირგასამტეხლო უნდა შეამციროს, მხოლოდ არგუმენტირებული შედავების არსებობის პირობებში.²⁸⁶

სსკ-ის 230-ე მუხლის ფარგლებში, დადგენილად მიიჩნევა მხოლოდ პირგასამტეხლოს დავალიანების ოდენობა, ხოლო მითითებული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, სამართლის საკითხია და სასამართლო მას სსკ-ის 420-ე მუხლის ფარგლებში ამონებს.²⁸⁷

მენარდისათვის ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მოტივაციის მიცემა სსკ-ის 417-ე-420-ე მუხლების მიზანს არ წარმოადგენს.

იმისათვის, რათა პირგასამტეხლომ არ დაკარგოს საკუთარი ფუნქცია, ხოლო სამოქალაქო ურთიერთობა არ გასცდეს მხარეთა თანასწორობის პრინციპს, მიზანშეწონილია, სასამართლომ სასამართლიანობაზე დაყრდნობით შეაფასოს შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობა.²⁸⁸

განგრძობითი პირგასამტეხლოს დარიცხვის პერიოდში არ მოიზრება გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების პერიოდი ანუ ის დროის მონაკვეთი, როდესაც სააღსრულებო წარმოების განხორციელება შეჩერდა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით.²⁸⁹

კრედიტორის მიერ სააღსრულებო ფურცლის ვალდებულების დარღვევიდან სამი წლის შემდეგ აღება სსკ-ის 115-ე მუხლის დარღვევა არ არის.

პირგასამტეხლოს კიდევ შემცირებას საფუძვლად ვერ დაედება ის გარემოება, რომ მოვალე, რომელმაც ვალდებულების შესრულებას სამ წელზე მეტი ხნით გადააცილა, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.²⁹⁰

²⁸⁶ სუსგ №ას-1417-2018, 16 ნოემბერი, 2020.

²⁸⁷ სუსგ №ას-10-10-2017, 17 თებერვალი, 2017.

²⁸⁸ სუსგ №ას-272-260-2017, 10 მაისი, 2017.

²⁸⁹ სუსგ №ას-399-372-2017, 11 მაისი, 2017.

²⁹⁰ სუსგ №ას-222-222-2018, 30 მარტი, 2018.

რამდენადაც პირგასამტეხლოს ანაზღაურება არა სსკ-ის 417-ე-418-ე მუხლებით განსაზღვრული სახელშეკრულებო შეთანხმების, არამედ საკანონმდებლო დათქმის შედეგია, ამგვარი პირგასამტეხლოს შემცირების საკითხი სსკ-ის 420-ე მუხლის რეგულაციას ცდება.²⁹¹

პირგასამტეხლო დაანგარიშდეს არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ მხარის მიერ ფაქტობრივად შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულებიდან.²⁹²

კანონმდებელი პირგასამტეხლოს დაკისრებას უკავშირებს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევას და აღნიშნულზე ხელშეკრულების მოქმედების ვადა გავლენას ვერ მოახდენს.²⁹³

უკვე გადახდილი პირგასამტეხლოს შემცირებაზე მსჯელობა სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.²⁹⁴

✓ 421-ე-423-ე მუხლები

ბე მიეკუთვნება ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებს და წარმოადგენს ქონებრივი ხასიათის მქონე მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებას. ამასთან, არ არსებობს ბე ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების გარეშე. იგი აქცესორული ხასიათისაა.

ბეს საგანს წარმოადგენს მხოლოდ ფულადი თანხა. ბე უმთავრესად სახელშეკრულებო ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის ნაწილია (როდესაც ბე იანგარიშება ხელშეკრულების ფასში), ბეს მოცულობა უნდა იყოს ნაკლები ხელშეკრულებით გადასახდელი სრული თანხის ოდენობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა არა ვალდებულების უზრუნველყოფას, არამედ ვალდებულების შესრულებას. ბე ერთგვარი ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალებაა, როგორც ბეს მიმცემზე ასევე, ბეს მიმღებზე, რათა მათ ნაკისრი ვალდებულება შეასრულონ. კერძოდ, ბეს ორმაგი უზრუნველმყოფი ხასიათი გააჩნია.²⁹⁵

²⁹¹ სუსგ №ას-170-2019, 6 დეკემბერი, 2019.

²⁹² სუსგ №ას-352-2019, 17 მაისი, 2019.

²⁹³ სუსგ №ას-405-2019, 31 მაისი, 2019.

²⁹⁴ სუსგ №ას-1527-2018, 31 იანვარი, 2019.

²⁹⁵ სუსგ №ას-1476-2019, 7 თებერვალი, 2020.

საყურადღებოა, რომ ბესთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა არათანმიმდევრულია. კერძოდ, სასამართლომ ერთ შემთხვევაში, უძრავი ნივთის ნასყიდობის ბეს ხელშეკრულების ნამდვილობისთვის საკმარისად მიიჩნია მარტივი წერილობითი ფორმა,²⁹⁶ ხოლო სხვა დავაში²⁹⁷ კი, დააკმაყოფილა რა, სარჩელი სსკ-ის 976.1. მუხლის საფუძველზე, მხარეთა შორის შედგენილი ბეს გადახდის ხელშეკრულება, სსკ-ის 183-ე, 323-ე, 311'-ე და 59-ე მუხლების საფუძველზე ბათილად ჩათვალა, რადგან მიიჩნია, რომ მხარეთა ხელმოწერები არ არის დადასტურებული კანონით დადგენილი წესით: მხარეთა ნება არც მარეგისტრირებელ ორგანოში არ არის გამოსატყული უფლებამოსილი პირის თანდასწრებით და არც სანოტარო წესით არის დადასტურებული.

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბეს ხელშეკრულებით დადასტურებისათვის, სსკ-ის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან და 328-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ბეს ხელშეკრულება აუცილებლად წერილობით უნდა დაიდოს და ხელმოწერილი იყოს ხელშემკვრელი მხარეების მიერ, თუმცა, იგი ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ თანხის მიღების ხელწერილი არ შეიცავს მხარეთა შეთანხმებას არსებით პირობებზე, სახეზე არ არის სსკ-ის 421-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულება, არამედ იგი ადასტურებს მხოლოდ თანხის მიღების ფაქტს, შესაბამისად, ამგვარი ხელწერილი არ შეესაბამება კანონით დადგენილ წესებს და სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს, არამედ უფრო მეტად საავანსო ანგარიშსწორებას წააგავს.²⁹⁸

კოდექსით არ არის განსაზღვრული ბეს ოდენობა და იგი შესაძლოა დაექვემდებაროს გარიგების მონაწილეთა შეთანხმებას სსკ-ის 319-ე მუხლიდან გამომდინარე, თუმცა, ხელშეკრულების მხარეებს ევალებათ ბეს ოდენობის განსაზღვრა სახელშეკრულებო კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით.

სსკ-ის 421-ე-423-ე მუხლების მიზნებიდან გამომდინარე, გონივრუ-

²⁹⁶ სუსგ №ას- 875-817-2017, 21 მარტი, 2018. (იხ. მ. ახალაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი, 2020, 72).

²⁹⁷ სუსგ №ას-76-2020, 2 ივლისი, 2020.

²⁹⁸ სუსგ №ას-140-2019, 14 ნოემბერი, 2019.

ლი სტანდარტიდან გამომდინარე, მთლიანი გადასახდელი თანხის 40% ვერ განიხილება მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად და ვერ მოექცევა „ბეს“ სამართლებრივ რეგულირებაში.²⁹⁹

√ 427-ე მუხლი

სსკ-ის 427-ე მუხლის მიზნებისათვის ვალდებულების შეწყვეტის ქვეშ იგულისხმება, რომ ვალდებულებითი ურთიერთობა ვიწრო ან/და ფართო გაგებით დასრულებულია, შეწყვეტილია და აღარ არსებობს. იმისათვის, რომ სსკ-ის 427-ე მუხლის საფუძველზე, ვალდებულება კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით შეწყდეს, სახეზე უნდა იყოს შესრულების მიზნით განხორციელებული ქმედება, რომელიც განხორციელებულია: ა) ჯეროვნად, ბ) კეთილსინდისიერად, გ) დათქმულ დროსა და ადგილას, დ) უფლებამოსილი პირის მიმართ. ჩამოთვლილი წინაპირობები კუმულატიურად უნდა იყოს დაკმაყოფილებული. ასეთი შესრულება ვალდებულების შეწყვეტას ნიშნავს და ასეთ შემთხვევაში, კრედიტორს არა აქვს უფლება, ხელმეორედ მოითხოვოს შესრულება.³⁰⁰

√ 429-ე მუხლი

სსკ-ის 429.1. მუხლი იცავს მოვალის ინტერესს, ხოლო შესაბამისი დოკუმენტის გამართულად შედგენის რისკს მთლიანად კრედიტორის მხარეზე ტოვებს.³⁰¹

მითითებული დანაწესის ნორმატიული ძალით, მხარეს, რომელიც კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში წარმოადგენს მოვალეს, შესაძლებლობა ეძლევა კრედიტორის მიმართ შესრულებული ფულადი ვალდებულების დასადასტურებლად მოსთხოვოს კრედიტორს შესრულებული ვალდებულების შესახებ წერილობითი დოკუმენტის – დასტურის გაცემა. აღნიშნული დოკუმენტის გაცემის მოთხოვნა – მოვალის უფლება, ხოლო მისი გაცემა კრედიტორის უშუალო ვალდებულებაა. მითითებული კუთხით, კანონმდებელი ეხმარება მოვალეს, შექმნას და მიიღოს მის მიერ შესრულებული ფულადი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება. სსკ-ის 429-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებ-

²⁹⁹ სუსგ №ას-287-2020, 16 სექტემბერი, 2020.

³⁰⁰ სუსგ №ას-20-2021, 22 აპრილი, 2021.

³⁰¹ სუსგ №ას-6-6-2018, 23 თებერვალი, 2018.

ბის წარდგენისას, მოვალის პოზიციის დასაბუთებულობის ხარისხი ძალიან მაღალია. მეორე მხრივ, დასახელებული ნორმა ზღუდავს მოვალეს და ავალებს, სადავო შესრულება დაადასტუროს სწორედ მითითებული სახის მტკიცებულებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი უფლების განუხორციელებლობა მხარისათვის არახელსაყრელი სამართლებრივი შედეგის დადგომას უკავშირდება.³⁰²

კანონის თანახმად, შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა დამოკიდებულია მოვალის სურვილზე. არსებობს სხვადასხვა ფაქტორი, რამაც შესაძლოა, განაპირობოს მოვალის მიერ ამ საბუთის მიუღებლობა, მაგალითად, მისი წინდაუხედაობა, პარტნიორის მიმართ გადამეტებული ნდობის არსებობა და ა.შ. საბოლოოდ, ეს ფაქტორები უკავშირდება მხარის რისკს და მთლიანად განაპირობებს მისი პასუხისმგებლობის არსებობა არარსებობის ფაქტს.³⁰³

მარტოოდენ მონმეთა ჩვენებებით დაუშვებელია სესხის დაბრუნების ანუ ვალდებულების შესრულების, ფაქტობრივი გარემოების დადგენა.

სესხის გადახდის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებას არ წარმოადგენს საქმეში არსებული აღსრულების ეროვნული ბიუროს ფაქტების კონსტატაციის შესახებ ოქმი.³⁰⁴

✓ 434-ე მუხლი

სსკ-ის 434-ე, 435-ე, 438-ე და 441-ე მუხლებზე ასევე „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 97-ე მუხლების მიხედვით, დეპოზიტზე ფულის განთავსებიდან სამი წლის განმავლობაში კრედიტორის მიერ მისი არმიღების შემთხვევაში, ნოტარიუსს წარმოეშობა აღნიშნულის შესახებ მოვალისათვის შეტყობინების ვალდებულება.

სსკ-ის 441-ე მუხლის შესაბამისად, ნოტარიუსმა არა მხოლოდ უნდა აცნობოს მოვალეს ვ-წლიანი ვადის გასვლის შესახებ, არამედ უნდა მოსთხოვოს ჩაბარებული საგნის უკან დაბრუნება და განუსაზღვროს შესა-

³⁰² სუსგ №ას-425-408-2016, 06 ივლისი, 2016.

³⁰³ სუსგ №ას-241-241-2018, 25 სექტემბერი, 2018.

³⁰⁴ სუსგ №ას-241-241-2018, 25 სექტემბერი, 2018.

ბამისი ვადა. აღნიშნული კი შეუძლებელია ზეპირი შეტყობინებით.³⁰⁵

√ 442-ე მუხლი

სსკ-ის 442-ე მუხლის საფუძველზე ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რა დროსაც, სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის სავალდებულოა ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა, ხოლო მეორე პირის მიერ მისი მიღება... მისი ქმედითობა დამოკიდებულია მეორე პირის მიერ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ნების მიღებასა და გასაქვითი ვალდებულების არასადავობაზე. ეს ნიშნავს, რომ გარიგების დადება შესაძლებელია მაშინ, როდესაც მხარეების მიერ აღიარებულია და სადავოდ არ არის გამხდარი ვალდებულება და მისი მოცულობა. მხარეს ამ უფლების განსახორციელებლად არ სჭირდება სასამართლოსათვის დამოუკიდებელი სარჩელით მიმართვა.³⁰⁶

სსკ-ის 442-ე მუხლი ხელშეკრულების მხარეს უფლებას ანიჭებს ხელშეკრულების მეორე მხარეს გაუქვითოს წარმოშობილი, განხორციელებადი, არასადავო და ვადამოსული მოთხოვნა.³⁰⁷

√ 448-ე მუხლი

ნეგატიური ვალის აღიარება არის შემთხვევა, როდესაც კრედიტორის მოთხოვნის უფლება ისპობა, რადგან იგი მოვალის წინაშე აღიარებს, რომ მისი მოთხოვნა არ არსებობს ანუ კრედიტორი უარს ამბობს მოთხოვნის არსებობაზე. ნეგატიური ვალის აღიარების დროს სახეზე გვაქვს კრედიტორის მხრიდან აღიარება იმისა, რომ მოთხოვნა არ არსებობს, რაც ნყვეტს მასსა და მოვალეს შორის არსებულ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას და ახალ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას აღარ წარმოშობს. ნეგატიური ვალის არსებობის აღიარება, სამართლებრივი შედეგების მხრივ, ვალის პატიებას უთანაბრდება და შესაბამისად, სსკ-ის 448-ე მუხლის რეგულირების რეჟიმში ექცევა და ინვეს ვალდებულების შეწყვეტას. „ვალის პატიება წარმოადგენს კრედიტორის შეპირებას მოვალის წინაშე, რომ მოთხოვნის უფლება არ განახორციელოს (pactum de non petendo). მოვალე არ თავისუფლდება, რამდენადაც ის იძენს მხოლოდ შესაძლებლობას, მოთხოვნის უფლების განხორციელებას შეე-

³⁰⁵ სუსგ №ას-468-468-2018 12 მარტი, 2020.

³⁰⁶ სუსგ №ას-1632-2019, 12 თებერვალი, 2021.

³⁰⁷ სუსგ №ას-1484-1404-2017, 01 მაისი, 2019.

პასუხოს. ვალი რჩება შესრულებადი, ხოლო მოთხოვნა აღარ არის მიღწევადი.“

მიღება-ჩაბარების აქტში შემსყიდველის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ მოპასუხესთან არანაირი პრეტენზია არ გააჩნია, წარმოადგენს ვალის არარსებობის აღიარებას, რაც ვალდებულების შეწყვეტის საფუძველია.³⁰⁸

საპროცესო შეთანხმების დოკუმენტით პროკურორი, რომელიც საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს სახელმწიფოს სახელით მოქმედებს, განსასჯელს შეუთანხმდა, დანაშაულით მიყენებული ზიანი აენაზღაურებინა არა სრულად, არამედ ნაწილობრივ. **საპროცესო შეთანხმების ამგვარად ფორმულირება სსკ-ის 448-ე მუხლის (ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებით ინვეს ვალდებულების შეწყვეტას) რეგულირების სფეროშია მოქცეული და ვალის პატიებად განიხილება.**

დასახელებული საპროცესო შეთანხმება აერთიანებს როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, ასევე, დელიქტური ვალდებულებისათვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ელემენტებს.

საპროცესო შეთანხმების შესაბამისი ნაწილი მოიცავს ვალის პატიების ნამდვილობისთვის აუცილებელ ყველა პირობას, სახელდობრ: ა) მკაფიოდ იდენტიფიცირებადია ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა; ბ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მქონე პირის (სახელმწიფოს) ნება/გადაწყვეტილება ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობის შემცირებაზე და გ) მოვალის აქცეპტი საპროცესო შეთანხმებაზე, რომლის შედეგია სახელმწიფო ბიუჯეტში მის მიერ თანხის გადახდა, მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.³⁰⁹

✓ 454-ე მუხლი

იურიდიული პირის სალიკვიდაციო პროცესის დასრულებისას, არქარწყლდება ძირითადი მოვალის ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებები.

უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება დამოუკიდებელი ხასიათისაა.

³⁰⁸ სუსგ №ას-1054-2019, 30 სექტემბერი, 2019.

³⁰⁹ №ას-1542-2018, 31 ოქტომბერი, 2019.

კრედიტის უზრუნველყოფის შესახებ სამართლებრივი ურთიერთობა კრედიტორსა და უზრუნველყოფ პირებს შორის წარმოიშობა, ასეთ ხელშეკრულებას დამოუკიდებელი ხასიათი აქვს და საკუთარ თავში ატარებს კაუზას, რაც ნიშნავს, რომ უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება დამოუკიდებელი ხასიათისაა; უზრუნველყოფი პირები საკუთარ ვალდებულებას ასრულებენ და არა სხვის ვალდებულებას.³¹⁰

√ 463-ე-464-ე მუხლები

სოლიდარული ვალდებულების არსებობის წინაპირობაა ვალდებულების ერთ ერთ მხარეზე რამდენიმე პირის მონაწილეობა. ამასთან, იმის მიხედვით, თუ ვალდებულების რომელ მხარეზე მონაწილეობს სოლიდარულად რამდენიმე პირი, თითოეულს ერთი და იმავე მოვალის მიმართ შეიძლება გააჩნდეს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება ან/და თითოეულ მათგანს ერთი და იმავე კრედიტორის მიმართ დაეკისროს ვალდებულების შესრულების ვალდებულება.

მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ისინი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე იყვნენ პასუხისმგებელი. აღნიშნული ურთიერთობიდან გამომდინარე, თითოეული სოლიდარული მოვალე კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის მთლიან დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს ვალდებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ კრედიტორს საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერი მოვალისაგან თანაბრად უნდა შეეძლოს ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შესრულების მოთხოვნა.

სსკ-ის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება შესაძლებელია სამი საფუძვლით წარმოიშვას: ხელშეკრულება, კანონი და ვალდებულების საგნის განუყოფლობა (Numerus Clausus). კანონის საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული ვალდებულების შემთხვევები სამოქალაქო კოდექსში საკმაოდ მრავლადაა. მაგალითად, სსკ-ის 998.1. და 937.1. მუხლები.³¹¹

³¹⁰ სუსგ №ას-401-2019, 25 ივნისი, 2020, ასევე, სუსგ №ას-132-2019, 30 ივნისი, 2021.

³¹¹ სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019, №ას-163-2020, 23 სექტემბერი, 2020, №ას-433-2020, 19 ნოემბერი, 2020, №ას-588-2020, 6 ნოემბერი, 2020, №ას-467-2020, 25 ივნისი, 2021.

ვალდებულების საგნის განუყოფლობის შემთხვევაში, რამდენიმე მოვალე მხოლოდ მაშინ ჩაითვლება სოლიდარულ მოვალეებად, როდესაც თითოეულ მოვალეს მთლიანი ვალდებულების შესრულება მართომ შეუძლია რომ განახორციელოს.

სსკ-ის 999-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტის განხორციელებისას, სსკ-ის 463-ე მუხლის საფუძველზე, დაზარალებულ პირს არ ეკრძალება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთობლივად წაუყენოს, როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების იურიდიულ მფლობელს, სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მესამე წინადადების საფუძველზე, ისე სატრანსპორტო საშუალების მოსარგებლეს, სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე. ამ შემთხვევაში სახეზეა მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში, ვალდებულებათა ერთიანობა, როდესაც ყოველ მოვალეს თავისი საკუთარი ვალდებულება აკისრია კრედიტორის წინაშე, მაგრამ ისინი ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ ქმნის სოლიდარულ ვალდებულებას.³¹²

³¹² სუსგ №ას-1058-2018, 30 სექტემბერი, 2019.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge

